ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

მანუჩარ ლორია

ძველი მსოფლიოს ისტორია (ძვ. აღმოსავლეთი)

ლექციების კონსპექტური ვარიანტი

ბათუმი
2018

სარჩევი

თემა პირველი
ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საგანი, გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ჩარჩოები, წყაროები

თემა მეორე
უძველესი ცივილიზაციების მონაცემები და ბიბლიური ვერსიები ადრეული პერიოდის ქართველ ტომთა შესახებ

თემა მესამე
უძველესი პერიოდი და ძველი პერიოდი (ზოგადი დახასიათება)

თემა მეოთხე
ძველი ეგვიპტე

თემა მეხუთე
ძველი შუამდინარეთი

თემა მეექვსე
ძველი და ახალი ბაბილონი

თემა მერვე
მცირე აზია,ფინიკია და ძველი პალესტინა

თემა მეცხრე
ასურეთის სამეფო და ურარტუ

თემა მეათე
ძველი ირანი

თემა მეთერთმეტე
ძველი ინდოეთი

თემა მეთორმეტე
ძველი ჩინეთი

თემა პირველი

ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საგანი, გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ჩარჩოები, წყაროები

ძველი მსოფლიოს ისტორია მოიცავს ოთხ დამოუკიდებელ პერიოდს:

- პირველყოფილი საზოგადოების ისტორია
- ძველი აღმოსავლეთის,
- ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ისტორიას.

ძველი მსოფლიო ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს მილიონ წელს ჩვენს ერამდე – და ჩვენს ერას VI საუკუნემდე. ე.ი. დედამიწაზე ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების გაჩენიდან მონათმფლობელური საზოგადოების ფორმაციის დაცემამდე პერიოდს.

ძველი აღმოსავლეთის ისტორია სწავლობს მსოფლიოში უძველესი კლასობრივი საზოგადოებებისა და სახელმწიფოების ისტორიას. უძველესი სახელმწიფოები სწორედ აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოიშვა, ამისათვის აქ ხელსაყრელი პირობები არსებობდა. აქ უფრო ადვილი იყო ბუნებასთან ბრძოლა, ვიდრე, მაგალითად, ევროპის

ბევრად უფრო მკაცრი ბუნების პირობებში, იმდროინდელი პრიმიტიული ტექნიკის გამოყენებითაც ხალხის ფართო მასების ენერგიული შრომის პირობებში უხვი მოსავალი აქ გარანტირებული იყო და იძლეოდა შედარებით განვითარებული ცხოვრების ფორმათა შექმნის საშუალებას.

ტერმინი „ძველი აღმოსავლეთი'' პირობითია. „აღმოსავლეთი'' ამ რაიონის აღსანიშნავად ანტიკური ხანის ევროპაში (კერძოდ, რომაელთა სახელმწიფოში) შემუშავდა. ამჟამად ჩვენ ამ ტერმინის ქვეშ ვგულისხმობთ მეტად ვრცელ მიწა-წყალს, სადაც წარმოიქმნენ სწორედ ჩვენთვის საინტერესო ეს უძველესი სახელმწიფოები და კლასობრივი საზოგადოებები. ესაა უზარმაზარი ტერიტორია, გადაჭ იმული ხმელთაშუა ზღვისა და ეგეოსის ზღვის ნაპირებიდან (დასავლეთით) წყნარი ოკეანის ნაპირებამდე (აღმოსავლეთით). ცოტა ხნის წინ „ძველი აღმოსავლეთის ისტორია'' მხოლოდ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების უძველეს ისტორიას სწავლობდა, მაგრამ ეს არ იყო სწორი. იმავე პერიოდში, როდესაც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ამგვარი განვითარებული ცხოვრება ყვაოდა, ასეთივე დაწინაურებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება იყო შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებშიც –ინდოეთში, ჩინეთში. ამიტომაც ამ უკანასკნელთა ისტორიაც ძველი აღმოსვლეთის ისტორიის

ორგანულ ნაწილს წარმოსდგენს. ამასთანავე ირკვევა, რომ იმ უძველეს ხანაში უკვე არსებულა გარკვეული ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობა მახლობელი და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის.

ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში განიხილავენ ისეთი ქვეყნების ისტორიას, როგორიცაა: ეგვიპტე, შუამდინარეთი ანუ მესოპოტამია (ორ დიდ მდინარეს – ტიგროსსა და ევფრატს შორის მოქცეული ტერიტორია; აქ იყო უძველესი სახელმწიფოები: ბაბილონი და ასურეთი), მცირე აზია (ხეთების სამეფო), მითანი (ჩრდილოეთ შუამდინარეთში), სირია-პალესტინა, ფინიკია, ირანი (ელამის, მიდიისა და ძველი სპარსეთის საწელმწიფოები), ურარტუ, ინდოეთი, ჩინეთი.

„ძველი აღმოსავლეთის ისტორიის'' ქრონოლოგიური საზღვრების დასაწყისი სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვაგვარად განისაზღვრება (პირველი სახელ-მწიფოები და კლასობრივი საზოგადოებები ხომ ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს წარმოიქმნა!) ყველაზე უძველესი სახელმწიფოები მსოფლიოს ამ რაიონში (კერძოდ, ეგვიპტეში, შუამდინარეთში), ჩანს, ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მაშასადამე, ძველი აღმოსავლეთის ისტორიაც აქედან უნდა დავიწყოთ. რაც შეეხება მის

დასასრულს, აქაც მტკიცედ დადგენილი თარიღი არ არსებობს. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ „ძველი აღმოსავლეთის ისტორია'' უნდა დავამთავროთ ძვ. წ. V საუკუნეში ბერძენ-სპარსთა ცნობილი ომების ხანით, როდესაც მსოფლიოში ჰეგემონობა აღმოსავლეთის ხალხებიდან გადადის ბერძნების ხელში. ზოგი ასეთ საზღვრად უფრო მიზანშეწონილად თვლის ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს აღმოსავლეთის ქვეყნებში, როდესაც დაემხო ძველი აღმოსავლეთის რიგი მონარქია – და მათ ნანგრევებზე ჩამოყალიბდა ელინისტური, აღმოსავლური და ბერძნული ელემენტების შერწყმის საფუძველზე წარმოქმნილი სახელმწიფოები (ძვ. წ. IV ს. დასარული). ზოგი ძველი აღმოსავლეთის ისტორიას კიდევ უფრო უახლოებს ჩვენს დროს.

ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლა მრავალმხრივაა საინტერესო. იგი, პირველ ყოვლისა, საინტერესოა, როგორც კაცობრიობის ისტორიის უძველესი ეტაპი–უძველესი სახელმწიფოებისა და კლასობრივი საზოგადოებების ისტორია. საინტერესოა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესწავლა აგრეთვე იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად, რომელიც ამ ხალხებისაგან მიიღო უფრო გვიანდელმა მსოფლიომ. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლა გარკვეულ ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ისტორიის თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ ქართველი

ხალხი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველეს ხალხს წარმოადგენს. იგი ადრე გამოდის ცივილიზებული ცხოვრების გზაზე. ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის ხანაში ქართველთა შორეულ წინაპრებს ურთიერთობა ჰქონიათ რიგი ძველაღმოსავლური სახელმწიფოს მოსახლეობასთან (ხეთების და მითანის სამეფოები, ურარტუ, ირანი და სხვ.) ამიტომაც, როგორც ვთქვით, ამ უკანასკნელთა ისტორიის ცოდნა ჩვენთვის ამ მხრივაც საინტერესოა.

ძველი აღმოსავლეთის ისტორიის წყაროები

XIX საუკუნემდე, დაახლოებით ამ საუკუნენახევრის წინ, ძალიან ცოტა რამ იცოდნენ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესახებ. ამ ხალხთა საკუთარ, ადგილობრივ ენებზე ნაწერი ტექსტები ან უცნობი იყო, ანდა ვერავინ კითხულობდა მათ. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის უმთავრეს წყაროს იმ დროს ბიბლია და ბერძენ–რომაელი ავტორების თხზულებები წარმოადგენდა. შემდეგში, მართალია, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაინც არ დაკარგეს გარკვეული მნიშვნელობა. ამიტომაც, მართებული იქნება, თუ დასაწყისში მათზეც შევჩერდებით და დავახასიათებთ როგორც ძველი აღმოსავლეთის ისტორიის წყაროს.

ბიბლია – ძველი ებრაული ლიტერატურის კრებულია. იგი სხვადასხვა დროს დროს შედგენილ ძეგლებს აერთიანებს.

ბერძენ–რომაელი ავტორების ცნობების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობის შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მათი ინფორმირების ნაკლოვანებანი. ბერძნები თავდაპირველად აღმოსავლეთის ქვეყნებს მოედვნენ როგორც ვაჭრები, კოლონისტები ან დაქირავებული ჯარისკაცები, შემდეგ კი – როგორც დამპყრობლები. ბუნებრივია მათ კონტაქტი ჰქონდათ უფრო მეტად ამ ქვეყნების მოსახლეობის დაბალ ფენებთან, რომელთაც თვითონაც არ ჰქონდათ საფუძვლიანი წარმოდგენა თავისი ქვეყნის წარსულის შესახებ, და არა – არისტოკრატიულ ფენებთან ან ქურუმებთან, რომლებმაც უფრო იცოდნენ ქვეყნის ისტორია. ამის გამოა, რომ ძველი ბერძნები ხშირად ვერ გვაწვდიან მართებულ ცნობებს და მრავლად მოგვითხრობენ სხვადასხვა ზღაპრებსა და ანეკდოტებს.

ბერძენი ავტორებიდან, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ჰეროდოტე (ძვ. წ. 484–425). ჰეროდოტეს თხზულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს – იგი წარმოადგენს საბერძნეთისა და ძველი აღმოსავლეთის ხალხების მთელ ისტორიულ–გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიას.

ქვეყნის აღწერისას ჰეროდოტეს აინტერესებს ყველაფერი: ისტორია, გეოგრაფია, ჩვეულები, რელიგია, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, თქმულებები და სხვ. იგი უხვად გვაწვდის ადგილობრივ, აღმოსავლურ ისტორიულ–რელიგიურ მოთხრობებს და ფოლკლორულ მასალას. მისი ბევრი ცნობის ჭეშმარიტება დაამტკიცა ახალმა აღმოჩენებმა.

ზოგ საინტერესო ცნობას ძველი აღმოსავლეთის შესახებ ვხვდებით პლუტარქეს (ახ. წ. I–II სს.) „ბიოგრაფიებშიც". ამ მხრივ აგრეთვე აღსანიშნავია მისი „ტრაქტატი იზიდისა და იზირისის შესახებ", რომელიც საკმაო წარმოდგენას გვიქმნის ძველი ეგვიპტელების რელიგიაზე.

თემა მეორე

უძველესი ცივილიზაციების მონაცემები და ბიბლიური ვერსიები ადრეული პერიოდის ქართველ ტომთა შესახებ

ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის ეროვნული თავისებურებების ამსახველ ფაქტებსა და მოვლენებს უძველესი ცივილიზაციის პერიოდიდან ვხვდებით. ქართველ ტომთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური კულტურის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლის პროცესში თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიასა თუ ლინგვისტიკაში არაერთი თვალსაჩინო გამოკვლევა შეიქმნა, რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართველი ხალხის უძველესი მითოლოგიური შეხედულებების, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებში გამოვლენილი და დადგენილი პარალელების კვლევას წინააზიური და ანტიკური ცივილიზაციის მატარებელი ხალხების კულტურასა და ყოფასთან. სწორედ, ბოლო პერიოდის ინტენსიური პალეოანთროპო-ლოგიური, ეთნო-არქეოლოგიური და ლინგვისტური კვლევების საფუძველზე გახდა შესაძლებელი ქართულ-კავკასიურ-წინააზიური ისტორიის ადრეული ეტაპების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაშუქება. ამ მონაცემების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე

უკანასკნელ ათწლეულებში ახალი პალეოანთროპო-ლოგიური აღმოჩენების მიხედვით ამიერკავკასიურ-წინააზიური კულტურულ-ისტორიული სივრცე ინდოევროპული რასის წარმოშობისა და თავდაპირველი განსახლების კერად იქნა აღიარებული.

წინა აზიის უძველესი კულტურული ხალხების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ სიუჟეტებში მრავალფეროვანი თქმულებები და ლეგენდები, ეთმონიმიკური გადმოცემებია ფიქსირებული, რომელთა მნიშვნელობა ქართველი და კავკასიელი ხალხების პრეისტორიის ჯერ კიდევ ბუნდოვან საკითხთა გარკვევაში განუზომლად დიდია. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ ძველაღმოსავლური პოეზიის შედევრი–*გილგამეშის ეპოსი* და *მითი წარღვნის შესახებ,* რომლებშიც მეცნიერები არაერთ მნიშვნელოვან ქართულ-წინააზიურ პარალელებს გამოყოფენ. ასევე მნიშვნელოვანი თანხვედრებია აღნუსხული ენობრივ მონაცემებშიც.

და მაინც, საქართველოსა და მისი მეზობელი ხალხების შესახებ ეთნოგრაფიული ცნობების დაგროვებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მხოლოდ წერილობით წყაროებს გააჩნია. აქ კი, პირველ რიგში, *ძვ.წ. XII-VIII საუკუნეების ასურულ-ურარტული წყაროები და ბიბლიური მონაცემები* უნდა განვიხილოთ.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ქართველ ტომთა უძველესი გაერთიანების – ნაირის მთიანი ქვეყნების, დიაოხისა და კოლხას სამეურნეო-კულტურული მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ცნობებია დაცული ძველასირიულ და ურარტულ წყაროებში.

ასურული წყაროების მიხედვით ასურეთის მეფე *ტიგლათფილესერ I (ძვ.წ. 1112 წ.)* ამ ქვეყნებში ლაშქრობისას ნადავლის სახით წაუყვანია ცხენების, ჯორებისა და მინდვრის პირუტყვის მრავალრიცხოვანი ჯოგები. ასურეთის მეფეს ხარკი დაუდევს ნაირის ქვეყნების მეფისათვის, რომელიც 1200 ცხენითა და 2000 სული მსხვილფეხა საქონლით ყოფილა განსაზღვრული.

ტიგლათფილესერ I წარწერაში პირველადაა მოხსენიებული ნაირისა და დაიანას ქვეყნები, რომლებიც მას დაუპყრია ხაბხიდან დიდ ზღვამდე ლაშქრობისას. მასვე უგდია ხელთ ურმიელებისა და აბეშლას მიწები 4000-იანი მოსახლეობით, რომლებიც მიუერთებია კიდეც თავისი ქვეყნისათვის. ასურეთის მეფე *სალმანასარ III (ძვ.წ. 845 წ.)* და ურარტუს მეფე *მენუას (ძვ.წ.IX-VIII სს.მიჯნა)* სხვა ხარკთა და ტყვეთა შორის დიაოხის მეფისაგან ცხენის ჯოგებიც მიუღიათ.

უხვი ნადავლი, კერძოდ 41 მინა სუფთა ოქრო (მინა=505 გრ.), 37 მინა ვერცხლი, 10 ათასი მინა სპილენძი, 1104 ცხენი 35015 მსხვილფეხა და 1829

წვრილფეხა პირუტყვი მიუღია ურარტუს მეფე *არგიშთი I (ძვ.წ.786-764 წწ.)* დიაოხისა და სხვა ქართული პროვინციების წინააღმდეგ გამართული დიდი ლაშქრობებისას. სხვა წყაროს მიხედვით ამავე ლაშქრობისას არგიშთი I წაუსხამს 4426 ცხენი, 10478 მსხვილფეხა და 73770 წვრილფეხა რქოსანი საქონელი. დამარცხებულ დიაოხთა მეფეს ხარკად უკისრია 1000 საჯდომი ცხენი, 300 სული მსხვილფეხა საქონელი, ხოლო ყოველწლიურად ოქრო-ვერცხლთან ერთად 100 ძროხა, 500 ცხვარი, 300 საჯდომი ცხენი და ა.შ. დიაოხის მოკავშირე ქართველ ტომთა (ლუსა, ქათარზა, ვიტერუხი) ეკონომიური ძლიერების ნიშნები ასახულია ურარტულ ძეგლებშიც, რომელთა მიხედვითაც ამ ქვეყნებში ერთ-ერთი ლაშქრობისას ურარტუს მეფეებს ხელთ უგდიათ მრავალი ასეული ცხენი, 13540 მსხვილფეხა და 20785 წვრილფეხა საქონელი და დიდძალი სხვა სახის ნადავლი. ბუნებრივია, ეს წარწერები მოწმობენ, რომ დიაოხი მდიდარი ქვეყანაა განვითარებული მეტალურგიითა და სხვა სამრეწველო დარგებით. ქვეყანაში აღმავლობას განიცდის სოფლის მეურნეობაც, სადაც განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობა, აგრეთვე მეცხენეობა.

ასურული წყაროები საყურადღებო ეთნოგრაფიულ მონაცემებს იძლევიან უძველესი ქართველი ტომების განსახლების შესახებაც. ასურული დოკუმენტების

მიხედვით, რომლებიც ძვ.წ. XII საუკუნის ასურელ მეფეთა ლაშქრობებს ასახავენ, ვანის ტბის მიდამოებში – შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს აღმოსავლეთ ნაწილში, ტრაპეზუნტისა და სინოპის ახლოს მდინარე ჰალისამდე დასახელებულია მუშქების ტომი, რომელსაც პარალელი ებრაულ ბიბლიაში ნახსენებ მეშეხებთან (ეზეკიელი,39,1) უნდა ჰქონდეს. თავის მხრივ, მეშეხები VI საუკუნიდან ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული იგივე მოსხების ანუ მესხების ტომობრივი სახელია, რომელიც უძველეს ქართველ ტომთა კონსოლიდაციის პერიოდში ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა და გეოგრაფიული განსახლების მიხედვით სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ მთაგრეხილს – მესხეთის ქედის სახელწოდება შემოუნახა.

ბიბლიურ სიუჟეტებთანაა დაკავშირებული კავკასიის ხალხების შესახებ არსებული უძველესი წერილობითი ცნობებიც. ძვ.წ. IX საუკუნის ეს ებრაული წერილობითი ძეგლი დაინტერესებულია წარღვნისშემდგომი მსოფლიოს ხალხთა წარმოშობისა და განსახლების პრობლემით. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციით ბიბლიური გენეალოგია ნოეს 3 შვილს – სემს, ქამსა და იაფეტს უკავშირდება, რომლებიც სემიტების, ქამიტებისა და იაფეტელების წარმოშობა – განსახლების მამამთავრებად ითვლებიან. ბუნებრივია, კავკასიის ხალხთა განეალოგიის თვალსაზრისით

ყურადღებას იქცევს იაფეტი და იაფეტელები, რომლებიც კავკასიის უძველეს მაცხოვრებლებად არიან მიჩნეული.

ბიბლიურ სიუჟეტებშია მოხსენებული ქართველთა ერთ-ერთი ადრინდელი ტომის თუბალების სახელწოდებაც. იაფეტის სხვა შვილებთან ერთად ბიბლიაში დასახელებული თობალი, მუშეხი, თირსენი და იოვანი შესაბამისად იბერთა, მესხთა, ეტრუსკთა და იონელთა ფუძემდებლად ითვლებიან. ვარაუდობენ, რომ ბიბლიური თუბალი იგივე ტიბარები ანუ ტიბარენებია, ხალხი რომელთა შესახებაც ბერძენი მწერლები ძვ.წ. VI საუკუნიდან გვამცნობენ. ტიბარებს ანტიკური წყაროები, კერძოდ ამაიანე მარცელინი უკანასკნელად IV საუკუნეში მოიხსენიებს, რაც მკვლევართ იმის საფუძველს აძლევს ისინი იოსებ ფლავიუსის (37-95 წწ.) მიერ მოხსენიებულ მის თანამედროვე იბერებს დაუკავშირონ, მით უმეტეს, რომ თვით ფლავიუსის აზრითაც ბიბლიურ სიუჟეტებში იბერები თობალების სახელწოდებით ყოფილან ცნობილი.[12] თუ ქართველ ტომთა ისტორიული განვითარების რეკონსტრუქციის ამ გზას გავყვებით, მაშინ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თავად იბერები პირველად უფრო ადრე ძვ.წ. I საუკუნეში რომაელი მხედართმთავრის პომპეუსის ლაშქრობის აღწერისას არიან მოხსენიებულნი. იბერთა ტომობრივი სახელი არაერთხელაა მითითებული მომდევნო პერიოდის წყაროებშიც. მანიშნებელია, რომ რუსულ წყაროებში

იბერები ივერთა სახელწოდებითაა *(„ივერთა მიწა")* მოხსენიებული[13], ხოლო იგივე ეთნონიმი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს–დასავლეთ საქართველოს დღევანდელ მოსახლეობას *იბერების–იმერლების* სახით შემორჩა.

პირველად ასურულ-ურარტულ წყაროებშია მოხსენიებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი დიაუხი და კოლხაც (ძვ.წ.XI-VIII სს.). მართალია, ურარტულ ძეგლებში შედარებით მცირე ცნობებია დაცული კოლხას შესახებ, მაგრამ არსებული მონაცემებიდან ჩანს, რომ ქვეყანა განიცდიდა მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას. კოლხას ქვეყანაში *სარდურ II* ორგზის (ძვ.წ.750-748 და 747-742/1 წწ.) ლაშქრობისას ურარტუს მეფეს დიდძალი სიმდიდრე ჩაუგდია ხელთ. მარტო მეორე ლაშქრობისას სარდურ II კოლხას ქვეყნებიდან ურიცხვ ტყვეებთან ერთად გამოურეკია 1500 ცხენი, 173000 სული მსხვილფეხა და 316000 წვრილფეხა პირუტყვი და ა.შ.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დიაუხი ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში არაერთხელ მოხსენიებულ ტაო//ტაოხებთანაა გაიგივებული. უფრო გვიან კი სამხრეთ საქართველოს ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მესხებთან და სხვა ქართველ ტომებთან ერთად მათ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს მეთაურობით საფუძველი ჩაუყარეს ფეოდალური ხანის

ქართულ სახელმწიფოებრიობას, რომელმაც XI-XII საუკუნეებში დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქებში წინა აზიაში უძლიერესი სახელმწიფოს სახელი დაიმკვიდრა.

რაც შეეხება კოლხას სამეფოსა და მის მოსახლეობას, კოლხებს, რომელთა შესახებაც ძვ.წ. V საუკუნიდან მოკიდებული არაერთგზისაა საუბარი ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში, საზღვარგარეთის ისტორიოგრაფიაში გამოთქმული არაერთგვაროვანი მოსაზრებების მიუხედავად, ქართველ მეცნიერთა მიერ ჩატარებული ფუნდამენტური კვლევების შედეგების მიხედვით ისინი სვანების შემდეგ ერთიანი ქართული ფუძე ენიდან გამოყოფილი ზანურენოვანი ლაზური, ხოლო შემდგომ მეგრულ-ჭანური მოსახლეობის უშუალო წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა ადგილი და როლი ასევე განუსაზღვრელად მაღალია ქართული ეთნოსის ისტორიული განვითარების პროცესში.

თემა მესამე

უძველესი პერიოდი და ძველი პერიოდი (ზოგადი დახასიათება)

კაცობრიობის ისტორიის უძველესი პერიოდი ადამიანის გაჩენიდან კლასობრივ საზოგადოების ჩამოყალიბებამდე ყველაზე ხანგრძლივი ისტორიული ეპოქაა საზოგადოების განვინთარებაში. მისი ქვედა ზღვარი სულ მცირე 1,5 მილიონი წლის წინანდელ დროს მოიცავს, ხოლო ზედა ზღვარი წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება.

საპიენტაციის ანუ თანემედროვე ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი, საიდანაც უკვე შეიძლება სათავე დავუდოთ ისტორიულ–გეოგრაფიულ პერიოდიზაციის, მიმდინარეობდა 40–30 ათასი წლის წინ. საპიენტაციის მამოძრავებელი ძალა იყო ინდივიდების ბინებრივი შერჩევა, რომელიც გულისხმობს ფიზიკურ გამძლეობას, მოხერხებულობას, კოლექტივში ცხოვრების უნარს და საზოგადოებრივ–საწარმოო მოღვაწეობას. სავარაუდოა, რომ ბუნებრივმა შერჩევამ სწორედ იმ ჯგუფების რაოდენობრივ ზრდას და ტერიტორიულ გაფართოებას შეუწყო ხელი, რომლებშიც მეტი იყო

სამეურნეო – კულტურული მოღვაწეობის კოლექტიური ჩვევების მქონე ადამიანთა რიცხვი.

ერთერთი სადისკუსიო საკითხია თანამედროვე სახის ადამიანის ფორმირების ადგილის პრობლემა. ამ საკითხის ირგვლივ ორი განსხვავებული ჰიპოტეზა არსებობს. ერთი მათგანის მიხედვით, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია „პოლიცენტრიზმის“ სახელწოდებით ადამიანის საპიენტაცია მოხდა რამოდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კერაში და თანაც სხვადასხვა დროს. მეცნიერთა უმრავლესობა მხარს უჭერს „მონოცენტრისტულ“ ჰიპოტეზას, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება მოხდა ერთ (თუმცა ძალიან ფართო) არეალში და მოიცავს სამხრეთ–დასავლეთ აზიას, ჩრდილო–აღმოსავლეთ აფრიკას და სამხრეთ–აღმოსავლეთ ევროპას. სწორედ ამ ტერიტორიიდან შუა და ზედა პალეოლითის მეჯნაზე იწყება მოაზროვნე ადამიანის თანდათანობითი გავრცელება ახალ ტერიტორიებზე.

ამ თავდაპირველ ოიკუმენში საწარმოო ძალთა განვითარების დონე უკიდერესად დაბალი იყო. საარსებო საშუალებათა წყაროს წარმოადგენდა შემგროვებლობა, ნადირობა და შიდა წყალსატევებში თევზაობა. ასეთ მეურნეობას უწოდებენ „მითვისებითს“. საწარმოო ძალთა განვითარება და მოსახლეობის ზრდა აიძულებდა ზედაპალეოლითის მონადირეებს და შემგროვებლებს

თანდათან განსახლებულიყვნენ მანამდე აუთვისებელ სივრცეებზე. მიგრაცია საპიენტიზაციის კერიდან სამი მიმართულებით მიმდინარეობდა – სამხრეთ დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ზედა პალეოლითში დასახლებული და ათვისებული იქნა აფრიკა, ჩრდილოეთ ევროპა, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი და სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის კუნძულები. დაახლოებით 30 ათასი წლის წინ ბერინგის სრუტის გავლით ზედაპალეოლითის ადამიანები გადავიდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში. ამ კონტინენტის დასახლება და ათვისება ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით მიმდინარეობდა და 12–13 ათასი წლის წინ ფაქტიურად დამთავრდა, როცა მოსახლეობა გაჩნდა ცეცხლოვან მიწაზეც. ამავე პერიოდში მოხდა ავსტრალიის დასახლება სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიიდან, ხოლო 11–12 ათასი წლის წინ ათვისებული იქნა ტასმანიაც. ამგვარად ზედა პალეოლითის ბოლოსთვის მოსახლეობა იყო ყველა კონტინენტზე.

სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში მოხვედრილ ადამიანთა ჯგუფებს გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე თანდათანობით ჩამოუყალიბდათ ურთიერთგანმასხვავებელი გარეგნული ნიშნები, რაც რასების წარმოქმნასა და განვითარებაში გამოიხატა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ყველა ძირითადი და გარდამავალი რასების უმრავლესობა, რომელთა

წარმოქმნაში ორი ფაქტორი – გარემოსთან შეგუება და იზოლაცია ასრულებდა გადამწყვეტ როლს.

თუმცა ზედა პოლიოლიტის ადამიანის ერთადერთ საქმიანობას მითვისებითი მეურნეობა შეადგენდა, დედამიწის ცალკეული რეგიონები მაინც საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან სამეურნეო კულტურის თვალსაზრისით. შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი სამეურნეო– კულტურული ოლქები: ევროპული მყინვარისპირა, ხმელთაშუაზღვისპირა – წინააზიური, აფრიკული, ციმბირ–ჩინეთის, სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიური.

ვარაუდობენ, რომ პალეოლითის ბოლოსათვის (დაახლოებით 12 ათასი წლის წინ ჩვენს ერამდე) დედამიწის მოსახლეობა შეადგენდა 3 მილიონ კაცს და მხოლოდ ძნელადმისადგომი და მკაცრი ბუნებრივი პირობების მქონე რეგიონებიდან იყო დარჩენილი მოსახლეობის გარეშე. ხოლო მეურნეობის ტიპის მიხედვით საკმაოდ რთული სურათი იყო წარმოდგენილი არქტიკული მონადირეებიდან დაწყებული ეკვატორული ტყეების შემგროვებლებით დამთავრებული.

მეზოლითის ეპოქიდან უკვე შეიძლება ლაპარაკი ენების, ფოლკლორის, ხელოვნებისა და რაციონალური ცოდნის საწყისების შესახებ. ამავე პერიოდში გაფორმდა პირველყოფილი რელიგიების ძირითადი ფორმები - ტოტეიზმი, ანიმიზმი, მაგია და ფეტიშიზმი, რომლებიც

დღემდეა შემორჩენილი ავსტრალიის აბორიგენებში, პაპუასებში, ინდიელებში, აფრიკის ხალხებში და აზიის მთელ რიგ ტომებში. მატერიალური და სულიერი კულტურის პროგრესმა განაპირობა დედამიწის მოსახლეობის ზრდა და მეზოლითის ბოლოსთვის (ძვ.წ. აღ-ის VIII ათასწლეული) მსოფლიოს მოსახლეობის საერთო რიცხვმა დაახლოებით 10 მილიონი შეადგინა.

ძველი წელთაღრიცხვის VII-VI ათასწლეულილებში ჯერ ევრაზიის, ხოლო უფრო მოგვიანებით სხვა კონტინენტების ცალკეულ რეგიონებშიც იწყება კაცობრიობის ისტორიის შემდგომი პერიოდი- **ნეოლითი ანუ ახალი ქვის ხანა.** ნეოლითის უდიდესი მიღწევა, ანუ როგორც ხშირად უწოდებენ „ ნეოლითის რევოლუცია“ იყო მიწათმოქმედებისა და მეცხობელეობის გაჩენა.

მიწათმოქმედების ჩასახვის ადგილის შესახებაც ორი განსხვავებული ჰიპოტეზაა: მონოცენტრისტული და პოლიცენტრისტული. მონოცენტრისტული თვალსაზრისით მიწათმოქმედების პირველი კერაა წინა აზია, სადაც ძველი წელთაღრიცხვის VII ათასწლეულში უკვე წარმოიქმნა პრიმიტიული მიწათმოქმედება და აქედან გავრცელდა სხვა ქვეყნის ნაწილებში. პოლიცენტრისტული ჰიპოტეზით კი მიწათმოქმედება დედამიწის რამოდენიმე რეგიონში წარმოიქმნა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. კერძოდ გამოყოფენ ხუთ რაიონს: წინა აზია სადაც ძვ. წელთაღრიცხვის VII

ათასწლეულიდან მოჰავთ კერი და ხორბალი; ხუანხეს აუზი, სადაც ძვ. წელთაღრიცხვის IV ასწლეულიდან გავრცელებული კულტურაა ფეტვი; სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, რომელიც ითვლება ბრინჯის სამშობლოდ და ეს კულტურა უკვე V ათასწლეულებიდან არაა ცნობილი; ამერიკა სადაც არაუგვიანეს V-IV ათასწლეულებისა ცნობილია სიმინდისა და ლობიოს კულტურები და ბოლოს პერუ, სადაც ამავე პერიოდოდან მოჰყავთ გოგრც წიწაკა და კარტოფილი.

ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში - ადამიანმა ისწავლა ლითონის გამოყენაბა. ქვის ხანა შეიცვალა **ლითონის ხანით**, კერძოდ ჯერ **სპილენძის (ენეოლითი),** შემდეგ **ბრინჯაოს** და ბოლოს **რკინის ხანით.**

სპილენძის, ბრინჯაოს და ხანის ერთიანი ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა მთლიანად კაცობრიობისთვის შეუძლებელია, რადგან სხვადასხვა რეგიონებში ეს პერიოდები სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა. შედარებით ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების მქონე რეგიონებში ენეოლითი იკვე III ათასწლეულის დასაწყისში შეიცვალა ბრინჯაოს ხანით, ხოლო რკინის ხანა II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში დადგა. სხვაგან ეს ცვლილებები მთელი ათასწლეულებით გვიან მოხდა,

ხოლო განსაკუთრებით არახელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები ტომები (ავსტრალია, ამაზონიის ჯუნგლები, აფრიკისა და ოკეანეთის ცალკეული რაიონები) დღემდე ქვის ხანაში ცხოვრობდნენ. ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეულში, როცა ეგვიპტესა და შუამდინარეთში მონათმფლობელური სახელმწიფოების აყვავების პერიოდია, თითქმის მთელი დანარჩენი მსოფლიო ჯერ კიდევ პირველყოფილ თემური წყობილების ხანაშია. გვაროვნულ-თემური საზოგადოების დაშლა აქ შემდეგ ათასწლეულებში მოხდა და სახელმწიფოებიც გაცილებით გვიან წარმოიშვენ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პირველყოფილი საზოგადოების რღვევა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება ყველგან დაახლოებით ერთი სქემით მიმდინარეობდა. **მოხდა კაცობრიობის ისტორიაში პირველი შრომის დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. სოფლის მეურნეობის მწარმოებელ საერთო მასიდან ცალ-ცალკე ჩამოყალიბდნენ მიწათმოქმედი და მეცხოველე ტომები, რომელთა შორის მიმდინარეობდა ჭარბი პროდუქციის ინტენსიური გაცვლა.**

ბრინჯაოსა და რკინის გამოყენებამ მძლავრი ბიძგი მისცა ხელოსნობის განვითარებას. **ასე დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში შრომის მეორე დიდი საზოგადოებრივი დანაწილება- ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან.** შრომის დანაწილება კი ვაჭრობის განვითარების საფუძველი გახდა და პირველი

პროფესიონალური ვაჭრებიც გაჩნდნენ. არქეოლოგიური მონაცემებით დადასტურებულია სავაჭრო კავშირები ძვ. წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულებში შუამდინარეთსა და ეგვიპტის, ირანისა და კავკასიის, ინდოეთის და შუა აზიის, ჩინეთისა და ცენტრალური აზიის ტერიტორიებზე მცხოვრებ ტომებს შორის.

განსაკუთრებით დიდი ცვლილებები მოხდა საზოგადოების სოციალურ ცხოვერბაში. გვაროვნული თემი შეიცვალა ტერიტორიული თემით, რომელიც სისხლით ნათესაობაზე არ იყო დამოკიდებული. ასეთ თემში წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება იყო დამახასიათებელი, მხოლოდ მიწა რჩებოდა კიდევ დიდი ხნის მანძილზე კოლექტიურ (თემურ) საკუთრებათ. მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენით მთავრდება გვაროვნული და იწყება კლასობრივი საზოგადოების განვითარება.

ჭარბი პროდუქტის შექმნამ და შესაბამისად კერძო საკუთრების ჩამოყალიბებამ გამოიწვია საზოგადოების კლასებად დაყოფა. გაბატონებული კლასები საჭიროებდნენ ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ერთის მხვრივ დაიცავდა მათ ინტერესებს და პრივილიგიებს და მეორეს მხრივ უზრუნველყოგდა მთელი ტომის დაცვას გარეშე ძალისაგან. ასეთი ორგანიზაცია ოყო სახელმწიფო, რომლის წარმოშობაც არის პირველყოფილი საზოგადოების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების

ჩამოყალიბების დასკვნითი აქტი. სწორედ მსოფლიოს უძველესი სახელმწიფოების ჩამოყალიბება ეგვიპტესა და შუამდინარეთში ძვ. წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულების მიჯნაზე უნდა ჩაითვალოს ზღვრად, როცა მთავრდება კაცობრიობის ისტორიის უძველესი პერიოდი და იწყება მეორე პერიოდი, რომელსაც ძველ, ანუ მონათმფლობელურ ეპოქას უწოდებენ და რომელიც ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე გაგრძელდა.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ეთნიკური და ენობრივი პროცესების განვითარების თვალსაზრისით. სისხლით ნათესაობით ერთობაზე დაფუძნებული თემები და ტომები შეიცვალნენ ახალი ეთნიკური წარმონაქმნით-თანატომობრიობებით (ამის მაგალითია აქეველები და დორიელები საბერძნეთში, ძველი სლავები და ა.შ.), რომლებიც კლასობრივ ეპოქაში ჯერ ხალხებად, შემდეგ კი ერებად იქცენ. III ათასწლეულის დასაწყისისათვის უკვე ჩამოყალიბებულია დღეს არსებული ენობრივი ოჯახების უმრავლესობა (სემიტურ – ქამიტური, ინდოევროპული, კავკასიური, დრავიდელი, ჩინეთ–ტიბეტურ, ავსტრონეზული, ალტაური, ურალური და ა.შ.), თუმცა მათ საბოლოო ფორმირებას კიდევ დიდი დრო დასჭირდა.

ძველი პერიოდი

კაცობრიობის ისტორიის ძველ პერიოდად მიჩნეულია ეპოქა, რომელიც პირველი სახელმწიფოების წარმოქმნის ხანიდან (დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულების მიჯნა) ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე, კერძოდ რომის იმპერიის დაცემამდე გრძელდებოდა. ამ ეპოქის საწყისად კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას, ხოლო დასასრულად ფეოდალიზმის გამარჯვებულად თვლიან და თვით პერიოდიც უფრო ხშირად მონათმფლობელური წყობილების სახელითაა ცნობილი. უკანსაკნელ წლებში სულ უფრო და უფრო მეტი მკვლევარი გამოდის ასეთი სახელწოდების წინააღმდეგ. ჯერ ერთი ძველი ქვეყნების უმრავლესობაში მონათმფლობელობა სრულიადაც არ ყოფილა წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი ფორმა და ძირითად როლს აქ თავისუფალი მეთემეები თამაშობდნენ. მეორეც, მონათმფლობელობის სხვადასხვა ფორმები აზიისა და აფრიკის ბევრ ქვეყანაში გაცილებით გვიან, თვით XX საუკუნემდე შეინიშნებოდა. კლასიკური მონათმფლობელობა მხოლოდ ძველ საბერძნეთში და ძველ რომში (შესაძლებელია აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაშიც) იყო გავრცელებული და ამ ქვეყნების მაგალითის გავრცელება მთელს მაშინდელ მსოფლიოზე გამართლებულად ვერ ჩაითვლება. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება უბრალოდ ძველ პერიოდად მოვიხსენიოთ ის ეპოქა,

რომელიც დაახლოებით 35 საუკუნეს ითვლის ეგვიპტესა და შუამდინარეთში პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბებიდან, ვიდრე დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამდე და ევროპაში ფეოდალიზმის დამყარებამდე.

ეს ხანგრძლივი პერიოდი თავის მხრივ ხუთ ქვეპერიოდად შეიძლება დავყოთ წმინდა ქრონოლოგიურ საფუძველზე: 1. ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეული; 2. ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეული; 3. ძვ. წელთაღრიცხვის X-VI საუკუნეები; 4. ძვ. წელთაღრიცხვის V-I საუკუნეები; 5. ახ. წელთაღრიცხვის I-V საუკუნეები.

ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეული - ამ ხანაში III ათასწლეულში მთელი მსოფლიო ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოების დონეზე იყო. გამონაკლისს ორად-ორი რეგიონი წარმოადგენდა – ნილოსის ქვემო წელი და მესოპოტამიის დაბლობი. აქ III ათასწლეულის დასაწყისისათვის უკვე შეიქმნა პირველი მონათმფლობელური სახელმწიფოები და შეიძლება ითქვას კაცობრიობის ცივილიზაციასაც ჩაეყარა საფუძველი.

როგორც ვარაუდობენ ძველი ეგვიპტის სახელწიფო ძვ. წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის ბოლოდან არსებობს. ძველი ეგვიპტელები თავიანთ ქვეყანას შავი მიწის ქვეყანას უწოდებდნენ და ამით ხაზგასმული იყო ნილოსის ხეობის ნაყოფიერი მიწების განსხვავება გარემომცველი ტერიტორიების (ლიბიისა და არაბეთის

უდაბნოები) უნაყოფო წითელი მიწებისაგან. გეოგრაფიულად ძველი ეგვიპტე ორ ნაწილად იყოფოდა. ნილოსის დელტა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან ჩ.გ. 30^0 –მდე ცნობილი იყო ქვემო ეგვიპტის სახელწოდებით, ხოლო ნილოსის ვიწრო და გრძელი ხეობა ჩ.გ. 30^0 –დან 24^0 –მდე შეადგენდა ზემო ეგვიპტეს.

ძველი ეგვიპტის მოსახლეობა სამხრეთული ევროპოიდები იყვნენ შედარებით მუქი კანის ფერით და შავი სწორი თმებით. მათი ენა სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახის ცალკე ჯგუფს შეადგენდა და შუალედური მდგომარეობა ეკავა სემიტურსა და ბერბერულ-კუშიტურ ენებს შორის. ეგვიპტის მეზობელი ხალხები – კუშიტურ ენებზე მოლაპარაკე ნუბიელები ანუ ნილოსის ეთიოპელები ერთის მხრივ და ლიბიურ-ბერბერული ტომები მეორეს მხრივ განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურხე იდგნენ. იგივე უნდა ითქვას ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლელ მეზობელ სემიტებზე, რომლებმაც მოგვიანებით დიდი როლი შეასრულეს მსოფლიო ისტორიასა და კულტურაში.

ძველი ეგვიპტის ეკონომიკის ძირითად დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. ბუნებრივი პირობების გამო განსხვავდებოდა ზემო და ქვემო ეგვიპტის მეურნეობა. ზემო ეგვიპტეში ნილოსის ადიდებისას მთელი ხეობა წყლით იფარებოდა და ნაყოფიერ შლამს ტოვებდა. ამიტომ მთელი ეს ზოლი სახნავ მიწებს ეჭირა

და მოსახლეობაც საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული. ქვემო ეგვიპტეში არ იყო ისეთი ხელსაყრელი პირობები მიწათმოქმედების განვითარებისათვის, რადგან მთელი დელტის დაფარვისთვის ნილოსის წყალი საკმარისი არ იყო, სამაგიეროდ აქ უკეთესი პირობები იყო მეცხოველეობისათვის. საერთოდ ძნელია მოიძებნოს სხვა მაგალითი, სადაც ბუნებას ასეთი დიდი როლი ეთამაშოს ქვეყნის განვითარებაში. ჰეროდოტეს სიტყვები "ეგვიპტე ნილოსის საჩუქარია" სავსებით შეესაბამება სინამდვილეს.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ეგვიპტეში იყო ხორბალი და ქერი. გავრცელებული იყო სელის, ზეთისხილის და ფინიკის წარმოება, მისდევდნენ მევენახეობასაც. ხელოვნების დარგებიდან განსაკუთრებით დაწინაურდა სპილენძის მეტალურგია, მეთუნეობა, ტყავისა და სელის დამუშავება.

დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის 3200 წელს მოხდა ზემო და ქვემო ეგვიპტის გაერთიანება. აქედან იღებს სათავეს ეგვიპტის სახელმწიფოს ისტორია და ფარაონთა I დინასტიაც. IV-III ათასწლეულის მანძილზე ეგვიპტეში შეიცვალა რვა დინასტია, რაც მოიცავს ეგვიპტის ადრეულ სამეფოს (3200-2900 წლები, - I-II დინასტიები), ძველ სამეფოს (2900-2300 წლები III-IV დინასტიები) და ე.წ. პირველ გარდამავალ პერიოდს (2300-2100 წლები, VII-VIII დინასტიები). განსაკუთრებით აღსანიშნავია III-IV დინასტიების მმართველობა, რაც აღინიშნა მსოფლიო

კულტურის გრანდიოზული ძეგლების – პირამიდების მშენებლობით.

ეგვიპტის ძველი სამეფო თავისი ძლიერების ხანაში აწარმოებდა დაპყრობით ომებს მეზობელი ტომების წინააღმდეგ. კერძოდ III-IV დინასტიების მმართველობისას (ძვ. წ. 2900-2600 წლები) ეგვიპტემ შემოიერთა სინას ნახევარკუნძული, დაიმორჩილა ლიბიელები და ნუბიელები. ხანგრძლივ ომებს ჰქონდა ადგილი ეგვიპტესა და სირია-პალესტინის ტომებს შორის ლიბანის მთების დაუფლების მიზნით, სადაც კედარის ხშირი ტყეები იყო და ეს კი გემთმშენებლობისთვის აუცილებელ მასალას წარმოადგენდა. რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო სამხრეთ სუდანში და პუნტის ქვეყანაში[1]. VI დინასტიის უკანასკნელი ფარაონების დროს (2400-2300წლები) შიდა ადმინისტრაციული ერთეულების – ნომების გაძლიერებამ ცენტრალური ხელისუფლება ძალზე დაასუსტა და ქვეყანა ფაქტიურად დაიშალა. მართალია საერთო ხელისუფლება ფარაონთა VII და VIII დინასტიების სახით კვლავ არსებობდა, მაგრამ მათი ძალაუფლება ნომინალური იყო და ფარაონებიც ნომების მმართველებისგან ბევრი არაფრით არ განსხვავდებოდნენ.

მეორე რეგიონი სადაც ეგვიპტის პარალელურად ჩამოყალიბდა სახელმწიფო და მთელი III ათასწლეულის მანძილზე განვითარებული ცივილიზაცია არსებობდა, იყო

---

[1] დღევანდელი სომალი და ეთიოპია

შუამდინარეთი ანუ მესოპოტამიის დაბლობი, რომელიც მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ხეობების ქვემო წელს მოიცავდა და დღევანდელი ერაყის ტერიტორიის დიდ ნაწილს შეადგენს.

მესოპოტამიის ალუვიური ნიადაგების დამუშავება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა სპილენძის იარაღებითაც კი. სწორედ ნიადაგები და მდინარეები ევფრატი და ტიგროსი შეადგენდნენ შუამდინარეთის ძირითად სიმდიდრეს და მოსახლეობაც თითქმის მთლიანად მდინარეების ნაპირებზე იყო თავმოყრილი.

ქვეყნის უძველეს მოსახლეობას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარეს შუამდინარეთის ცივილიზაციას შეადგენდნენ შუმერები, რომლებიც აქ უკვე ძვ. წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის შუახანებიდან ჩანან. მათი წარმომავლობა და ეთნიკური ვინაობა დღემდე სადაოა, რადგან შუმერული ენა დღეს არსებულ არც ერთ ენასთან ნათესაობას არ ამჟღავნებს. შუმერების დამსახურებაა კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა – დამწერლობის შექმნა. შუმერულმა მარცვლოვან-ლურსმნულმა დამწერლობამ საფუძველი დაუდო სხვა მრავალი ანბანის შექმნას და ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ.

შუმერების განსახლების არეალი შუამდინარეთის უკიდურესი სამხრეთი, სპარსეთის უბის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიით განისაზღვრებოდა. აქ

წარმოიშვა შუმერთა პირველი პოლიტიკური ერთეულები – ქალაქლი - სახელმწიფოები, რომლებიც მუდმივ ურთიერთბრძოლებში იყვნენ თავიანთი სამფლობელოების გაფართოების მიზნით.

ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ქალაქი-სახელმწიფო, სადაც პირველად გაჩნდა სამეფო ხელისუფლება იყო ერიდუ, მაგრამ III ათასწლეულის დასაწყისისთვის იგი უკვე აღარ ასრულებდა მნიშვნელოვან როლს შუმერების ცხოვრებაში. ამ პერიოდში წინა პლანზე გამოდიან ქალაქები ური, ურუქი, ქიში, ლარსა, უმმა, ადაბი და სხვა. XXV–XXIV საუკუნეებში პოლიტიკურად ძალიან გაძლიერდა ქალაქი ლაგაში, რომელმაც მნიშვნელოვნად გაიფართოვა საზღვრები და როგორც ჩანს დაამყარა კავშირები ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, მცირე აზიის მთიანეთის და ირანის მთიანეთის ტომებთან, აგრეთვე ინდოეთის უძველეს, ჰარაპას ცივილიზაციის შემქმნელ ხალხებთან. შემდგომ პერიოდში ქალაქ უმის მეფემ ლუგალზაგესმა ფაქტიურად გააერთიანა შუმერული ქალაქ–სახელმწიფოები, მაგრამ სასტიკად დამარცხდა შუმერთა ჩრდილოეთით უკვე დამკვიდრებულ დასავლეთიდან შემოჭრილ სემტიებთან. პირველი სემიტური ქალაქის აქადის პირველმა მეფემ სარგონმა შეიერთა მთელი სამხრეთი შუამდინარეთი. ამ პერიოდიდან (ძვ.წ. XXIV საუკუნის ბოლო) შუმერები

შევიდნენ, აქადის ძლიერი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რასაც შემდგომში მათი სრული ასიმილაცია მოჰყვა.

სარგონმა დაიმორჩილა არა მარტო მთელი შუამდინარეთი, არამედ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, მცირე აზიის სამხრეთში მოსახლე ტომები, ილაშქრა კუნძულ კვიპროსზე და ირანის მთიანეთში არსებულ სამხედრო–პოლიტიკურ გაერთიანებების წინააღმდეგ. აქადის ძლიერება შენარჩუნებულ იქნა სარგონის მემკვიდრეების პერიოდშიც, მაგრამ ძვ.წ.არ–ის XXIII საუკუნის ბოლოს აქადის სახელმწიფოში აღმოსავლეთიდან იწყეს შემოჭრა ზაგროსის მთიანეთში მცხოვრებმა მომთაბარე ტომებმა გუთიებმა, რასაც მალე შუამდინარეთში მათი გაბატონება მოჰყვა. გუთიების ასწლოვანმა ბატონობამ დიდად დააზარალა ქვეყანა, განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი რაიონები – სამხრეთი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო. სწორედ აქედან დაიწყო შუმერისა და აქადის ხელახლა გაერთიანება ჯერ ლაგაშის, ხოლო შემდეგ ურის ჰეგემონობით. ეს ხელახალი აღორძინება დაახლოებით ერთ საუკუნეს გარგძელდა, რასაც ბოლო შუამდინარეთის აღმოსავლეთით ჩამოყალიბებულმა ელამის ძლიერმა სახელმწიფომ მოუღო. დაიშალა ერთიანი შუმერულ–აქადური სახელმწიფო, რომლის ნანგრევებზეც

მოგვიანებით რამოდენიმე პატარა სახელმწიფო აღმოცენდა.

ვარაუდობენ, რომ ძვ.წ.აღ–ის III ათასწლეულში ეგვიპტისა და შუამდინარეთის გარდა სახელმწიფოები უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ ელამში და დღევანდელი სირია–ლიბანის ტერიტორიაზე – სახელმწიფო ებლა. მთელი დანარჩენი მსოფლიო ჯერ ისევ თემურ–გვაროვნულ ეტაპზე იყო. თუმცა ცალკეულ რაიონებში უკვე ჩანდა სახელმწიფოებრიობის ჩანასახები ტომთა სამხედრო–პოლიტიკური გაერთიანების სახით, განსაკუთრებით დაწინაურდნენ ინდის აუზში მცხოვრები ტომები და ხუანხეს შუა წელში მცხოვრები ძველი ჩინური მოსახლეობა. ირანის, კავკასიის, შუა აზიის, დასავლეთ და სამხრეთ ევროპის მოსახლეობა ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული მიწათმოქმედები და მეცხოველეები იყვნენ. ციმბირის, შორეულ აღმოსავლის, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის ტომების ძირითად საქმიანობას კი ნადირობა და თევზჭერა შეადგენდა.

ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეული – ეს პერიოდი ხასათდება როგორც ახალი, არსებითი ცვლილებების ეპოქა წარმოების განვითარების თვალსაზრისით და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებით. ეს პერიოდი ბრინჯაოს ხანას ემთხვევა და ბრინჯაოს იარაღები ფართოდ გავრცელდა ევრაზიის და აფრიკის სხვადასხვა რაიონებში. ბრინჯაოს იარაღების გამოყენებამ

უზრუნველყო ჭარბი პროდუქციის შექმნა და აქედან გამომდინარე კლასობრივი საზოგადოებების წარმოშობა სულ უფროდაუფრო მეტ ტომებში. ასე თანდათანობით ჩამოყალიბდა სახელმწიფოები ნილოსისა და შუამდინარეთის აუზების გარეთ – მცირე აზიაში, ხმეთაშუაზღვისპირეთში, ირანში, ინდოეთსა და აზიაში.

ძვ.წ.აღ–ის დაახლოებით 2100 წელს ფაქტიურად დაშლილი ეგვიპტე კვლავ გაერთიანდა. 400 წლის განმავლობაში (2100–1700 წწ.) ეგვიპტე ერთიანი სახელმწიფოა და მისი ისტორიის ეს პერიოდი ცნობილია შუა სამეფოს ხანად. ამ ხნის მანძილზე ეგვიპტის სამეფო ტახტზე შეიცვალა ცხრა დინასტია (IX–XVIII). ამ დინასიტების დროს გაფართოვდა სპილენძის მადნების მოპოვება, გაჩნდა ხელოსნობის ახალი დარგი – მინის დამზადება, გაყვანილი იქნა ახალი არხები. XII დინასტიის ფარაონების ლაშქრობების შედეგად შემოერთებული იქნა ჩრდილოეთ ნუბია და იგი კოლონიზებულ იქნა ეგვიპტელების მიერ ძვ.წ.აღ–ის XIX საუკუნიდან გაძლიერდა და დაპირისპირება ნომარქებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, რამაც ქვეყნის დასუსტება გამოიწვია. ამით ისარგებლეს აზიიდან მოსულმა მომთაბარე ხალხებმა – ჰიქსოსებმა, რომლებმაც დაიპყრეს ნილოსის დელტა. ზემო ეგვიპტეში შენარჩუნებულ იქნა ფარაონების ხელისუფლება, მაგრამ მათი მმართველობა ნომინალური იყო და სერიოზული

წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მომხვდურებს. ამ მიზეზების შედეგად ქვემო ეგვიპტეში დაახლოებით 120 წელს – 1700 1580 წწ. ჰიქსოსებმა იბატონეს.

ფარაონთა XVII დინასტიიდან იწყება ბრძოლა უცხო დამპყრობების განდევნისათვის ეგვიპტიდან. ამ ბრძოლამ სათავე დაუდო ეგვიპტის ისტორიის ახალ პერიოდს – ახალი სამეფოს ხანას, რომელიც ძვ.წ.აღ–ის XVI–XII საუკუნეებს მოიცავდა და რომლის განმავლობაშიც ქვეყანაში სამი დინასტია (XVII–XX) შეიცვალ. ეს პერიოდი ძველი ეგვიპტის აყვავების და ძლიერების ეპოქაა. ამ დროს ჩნდება პირველი რკინის იარაღები. საგრძნობლად გაუმჯობესდა სასოფლო–სამეურნეო და სახელონსო ხელსაწყოებ. ძალზე განვითარდა ვაჭრობა, ხოლო ეგვიპტურმა ხელოვნებამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია.

ჰიქსოსების განდევნის შედეგად XVIII დინასტიის პირველ ფარაონების პერიოდში ეგვიპტე დაახლოებით შუა სამეფოს ეგვიპტის საზღვრებში იქნა აღდგენილი. მაგრამ სულ მალე წარმატებული დაპყრობითი ომების შემდეგ ქვეყნის შემადგენლობაში ახალი, დიდი ტერიტორიები შევიდა. ფარაონ თუმტოს III–ის დროს (1525–1473წწ.) ეგვიპტის შემადგენლობაშია სირია და პალესტინა და მისი ჩრდილო–აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ევფრატს აღწევს, ხოლო სამხრეთით ნილოსის მეხუთე ჭორომამდე ვრცელდება. ამ ტერიტორეიბის

შენარჩუნება და მცირე აზიაში ჩამოყალიბებული ხეთების ძლიერ სახელმწიფოსთან ბრძოლაში წარმატებებს მიაღწია ფარაონამ რამეს II (1317–1251წწ.). მაგრამ XX დინასტიის დროს ეგვიპტეს თვითონ გამოუჩნდა საშიში მტერი მისგან დასავლეთით მცხოვრები ლიბიელი ტომების სახით. გარდა ამისა, ეგვიპტეზე ილაშქრეს ჩრდილოეთიდან მოსულმა, ე.წ. „ზღვის ხალხებმა“. მართალია ეგვიპტემ შეძლო ამ თავდამსხმელების დამარცხება, მაგრამ გარეშე მტერთა თავდასხმებმა და შიდა მმართველების გაძლიერებამ ქვეყანა საგრძნობლად დაასუსტა. ეგვიპტემ დაკარგა საზღვარგარეთული სამფლობელოები (ნუბიის გარდა), ხოლო შიდა არეულობამ გამოიწვია ქვეყნის ორ ნაწილად გახლეჩა. ძვ. წ. XI საუკინისათვის ქვემო ეგვიპტე (ცენტი თებე) ფაქტიურად ორი სხვადასხვა ქვეყანა იყო.

ცივილიზაციის მეორე აკვანი – შუამდინარეთი ძვ.წ.აღ–ის II ათასწლეულის დასაწყისში პატარ–პატარა სახელმწიფოებით იყო წარმოდგენილი, რომელიც ელამის მიერ დამარცხებულ შუმერ–აქადური სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენდნენ. XX–XVIII საუკუნეების მანძილზე ეს სახელმწიფო–ქალაქები – ისინი, ლარსა, უშნუნა, მარი სუსტ ქვეყნებს წარმოადგენდნენ, თუმცა კულტურის განვითარების მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. ეთნიკურად მათი მოსახლეობა სემიტური–ამორეველი ტომების წარმომადგენლები

იყვნენ, რომლბიც III–II ათასწლეულების მიჯნაზე დამკვიდრდნენ სამხრეთ შუამდინარეთში. „ამარ“ – შუმერულად დასავლეთს ნიშნავს. ძვ.წ. XVIII საუკუნიდან ამ სახელმწიფოებს შორის დაწინაურდა შუა ევფრატზე მდებარე ქალაქი ბაბილონი, რომელმაც თავის მწვერვალს ხამურაბის მეფობის დროს (1792–1750) მიაღწია. ხამურაბმა გააერთიანა შუამდინარეთის დიდი ნაწილი და შექმნა უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც ისტორიაში ბაბილონის ძველი სახელმწიფოს სახელით არის ცნობილი[2]. ძველმა ბაბილონმა დაიმორჩილა მისგან აღმოსავლეთით მდებარე ელამის სახელმწიფოს მთელი რიგი ტერიტორიები და თავისი ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოიქცია მცირე აზიის დასავლეთი ოლქები და სირია ხმელთაშუაზღვის სანაპირომდე. ხამურაბის შემდგომ ხამურაბის ძველი სამეფოს ბრძოლა უხდებოდა თავის მიერ დაპყრობილ ხალხებთან – ე.წ. „ზღვის ქვეყნების“ მმართველებთან, ელამელებთან და ირანის მთიანეთში მცხოვრებ კასიტებთან. ამ ბრძოლაში დასუსტებული ბაბილონი ძვ.წ. XVI საუკუნის დასაწყისში სასტიკად დამარცხდა ხეთების სახელმწიფოსაგან, შემდეგ მას „ზღვის ქვეყნების“ მმართველები დაეპატრონნენ, ბოლოს კი კისიტებმა დაამყარეს თავისი ბატონობა, რომელიც თითქმის ხუთ საუკუნეს გაგრძელდა.

---

[2] (განსხვავებით ბაბილონის ახალი სამეფოსი, რომელიც ათასი წლის შემდეგ წარმოიქმნა)

ბაბილონზე კასიტების ბატონობს პერიოდში ეკონომიკური და პოლიტიკური დაწინაურება შუამდინარეთის ჩრდილოეთმა რაიონებმა განიცადეს. ეს ტერიტორია ძვ.წ–ის III–II ათასწლეულში ხურიტული ტომებით იყო დასახლებული. შუმერები და აქადელები მათ სუბარებს (სუბართუ) უწოდებდნენ. ხურიტების ენა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს კავკასიურ ენებთან. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ხურიტებმა შექმნეს ძლიერი სახელმწიფო მითანი. რომელმაც საგრძნობლად გაიფართოვა საზღვრები სირიისა და მცირე აზიის სამხრეთ–აღმოსავლეთ რაიონების ხარჯზე, მაგრამ მოგვიანებით ძვ.წ. XIII საუკუნის დასაწყისში თვითონ აღმოჩნდა დაპყრობილი ასურეთის უძლიერესი სახელმწიფოს მიერ.

ასურეთის ისტორია ქ. ასურთა (აშური) არის დაკავშირებული. ეს ქალაქი აქადის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ელამის მიერ შუმერისა და აქადის დაპყრობის შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვება. ძვ.წ. XX–XIX სს–ებში ასური სავაჭრო კოლონიებს ქმნის მცირე აზიაში – კაბადოიკიაში. ძვ.წ. XIX ს–ის ბოლოში ასურს სემიტი – ამორეველები ეპატრონებიან და აქ ახალ სამეფო დინასტიას ქმნიან. შემდეგ საუკუნეებში ასური ჯერ ბებილონის ძველი სამეფოს ვასალია, ხოლო ძვ.წ. XVI ს–დან მითანის სახელმწიფოს შემადგენლობაში ექცევა.

ხეთებთან მითანის დამარცხებით და ამ უკანასკნელის დასუსტებით (ძვ.წ. XVI ს.) ისარგებლა ასურის მმართველმა ასურუბალიტმა, თავი დამოუკიდებლად გამოაცხადებინა და თვით გადავიდა შეტევაზე ყოფილი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ პერიოდიდან იწყება ასურეთიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა და მისი აღმავლობა. ამ ეპოქაში ასურეთის სახელმწიფომ უაღრესად აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს, იგი იპყრობს მითანს, ლაშქორბს ბაბილონში და მცირე აზიაში, მაგრამ როგორც წესი დალაშქრული ქვეყნები ასურეთს არ ემორჩილებოდნენ და ხელახალი ლაშქრობები ხდებოდა საჭირო, ამას თან დაერთო კასიტების ბატონობის დამხობა ბაბილონში და ამ ქვეყნის ენერგიული მეფის ნაბუქოდონოსორ I–ის შემოტევა ასურეთზე. ყოველივე ამან საგრძნობლად დაასუსტა ასურეთის სახელმწიფო. მართალია, ძვ.წ. XII–XI სს–ების მიჯნაზე ასურეთის დროებითი აღზევება მოხდა მეფე ტიგლათფილესელვ I–ის მცირე აზიაში და ნაირის ქვეყნებში ძლევამოსილი ლაშქრობების შედეგად. მანვე აიღო და გაანადგურა ბაბილონიც, მაგრამ ეს ძლიერება არამყარი აღმოჩნდა. ტიგლათფილესერ I–ის შემდეგ იწყება ასურეთის დაცემა, რაც არამეული ტომების შემოსევებით იყო გამოწვეული, ქვეყანამ დაკარგა ყველა დაპყრობილი ოლქი და ეკონომიკურადაც დაქვეითდა.

ძვ.წ. II ათასწლეულში ყალიბდება პირველი სახელმწიფო მცირე აზიაში. ეს იყო ხეთების ძლიერი სამეფო. იგი მდებარეობდა მდ. ჰალისის შუა წელში. ცენტრალურ ანატოლიაში; მოგვიანებით ამ ქვეყანას კაბადოკია უწოდეს. ამ ტერიტორიის უძველესი მოსახლეობა იყვნენ ხათები, როგორც ვარაუდობენ კავკასიური წარმოშობის ხალხი. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში აქ გამოჩნდნენ ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ნესიტები, რომლებიც შეერივნენ ხათებს. ასე წარმოიშვნა ხეთური ეთნოსი – პირველი ინდოევროპული ხალხი, რომლებმაც თავინთი სახელმწიფო შექმნეს (ძვ.წ. XVII ს–ის დასაწყისი). ხეთებმა მნიშვნელოვნად გაიფართოვეს ტერიტორია, ჯერ კიდევ ხეთების ძველი სამეფოს პერიოდში (1690–1500), კერძოდ, მათ დაიპყრეს მცირე აზიისა და სირიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ხოლო 1595 წელს ხეთების მეფე მურსილი I–მა აიღო ბაბილონი. მანვე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მითანის წინააღმდეგ ბრძოლებში. კიდე უფრო გაფართოვდა ხეთების სახელმწიფო ახალი სამეფოს პერიოდში (ძვ.წ. 1450–1200 წწ). ამ დროს სირიისა და პალესტინისათვის ბრძოლაში ხეთების ინტერესები ეჯახება ეგვიპტის ინტერესებს. ძვ.წ. 1312 წელს ქადეშის ბრძოლამ ეგვიპტესა და ხეთებს შორის გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ხანგრძლივი შეტაკების შემდეგ ძვ.წ. 1296 წელს დაიდო ხელშეკრულება ხეთების მეფე ხათუსილ III–სა და

ეგვიპტის ფარაონ რამსეს II–ს შორის, რომელიც ითვალისწინებდა მხარეთა შორის ურთიერთშეუვალობის უზრუნველყოფას. ეს კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ერთ–ერთი პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა. სხვა უძველესი ქვეყნების მსგავსად არც ხეთების ძლიერება გაგრძელებულა დიდხანს. ძვ.წ. XIII ს–ის მეორე ნახევარში მათ არ მოუპოვებიათ არც ერთი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური წარმატება. ხოლო დაახლოებით 1200 წელს ოდესაც მრისხანე ხეთების სამეფო ვერ გაუმკლავდა ეგრისის სამყაროს ხალხთა შემოჭრილ ბრობს[3] დასამუდამოდ შეწყვიტა არსებობა.

ძვ.წ. II ათასწლეულში ჩამოყალიბდა სახელმწიფოები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეც. ესენი იყვნენ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშიერბული ფინიკია, პალესტინა და სირია. ამ ქვეყნების მოსახლეობას სემიტური ტომები შეადგენდნენ. ფინიკიის და პალესტინის უძველეს მოსახლეობას ქანაანელებს უწოდებნენ, ხოლო ამ ორივე ქვეყანას ქანაანს. სახელწოდება ფინიკიელები უფრო გვიანდელია და იგი ბერძნებმა შეარქვეს, რაც ყავისფერს, მუქს ნიშნავდა. ფინიკია ერთიანი სახელმწიფო ფაქტიურად არასოდეს ყოფილა. იგი ქალაქ–სახელწმიფოების ერთობლიობას შეადგენდა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ტვიროსი, ბიბლოსი, უგარიტი და

---

[3] ეს იგივე „ზღვის ხალხები“, რომლებმაც ეგვიპტეშიც ილაშქრეს

სიდონი. ეს ზღვისპირა ქალაქები თავიანთი სავაჭრო–ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობით გამოირჩეოდნენ და დიდ პილიტიკური წარმატებისათვის არასოდეს მიუღწევიათ. საერთოდ ფინიკიის ისტორია სხვადასხვა ძლიერ სახელწმიფოებს შორის ამ ტერიტორიის ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლის ისტორიაა. ამავე დროს თვითონ ფინიკიელებმა როგროც საუკეთესო მეზღვაურებმა და გაწაფულმა ვაჭრებმა თანდათანობით მოახდინეს ხმელთაშუაზღვისპირეთის ფართო კოლონიზაცია. მათ ფეხი მოიკიდეს და შექმნეს თავიანთი სავაჭრო კოლონიები. ურთიერთობა დაამყარეს პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერებთან. ასე შეიქმნა ფინიკიური კოლონიები დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, დღევანდელი ესპანეთის, მაროკოს, ალჟირის, იტალიის, საფრანგეთის სანაპიროებზე. ფინიკიელები გავიდნენ ატლანტიის ოკეანეში, სარანგეთის სანაპიროებზე. ფინიკიელები გავიდნენ ატლანტიის ოკეანეში და შექმნეს დასახლებები აფრიკის ჩრდილო–დასავლეთ და პირინეის დასავლეთ სანაპიროებზე. ძვ. წ. IX საუკუნეში დაარსდა ტვიროსელების კოლონია კართაგენი (ტუნისის სანაპიროზე), რომელიც შემდგომში უძლიერეს სანაპიროდ იქცა. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ფინიკიურმა კულტურამ. ფინიკიელების დამსახუებაა ანბანური დამწერლობის შექმნა, რომელმაც შეცვალა მანამდე

არსებული იეროგლიფური, ლურსმნული და მარცვლოვანი დამწერლობა. სწორედ ფინიკიელებიდან გადაიღეს შემდგომში ანბანური დამწერლობა ბერძნებმა და არამეელბმა. ხოლო ბერძნული და არამეული დამწერლობა დღეს არსებული დამწერლობების უმრავლესობების საფუძველია, აშკარა ხდება ფინიკიური ანბანური დამწერლობის მნიშვნელობა კაცობრიობისათვის.

ფინიკიის სამხრეთით მდებარე პალესტინა ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ქანაანელი ტომებით იყო დასახლებული. მათ ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება შეადგენდა. საკმაოდ იყო განვითარებული ხელოსნობაც. II ათასწლეულის I ნახევარში პალესტინა პრეტენზიას ეგვიპტეზე აცხადებდა. პალესტინას ინტერესი ჰქონდა მითანსა და ხეთების სამეფოზეც. ეს წინააღმდეგობა ხშირად ხანგრძლივ ომებშიც გადაიზრდებოდა ხოლმე. იმავე ათასწლეულის II ნახევარში პალესტინაში ახალი ტომები იჭრებიან. ესენი იყვნენ ფილისტიმელები (აქედანაა სახელწოდება პალესტინა), რომლებიც ქვეყნის სამხრეთით დამკვიდრდნენ და როგროც ვარაუდობენ „ზღვის ხალხების“ კოალიციაში შევიდნენ. უფრო მნიშვნელოვანი იყო დასავლეთ სემიტური მოდგმის ტომის ებრაელების გამოჩენა. ბიბლიური გადმოცემით პალესტინაში მოსვლამდე ისინი „ეგვიპტის ტყვეობაში“ იმყოფებოდნენ.

მკვლევართა ნაწილი კი თვლის, რომ ისინი მომთაბარე ხაბირუს ტომის ნაწილს შეადგენდნენ. ებრაელთა ძირითად სოციალურ უჯრედს გვარი შეადგენდა. გვარები ტომებში ერთიანდებოდნენ რომელთა რიცხვი 12–ს უდრიდა. ქანაანის დაპყრობას ებრაელები ძვ.წ. XIII საუკუნეში შეუდგნენ. ამავე დროს ისინი მძიმე ომს აწარმოებდნენ გარეშე მტრებთან – ფილისტიმელებთან და მოაბიტელებთან. ეს ომები მოითხოვდა ტომთა მტკიცე გაერთიანებას, რაც მხოლოდ სახელმწიფოს პირობებში შეიძლება მომხდარიყო. ძვ.წ. XI საუკუნის ბოლოს ებრაელი ტომების გაერთიანების შედეგად შეიქმნა სახელმწიფო ისრაელი, რომლის პირველი მეფე გახდა საული (1050–1030).

რაც შეეხება სირიას, იგი მთელი II ათასწლეულის მანძილზე ბრძოლის ველს წარმოადგენდა მეზობელ სახელმწიფოებს შორის. აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა ეგვიპტის, ბაბილონის, მითანის, ხეთების მბრძანებლობა. სირიის ქალაქ–სახელმწიფოები პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენდნენ. ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ისინი ფორმალურად დამოუკიდებელ ერთეულებად იქცნენ, სადაც ხეთური პოლიტიკის გავლენა ძლიერი იყო და ერთ–ერთ მათგანს ხეთის ქვეყნის სახელიც კი დარჩა (ბიბლიური ქეტელნი).

ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარში ინდის აუზში არსებული ჰარაპასა და მოხენჯო დაროს

ცივილიზაციების აყვავების პერიოდია. როგორც ვარაუდობენ ამ ცივილიზაციებს შემქმნელი ხალხები დრავიდები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებისთვისაც უკვე დამახასიათებელი იყო კლასობრივი საზოგადოების არსებობა და სახელმწიფო ხელისუფლება. ეს იყო მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების (მოჰყავდათ ხორბალი, ქერი და შესაძლოა ბრინჯი, აგრეთვე ბაბმა და ქუნჯუთი) და მეცხოველეობის რეგიონი. საქალაქო ცენტრებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხელოსნობას. ვარაუდობენ რომ ინდის ხეობის მოსახლეობამ პირველებმა აითვისეს ბამბის რთვა და ქსოვა. მაღალ დონეზე იყო სამშენებლო ტექნიკა და საქალაქო მეურნეობა. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ინდის ხელობის კულტურა დაემხო ინდოევროპელოების (არიელების) შემოსევის შედეგად. ამის შემდეგ ინდოსტანის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი და ცენტრალური რაიონები დასახლებული იქნა ინდოევროპელი არიელების მიერ, რომლებმაც მოახდინეს მკვიდრი მოსახლეობის ასიმილაცია და შემდგომ ათასწლეულში უაღრესად მაღალი ცივილიზაციისა და კულტურის შემქმნელად მოგვევლინენ.

II ათასწლეულის შუა ხანებში შეიქმნა პირველი სახელმწიფო ჩინეთშიც. უკვე III ათასწლეულის ბოლოს ხუანხეს აუზში ჩამოყალიბდა ტომთა რამდენიმე ძლიერი გაერთიანება. მათ შორის განსაკუთრებით დაწინაურდა

სიას–ს ტომი. მკვლევართა ნაწილი ამ გაერთიანებას სახელმწიფოდ თვლის და სიას სამეფოს უწოდებს. ძვ.წ. XVI საუკუნეში სიას მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდა მეზობელ შანის ტომთან. ამ ბრძოლებში სია დამარცდა და შანის ტომმა შექმნა კარგად ორგანიზებული სახელმწიფო, რომელიც ისტორიაში შანის (ინ–ის)სახელით არის ცნობილი, ძვ.წ. XII საუკუნეში შან–ის სახელმწიფო დამარცხდა ახალ ძლიერ ტომთან ჯოუ–სთან. XII–XI საუკუნეების მიჯნაზე ხუანხეს აუზში შეიქმნა ძლიერი ჯოუს სახელმწიფო, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ძველი ჩინეთის ეკონომიისა და კულტურის მაღალი დონე.

ევრაზიის დანარჩენ ტერიტორიაზე ძვ.წ. II ათასწლეულში სახელმწიფოების წარმოქმნის ადგილი არ ჰქონია. მაგრამ არქეოლოგიურად დადასტურებულია ბრინჯაოს კულტურის მაღალი დონე მთელ რიგ მიწათმოქმედ და მეცხოველე ტომებში, კერძოდ, აღსანიშნავია პირინეის, ცენტრალური ევროპის, ბალტიისპირეთის, ვოლგა–დონის, ყაზახეთისა და შუა აზიის მეცხოველე–მიწათმოქმედი ტომების განვითარების მაღალი დონე. ამავე პერიოდს მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურა.

რაც შეეხება ძვ.წ. II ათასწლეულის ეთნიკურ გეოგრაფიას, სავარაუდოა, რომ ბერძნულენოვან

მოსახლეობას სამხრეთ ბალკანეთში ჩრდილოეთიდან საზღვრავდნენ ილირიული, თრაკიული ტომები, ხოლო უფრო ჩრდილოეთით განსახლებულნი იყვნენ კელტური, გერმანული და სლავური ტომების წინაპრები. პრინეის ნახევარკუნძული ამ დროს დასახლებული იიყო არაინდოევროპული იბერებით, ხოლო აპენინი ეტრუსკებით. ჩრდილოეთ–აღმოსავლეთი ევროპა და დასავლეთ ციმბირი დასახლებული უნდა ყოფილიყო უგრო–ფინური ტომებით, აღმოსავლეთ აზიის შუა და ჩრდილოეთი ნაწილი კი ალტაური და პალეოზოური ხალხებით.

ძვ. წელთაღრიცხვის X–VI საუკუნეები

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი, ძველი საზოგადოების შემდგომი განვითარების პერიოდია. კლასიობრივი საოგადოებებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბება ხდება ირანში, შუა აზიაში, სამხრეთ კავკასიაში, არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით, ჩრდილოეთ ინდოეთში ინდის ხეობის გარეთ, ფართოვდება ჩინური კულტურის არეალი, ყალიბდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლება დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წარმოებაში რკინის დანერგვას. სწორედ ამ პერიოდში იწყება რკინის ხანა, რომელიც ფაქტიურად დღემდე გრძელდება. რკინის იარაღების გამოყენებამ არნახულად გაზარდა სასოფლო–სამეურნეო

მოსავალი, მძლავრი სტიმული მისცა სამშენებლო ტექნიკის და ხელოსნობის განვითარებას. სწორედ რკინის იარაღების დანერგვამ წარმოებაში შექმნა ჭარბი პროდუქცია, რაც თავის მხვრივ მთავარი ფაქტორი იყო კლასობრივი დიფერენციაციისა და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის განსაკუთრებით დაწინაურდნენ წინა აზიის ქვეყნები. პალესტინაში, სირიაში, ფინიკიაში,მცირე აზიაში და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ამ დროს წარმოიქმნა სხვადასხვა მცირე სახელმწიფოები, რომლებიც სხვადსხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებით იყვნენ დასახლებულნი. პალესტინის სამხრეთ სანაპირო ზოლში ცხოვრობდნენ ფილისტიმელები (როგორც ჩანს კვეტიდან და ეგეოსის კუნძლებიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები, ანუ „ზღვის ხალხების“ ერთ–ერთი შტო, რომლებიც ძველი საცხოვრებელი რაიონებიდან დორიელებმა გამოდევნეს). პალესტინის სიღრმეში დამკვიდრებულნი იყვნენ ებრაელები, აგრეთვე ქანაანურ ჯგუფის ენებზე (სემიტური ოჯახი) მოლაპარაკე სხვა ხალხები. ამავე ჯგუფის ხალხს მიეკუთვნებოდნენ ფინიკიის ქალაქ–სახემწიფოების მოსახლეობა. სირია და ჩრდილოეთ მესოპოტამია დასახლებული იყო სხვა სემიტური მოდგმის ხალხით – არამეელებით, რომლებიც თანდათანობით აფართოებდნენ თავიანთი განსახლების

არეალს და მოახდინეს ასურეთის მოსახლეობის ასიმილაცია. არამეელების ცალკე შტოს წარმოადგენდნენ ქარდეველები, რომლებიც შეადგენდნენ ბაბილონის ძირითად მოსახლეობას. მცირე აზიის სახელმწიფოების – ფრიგიის (მუშქების სამეფო), ლიდიის და მათი წინამორბედი ხეთების სახელმწიფოს მოსახლეობა ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებისაგან შედეგზოდა. მცირე აზიის აღმოსავლეთი რაიონები, სომხეთის მთიანეთი და სამხრეთ კავკასია კი ხურიტებითა და მათი მონათესავე ურარტუელებით იყო დასახლებული.

ძვ.წ. XI საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებულმა ისრაელის ერთიანმა სახელმწიფომ სულ ერთი საუკუნე იარსება. ეს პერიოდი (ძვ.წ. 1050–950 წწ), როცა ისრაელის ტახტზე საული, დავითი და სოლომონი ისხდნენ ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების, ეკონომიკური და კულტურული აყვავების ხანაა (ეს ბიბლიიდანაც კარგად ჩანს), სოლომონის მემკვიდრის რობოამის დროს ეგვიპტის ფარაონის შეშონკის ისრაელზე ლაშქრობის შემდეგ (მას ისრაელის ჩრდილოეთის ტომები უჭერდნენ მხარს და რობოამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ) ერთიანი სახელმწიფო ორ პატარა სახელმწიფოდ გაიყო. ჩრდილოეთის – საკუთრივ ისრაელი და სამხრეთის – იუდეა. ამას ორივეს თანდათანობით დასუსტება მოჰყვა, რითაც კარგად

ისარგებლეს მეზობელმა ძლიერმა ქვეყნებმა. ძვ.წ. 722 წელს ასრეთმა აიღო ისრაელის სამეფოს დედაქალაქი სამარია, მთელი მოსახლეობა აჰყარა და გადაასახლა, ხოლო მათ ადგილზე სხვა ხალხები ჩამოასახლა. ისრაელის სამეფომ არსებობა შეწყვიტა. იუდეამ (სადაც დავითის შთამომავლები მეფობდნენ) გაუძლო ასურელების შემოსევებს, მაგრამ ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისში ახალი მძლავრი ძალის ბაბილონის ახალი სამეფოს წინააღმდეგ ვეღარაფერი გააწყო. ძვ.წ. 586 წელს ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II–მ აიღო იუდეის დედაქალაქი იერუსალიმი და მისი მოსახლეობა ბაბილონში გადაასახლა („ბაბილონის ტყვეობის“ პერიოდი ებრაელი ხალხის ისტორიაში).

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში წინა აზიის ისტორიაში დიდ როლს თამაშობდა ფინიკიის ქალაქ–სახელმიფოები, რომლებმაც ფაქტიური კონტროლი დაამყარეს ხმელთაშუაზღვაზე. გარდა საკუთრივ ფინიკიის ქალაქებისა (ტვიროსი, სიდონი, გიბლოსი, არვადი) ეკონომიკურად და კულტურულად ძალზე დაწინაურდნენ ფინიკიური კოლონიები მასალია (მარსელი), პალმა (ბალარეის კუნძულებზე), სიცილიისა და სარდილიის სავაჭრო კოლონიები და განსაკუთრებით კართაგენი, რომელიც პოლიტიკურადაც ძალზე მომძლავრდა და თვითონაც იქცა კოლონიზატორად. ამიტომ, როცა ძვ.წ. VII საუკუნეში ფინიკამ ხელახლა

მომძლავრებული ეგვიპტისა და ბაბილონის დამოუკიდებლობის ქვეშ აღმოჩნდა, ხოლო VI საუკუნის II ნახევარში აქემენიდური ირანის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, დასავლეთ ხმელთაშუაზღვის კართაგენს ფაქტიუად მეტოქე არ ჰყოლია და ძველი ფინიკიური კოლონიებიც მის ხელში გადავიდა.

წინა აზიის სხვა სახელმწიფოებიდან X–VI სს–ებში აღსანიშნავია სირიის პატარ–პატარა სამეფოები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ რამდენიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას და დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ (X–VIII სს) თანდათანობით შევდინენ ასურეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, ძვ.წ VIII საუკუნის ბოლოს აქ ბაბილონნი გაბატონდა, ხოლო VI საუკუნის II ნახევარში – ირანი.

ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში პირველი სახელმწიფოები წარმოიშვნენ არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით. სამხრეთ არაბული ტომების უმრავლეოსბა მომთაბარე მეცხოველეობას მისდევნდენ (ბედუნიები) და მათი ძირითადი ცხოველი აქლემი იყო. სადაც შესაძლებელი იყო (იემენი, ჰიჯაზის ცაკეული რეგიონები) მეცხოველეობასთან ერთად განვითარებული იყო პრიმიტიული მიწათმოქმედება. სწორედ სარწყავი მიწათმოქმედების საფუძველზე ჩამოყალიბდა პირველი არაბული სახელმწიფები, დღევანდელი იემენის ტერიტორიაე, ეს ქვეყნები იყო მინეის და საბას (შებას)

სამეფოები, რომლებმაც ინტენსიური კავშირები დაამყარეს წინა აზიის კულტურულ ქვეყნებთან.

მციე აზიაში ხეთების სახელმწიფოს დაღუპვის შემდეგ, რაც გამოიწვია აქ ბერძნული, თრაკიული და დასავლეთ მცირე აზიული ტომების („ზღვის ხალხები“) შეჭრამ, თანდათანობით ჩამოყალიბდნენ ახალი ინდოევროპული ეთნოსები, რომლებმაც საკუთარი სახელმწიფოები შემქნეს. ძვ.წ. VIII ს–ში წარმოიშვა ფრიგიის სახელმწიფო (მუშქების სამეფო). ფრიგიელები ევროპიდან, მაკედონიის მოსაზღვრე რაიონებიდან გადმოსახლებული ინდოევროპელები იყვნენ, რომლებიც მცირე აზიაში მდინარე საკარიის აუზში (კიზილ–ირმაკის დასავლეთით) დაფუძნდნენ და მოახდინეს მკვიდრი მოსახლეობის მუშქების (მკვლევართა ნაწილი თვლის რომ ეს უკანასკნელი ქართველური ტომები – მესხები იყვნენ) ასიმილაცია. ფრიგიის სამეფოს დიდხანს არ უარსებია, სულ რაღაც 150–200 წელი (ისტორიამ და მითებმა ფრიგიის მხოლოდ ორი მეფის გორდიასის და მიდასის სახელები შემოგვინახა) და კიმერიელების შემოსევებს ემსხვერპლა. ფრიგიული კულტურის მემკვიდრე იყო მცირე აზიის დასავლეთიით ეგეოსის ზღვისპირას ჩამოყალიბებული ლიდიის სამეფო. ლიდიამ წარმატებით მოიგერია კიმერიელების და თრაკიული ტომების შემოსევები, დაამყარა კავშირები ეგვიპტესთან და ასურეთთან, მცირე აზიის ბერძნულ კოლონიებთან,

აგრეთვე დაუზავდა მიდიის ძლიერ სახელმწიფოს. მაგრამ VI საუკუნის II ნახევარში წინ ვერ აღუდგა იმ დროის უძლიერეს სახელმწიფოს აქიმენიდურ ირანს და მის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

რკინის იარაღების დანერგვამ და მიწთმოქმედების განვითარებამ დააჩქარა საზოგადოებრივი პროგრესი ამიერკავსკასიასა და სომხეთის მთიანეთში. II–I ათასწლეულის მიჯნაზე აქ წარმოიქმნა რამოდენიმე სახელმწიფოებირივი გაერთიანება, რომელთა შორის განსაკუთრებული როლი ენიჭება ურარტუს სახელმწიფოს (ვანის ტბის აუზში). ეს იყო ძლიერი, განვითარებული ეკონიმიკისა და მაღალი კულტურის ქვეყანა, რომელმაც თავისი ძლიერების პერიოდში (ძვ.წ. VII ს) თავისი გავლენის ქვეშ მოიქცია მთელი სამხრეთ ამიერკავკასია (მათ შორის უძველესი ქართული გაერთიანებები დიაოხი, კოლხა, ზაბახა, ვიტერუხი, ფათარზა), აგრეთვე მის დასავლეთით მდებარე ტომთა გაერთიანებები (ხაიასა, შუბლია და სხვები, რომლებიც როგორც ჩანს დღევანდელი სომხების წინაპრებად უნდა მივიჩნიოთ) და საგრძნობლად დაუპირისპირდა ასურეთის გავლენას. ასურეთთან ხანგრძლივმა ომებმა დაასუსტა ურარტუს სახელმწიფო. ამას თან დაერთო კიმერიელებისა და სკვითების შემოსევები, რასაც ბოლოს ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა მოყვა და იგი მიდიის შემადგენლობაში შევიდა.

რაც შეეხება კიმერიელებსა და სკითებს, ისინი ირანული ენობრივი ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ტომები იყვნენ, რომლებიც შავი ზღვის ჩრდილოეთისა და ვოლგა–დონის სტეპებში ცხოვრებდნენ. ისინი მომთაბარე, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მოკლებულ ხალხებს წარმოადგენდნენ და ისტორიაში წინა აზიის კულტურულ ხალხებზე თავიანთი გამანადგურებელი თავდასხმებით დარჩნენ. კიმერიელებმა როგორც უკვე ითქვა ბოლო მოუღეს ფრიგიის სახელმწიფოს და შემდეგ მცირე აზიის მკვიდრ მოსახლეობაში გაითქვიფნენ. სკვითების დიდი ნაწილი თანდათანობით უკან დაბრუნდა და ჩრდილოეთ შავი ზღვის პირეთში შეერია თავისივე მონათესავე ტომებს, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში საგრძნობ როლს თამაშობდნენ ამ რეგიონის პოლიტიკური და ეთნიკური რუკუს ფორმირებაში.

ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოს ასურეთი წარმოადგენდა. არამეული ტომების შემოჭრამ და მათ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციამ ასურეთის ძველი სახელმწიფო დაასუსტა და მისი ტერიტორიაც საგრძნოლბლად შეამცირა. მაგრამ უკვე ძვ.წ. IX საუკუნიდან ქვეყანა ხელახლა ძლიერდება (ასურეთის ახალი სამეფო) და ზედიზედ იერთებს მცირე აზიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვიპირეთის ვრცელ ტერტორიებს. განსაკუთრებულ სიძლიერეს ასურეთმა ძვ.წ.

VIII საუკუნის შუა ხანებში მიაღწია – ტიგლათ ფალასარ III–ის დროს, ამ დროს დაპყრობილი იქნა სირია, ფინიკია, ისრაელი, კილიკია, ურარტუს მნიშვნელოვანი ნაწილი, სამხრეთ შუა მდინარეთი (ბაბილონი). ეს უკანასკნელი უშუალოდ შეერთებული ასურეთთან, როგორც ეს სხვა დაპყრობილი ქვეყნების მიმართ ხდებოდა, არამედ შეიქმნა ასურეთისა და ბაბილონის უნია. ბაბილონმა შეინარჩუნა საკუთარი პოლიტიკური წესრიგი და ადმინისტრაციული სტრუქტურა. ძვ.წ. VII ს–ში ასურეთმა დაკარგა ზოგიერთი დაპყრობილი ტერიტორია, მაგრამ შეიერთა ეგვიპტე, მაგრამ ამავე საუკუნის შუა წლებიდან ასურეთის საერთაშორისო მდგომარეობა ძალზე გართულდა. ასურეთს თანდათან უპირისპირდება მასთან უნიაში მყოფი ბაბილონი, რომელმაც კავშირი დაამყარა მიდიის ძლიერ სახელმწიფოსთან. სწორედ ბაბილონისა და მიდიის გაერთიანებულმა ლაშქარმა ძვ.წ. 605 წელს საბოლოოდ მოუღო ბოლო ასურეთის სახელმწიფოს არსებობას.

ასურეთის სახელწიფოს დაღუპვის შემდეგ მანამდე მის შემაგდენლობაში მყოფი ქვეყნის ჩრდილოეთი და ჩრდილო–აღმოსავლეთი რაიონები, აგრეთვე ურარტოსა და მანას სახელმწიფოების მიდიის ხელში გადავიდა. ასურეთის სამხრეთი რაიონები და სირია კი ბაბილონის ახალი სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. ბაბილონის ძლიერმა და ენერგიუმა მეფემ ნაბუქოდონოსორ II–მ

დაიპყრო აგრეთვე ფინიკია და იუდეა და ბაბილონში გადაასახლა იერუსალიმის მთელი ებრაელი მოსახლეობა. მაგრამ არც ბაბილონის ძლიერება აღმოჩნდა ხანგრძლივი. ძვ.წ. VI ს–ის შუა წლებში გამოჩენილმა ახალმა ძლიერმა ძალამ სპარსეთმა ჯერ მიდიის ძლიერი სახელმწიფო დაამარცხა და შეიერთა, ხოლო ძვ.წ. 538 წელს ბაბილონიც აიღო. ბაბილონი აქიმენიდური ირანის შემადგენლობაში შევიდა.

ძვ.წ. XI ს–ის ბოლოსათვის ეგვიპტე ორ ნაწილად – ქვემო ეგვიპტელი (ცენტრი ქ. ტანისი) და ზემო ეგვიპტედ (ცენტრი ქ. თებე) იყო გაყოფილი. ქვეყნის დროებითი არამყარი გაერთიანება ძვ.წ. X ს–ის შუა ხანებში მოხდა, როცა ლიბიელმა დაქირავეულმა ჯარისკაცებმა ახალ XXII დინასტიას დაუდეს სათავე. ძვ.წ. VIII ს–დან ძლიერდება ეთიოპიის სახელმწიფო (იგი არ უდრის დღევანდელ ეთიოპიას, არამედ ნუბიის, ანუ თანამედრივე ეგვიპტისა და სუდანის ტერიტორიაზე მდებარეობდა ნილოსის I ჭორომიდან თეთრი და ცისფერი ნილოსის შესართავამდე და ისტორიაში ცნობილია აგრეთვე ნაპატის ან ნეროეს სახელით). ძვ.წ. VII ს–ში ეთიოპები იპყრობენ ეგვიპტეს და სათავეს უდებენ ახალ–XXV (ეთიოპურ დინასტიას). ამ დინასტიის ფარაონები აწარმოებდნენ ომს ეგვიპტეში შემოჭრილი ასურელების წინააღმდეგ, რომელთა დამარცხებამაც საბოლოოდ XXVI (საისური) დინასტიის დამაარსებელმა ფსატიმექ I–მა შესძლო, თუმცა

სავარაუდოა, რომ ასურელებმა თვითონ დატოვეს ეგვიპტე ასურეთში გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო. ფსატიმექ I–ის მემკვიდრეების დროს ეგვიპტე ერთიანი სახელმწიფოა და აქტიურად ცდილობს სირისა და პალესტინის დაპყრობას. მაგრამ ბაბილონელებთან დამარცხების შემდეგ იძულებული ხდება ხელი აიღოს ამ განზრახვაზე. ფარაონ ამასისის დროს (ძვ.წ. 569–525 წწ) ეგვიპტე რამდენადმე გაძლიერდა და თავის მოხარკედ გაიხადა კვიპროსი. მაგრამ ასპარეზზე გამოჩენილ სპარსეთის სახელმწიფოს არ გაჭირვებია ეგვიპტის დაპყრობა ძვ.წ. 525 წელს და ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოები აქიმენდური ირანის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ამგვარად ძვ.წ.–ის VI ს–ის ბოლოს ახლო აღმოსავლეთი (არაბეთის ნახევარკუნძულის გარდა) ირანიის იმპერიის უძველესი იმპერიის შემდგენლობაში შევიდა. ირანულ ენოვანი ხალხები თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ჩნდებიან. IX–VIII ს–ებში ჩრდილოეთ ირანში ყალიბდება ტომთა გაერთიანება, რომელიც მიდიელების სახელით არის ცნობილი. პირველ ხანებში ისინი ასურეთს ემორჩილებოდნენ, მაგრამ ძვ.წ. VII ს–ის შუა ხანებში მიდიელებმა არა მხოლოდ დამოუკიდებლობა მოიპოვეს, არამედ მათი სამხრეთი მეზობელი და მონათესავე სპარსული ტომებიც დაიმორჩილეს. VII ს–ის ბოლოსთვის

მიდია უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოა, რომელმაც ბაბილონთან კავშირში ბოლო მოუღო ასურეთსა და მთელ მის ჩრდილოეთ პროვინციებს დაეუფლა. მის შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე მცირე აზიისა და სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორეიბი და სახელმწიფოები (ურარტუ, მანა, სკვითების სახელმწიფო მცირე აზიაში). მაგრამ სულ ორმოცდაათიოდე წლის შემდეგ VI ს–ის შუა წლებში მიდიის წინააღმდეგ გამოვიდე თავისივე ვასალი პერსიდა (სპარსეთი). სპარსეთის მეფე კიროსი აქიმენიდთა დინასტიიდან ძვ.წ. 550 წელს სასტიკად ამარცხებს მიდიის მეფე ასტიაგს და მთლიანად იერთებს მიდიას და მის დაპყრობილ ოლქებს. საფუძველი ეყრება ახალ ძიერ სახელმწიფოს სპარსეთს, რომელიც იმ პერიოდისათვის აქიმენიდების სახელმწიფოდ ან აქიმენდურ ირანად მოიხსენიება. მოკლე ხანში კიროსი იპყრობს ლიდიას, ბერძნულ ქალაქ–კოლონიებს ეგეოსის ზღვის მცირე აზიურ სანაპირომზე, ბაბილონს და შუა აზიის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ხორეზმისა და ბაქტრიის ახალგაზრდა სახელმწიფეობს. კიროსის მემკვიდრე ხანბიზმა 525 წელს აიღო ეგვიპტეც, ისე რომ ძვ.წ. VI ს–ის ბოლოს დარიოს I–ის დროს აქიმენიდური ირანი გადაჭიმული იყო მდ. ინდიდან და შუა აზიიდან ეგვიპტემდე და ეგეოსის ზღვის კუნძულებამდე. სპარსეთმა თვალი საბერძნეთის ქალაქ–სახელმწიფეოებს მიაპყრო.

ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვიპსირეთის გარდა ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში ცივილიზაციის კიდევ ორი კერა არსებობდა მსოფლიოში: ძველი ინდოეთი და ძველი ჩინეთი (ჯოუს სახელმწიფო). სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ინდოეთის უაღრესად თავისებური და მდიდარი კულტურის ჩასახვა (ვედები, ინდური ეპოსი, ინდური ფილოსოფია და რელიგია). ამავე დროს ჩამოყალიბდა რამოდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელწმიფო ინდისა და განგის აუზებში, ხოლო ცოტა მოგვიანებით ინდოსტანიის ნახევარკუნძულის სამხრეთშიც. სულ 16–მდე სახელმწიფოს ითვლიან, რომელთა შორის გამოირჩეოდა მაგადჰას სახელმწიფოს განგის შუაწელში.

ჩინეთის ისტორიაში XI–VIII ს–ები დასავლეთ ჯოუს პერიოდად არის ცნობილი, ხოლო VIII–V ს–ები აღმოსავლეთ ჯოუს ეპოქად. დასავლეთ ჯოუს დინასტიის დამხობის შემდეგ ჩინეთი არ ყოფილა ცენტრალიზებული, ერთიანი სახელმწიფო. VII–VI ს–ებში ჯოუს სამეფოს გვედრით ჩინეთში მაგალითად 5 მსხვილი სახელმწიფო იყო, რომელთაც თავის მხვრივ სხვა უფრო პატარა სამფოები ემორჩილებოდნენ. ეს სამეფოები თავიანთ პიროებებს უყენებდნენ ჯოუს დინასტიას, რომლის წარმომადგენელიც ფორმალურადღა ატარებდა მეფის ტიტულს. მიუხედავად პოლიტიკური

არასტაბილურიბისა ჩინეთის ეკონომიკამ და კულტურამ ამ პერიოდშ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

აზიის დანარჩენ ტერიტორიაზე (ჩრდილოეთი, სამხრეთ–აღმოსავლეთი) სახელმწიფოებრივი ცხოვრება ჯერ კიდევ უცნობი იყო და მოსახლეობამ პირველყოფილი საზოგადოების დონეზე იმყოფებოდა.

ძვ.წელთაღრიცხვის V–I საუკუნეები

ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში, როგორც უკვე ითქვა, მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს აქიმენიდური ირანი წარმოადგენდა. ამ უზარმაზარი იმპერიის შემადგენლოში მთეილი ახლო და შუა აღმოსავლეთი შედიოდა (არაბეთის ნახევარ კუნძულის გამოკლებით)და ძველი აღმოსავლეთის ფაქტიურად ყველა კულტურული ხალხი, მცირე აზიის ბერძნული კოლონიების ჩათვლით სპარსეთის სახელმწიფოს ხელში იყო.ეს უზარმაზარი ტერიტორია ოც ადმინისტრაციულ ერთეულად–სატრაპიად იყო დაყოფილი (ინდოეთიდან ეთიოპიამდე), მხოლოდ კონტინენტური საბერძნეთის ქალაქი–სახელმწიფოები ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და ბუნებრივია ასეთი მდგომარეობა გარდაუვალს ხდიდა სპარსეთ – საბერძნეთის ომს. ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისში ჯერ დარიოს I –მა ,ხოლო შემდეგ მისმა მემკვიდრემ ქსერქსემ სცადეს საბერძნეთის დამორჩილება მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადეს.მარათონის (ძვ.წ. 490

წ.), თერმოპილესა და სალამინის (ძვ.წ. 480 წ.) ბრძოლებში სპარსეთისა და ათენის მოსახლეობამ უბადლო მამაცობა გამოიჩინა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.სპარსეთი იძულებული გახდა საბოლოოდ ეთქვა უარი საბერძნეთძე.

ჩინეთი (ჯოუს იმპერია) ფაქტიურად დამოუკიდებელი სახელმწიფოების კონგლომერატს წარმოადგენდა. მათ შორის განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობდა. თანდათანობით დაწინაურდა ცინის (ჩინის) სამეფო, რომელმაც სათავე დაუდო ხანმოკლე მაგრამ ძლიერ იმპერიას (ძვ.წ. III ს). სწორედ ამ დროს აშენდა ჩინეთის დიდი კედელი. ძვ.წ. II–I ს–ებში ჩინეთში ახალი – ხანის იმპერია ყალიბდება, რომლის დროსაც ძველი ჩინური კულტურა განსაკუთრებულ აყვავებას განიცდის.

ძვ.წ. V ს–ის დასაწყისისათვის ინდოეთში 16 მცირე სახელმწიფო არსებობდა. მათ განიცადეს ჯერ აქიმენიდური ირანის, ხოლო შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის თავდასხმები. ძვ.წ. IV ს–ის ბოლოს მაკედონელები განდევნილი იქნენ ინდოეთიდან ნიჭიერი მხედართმთავრის ჩანდრაგუფტას მიერ, რომელმაც გააერთიანა მთელი ჩრდილოეთ ინდოეთი და შექმნა მაურიების ძლიერი იმპერია. ამ იმპერიაში ძირითადი რელიგია ბუდიზმი გახდა, საიდანაც ეს მოძღვრება ჩინეთსა და სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიაში გავრცელდა.

მაურიების იმპერია ძვ.წ. III ს–ის ბოლოს დაიშალა. ჩრდილო–დასავლეთი ინდოეთი ბერძნულ–ბაქტრიულმა ელინისტურმა სამეფომ დაიპყრო. ძვ.წ I ს–ში კი აქ პართელები გაბატონდნენ. ძვ.წ. II–I ს–ებში პირველი სახელმწიფოები შექნეს სამხრეთ ინდოეთის ხალხებმა.

ძვ.წ. V–I ს–ებში კლასობრივი საზოგადება ჩამოყალიბდა კორეაში, ინდოჩინეთში, ინდონეზიაში, ცეილონზე, აგრეთვე იაპონიაში, მაგრამ ნამდვილი სახელმწიფოების წარმოშობა აქ უფრო მოგვიანებით, უკვე ჩვ.წ. I ს–ებში მოხდა.

რაც შეეხება ცენტრალურ აზიას იგი ცალკეულ ტომთა გაერთიანებების და მათი ურთიერთბრძოლის არეალია. ძვ.წ. III–II ს–ებში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ჰუნებმა, რომელმაც თავიანთი გავლენა გაავრცელეს ჩინეთის მნიშვნელოვან ნაწილზე და შუა აზიის ხალხებზე.

ახ. წ. აღ–ის I–V ს–ები

ჩვ.წ. დასაყისისათვის, როგორც ვარაუდობენ, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 250 მილიონს მიაღწია. რომის იმპერიის მოსახლეობა 50 მილიონს აღემატეობოდა, ინდოეთისა და ჩინეთის მოსახლობა 40–50 მილიონის ფარგლებში უნდა ყოფილიყო. ამ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკის გარდა უაღრესად მაღალ დონეს მიაღწია კულტრამ. ძველი რომაული, ინდური თუ ჩინური ლიტერატურის,

ხელოვნების, მეცნიერებისა და იდეოლოგიის მიღწევები დღესაც ითვლება ადამიანური გენიის მწვერვალებად. ამ პერიოდშივე ეყრება საფუძველი ქრისტიანულ ცივილიზაციას, რაც დღემდე მსფლიო პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

I–II ს–ები რომის ადრეული იმპერიის ხანაა (პრინციპატი), კლასიკური მონათმფლობელური წყობით. მიუხედავად ცალკეული აჯანყებებისა და ბრძოლებისა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ რომის პროვინციებში (ფაქტიურად ყოფილ დამოუკიდებელ ქვეყნებში, რომლებიც რომმა სხვადასხვა დროს დაიპყო და შეიერთა) იმპერია მაინც მყარი და ცენტრალიზებული სახელმწიფოა. რეალური მეტოქე რომს არ ჰყავს. მხოლოდ აღმოსავლეთში სომხეთსა და იბერიაში, რომის ინტერესებს ეჯახება პართიის ინერესები. რომის ძლიერება IV სში საბოლოოს შეირყა ერთის მხვრივ შიდა კრიზისებისა და დაპირისპირებების, მეორეს მხვრივ კი – იმპერიის ჩრდილოეთი მეზობლების გერმნული ტომების გაძლიერებისა და იმპერიის მიწებზე მათი თავდასხმების გახშირების გამო.

ჩვ.წ. I ს–ებში შუა აზიაში ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა ქუშანის სამეფო, რომელიც თავის თავში აერთიანებდა შუა აზიის ძველ სახემწოფებრივ წარმონაქმნებს – ხორეზმს, ფერგანას, სოგდიანას და ბაქტრიას. შემდგომში ამ სახელმწიფომ მოიცვა

დღევანდელი ავღანეთის, პაკისტნისა და ჩრდილოეთ ინდოეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი. ამ ძალზე თავისებურმა, კუტურული და რელიგიური სინკრეტიზმის ქვეყანამ თავის ძლიერების მწვერვალს II ს–ში მიაღწია, III ს–ში კი რღვევა დაიწყო.

მეორე ძლიერი სახემწიფო აღმოსავლეთში იყო პართია, რომელიც აშკარად ებრძოდა რომს და ხშირად წარმატებებსაც აღწევდა. პართია ერთ–ერთი უკანასკნელი ელინისტური სახემწიფო იყო, სადაც I ს–დან თანდათან სუსტდება ბერძნული კულტურის გავლენა და სპარსული ელემენტი იწევს წინ. III ს–ის 20–იან წლებში პართიის სამეფო შეცვალა ახალმა ძლიერმა სახელმწიფომ – სასანიდურმა ირანმა.

ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ სომხეთი, კოლხეთი, იბერია და ალბანეთი. სომხეთი შედარებით დიდი და საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო იყო. კოლხეთი, რომელიც დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა განვითარებული ეკონომიკისა და მაღალი კულტურის ქვეყანა იყო. საკმაოდ ძლიერი და ანგარიშ გასაწევი იყო იბერია (ქართლი). ამ ქვეყნებზე რომის გავლენა მაინცადამაინც ძლიერი არ ყოფილა, ხოლო III ს–დან პრაქტიკულად აღარც იგრძნობოდა. სამაგიეროდ ახალი მრისხანე ძალა – სასანიდური ირანი აქტიურად ცდილობდა ამ სახელმწიფოების დამორჩილებას.

ევროპის დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებში I–III ს–ები პირველყოფილი საზოგადოების დაშლის პერიოდია. ეს პროცესი სწრაფად მომდინარეობდა კელტებში, გერმანელებში, დაკებში, ძველ სლავებში, შედარებით ნელა ბალტიურ და უგრო–ფინურ ტომებში. ვოლგა–დონის სტეპებში მომთაბარეობდნენ ირანულენოვანი სარმატები და ალანები. აღმოსავლეთიდან ევროპისაკენ ინაცვლებენ თურქულენოვანი ტომები, კერძდ ჰუნები.

რაც შეეხება ჩინეთს, აქ არსებულმა ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ – ხანის იმპერიამ III ს–მდე იარსება და შემდეგ სამ სამეფოს დაიშალა. ინდოეთში კი ჰუშანთა სახემწიფოს დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა გუპტების სამეფო, რომელმაც ჩრდილოეთ ინდოეთის დიდი ნაწილი მოიცვა და VI ს–მდე იარსება.

თემა მეოთხე

ძველი ეგვიპტე

ძველ ეგვიპტეს ეკავა ტერიტორია ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, რომელიც ძირითადად თანხვდება თანამედროვე ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის საზღვრებს. აქ ადამიანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოსაყენებლად ვარგისი მიწები შედარებით ვიწრო ზოლად გაჰყვება მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს მდინარე ნილოს. ძველი ეგვიპტელები

თავიანთ სამშობლოს „კემეტს“, ანუ „შავ ქვეყანას“უწოდებდნენ, განსხვავებით უდაბნოსგან,

რომელსაც ძვ. ეგვიპტურად „დეშერეტ“ ანუ „წითელქვეყანა“ ჰქვია.

კემეტი-შავმიწიანი ტერიტორია

დეშეტი-წითელმიწიანი ტერიტორია

ეგვიპტე პრაქტიკულად უნალექო ქვეყანაა, მის ერთადერთ სასიცოცხლო წყაროს მდინარე ნილოსი წარმოადგენს. ეს შეამჩნია ჯერ კიდევ ჰეროდოტემ და მას „ნილოსის ნობათი“ უწოდა.

ეგვიპტელებმა უძველესი დროიდან დაიწყეს ნილოსის მთელ გაყოლებაზე საირიგაციო არხების ფართო ქსელის მშენებლობა. მათ უძველესი დროიდან გააღმერთეს „დიდი ჰაპი“ (ნილოსი) და ეთაყვანებოდნენ მას, როგორც ღვთაებას. იგი იყო მდინარე, რომელიც სიცოცხლეს ანიჭებდა ეგვიპტის მაცხოვრებლებს. ნილოსით არამარტო ნათესები ირწყვებოდა, არამედ ის,

ნაპირებიდან გადმოსვლის დროს ანაყოფიერებდა და მოსავლიანს ხდიდა მიწას.

ჩრდილოეთით ეგვიპტის ბუნებრივ საზღვარს ხმელთაშუა ზღვა წარმოადგენს, დასავლეთით ლიბიის უდაბნო, აღმოსავლეთით სუეციის ყურე და წითელი ზღვა, სამხრეთ აფრიკისგან იგი ნილოსის ჭორომებითა და მაღალი მთებით არის გამოყოფილი. უძველეს დროში, როცა ადამიანი ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა შორეულ ზღვაში გასვლას, ეგვიპტეს გარე სამყაროსთან მხოლოდ სუეციის ყელის ვიწრო ზოლი აკავშირებდა.

ეგვიპტის სიმდიდრეს დიდად განაპირობებდა მისი ბუნებრივი რესურსები. აქ უხვად მოიპოვებოდა მარმარილო, გრანიტი, ალებასტრი და სხვა ძვირფასი სამშენებლო ქვები. ეგვიპტე იყო ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმდიდრესი და უმძლავრესი ქვეყანა თითქმის 3000 წლის მანძილზე.

კლასობრივ-საზოგადოებრივი დაყოფა

ეგვიპტე კლასობრივ საზოგადოებრივ ფენებად იყო დაყოფილი. გაბატონებულ კლასს ფარაონი ედგა სათავეში ოჯახითურთ, ასევე ასეთ კლასს დიდებულებიც შეადგენდნენ, მათი ნაწილი იკავებდა დიდ მამულებს და ცხოვრობდნენ დედაქალაქში.

იერარქიის ქვედა ფენას მეთემე გლეხები შეადგენდნენ და ამ უკანასკნელთა ხარჯზე ცხოვრობდნენ

უმაღლესი კლასის დიდებულები და ფარაონები. იერარქიის ზედა საფეხურზე დიდებულებთან და ფარაონებთან ერთად ქურუმებიც შედიოდნენ, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. სახელმწიფოს სათავეში ფარაონი იდგა. ფარაონის ხელისუფლება მემკვიდრეობითი იყო, თუ ტახტის შთამომავლობა მდედრობითი ან მამრობითი ხაზით არ რჩებოდა უახლოეს ნათესავს შეეძლო დაეკავებინა ის ან სხვა დინასტიას.

ფარაონები —უდიდეს როლს ასრულებდნენ ეგვიპტელთა ცხოვრებაში. ისინი ერთდროულად ქვეყნის მმართველებიც იყვნენ და უმაღლესი ქურუმებიც. ფარაონი იყო განკაცებული ღმერთი დედამიწაზე და ღმერთი სიკვდილის შემდეგ. იგი ღვთის შვილად მიიჩნეოდა და მის სამეფო ტიტულს ”რას შვილიც” ემატებოდა. თვით ტერმინი ”ფარაონი” ორი სიტყვის შერწყმაა: ”პერ-აა”, რაც ”დიდ სისხლს” ნიშნავდა. ფარაონს ქარაგმულად იხსენიებდნენ, რათა მისი სახელი ტაბუდადებული ყოფილიყო. ამ სახელის ხმამაღლა წარმოთქმა არ შეიძლებოდა.

ქურუმები—ადამიანებს, რომლებიც საკულტო-სარიტუალო საქმიანობას და ტაძრების მომსახურებას ეწეოდნენ, ქურუმები ერქვათ. ქურუმები შეადგენდნენ ეგვიპტის საზოგადოების ყველაზე გავლენიან სოციალურ ფენას. ზოგჯერ ისინი დინასტიებსაც აფუძნებდნენ.

მოგვიანებით ქურუმობას მემკვიდრეობითი ხასიათი მიიღო.

ქურუმების იერარქია განსაკუთრებული ორგანიზებულობით გამოირჩეოდა. ყოველ ღვთაებას ჰყავდა თავისი კლირი (ორგანიზაცია), რომლის სათავეშიც უმაღლესი ქურუმი იდგა. მას ფარაონი ნიშნავდა. რაც უფრო მაღალი იყო ამა თუ იმ ღმერთის ადგილი პანთეონურ იერარქიაში, მით უფრო ძლიერი იყო კლირი.

ქურუმი

მოხელეები და ნომარქები—ფარაონი ეგვიპტეს მართავდა თავისი ოჯახის წევრების დახმარებით. დიდგვაროვნებიდან ერთ-ერთს ფარაონი ვეზირის თანამდებობაზე ნიშნავდა. ვეზირები სიდიდით მეორე ადგილზე იდგნენ. მათ ემორჩილებოდნენ მეურნეობის სხვადასხვა დარგის მმართველები - **მოხელეები**. ვეზირს შეეძლო მოხელე გაეთავისუფლებინა ან მის მაგივრად სხვა დაენიშნა.

ნომარქი —იყო ერთ-ერთი თანამდებობა. ნომარქს ფარაონი ნიშნავდა. მას ევალებოდა მის ტერიტორიაზე მდებარე სარწყავი სისტემის წესრიგში მოყვანა, მოსახლეობის აღრიცხვა და გადასახადების აკრეფვა.

მოხელეებსა და ნომარქებს თავდაპირველად სახელმწიფო აფინანსებდა, მაგრამ მათი რაოდენობის გაზრდის შემდეგ ეს გაჭირდა. ფარაონი მათ უყოფდა მიწებს, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ მანამ, სანამ თანამდებობები ეკავათ, გათავისუფლების შემთხვევაში ამ მიწას კარგავდნენ. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაწ მიწები მემკვიდრეობით გადადიოდა.

მეთემეები და მონები—ეგვიპტის მოსახლეობის ძირითად ნაწილს მიწათმოქმედები ანუ მეთემეები შეადგენდნენ.ისინი ამუშავებდნენ ფარაონის, ნომარქის, ტაძრებისა და მოხელეთა კუთვნილ მიწებს, იშვიათად საკუთარსაც. ზოგჯერ მათ სახელმწიფო სამუშაოებზეც ანაწილებდნენ.

ფარაონები ხშირად აწყობდნენ ლაშქრობებს მეზობელ კუთხეებში. ამ დროს იგი თითოეული თემიდან მეომრებს ითხოვდა. ამ ლაშქრობების სიხშირის გამო ეგვიპტეში გაჩდნენ სამხედრო მონები, რომლებიც უუფლებონი იყვნენ. მათ სახელმწიფო ინახავდა და მძიმე სამუშაოზე აგზავნიდა.

კულტურა

ძვ. ეგვიპტის უმდიდრესმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ძველი აღმოსავლეთის, არამედ ანტიკური სამყაროს ქვეყნებზე. ძნელია წარმოვიდგინოთ მსოფლიო ხელოვნების, ლიტერატურის, არქიტექტურის და სხვა განვითარების ისტორია ძველ ეგვიპტელთა მიღწევების გარეშე.

ეგვიპტური ხელოვნების უძველესი ნიმუშები ჩვ. წ-მდე V-IV ათასწლეულით თარიღდება. ეგვიპტის ხსენებაზე, ალბათ, ყველას პირველ რიგში პირამიდები და გრანდიოზული ტაძრები წარმოუდგება თვალწინ. პირველი დიდი ნაბიჯი ეგვუპტის მონუმენტური არქიტექტურის განვითარების საქმეში დაკავშირებულია III დინასტიის ფარაონის-ჯოსერის-კარის არქიტექტორის იმხოტეპის სახელთან.

I-II დინასტიების ფარაონების სამარხები წარმოადგენდა გამომწვარი აგურით ნაგები წაკვეთილი პირამიდის ფორმის აკლდამას, რომლებსაც დღეს

მასტაბები ეწოდება. მაგრამ მიუხედავად მათი გრანდიოზული ზომებისა (მასტაბის ერთი კედლის სიგრძე ხანდახან 80-90 მეტრს აღწევდა), ისინი, ეტყობა, ვერ აკმაყოფილებდნენ ძველი სამეფოს ბრწყინვალე ფარაონების მოთხოვნებს. იმხოტეპმა პირველმა მოიფიქრა აკლდამის გაზრდა სიმაღლეში. მის მიერ ფარაონ ჯოსერისათვის აგებული აკლდამა, რომელიც დღეს საფეხუროვანი პირამიდის სახელით არის ცნობილი, ფორმით მოგვაგონებს 7 ერთმანეთზე შემდგარ მასტაბს, რომელთა ზომაც სიმაღლესთან ერთად მცირდება. იმხოტეპმა პირველმა გამოიყენა ქვა არა მარტო თავისი საფეხუროვანი პირამიდის მოპირკეთებისთვის, არამედ როგორც საშენი მასალა იმ ტაძრებისთვის, რომლებიც სამეფო პირამიდის ირგვლივ აიგო.

შემდგომ განვითარება განიცადა პირამიდებმაც. თანდათან წაიშალა საფეხუროვანი სილუეტი და უკვე IV დინასტიის დროს ეგვიპტურმა პირამიდამ მიიღო თავისი კლასიკური ფორმა.როგორც მოგეხსენებათ ეგვიპტე პირამიდებითაა ცნობილი, რომელსაც ფარაონთა დასაკრძალავად აშენებდნენ. კლასიკური ეგვიპტური პირამიდა ერთ-ერთ სრულყოფილ არქიტექტურულ ფორმად ითვლება. პირველი პირამიდა აიგო თანამედროვე სოფელ საკარასთან ფარაონ ჯერესის დროს. სიმაღლე 60 მეტრს აღწევდა. ფარაონ სნეფრუს დროს

აიგო ორი პირამიდა: ერთი 100 მეტრი, მეორე კი 99. ყველაზე დიდი ფარაონ ხუფუს, ბერძნული გამოთქმით, ხეოფსის პირაიდა გამოირჩევა, რომლის სიმაღლე 146,6 მეტრია, რაც დაახლოებით 48 სართულიანი სახლის სიმაღლეს უტოლდებოდა.

მისი მეორე მემკვიდრის ხეფრენის პირამიდა ხეოფსისას 3 მეტრით ჩამორჩებოდა. შემდგომში შეწყდა პირამიდების მშენებლობა, ფარაონებმა ყურადღება გადაიტანეს მზის ღმერთის „რას“ ტაძრების მშენებლობაზე. იგი იყო უმაღლესი ღვთაება.

ეგვიპტის ისტორია ტრადიციულად ძველი, შუა, ახალი სამეფოების ხანად იყოფა. აქედან პირამიდები მხოლოდ ძველი სამეფოს ეპოქაში შენდებოდა. მიუხედავად ეგვიპტურ ქანდაკებაში ფარაონის ზეადამიანური არსება განსაკუთრებით ნათლად გადმოიცემა სფინქსებში, ფანტასტიკურ არსებებში, რომლებსაც ლომის ტანი და ფარაონის სახე ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ სწორედ სფინქსები იყო ფარაონის უძველესი ქანდაკებები, რომლებიც ეგვიპტეში ტაძრების გარეთ თავსდებოდა.

დავად ამისა ის ზოგადად ძველი ეგვიპტის სიმბოლოდ იქცა.

პირამიდების ახლოს, ჩრდილოეთით არის მსოფლიოში ყველაზე ამოუცნობი ქანდაკება - სფინქსი. ეს კოლოსალური ფიგურა, რომელსაც ლომის გამოსახულება

და ადამიანის თავი აქვს სიგრძით 240 ფუტია, სიმაღლით 66. ეს არის ყველაზე დიდი ზომის სკულპტურა, რაც შემორჩენილია ძველი მსოფლიოს ცივილიზაციიდან. სფინქსი ყველასგან განცალკევებით დგას. სავარაუდოა, რომ ქანდაკებას აკლია წვერი. ასევე ფიქრობენ, რომ ის იყო ძველი ეგვიპტელების ღვთაება. ამას მოწმობს ქანდაკების ნიკაპის აღნაგობაც, იქ აუცილებლად იქნებოდა წვერი, თანაც ძველრომაულ ფრესკებზე ღმერთები წვრით არიან გამოსახული. ქანდაკების აშენებისთვის არ არის გამოყენებული განსაკუთრებული ტექნოლოგიები. ამისათვის კმაროდა უბრალო სამტეხლო იარაღები. ეგვიპტოლოგიის თანამედროვე სახელმძღვანელოებში ამოვიკითხავთ, რომ სფინქსი აიგო ძ 2500 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV დინასტიის ფარაონის, ჰეფრენის ბრძანებით. იმავე ფარაონის ბრძანებით აშენდა სიდიდით მესამე პირამიდა და მისი ამგებიც იქვე დაასაფლავეს.სფინქსი არის ამომავალი მზის ღმერთის - ჰარმახისის ქანდაკება. სფინქსი სახეზე ძალიან ჰგავს ჰეფრენს, რაც ადასტურებს ამშენებლის ვინაობას. ერთი დამადასტურებელი ფაქტი ისიცაა, რომ სფინქსი აგებულია ზუსტად იმავე ზომის ქვებით, რომლითაც ის პირამიდა, სადაც ჰარმახისია დასაფლავებული.

არქიტექტურა—ეგვიპტელები განთქმულები იყვნენ არქიტექტურით მთელს იმდროინდელ მსოფლიოში. მათი ნაგებობები გეომეტრიული სიზუსტით იყო აშენებული,

რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ძველი ეგვიპტელები კარგად იცნობდნენ როგორც არქიტექტურას, ასევე მათემატიკას. ეგვიპტელთა მიერ აშენებული ნაგებობების აგება ძნელად მისაღწევია დღევანდელი ტექნოლოგიებითაც კი. ეგვიპტელებს ჰქონდათ ქვის სამტეხლოები, სადაც მზადდებოდა სკულპტურული ნაკეთობები. ზოგჯერ მთლიანად კლდეში აქანდაკებდნენ ფარაონებისა და ღმერთების გამოსახულებებს. ეგვიპტელები ხშირად აშენებდნენ ქვის მაღალ სვეტებს-ობელისკებს. ობელისკების სიმაღლე ზოგჯერ 20 მეტრამდეც აღწევდა. ეგვიპტური არქიტექტურის ნიმუშია პირამიდები.

მათემატიკა—საკმაოდ განვითარებული იყო ეგვიპტეში მათემატიკაც. ჰეროდოტეს მიაჩნდა კიდეც, რომ გეომეტრიის სამშობლოს ეგვიპტე წარმოადგენდა. ცნობილია, რომ არქიმედემ საკმაოდ ხანგრძლივი დრო დაყო ეგვიპტეში, ეგვიპტური მათემატიკის შესწავლის მიზნით. თუმცა ეგვიპტური მათემატიკის ხერხები ზოგჯერ საკმაოდ თავისებურია, მათ შეეძლოთ ისეთი რთული ოპერაციების ჩატარება, როგორიცაა, მაგალითად, წაკვეთილი პირამიდის მოცულობის ან ნახევარსფეროს ზედაპირის ფართობის გამოანგარიშება.

ლიტერატურა—ეგვიპტური ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიო ლიტერატურებს შორის. ქრონოლოგიურად მას მხოლოდ შუამდინარეთის

ლიტერატურა თანხვდება, მაგრამ ჟანრობრივად ძველი ეგვიპტის ლიტერატურა გაცილებით უფრო მდიდარია. სწორედ ეგვიპტიდან მოაღწია ჩვენამდე სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის უძველესმა ნიმუშებმა. ძვ. ეგვიპტის უმდიდრესი ლიტერატურა წარმოდგენილია მოთხრობებითა და იგავებით, სასიყვარულო და ეგრეთწოდებული „ფილოსოფიური“ ლირიკით და დიდაქტიკური ჟანრის ნაწარმოებით: სატირით, ჰიმნებით, ეპოსით, ზღაპრებით და სხვ. შუა სამეფოს ეპოქა სამართლიანად ითვლება ლიტერატურის საოცარი განვითარების ხანად. სწორედ ამ დროს ჩნდება პირველი „საერო“ ნაწარმოებები, რომელთა ერთადერთ დანიშნულებას მკითხველის გართობა წარმოადგენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ეპოქის მოთხრობები, რომელთაგან ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენს „ამბავი სინუხეთის ცხოვრების შესახებ“.

მედიცინა—ძველეგვიპტელთა მიღწევებს მედიცინის სფეროში დიდ პატივს სცემდნენ იმდროინდელ სამყაროში. ეგვიპტელი ექიმები ბევრ უცხოურ სამეფო კარზე იყვნენ მიწვეული. სხეულის მუნიფიცირების ტრადიციამ განაპირობა ეგვიპტელთა მიერ ადამიანის ანატომიის იმ დროისთვის, მართლაც განსაცვიფრებელი ცოდნა, რაც ნათლად ჩანს შემონახული სამედიცინო ტრაქტატებიდან. ეგვიპტური მუმიების შესწავლამ ნათელყო, რომ უკვე ჩვ. წ. აღ. III ათასწლეულში

ეგვიპტელ მედიკოსებს შეეძლოთ საკმაოდ რთული ოპერაციების ჩატარება. დღეს ჩვენს განკარგულებაში იმყოფება 10 ეგვიპტური სამედიცინო პაპირუსი, სადაც აღწერილია ბევრი სხვადასხვა დაავადება და წამლების რეცეპტები; ზოგიერთი წამალი 30—32 კომპონენტისგან შედგება.

ასტრონომია— საკმაოდ განვითარებული იყო ეგვიპთეში ასტრონომიაც, რომლის ისტორია უძველესი დროიდან იწყება. ბუნებრივია, ინტერესი ციური სხეულების მიმართ, უპირველეს ყოვლისა, წმინდა პრაქტიკული მოთხოვნებით იყო გამოწვეული. ეგვიპტის კეთილდღეობა ხომ ძალზედ იყო დამოკიდებული ნილოსის სეზონურ გადიდებაზე. ჯერ კიდევ უძველეს დროში ეგვიპტელებმა შეამჩნიეს, რომ მემფისის მიდამოებში ნილოსის გადიდების დაწყება ემთხვეოდა სამხრეთის ცაზე სირიუსის (სოთისის) გამოჩენას. სწორედ ეს დღე, მიჩნეული იყო ახალი წლის დასაწყისად. ამის შემდეგ რამოდენიმე თვის მანძილზე ნილოსის დაბლობი იტბორებოდა. როცა ადიდებული მდინარე კალაპოტს უბრუნდებოდა იწყებოდა ხვნისა და თესვის პერიოდი. გაზაფხულზე დგებოდა მოსავლის აღების დრო. ეგვიპტური კალენდარი სწორედ ამ მოვლენებს ითვალიწინებდა. ეგვიპტური კალენდარი 365 დღისგან შედგებოდა, რომელსაც სამ სეზონად ყოფდნენ: ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული. თითოეული სეზონი 30

დღისაგან შედგებოდა. ბოლოში წელს ემატებოდა 5 დღე, რომლებიც ღმერთებისადმი იყო მიძღვნილი. ასეთი კალენდარი ძალიან მოსახერხებელი იყო ეგვიპტელთათვი, მაგრამ მისი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ასტრონომიულ წელს ჩამოუვარდებოდა დღე-ღამის ¼-ით.

კერძები— ადამიანებმა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იცოდნენ მეფუტკრეობის პროდუქტების ფასი. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად ფუტკარი სამყაროში ადამიანზე 50-60 ათასი წლით ადრე გაჩნდა. ეგვიპტის უძველესი პირამიდები და ქანდაკებები ცხადყოფს, რომ ეგვიპტელები თაფლს არა მხოლოდ საკვებად, არამედ სამკურნალოდაც იყენებდნენ. გარდა ამისა, თაფლი თავისი უნიკალური თვისებების გამო, საუკეთესო კოსმეტიკური საშუალება იყო და მას მიცვალებულთა ბალზამირებისთვისაც იყენებდნენ. ფუტკარი გამოსახული იყო ფარაონების ემბლემებსა და აკლდამებზე. საიკუნეების წინ ფიქრობდნენ, რომ ფუტკარი და მისი საოცარი პროდუქტები, ღვთის საჩუქარი იყო. თაფლს ღმერთების საკვებსაც უწოდებდნენ და ის სიმდიდრის ბედნიერების სიმბოლოდ მიაჩნდათ. თაფლი და ფუტკარი ძალიან ძვირად ფასობდა და ხელნმისაწვდომი იყო მხოლოდ საზოგადოების მაღალი ფენებისათვის.

სასმელი—ეგვიპტელები ლუდს თავდაპირველად ბაბილონში ყიდულობდნენ, თუმცა სასმელი ხანგრძლივ

ტრანსპორტირებას ვერ უძლებდა, ამიტომაც იძულებული გახდნენ, თავად დაეწყოთ ლუდის დამზადება. ისინი განსხვავებულ ლუდს ამზადებდნენ სიმინდისაგან, ლუდის დამზადება ძველეგვიპტური ღმერთის ოსირისის სახელს უკავშირდება. ეგვიპტურ ლუდს „ხეკი“ ერქვა ის მოტკბო გემოსი იყო. ლუდის განსაკთრებულ სამკურნალო თვისებებზე ეგვიპტელებმა ბევრი რამ იცოდნენ, ისინი თვლიდნენ, რომ ლუდის სმა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. ის პირამიდების მშენებლობათა რაციონში მთავარი პროდუქტი იყო. დედოფალმა კლეოპატრამ პირამიდების მშენებლობის გასაგრძელებლად საჭირო თანხის მოძიება ლუდზე გადასახადების შემოღებით გადაწყვიტა, ეს იყო ისტორიაში პირველი გადასახადი, რომელიც სასმელის დამზადებისათვის დაწესდა.

მუსიკა— მუსიკა და ცეკვა დიდ როლს ასრულებდა ძველ ეგვიპტელთა ცხოვრებაში. მუსიკოსები ხალხს წვეულებებსა და დღესასწაულებზე ართობდნენ. დაკრძალვის ცერემონიაზე სამ სხვადასხვა ცეკვას ასრულებდნენ. სამარხებზე გამოსახული ნახატებიდან ჩანს, რომ ბევრ ცეკვაში უხვად იყო სპორტული ელემენტები- ყირაზე გადასვლა, სალტო. ეგვიპტელი ქალების უმრავლესობა გრძელ კაბებს ატარებდა, მოცეკვავე ქალებს კი მოკლე სამოსი ეცვათ და ზოგჯერ შიშვლებიც ცეკვავდნენ. ბევრმა მუსიკალურმა საკრავმა მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ

მაშინდელი ნოტები არ შემორჩენილა, ამიტომ ძნელია იმ ხმების აღდგენა, რომელთაც ძველი მუსიკოსები გამოსცემდნენ.

ეგვიპტელი მუსიკოსები სიმებიან საკრავებზე (ქნარზე, ბარბითსა და არფაზე) უკრავდნენ. ჰქონდათ ხის ჩასაბერი ინსტრუმენტებიც: ფლეიტა, კლარნეტი, ჰობოი, სხვადასხვ დასარტყმელი ინსტრუმენტები, მათ შორის, დაირაც. ზოგიერთ საკრავს განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭებოდა: მაგალითად, ბრძოლისას, მეომრების გასამხნევებლად, საყვირს, ბუკს, დოლს იყენებდნენ, ზანზალაკებს და ზარებს კი- სხვადასხვა რელიგიური ცერემონიების დროს.

სამარხები

როგორც ცნობილია ეგვიპტეში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის სხეულის დაცვას მისი სიკვდილის შემდეგ. მაგრამ როგორი სრულყოფილიც არ უნდა ყოფილიყო მუმია, მისი განადგურების საფრთხე მაინც არსებობდა. ამიტომ მიცვალებულის სამარხში მის სკულპტურულ გამოსახულებებსაც ათავსებდნენ. პირველი დინასტიის სამარხები ალიზით ან ხით იყო აგებული. შემდგომ ჩაენაცვლა ქვის არქიტექტურა.

ძვ. ეგვიპტური სამარხებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ეთმობა XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ინგლისელი არქეოლოგების მიერ

ტუტანხამონის მდიდრული აკლდამის აღმოჩენას. სიცოცხლეზე უფრო ტუტანხამონს სიკვდილის შემდეგ გაუმართლა. მისი აკლდამა ეგვიპტის ფარაონთაგან ერთადერთი აკლდამა აღმოჩნდა, რომელმაც ჩვენამდე ხელუხებლად მოაღწია. ამ აკლდამაში აღმოჩენილი ხელოვნების ნიმუშები მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს და ახალი სამეფოს ხანის ეგვიპტურ ფუფუნებას, სიმდიდრესა და სხვადასხვა დარგის ოსტატების თუ ხელოვნების საოცრად მაღალ დონეს გვიჩვენებს.

"ძველეგვიპტელ ს სწამდა, რომ იმქვეყნიურ კეთილდღეობას სიცოცხლეში ყოველდღიური ლოცვით და რიტუალების ერთგულად შესრულებით მიაღწევდა. საჭირო იყო ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლა და მომზადება საიქიო სამჯავროზე წარსადგომად. სწორედ ამიტომ შეიქმნა ”მიცვალებულთა წიგნი”. მასში აღწერილია ყველა ის საშუალება რომელიც, ეგვიპტელთა რწმენით სულს სამჯავროზე დაეხმარებოდა. ყველა მოვალე იყო, დაწვრილებით აღეწერა სამზეო ზეგატარებული თავისი ცხოვრება. ასეთი აღწერა, როგორც წმინდა ტექსტი, გარდაცვლილს თან უნდა წაეღო. სამჯავროზე მიცვალებულის სული ამ ტექსტს კითხულობდა და ღმერთები მასში მოთხრობილ ამბავს ითვალისწინებდნენ. იმქვეყნიური ნეტარებისთვის ეგვიპტელი ხშირად ცრუობდა კიდეც. ამიტომ საიქიო

სამჯავროზე მაინც გარდაცვლილის გული იყომ თავარი. აქ გული აიწონებოდა და გამოჩნდებოდა განსასჯელის ავი და კარგი საქმენი. რათა გულს არ გაეცა თავისი პატრონი, მიცვალებულის სული მაგიურ შელოცვებს წარმოთქვამდა.

ორი მაატის - ორმაგი ჭეშმარიტების დარბაზში, სადაც განსასჯელს მკაცრი გამოცდა ელოდა, სამსჯავრო სრული შემადგენლობით სუფევდა დიადი ღმერთის - რას მეთაურობით. იქ იყვნენ თოტი, ორმაგი ჭეშმარიტების დარბაზის ქურუმები და ქვესკნელის მეუფე ოსირისი. მათთან ერთად სამსჯავროს ესწრებოდა 42 ზებუნებრივი არსება. ყოველი მათგანი ერთ რომელიმე შეცოდებას განიკითხავდა. მიცვალებული წარმოთქვამდა სიტყვას, რომლითაც ამტკიცებდა თავის უცოდველობას. სამსჯავროზე რომ არ ემხილებინათ, იგი საგანგებოდ ჩამოთვლიდა 42 ზებუნებრივ არსებას, რითაც ერთგვარად მათ გულს იგებდა. ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით, მართალი ადამიანის გული ბუმბულივით მსუბუქი იყო, ამიტომ ოსირისის სამსჯავროზე მას ბუმბული არ უნდა გადაეწოდებინა. განკითხვის დასასრულს თოტი და ანუბისი იწყებდნენ გულის აწონვას. თუ დაიმსახურებდა, მიცვალებულისთვის საიქიოს კარი ღია იყო, თუ არა, ”სულთამსვლეპი” იქვე შესანსლავდა ცოდვილ და უბედურ სულს."

რელიგია

ძველი სამეფოს პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეგვიპტის რელიგიურ წარმოდგენათა ძირითადი ქვაკუთხედი, რომელიც თითქმის უცვლელი დარჩა ქვეყნის მთელი დანარჩენი ისტორიის მანძილზე (თუ არ ჩავთვლით ეხნატონის რელიგიური რეფორმის მოკლე ხანას XVIII დინასტიის დროს). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტეში, ისე როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, რელიგია სახელმწიფო იდეოლოგიისა და პოლიტიკის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეგვიპტური სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში გარკვევა შეუძლებელია ეგვიპტელთა რელიგიის შესწავლის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის მთელი ისტორიის მანძილზე, ძალაუფლების უმაღლესი ცენტრალიზაციის პერიოდშიც კი, სახელმწიფო რელიგია არასოდეს გადაქცეულა დოგმად, ამდენად, არ არსებობდა ჰერეტიკული წარმოდგენების ცნებაც და სახელმწიფო კულტურის ღვთაებებთან ერთად თითოეულ ნომში ეთაყვანებოდნენ საკუთარი „მიკოროპანთეონის“ ღვთაებებს. ეგვიპტეში თითოეულ ნომს საკუთარი რელიგია გააჩნდა. სწორედ ამ გარემოებით აისახება ეგვიპტური პანთეონის საოცარი გადატვირთულობა და სიჭრელე.

ძველი ეგვიპტელები მრავალ ღმერთს სცემდნენ თაყვანს. უმთავრესი ღვთაებები იყვნენ: მზის ღმერთი-რა, ამონი და ატონი, ნაყოფიერების ღმერთი- ოსირისი, რომელიც ბუნების მსგავსად კვდებოდა და შემდეგ კვლავ ცოცხლდებოდა, უდაბნოს ღმერთი ბოროტი სეთი და სხვ.

პირველყოფილი ქაოსიდან იბადება შემოქმედი ღვთაება, რომელიც ქმნის დანარჩენ ღმერთებს და სამყაროს. IV დინასტიიდან აღზევება დაიწყო რას კულტმა; V დინასტიიდან მზის რელიგია უკვე სახელმწიფო რელიგია ხდება. რელიგიურ წარმოდგენებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სინკრეტიზმს,რომელიც ცვალებადი, ღვთაებრივი, სულიერი საწყისის სხვადასხვა ფორმით გამოვლინების შესაძლებლობა. სწორედ სინკრეტიზმი უდევს საფუძვლად ფარაონის გაღმერთებას. ეტყობა, დაახლოებით ამ დროისთვის ხდება მიცვალებულთა კულტის საბოლოო ჩამოყალიბება, რადგან ამ პერიოდის ფარაონთა პირამიდებში ჩნდება თავისებური სახის ტექსტები. „პირამიდების ტექსტები“ წარმოადგენს რელიგიური ჰიმნებისა და მაგიური შელოცვების უზარმაზარ კრებულს, რომელთა დანიშნულებაა გაუადვილოს მიცვალებულს საიქიო ცხოვრება.

რიტუალები ადამიანების ცხოვრებაში უძველესი დროიდან არსებობდა და დღესაც საკმაოდ არიან მისი შემსრულებლები. ყველა ჩვენგანის ცხოვრება სხვადასხვა

დოზით სავსეა რიტუალებით. რიტუალი უმეტესწილად რელიგიას უკავშირდება და ის სათავეს იღებს ჯერ კიდევ წინარეისტორიული ხანიდან. რიტუალები თანდათანობით დაიხვეწა და ფართო ხასიათი მიიღო. რელიგიურ წარმოდგენებთან ერთად უძველეს სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა რიტუალების მეტად რთული სისტემა. ამ პოსტში ძველი ეგვიპტის რიტუალებზე მოგითხრობთ.

არავის ეპარება ეჭვი, რომ ეგვიპტური რელიგია უაღრესად რიტუალური იყო, რომელიც მოიცავდა ყოველდღიურ საზეიმო ღონისძიებებს, რეგულარულ სახალხო დღესასწაულებს თუ პოპულარულ ფესტივალებს. ყველა რიტუალი და დღესასწაული მოცემული იყო ძველ ეგვიპტურ რელიგიურ კალენდარში, რომელიც დაფუძნებული იყო "სტელარის" (ვარსკვლავების) და "ასტრალის" (პლანეტების) განლაგების მიხედვით სეზონურ (მზე და "სოთიკური" ციკლი), ყოველთვიურ (მთვარის ოთხჯერ შემოვლა დედამიწის გარშემო) და ყოველდღიურ ასტროლოგიურ მოვლენებზე (დედამიწის როტაცია).

რიტუალები სინქრონიზებული იყო რიგი ბუნებრივი მოვლენებით, რომლებსაც ეგვიპტელებმა მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენები დაუკავშირეს. ფარაონი იყო ეგვიპტის უმაღლესი ქურუმი, ღმერთებისა და ღვთიურობის ერთადერთი წარმომადგენელი დედამიწაზე.

რა თქმა უნდა, სამეფო ფესტივალები იყო ერთ-ერთი გზა იმისთვის, რომ გაძლიერებულიყო ფარაონის პრესტიჟი.

ფარაონების რიტუალები

ფარაონების ძირითადი რიტუალი იყო მაატის შეთავაზება (მიცემა) მათი მამის ღვთაება რას მისამართით. მაატი იყო ეგვიპტელთა სიმართლის ღმერთი. მაატის შეთავაზება, კი ნიშნავდა პატიოსანი და სამართლიანი მმართველობის დაპირებას. მაატს ეგვიპტეში არ ჰქონდა საკუთარი ტაძარი, მაგრამ მას თაყვანს სცემდნენ ყველა ეგვიპტურ ტაძარში. რედისტრიბუციული (პირამიდული) ცხოვრების გათვალისწინებით, ფარაონი, როგორც რას შვილი, ვალდებული იყო შემოევლო წრეზე, რაც დაეხმარებოდა რას თავისი მარადიული ციკლის შესრულებაში. მხოლოდ ამის შემდეგ და მხოლოდ ფარაონს შეეძლო გაეღო სამოთხის კარი და პირისპირ შეხვედროდა ღმერთებს. ეს მისტიური გამოცდილება იყო აუწერელი, მაგრამ მეფეს აძლევდა უდიდეს გაგებას, რაც გამოიხატებოდა "ორი მიწის" აღქმაში.

დღის რიტუალები სრულდებოდა მხოლოდ ტაძარში. ამ რიტუალების საგალობლები ნაპოვნია დღის წიგნში, მაგრამ ასევე ლიტურგიის შესახებ მოგვითხრობენ ძველი ეგვიპტის მთავარი ტაძრების მოხატულობები. დღის რიტუალები ეძღვნებოდა მარადიულ ცხოვრებას და წარმოადგენდა ერთგვარ მადლიერებას ფარაონის

სამართლიანი მმართველობისთვის, რაც ასევე დაკავშირებული იყო ღმერთების მოწყალება/არმოწყალებაზე, მხოლოდ ფარაონი იყო ამაზე პასუხისმგებელი. ეს ცერემონიები ტარდებოდა ე. წ. "საათის ქურუმების" ("ჰოროლოგოი") მიერ, მათსავე სპეციალურ კოშკებში, სადაც "საათის ქურუმი" აკვირდებოდა ღამის ცას და იწერდა თავის მოსაზრებებს პლანეტებისა და ვარსკვლავების შესახებ. ერთი საათით ადრე, სანამ მზე ასცდებოდა ადგილობრივ ჰორიზონტს, მთელი ტაძრის დომენი მიდიოდა ტაძარში და ემზადებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი დღის რიტუალის-დილის რიტუალის შესასრულებლად. დილის რიტუალს ჩვეულებრივ მოჰყვებოდა ნაკლებად მნიშვნელოვანი შუადღის და საღამოს რიტუალები.

ღამის რიტუალები

ეგვიპტოლოგების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არსებობს ორი სახის ტექსტები ქვესკნელზე გამარჯვების შესახებ (მათი უმეტესობა აღმოჩენილია სამარხების კედლებზე), ესენია მზის (რას მოგზაურობა ღამით) და სამგლოვიარო (ცოდნის საშუალებით წმინდა და მართალი სიტყვის დაცვა). მაგრამ გარდა ამ წარწერებისა ეგვიპტელები ღამის რიტუალის მნიშვნელობაზე ჰორნუგშიც მოგვითხრობენ. ღამის მოგზაურობის შედეგად ეგვიპტელების რწმენით მზის ღმერთი რა (მოგვიანებით ამონი) განიცდის რეგენერაციას, აღდგენას.

ეს ღამის რეგენერაცია მაგალითის გზით ადასტურებს, რომ აღორძინების ძალა თავისი სიძლიერით შორს დგას სიკვდილისგან. ამავე დროს ღამის მოგზაურობაში გვხვდება ადამიანის სულის აღორძინება და აღდგენა, ანუ შესაძლებელი ხდება მისი სულის გამოყვანა ქვესკნელის სიღრმეებიდან. ეს არის სულის მოგზაურობა, რაც ხაზგასმული და დასაბულთებულია (ღმერთ რას მაგალითზე) ეგვიპტელთა მიერ.

წარწერები ასევე ადასტურებს, რომ ეგვიპტური რელიგია ჩვეულებრივ ხალხს აძლევდა საშუალებას, რომ ღამის რიტუალების პერიოდში სიზმრების მეშვეობით მომხდარიყო ღმერთებთან შეხვედრა და არა ამქვეყნიური ცხოვრების ნიადაგის მომზადება (გვიანი პერიოდი). ოსირისი იყო რაზე მეტად განახლებისა და ნაყოფიერების პროტოტიპი. რომელიც გაახალგაზრდავდა ჰორუსის თვალის საშუალებით და მოახერხა გაქცეოდა მეორე სიკვდილს და საბოლოოდ დაიმკვიდრა საუკუნო ცხოვრების სული.

ყოველთვიური რიტუალები

მთვარის ციკლი

ეგვიპტელებს ჰქონდათ მთელი რიგი ყოველთვიური რიტუალები, რომელიც უკავშირდებოდა მთვარის ციკლს, კერძოდ, ახალი მთვარის გამოჩენას. 20 დღიანი რიტუალი იწყებოდა პირველი ქუატერით, სავსე მთვარით (ან სავსე

თვალი) და მთავრდებოდა მესამე ქუატერით. ეს ციკლი ეძღვნებოდა მთვარის ღმერთის ოსირისის საიდუმლოს.

ქურუმის მიერ საკვების მსხვერპლად შეწირვა

ფესტივალები იყო ცერემონიები, რომლებიც ყოველწლიურად იმართებოდა და ეძღვნებოდა მაატისა (დაპირების) და შესაბამისად დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, ფესტივალები სამეფო ცერემონიებს წარმოადგენდა, სადაც ფარაონი "მოიყვანდა" ღვთაებებს და ხელახლა დაადგენდა მის ღვთაებრივ მმართველობას. ეს ეგვიპტური ფესტივალები იყო უკიდურესი დრამატული ინტენსივობის და დაახლოებით მათ გიგანტურ რიტუალურ წარმოდგენებს უწოდებდნენ, სადაც ღმერთებმა, ღვთაებრიობამ, ფარაონმა, ქურუმებმა, მუსიკოსებმა, მოცეკვავეებმა და ა. შ. ხელახლა ააღორძინეს უძველესი მითი და დაპირება. ზოგიერთ რიტუალებში ჩვეულებრივ ხალხსაც უნდა მიეღო მონაწილეობა და მიეტანათ საჭმელი და ღვინო ღმერთებისთვის და წინაპართა სულებისთვის, როგორც მსხვერპლი. ზოგიერთი ეგვიპტოლოგის ვარაუდით ამ ფესტივალებზე მსხვერპლად სწირავდნენ ბავშვებს, ხდებოდა წინდაცვეთა.

წინდაცვეთის რიტუალი

ადამიანის მსხვერპლშეწირვის რიტუალი

სხვადასხვა პერიოდში ძველი ეგვიპტის რიტუალები განიცდიდა ცვლილებებს, მაგრამ ეს ცვლილებები არ იყო რადიკალური და ფართო. საბოლოოდ პტოლემეთა ბერძნულ-ეგვიპტური დინასტიის გამეფების შემდეგ ძველ ეგვიპტური რიტუალების უმეტესობა დაიკარგა. იმ ძველი რიტუალების აღორძინების ცდები ჰქონდა დედოფალ კლეოპატრა VII-ს, მაგრამ ის ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი იყო და მისმა რეფორმებმა შედეგი ვეღარ გამოიღო. კლეოპატრას გარდაცვალებით ფარაონის ეგვიპტემ არსებობა შეწყვიტა და უშუალოდ დაექვემდებარა რომის იმპერიას. III საუკუნეში ეგვიპტეში ქრისტიანობა ფართოდ გავრცელდა და ძველ ეგვიპტური რელიგია თავისივე რიტუალებით საბოლოოდ გადაშენდა. IX საუკუნეში მოხდა ეგვიპტის არაბიზაცია (მანამდე VII საუკუნეში ისლამიზაცია) და ძველი ეგვიპტელი ხალხის გენებიც დაიკარგა. ითვლება, რომ თანამედროვე კოპტები ძველი ეგვიპტელების შთამომავლები არიან, მაგრამ ევროპელების გენები უფრო ემთხვევა ძველი ეგვიპტელების გენები ვიდრე მათი.

მიუხედავად ამ ყველაფრისა ეგვიპტური რიტუალები ჰაერში არ გამქრალა. სანამ ეს ყველაფერი მოხდებოდა სწორედ ძველი ეგვიპტის რელიგიის და კულტურის საფუძველზე და დიდი გავლენის შედეგად ჩამოყალიბდა ძველ ბერძენთა, ელინთა, რელიგია და რიტუალები. დღესაც კი მთელს მსოფლიოში

შემორჩენილია ძველ ეგვიპტელთა რიტუალების ჩანართები, მაგალითად ღვინის შეწირვა, საჭმლის შეთავაზება და შეწირვა (გავიხსენოთ ჩვენი ტრადიცია, როცა მიცვალებულთა მოხსენიების დღეს სასაფლაოზე ვტოვებთ ღვინოს და საჭმელს), თუნდაც გლოვის ტრადიცია, ასევე დატირების. აქედან გამომდინარე დიდი ცივილიზაციები არასოდეს ქრებიან, ქრებიან მხოლოდ ფიზიკურად.

იეროგლიფები

ეგვიპტურ ენაზე დამწერლობა 3 ათასი წლის განმავლობაში იქმნებოდა. ყველა წერილობითი ძეგლი რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, იეროგლიფური დამწერლობის ნიმუშია. იეროგლიფი ბერძნული სიტყვაა : ჰიერეს-საღვთო, ლყპჰე-ამოკვეთა, ამოჭრა. იეროგლიფური დამწერლობა უძველესი ხატოვანი ნიშნების დამწერლობაა. პირველი იეროგლიფები ჩნდება ჩვ.წ.-მდე IV ათასწლეულის ბოლო ხანებიდან. ზოგიერთი იეროგლიფი მთელ სიტყვას გამოხატავს, ზოგიც მის ნაწილს და ამასთან, ცალკეულ თანხმოვნებსაც (ეგვიპტურში 30-მდე თანხმოვანია) იეროგლიფურ დამწერლობაში დამხმარე ნიშნებსაც იყენებენ . ამ ნიშნებს დეტერმინატივებს უწოდებენ. დეტერმინატივი წაკითხვისას არ გამოითქმის, იგი მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობას აზუსტებს.

ფუნჯით წერა პაპირუსზე ან, იშვიათად, ტყავზე სისწრაფეს მოითხოვდა,იეროგლიფის გამოყვანას კი დიდი დრო სჭირდებოდა. პირველი დინასტიის ხანაში. (დაახლოებით ჩვ. წ.-მდე XXX ს.) იეროგლიფიკის პარალელურად განვითარდა იერატიკული დამწერლობა, იეროგლიფურის კურსივული ფორმა. პირველ ხანებში იგი იხმარებოდა , როგორც საღვთ შინაარსის ტექსტების, ისე საქმიანი ქაღალდების შესადგენად. ჩვ.წ.-მდე VII საუკუნიდან, დემოტიკური დამწერლობის შემუშავების შემდეგ, იერატიკული დამწერლობა მხოლოდ რელიგიური ტექსტების შესადგენად გამოიყენებოდა. ჩვ.წ.-მდე XIIსაუკუნიდან ეს დამწერლობა ისე დაშორდა პროტოტიპს-იეროგლიფურს, რომ ძნელად გასარჩევი გახდა.

იეროგლიფები

თავდაპირველად წერდნენ ვერტიკალურად, შემდეგ ჰორიზონტალურად- მარჯვნიდან მარცხნივ. იარსება დაახლოებით 3 ათას წელიწადს (ჩვ.წ III ს-მდე.)

წიგნები და საქმიანი ქაღალდები ეგვიპტეში განსაკუთრებულ, ჭილის ქაღალდზე იწერებოდა. იგი პაპირუსისაგან მზადდებოდა და ჩვეულებრივ ქაღალდზე გამძლე და მოქნილი იყო. ეს ქაღალდი ძვირი ჯდებოდა და ამიტომ უბრალო,ყოფითი ჩანაწერებისა და სასკოლო სავარჯიშოებისათვის ე.წ „ოსტრაკონს”- ბრყელ ქვას ან

თიხის ფირფიტას იყენებდნენ. კალმად ლერწმის ღეროს ხმარობდნენ, მელანს კი ჭვარტლისაგან ამზადებდნენ.

ეგიპტური წერილობითი ძეგლები XIX საუკუნემდე მეცნიერებისათვის ხელმიუწვდომელი იყო, რაც ქვეყნის ისტორიის სრულყოფილად წარმოდგენას ართულებდა. საქმე ისაა, რომ ძველ ეგვიპტელებს იეროფგლიფურიო დამწერლობა ჰქონდათ. ძველი ეგვიპტის დაცემის შემდეგ ასეთი დამწერლობის წაკითხვა უკვე არავის შეეძლო. იეროგლიფების ხელახლა წაკითხვას სათავე დაუდო ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობის დროს ქალაქ ალექსანდრიასთან ნაპოვნმა დიდმა ბაზალტის ფილამ, რომელზედაც ორ ენაზე ეგვიპტურად და ძველ ბერძნულად სამი დამწერლობით: იეროგლიფურით, დემოტურით და ძველი ბერძნულით ამოტვიფრული ერთი და იგივე ტექსტი აღმოჩნდა. ეს ფილა როზეტის ქვის სახელითაა ცნობილი.



როზეტის ქვა

ამ სამი დამწერლობით შესრულებული ტექსტების ურთიერთშედარებით ფრანგმა მეცნიერმა ჟან-ფრანსუა შამპოლეონმა ეგვიპტური იეროგლიფების წაკითხვა შეძლო. მან ისტორიკოსებს ეგვიპტური წერილობითი

ძეგლების გაცნობისა და ეგვიპტის ისტორიის მწყობრი სურათის აღდგენის საშალება მისცა.

თემა მეხუთე

ძველი შუამდინარეთი

შუამდინარეთი (მესოპოტამია) რეგიონი ახლო აღმოსავლეთის ტერიტორია ტიგროსსა და ევფრატს შორის. რეგიონი იწყება ზაგროსის მთიანეთიდან და მთავრდება სპარსეთის ყურესთან. ამ რეგიონის ტერიტორიაზე იყო მრავალი უძველესი სახელმწიფო. დღეს ამ ტერიტორიაზე ოთხი ქვეყანაა განლაგებული: ერაყი, სირია, ირანი, თურქეთი.

როგორც ეგვიპტური, ისე შუმერული ცივილიზაციები მდინარეულ ცივილიზაციათა რიცხვს მიეკუთვნებიან.ძვ.წ. II საუკუნის ბერძენმა ისტორიკოსმა პოლიბიოსმა მდ. ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე დაბლობს მესოპოტამია უწოდა, რომელიც ითარგმნება როგორც „მდინარეთა შორის მდებარე მიწა“, ანუ შუამდინარეთი.

შუამდინარეთი იყოფა ორ ნაწილად- ჩრდილოეთ და სამხრეთ შუამდინარეთად. ამ ტერიტორიაზე მე- IV ათასწლეულში არსებობდა ძლიერი ძველაღმოსავლური სახელმწიფოები: ჩრდილოეთში- ასურეთი, სამხრეთში- ბაბილონი. ბაბილონის ტერიტორიაც იყოფა ორ ნაწილად - ზემო ბაბილონი და ქვემო ბაბილონი.

შუამდინარეთი ძვ. წ. III - ძვ. წ. II ათასწლეულებში.

ათასწლეულში ზემო ბაბილონის ტერიტორიაზე იყო აქადის სახელმწიფო, ხოლო ქვემო ბაბილონს მოიცავდა შუმერების ქვეყანა. ამერიკელი შუმეროლოგის კრამერის სიტყვებით, რომ ვთქვათ- „ისტორია იწყება შუმერში“.

ისტორია იწყება შუმერიდან

ჩვ. წ. აღ-მდე IV - III ათასწლეულში შუამდინართის ტერიტორიაზე მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ველზე აღმოცენდა და დამკვიდრდა ისეთივე მაღალი კულტურა, როგორიც ეგვიპტეში იყო. ეს არის კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერა. მაგრამ ნილოსის ველისაგან განსხვავებით, სადაც სამი ათასი წლის განმავლობაში ერთი და იგივე ხალხი ცხოვრობდა და ერთი და იგივე სახელმწიფო - ძველი ეგვიპტე არსებობდა, შუამდინარეთში მთელი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, მათ შორისაა: შუმერი, აქადი, ბაბილონი, ასირია, ირანი ერთმანეთში ირეოდნენ, ვაჭრობდნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ სხვადასხვა ხალხები, სწრაფად აღიმართებოდა და დაფუძნებამდე ინგრეოდა ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, ქალაქები. შუამდინარეთის კულტურა და ისტორია ეგვიპტესთან შედარებით, უფრო დინამიური იყო.

შუამდინარეთის უძველესი კულტურა - შუმერულ აქადურია. შუმერები არიან მთელი ბაბილონური კულტურის წინაპრები. მათი კულტურული მიღწევები უდიდესი და უდავოა: შუმერებმა შექმნეს კაცობრიობის ისტორიაში პირველი პოემები - „ოქროს საუკუნეზე“, დაწერეს პირველი ელეგიები, შეადგინეს მსოფლიოში პირველი ბიბლიოთეკის კატალოგი. შუმერები არიან მსოფლიოში პირველი და უძველესი სამედიცინო წიგნების - რეცეპტების კრებულების ავტორები. მათ დაამუშავეს და ჩაწერეს პირველი კალენდარი ორი სეზონისათვის (ზამთრისა და ზაფხულისათვის), დაყოფილი 12 თვედ, მათ შორის თითოეული 29 ან 30 დღედ. თითოეული ახალი თვე იწყებოდა საღამოთი, მთვარის ნამგლის გაუჩინარებისას. შეადგინეს პირველი ცნობები დამცველ ნარგავებზე. აგრეთვე, მსოფლიო ისტორიაში პირველი თევზის ნაკრძალის შექმნის იდეაც წერილობით დააფიქსირეს შუმერებმა. მათ ეკუთვნით პირველი თიხის რუკაც. პირველი სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტები - ლირა და არფა სწორედ შუმერებთან გაჩნდა.

უძველესი დამწერლობაც დედამიწაზე ამავე ხალხს ეკუთვნის- ესაა შუმერულ ლურსმული დამწერლობა. ის ძალიან დეკორატიულია, და როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, სათავეს იღებს ნახატებიდან.

მსოფლიოში უძველესი წერილობითი ძეგლები - შუმერულ ლურსმული დამწერლობის დაფები ჩვ. წ. IV ს-მდე ათასწლეულის შუა პერიოდს, ეკუთვნის. ლურსმული- ესაა დამწერლობა, რომლის ნიშნები შედგება ლუსმნის მაგვარი ხაზების ჯგუფებისაგან და აღბეჭდილია გამოუწვავ თიხაზე. ლურსმული დამწერლობა აღმოცენდა, რომელიც შემდგომში გადაიქცა სიტყვიერ - მარცვლოვან დამწერლობად. შემორჩენილია შუმერული ლიტერატურის მრავალი ძეგლი, ისინი დაწერილია თიხის დაფებზე. ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით 2800 წლით დათარიღებულ შუმერულ დაფებზე ჩაწერილი ნაწარმოებები ეკუთვნის მსოფლიოში ცნობილ პოეტ ენხედუანს, აქადელთა მეფე სარგონის ქალიშვილს.

შუმერული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლია - თქმულებათა ციკლი გილგამეშზე, ქალაქ ურუქის მეფეზე, მოკვდავისა და ქალღმერთ ნინსუნას შვილზე.

შუამდინარეთის ძველ მცხოვრებთა რწმენაში დიდ როლს თამაშობდა წყლის კულტი. წყალთან დამოკიდებულება არ იყო ერთმნიშვნელოვანი. წყალი ითვლებოდა კეთილი ნების წყაროდ, მოსავლისა და სიცოცხლის მომტანად, ნაყოფიერების კულტად. მაგრამ წყალი - ასევე არის მძლავრი და არაკეთელმოსურნე სტიქიაც, ყოველგვარი ნგრევისა და უბედურების მიზეზი.

მეორე ძალიან, მნიშნელოვანი კულტი იყო ციურ მნაბობთა კულტი. მათ უცვლელობისა და ერთხელ და

სამუდამოდ დაწესებულ გზაზე მოძრაობაში ბაბილონელი მცხოვრებნი ხედავდნენ ღვთიური ნების გამოვლინებას. ვარსკვლავებისა და პლანეტებისადმი ყურადღება განაპირობებდა მათემატიკისა და ასტრონომიის სწრაფ განვითარებას.

ძველი შუამდინარეთის მცხოვრებლების რელიგიური რწმენა აისახებოდა მათ მონუმენტურ ხელოვნებაში. ქალაქებში შენდებოდა ტაძრები, მიძღვნილი ღმერთებისადმი. მთავარი ადგილობრივი ღმერთის ტაძრის მახლობლად ჩვეულებრივ აღმართული იყო ზიკურატი - მაღალი, აგურით ნაშენები კოშკი, გარშემორტყმული გამოწეული ტერასებით, რაც ქმნიდა რამდენიმე კოშკის შთაბეჭდილებას, რომელთა ფართობი ზევით თანდათან მცირდებოდა.

განსხვავებით, თავის საზღვრებში საიმედოდ ჩაკეტილი ფარაონული ეგვიპტისა, სადაც იშვიათად თუ შეაღწევდა უცხო ტომი და რაც განსაზღვრავდა მისი კულტურის ერთგვაროვნებას, შუამდინარეთის ქვეყანა ღია იყო ყველასათვის. იშვიათია დედამიწის ზურგზე მხარე, სადაც ამდენ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოდგმას დაედგას ფეხი, დაფუძნებულიყოს და თავის სამშობლოდ გაეხადოს. მომთაბარე ტომები ჩამოდიოდნენ ბარად აღმოსავლეთის მთიანეთიდან, შემოდიოდნენ დასავლეთისა და სამხრეთის უდაბნოებიდან - ბედუინები, სემიტური მოდგმის ხალხები, არაბები და

სხვა მრავალი. მათ იზიდავდა ბუნებით ნაყოფიერი ველები, პალმის ხეებით და ხორბლეულით მდიდარი მიწა, რომლის საძოვრებზე დაბალახობდა ურიცხვი პირუტყვი.

შუმერის მიწა-წყალი დაახლოებით დღევანდელი ერაყის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა. ეს არის დანალექი წარმოშობის ბრტყელი ვაკე, სადაც მეტისმეტად ცხელი და მშრალი ჰავაა და გამუდმებით ქრის ქარი. არსებითად, აქ არც სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება, არც ქვა და არც საშენად ვარგისი ხის მაგვარი რამ, გარდა გიგანტური ლერწმის ჭაობისა. მაგრამ ხალხი, რომელიც აქ ბინადრობდა და რომელსაც ძვ. წ. III ათასწლეულიდან შ უ მ ე რ ე ლ ებ ი ეწოდებათ, მეტად შემოქმედი ბუნებისა და პრაქტიკული ჭკუის აღმოჩნდა. მათ ეკუთვნის ბევრი ჩინებული ტექნიკური გამოგონება უკიდეგანოდ გადაშლილი მიწის ზედაპირი იხაზებოდა არხებით, რომელნც ერთი მხრივ ნაყოფიერს ხდიდა ნიადაგს, მეორე მხრივ ზღვარს უდებდა უკიდეგანობას; ითვინიერებდა და უდაბნოდან გამოიტაცებდა სივრცეს, რათა იგი ერთხელ და სამუდამოდ დაღდასმული ყოფილიყო კაცობრიული კულტურით.

საირიგაციო ქსელის დახმარებით შლამით მდიდარი ტიგროსისა და ევფრატის წყალი ადიდების დროს მდინარეებსა და ბაღებში მიედინებოდა, რწყავდა და ანოყიერებდა მიწას. ქვის უქონლობის გამო კი

გამომწვარი მდინარის თიხისაგან შუმერელები აკეთებდნენ ნამგლებს, თეფშებსა და დოქებს. ხე არ ჰქონდათ და ქოხებისა და ფარეხების აგება გამომშრალი ჭაობის ლერწმისაგან დაიწყეს. მას ან კონებად კრავდნენ ან ჭილოფს წნავდნენ და შემდეგ თიხით აკავშირებდნენ ერთმენეთთან. მოგვიანებით შუმერელებმა გამოიგონეს ყალიბი აგურის გასაკეთებლად. მათვე გამოიგონეს საზიდრის ბორბალი, სათესი მოწყობილობიანი გუთანი, იალქნიანი ნავი, ისწავლეს თაღების, კამაროვანი ნაგებობების და გუმბათების შენება, სპილენძის და ბრინჯაოს ჩამოსხმა, აითვისეს ლითონების შედუღება, ქვაზე კვეთა, გრავირება და სხვა...

ყოველივე ამის შესახებ ჩვენ ვგებულობთ იმ მრავალრიცხოვანი საგნებისა და იარაღის მეშვეობით, რომლებიც გათხრების შედეგად აღმოჩნდა ბოლო ასი წლის მანძილზე. მაგრამ არანაკლებ ცნობებს გვაწვდის მხატვრული ლიტერატურა, რომელიც შედგება მითებისაგან, ეპიკური პოემებისაგან, ჰიმნებისაგან და სხვადასხვა რჩევა-დარიგებისაგან.

დღეისთვის ცნობილია ოცზე მეტი შუმერული მითი, რომელიც მოგვითხრობს სამყაროს შექმნაზე, მის აგებულებაზე, ღმერთების დაბადებაზე, მათ ცუდ და კარგ საქმეებზე, ადამიანის შექმნაზე, წარღვნაზე - რომელიც ღმერთებმა სასჯელად მოუვლინეს ადამიანებს, სიკვდილისა და მიწისქვეშა სამეფოს საიდუმლოებებზე.

კ უ ლ ტ უ რ ა

ძველი შუამდინარეთის უძველესმა მოსახლეობამ შუმერებმა თავისი არსებობის თითქმის 1500 წლის მანძილზე შექმნეს თვითმყოფადი და მეტად მდიდარი კულტურა.

ჩვენამდე მოაღწია შუმერთა ”თიხის წიგნებმა”. საწერ მასალად ისინი იყენებდნენ სველი თიხის ფირფიტებს, რომლებზეც წაწვეტილი ლერწმით კაწრავდნენ, შემდეგ ღუმელში გამოწვავდნენ და ინახავდნენ სპეციალურ საცავებში.

მეტად საინტერესოა მაღალმხატვრული ღირებულების მქონე, ლექსად დაწერილი შუმერთა თქმულებები ქალაქ ურის მეფე გილგამეშის შესახებ, რომლებიც ხოტბას ასხამენ მას, როგორც სიმართლისა და სიკეთის დამცველს.

მაღალ დონეზე იდგა განათლება. სასახლეებთან და ტაძრებთან არსებობდა სკოლები, რომლებსაც ”ფირფიტების სახლს” ეძახდნენ. აქ ძირითადი ყურადღება ექცეოდა წერა-კითხვის შესწავლას. აგრეთვე, ასწავლიდნენ მათემატიკას, გეოგრაფიას, ბოტანიკას, გრამატიკას. შუმერებმა შექმნეს მათემატიკისა და გეომეტრიის საფუძვლები. მსოფლიოში პირველებმა გამოიგონეს ციფრების აღმნიშვნელი ნიშნები.

მზის, მთვარისა და პლანეტების მოძრაობაზე დაკვირვებით შუმერებმა შეადგინეს ერთ-ერთი უძველესი

კალენდარი მსოფლიოში. ასევე ქმნიდნენ არაჩვეულებრივი სილამაზის ტაძრებს - ზიკურათებს, რომლის საშენ მასალად გამოიყენებდნენ თიხის აგურს და ქვას, იშვიათად ხესაც. შემონახულია ადამიანებისა და ღმერთების თიხის ქანდაკებები...

ს კ ო ლ ე ბ ი

განათლების ძირითად კერას ძველ შუამდინარეთში წარმოადგენდა სასახლესა და ტაძრებთან არსებული სკოლები. აქ ამზადებდნენ სახელმწიფოს სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობისათვის საჭირო სპეციალისტებს. სკოლა იყო თავისებური ლიტერატურული ცენტრიც. აქ არა მარტო სწავლობდნენ წარსულის ძეგლებს, არამედ ქმნიდნენ კიდევაც ახალ ნაწარმოებებს. მაგალითად, ქალაქ ნიფურში ენლილის ტაძარ ექურთან არსებული ედუბა („ფირფიტების სახლი“), შეიძლება ითქვას, წარმოადგენდა უმაღლეს სკოლასა და კულტურულ ცენტრს. ამ სკოლის კედლებში მიმდინარეობდა დიდი შემოქმედებითი და საგანმანათლებლო მუშაობა. მისმა არქივებმა ძველი შუამდინარეთის ლიტერატურის არაერთი ძეგლი შემოუნახა კაცობრიობას.

შუმერული სკოლის შესახებ ცნობები მხოლოდ ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდანაა შემონახული. სკოლის სათავეში იდგა „სკოლის მამად“ წოდებული მასწავლებელი, მასწავლებლის თანაშემწეებს უწოდებდნენ

„უფროს ძმებს“, ხოლო მოსწავლეებს „სკოლის შვილებს“. მასწავლებელთა შრომის გასამრჯელო იფარებოდა მოსწავლეების მიერ შეტანილი სწავლის ქირიდან.

მოსწავლეთა დიდი უმეტესობა გამოსული იყო საზოგადოების მაღალი წრიდან. ჩვენამდე მოაღწია მოსწავლეთა ათასობით ნამუშევარმა, რომლებიც წაროდგენას გვიქმნიან იმდროინდელი სკოლის სასწავლო პროგრამების შესახებ. ირკვევა, რომ ეს პროგრამები ითვალისწინებდა ისეთი დისციპლინების სწავლებას, როგორიცაა: ღვთისმეტყველება, მათემატიკა, ბოტანიკა, მინერალოგია, გეოგრაფია, გრამატიკა და ლინგვისტიკა.

ძველბაბილონური ეპოქის დროინდელი სკოლის სასწავლო პროგრამაში შეიტანეს სპეციალურად შუმერული ენის სწავლებაც. სკოლადამთავრებული მოსწავლე კარგად იყო დაუფლებული არა მარტო ამ მეცნიერებათა საფუძვლებს, არამედ შუმერული და აქადური ენებისა თუ ლურსმული დამწერლობის რთულ სისტემასაც. ძველი შუამდინარეთის სკოლების აღზრდილთა ხელით დაიწერა ის ათეულ ათასობით თიხის ფირფიტა, რომლებმაც მოიტანეს ჩვენამდე არაერთი ძვირფასი ცნობა შუამდინარეთის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ესაა ის ანბანი, რომელშიც შეფარულია ყველა ის სიბრძნე, რითაც მოძღვრავდნენ შუმერები მსოფლიოს,

ყველა ცივილიზაციის სათავე, სამყაროს ცივილიზაციის პირველი მემკვიდრე დედამიწაზე.

მეცნიერების ცალკეული დარგების აღმოცენება: მათემატიკა, ასტრონომია

ძველი შუამდინარეთის ეპოქაში მეცნიერების მრავალი დარგის საწყისებია წარმოდგენილი ცხოვრების ყოველდღიური მოთხოვნილება აუცილებელს ხდიდა, რომ ადამიანის აზროვნება უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ბუნების საიდუმლოებას და რამდენადმე მაინც შეეცნო მისი კანონზომიერებანი. ფართოდ წარმოებულმა სამიწათმოქმედო საქმიანობამ უპირველეს ყოვლისა მათემატიკური აზროვნების განვითარებას უბიძგა. შუმერებმა შექმნეს თვლის ათეული და სამოცეული სისტემები. შეიმუშავეს და პრაქტიკაში დანერგეს წილადური რიცხვების გამომხატველი ნიშნები.

ჩვენამდე მოღწეული საკმაოდ მრავალრიცხოვანი მათემატიკური ტექსტებიდან რამდენიმე ათეული წარმოადგენს მაგალითებისა და ამოცანების სასწავლო-სავარჯიშო კრებულს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იმ დროისათვის სკოლებში ჩანს, ფართოდ ასწავლიდნენ მათემატიკის საფუძვლებს, რაც ემსახურებოდა საბუღალტრო სპეციალისტების მომზადებას.

ძველ შუამდინარეთში გეომეტრიის აღმოცენება-განვითარებაც ძირითადად განაპირობებს პრაქტიკულმა

მოთხოვნილებებმა. ეს გამოიხატებოდა უმთავრესად სავარგული მიწების აზომვა-აღრიცხვის საჭიროებაში. გეომეტრია პრაქტიკულ გამოყენებას პოულობდა აგრეთვე ნავების წყალწვის გამოანგარიშების დროს ანდა სხვადასხვა ფორმისა თუ სიდიდის მქონე ჭურჭლის მოცულობის გასაგებად. შუმერებმა ბერძნებზე გაცილებით ადრე იცოდნენ და ფართოდ იყენებდნენ პითაგორას თეორემას.

შუმერული კოსმოგონიიდან განვითარდა ასტრონომიის ელემენტები. შუმერული და ბაბილონელი ქურუმები აკვირდებოდნენ ციური სხეულების მოძრაობას ზიქურათების სულ ზემო სართულზე სპეციალურად დატოვებული მოედნიდან.

სამედიცინო ცოდნისა და ფარმაკოლოგიის განვითარება

ექიმის („წყლის მცოდნე“) პროფესია შუმერში ძალზე ადრეულ ხანაში გაჩნდა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. 2700 წლისათვის ურში მოღვაწეობდა ექიმი ლულუ, ხოლო ძვ. წ. 2000წ. ურის ახლოს III დინასტიის სამეფო კარს ჰყავდა საკუთარი ექიმი-ურლუგალედინი, რომელსაც თავისი პროფესიული ბეჭედიც კი გააჩნდა. შუმერები სამედიცინო ცოდნას ღვთაება ენკის ჯილდოდ თვლიდნენ, ხოლო მედიცინის უშუალო მფარველ ქალღმერთად მიაჩნდათ ნინსურგასი.

ნიფურიდან მომდინარეობს ერთი ფირფიტა, რომელიც განეკუთვნება ძვ. წ. XXII საუკუნეს და წარმოადგენს საექიმო რეცეპტების კრებულს.

ისტორია, ფილოლოგია და იურისპრუდენცია

ისტორიოგრაფია იმ აზრით, როგორც ეს დღეს ჩვენ გვესმის, შუმერში, რა თქმა უნდა, არ არსებობდა. საერთოდ ძველი აღმოსავლეთის არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ცდა გაეაზრებინათ საკუთარი ისტორია თუნდაც დაახლოებით ისე, როგორც ეს ებრაელებთან და ბერძნებთან გვხვდება, მაგრამ ისტორიული ფაქტების წერილობითი ფიქსირების აუცილებლობას თვით ცხოვრება მოითხოვდა. მეზობელი სამეფოების ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის საჭირო იყო ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენის წერილობითი გაფორმება.

ტაძრისა და სასახლის მწერლები ყოველწლიურად ახდენდნენ სხვადასხვა ამბების ჩაწერას, რაც მათ უფრო საინტერესოდ მიაჩნდათ. არც თუ ისე იშვიათად მიმართავდნენ ზოგიერთი მეფის შესახებ არსებული ლეგენდარული და ნახევრად მითიური ცნობების ფისაციასაც.

თავისებური ისტორიული თხზულებაა, თუმცა ნახევრად ლეგენდარული, ეგრეთწოდებული „ნარამსუენის სიმღერის“ ტექსტიც. ძველი შუამდინარეთის მკვიდრთა ისტორიული აზროვნება არ გასცილებია ჩანასახოვან

ფორმებს, ასევე ჩანასახოვან ფორმებშია წარმოდგენილი იურიდიული აზროვნებაც. ურნამუდან მოყოლებული არა ერთი კანონთა კრებულია მოღწეული ჩვენამდე, მაგრამ არსად ჩანს, რომ ჰქონდათ წარმოდგენა სამართლის ზოგადი პრინციპების შესახებ.

შედარებით უკეთ განვითარდა ფილოლოგია ძველ შუამდინარეთში ორი სხვადასხვა მოდგმისა და ენის მატარებელი ხალხის. შუმერებისა და სემიტების ურთიერთმეზობლად ცხოვრებამ და მჭირდო პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა თანამშრომლობამ განაპირობა ორივე ენის შესწავლის საჭიროება, ამ მიზნით ადგენდნენ სასკოლო სახელმძღვანელოებს. პირველ რიგში კი ლურსმული ნიშნების ცხრილებს, სადაც მითითებული იყო ნიშნების როგორც შუმერული ისე აქადური წაკითხვები. შუამდინარეთელი მწერლები დიდ დროს ანდომებდნენ შუმერულ-აქადური ლექსიკონების შედგენას. ასევე ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სასწავლო სახელმძღვანელოების დანიშნულებით შედგენილ შუმერულ და აქადური ენების გრამატიკასაც. მათში ჩამოთვლილია როგორც არსებითი სახელები და ზმნები, ისე გრამატიკული ფორმატებიც: წინსართები, ბოლოსართები და ბრუნვისა თუ ზმნის უღლების ნიშნები.

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა

შუამდინარეთში არაა სამშენებლო ხე-ტყე, ამიტომ ძირითადი სამშენებლო მასალა იყო გამოუწვავი თიხის აგური და ქვა. შენდებოდა როგორც სასახლეები, ასევე, რელიგიური დანიშნულების ტაძრები - ზიკურათები. ჩვენთვის ცნობილი უძველესი ზიკურათები ძვ. წ. IV - III ათასწლეულებისაა. იგი წარმოადგენს ოთხკუთხედ, პირამიდის მსგავს კოშკს, რომლის თავზეც შენდებოდა ტაძარი. კედლები იღებებოდა შავად, თეთრად ან წითლად.

ამ დროის ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ნიშანია ტაძრების პლატფორმებზე აშენება. შესაძლოა პლატფორმა გამოიყენებოდა ტაძრის სინესტისგან დასაცავად, თუმცა ზოგი მკვლევარი მათ მიიჩნევს შუმერების მთიული წარმოშობის დამამტკიცებელ საბუთად. ასეთივე ტაძრის დამახასიათებელი ნიშანია კედლის ტეხილი ხაზები. ფანჯრები ვიწრო იყო, შენობის გასანათებლად გამოიყენებოდა სახურავში ჩატოვებული ხვრელი.

რ ე ლ ი გ ი ა

შუმერული რელიგია ჩვეულებრივი წარმართული რელიგია იყო. სხვადასხვა ღმერთები "განაგებდნენ" ბუნების სხვადასხვა ძალებს. ხდებოდა ასევე გმირების და მეფეების გაღმერთებაც. შუმერებს ჰყავდათ როგორც საყოველთაო ღმერთები, ასევე ყოველი თემი თავის

"შინაურ" ღვთაებას სცემდა თაყვანს, რომლის სახელზე აგებული ტაძარი წარმოადგენდა თემის ცენტრს. ასევე, თითოეულ ქალაქში ცენტრალური უბნის მფარველი ღვთაება ითვლებოდა მთელი ქალაქის მფარველ ღვთაებად, ხოლო მისი ტაძარი ქალაქის ცენტრალურ ტაძრად. ასეთი უბანი იყო, მაგალითად ქალაქ ლაგაშში გირსუ, მის მფარველ ღვთაებად მიიჩნევდნენ ნინგირსუს, რაც ნიშნავს:"გირსუს მეუფე". "საერთო" ღმერთები იყვნენ: ანი - ცის ღმერთი, ენკი - ოკეანის ღმერთი, ენლილი - დედა ქალღმერთი, რომლის ტაძარიც იყო ქალაქ ნიფურში, მზის და მთვარის ღმერთები და ა.შ.

ტაძრებს უშენებდნენ მხოლოდ "მთავარ" ღმერთებს. ტაძარში იყო ცენტრალური ეზო და ორი გვერდითი ეზო. ცენტრალურ ეზოში განთავსებული იყო ღვთაების გამოსახულება, საკურთხეველი და მსხვერპლშეწირვის მაგიდა. ტაძრის საკულტო საქმიანობას განაგებდა უფროსი ქურუმი, რომელსაც სანგა ეწოდებოდა. იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე სატაძრო მეურნეობას, რომელიც საკმაოდ რთულ ორგანიზაციას წარმოადგენდა.

ამ პერიოდში სახვით ხელოვნებას უმეტესად რელიგიური დანიშნულება ჰქონდა. შუმერი ფერმწერები და მოქანდაკეები აკეთებდნენ ცხოველების და ადამიანების გამოსახულებებს. როგორც წესი ცხოველებს ძალიან ცისტად ასახავდნენ, ხოლო ადამიანის

გამოსახულებაში მთავარი იყო არა ანატონიური სიზუსტე, არამედ ემოციური მდგომარეობის გადმოცემა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

დღეს ცნობილია შუმერული ლიტერატურის 150-მდე ძეგლი. მათმა დიდმა ნაწილმა მხოლოდ ფრაგმენტულად მოაღწია ჩვენამდე. ძირითადად ეს არის მითების პოეტური გადმოცემა, სასიყვარულო და რელიგიური სიმღერები, მეფეებისადმი მიძღვნილი ჰიმნები. ფართოდაა წარმოდგენილი დიდაქტიკური ნაწარმოებები. ყველაზე გავრცელებული კი მაინც რელიგიური ჰიმნები იყო.

შუმერებმა მსოფლიოში პირველებმა შექმნეს ანდაზების კრებული. აი, რამდენიმე ნიმუში მათგან: ”გარეულ ხარს გაექცა და შინაურ ძროხას დაეჯახაო”, ”ცუდად აღჭურვილ ქვეყანას მტერი მუდამ კარიბჭესთან ეყოლებაო” და სხვ.

შუმერული ლიტერატურის ყველაზე ცნობილი ძეგლია ეპოსი გილგამეშის შესახებ. ეს არის ძვ. წ. XXVII საუკუნის ურუქის მეფის გილგამეშის გმირობების შესახებ ლეგენდების კრებული, რომელიც მოგვიანებით აქადურად ითარგმნა. სწორედ ამ ეპოსში არის უთნაფიშთიმის ამბავი, რომელიც გადაურჩა წარღვნას. ეს ლეგენდა არის ბიბლიური ნოეს პროტოტიპი. ასევე ცნობილია ეპოსი სამყაროს შექმნის შესახებ "ენუმა ეფიში".

შუმერების აღმოჩენა და შესწავლა

შუმერულმა კულტურა III ათასწლეულის მიწურულს სრულიად გაითქვიფა აღმოსავლურ სემიტურ კულტურებში. ისტორიოგრაფია მაშინ ჯერ არ იყო განვითარებული. იმ დროინდელი მატეანეები კი როგორიცაა "მეფეთა სია" არაა სანდო და თანაც მალე დავიწყებულ იქნა. შუმერული ენა ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს ბაბილონშიც დაივიწყეს და ბაბილონური-ასირიული ცივილიზაციის გაქრობის შემდეგ "ამბის მომტანიც" აღარ დარჩა. ანტიკურმა ისტორიკოსებმა არაფერი არ იცოდნენ შუმერების შესახებ, ასე იქნა პირველი ცივილიზაცია მივიწყებული.

პირველად შუმერების შესახებ შეიტყვეს ასირიული ლურსმული ფირფიტებიდან XIX საუკუნეში. ასევე აღმოჩენილ იქნა უცნობ ენაზე დაწერილი ფირფიტები. ლინგვისტებმა "გამოთვალეს", რომ ეს უცნობი შუმერული ენაა და რადგან არსებობს შუმერული ენა, უნდა ეარსებათ შუმერებსაც. ამის შემდეგ არქეოლოგებმა დაიწყეს შუმერების არსებობის დამამტკიცებელი საბუთების ძებნა მესოპოტამიაში და მალე იპოვეს კიდეც. XIXს. 70-ან წლებში გათხრების შედეგად მოპოვებულ იქნა უამრავი წმინდა შუმერული ტექსტი. გაირკვა, რომ შუმერები რეალურად არსებული ხალხია და ძველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ლურსმული დამწერლობა სწორედ მათი შექმნილია.

შუმერული ქალაქ-სახელმწიფოების წარმოშობა

ადამიანის მიერ სამხრეთ შუამდინარეთის ათვისება დაიწყო ძვ. წ. VI ათასწლეულში. VI - V ათასწლეულებში აქ დასახლებული ტომები უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, რეგიონში ძალიან ცოტა იყო მიწათმოქმედებისთვის ვარგისი მიწები. მხოლოს ძვ. წ. IV ათასწლეულისთვის დაიწყეს ტომებმა გაერთიანება და ეფრატის ნაპირებზე ირიგაციული სისტემების შექმნა. საირიგაციო სისტემის შექმნამ გამოიწვია მოსავლის ზრდა და პროდუქციის დაგროვების შესაძლებლობა, რასაც თავის მხრივ მოჰყვა შრომის დიფერენციაცია და მოგვიანებით კლასების ჩამოყალიბება.

დაიწყო ასევე დასახლებების ზრდა და ქალაქების ჩამოყალიბება. ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში დიდ დასახლებებს, სადაც ტაძრებიც იყო, გალავნები შემოარტყეს, ასე წარმოიშვა პირველი ქალაქები. ტაძრები ასრულებდნენ არა მხოლოდ რელიგიური კულტის თაყვანისცემის ფუნქციას, არამედ აქ იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი და ინახებოდა მოსავლის მარაგები. დაახლოვებით ძვ. წ. 3000 - ძვ. წ. 2900 წლებში ტაძრების მეურნეობა იმდენად გართულდა, რომ საჭირო გახდა უფრო რთული აღრიცხვის სისტემის შემუშავება, რამაც განაპირობა დამწერლობის შექმნა.

ამ პერიოდისთვის დაარსებული უდიდესი შუმერული ქალაქები იყო: ერიდუ, ნიფური, ქიში, ლაგაში, ურუქი, ური და უმა.

დამწერლობამდელი პერიოდი და დამწერლობის შექმნა

შუმერებმა წერა თიხის ფილებზე ლერწმით დაიწყეს. ყოველი სიმბოლო აღნიშნავდა რაიმე საგანს, ან ამ საგანთან დაკავშირებულ ცნებას. მაგალითად სიმბოლო "ფეხები" ნიშნავდა სიარულს, მოსვლას, მოტანას, დგომას. ამრიგად გრამატიკული ფორმები დამწერლობაში არ აისახებოდა, და ეს თავდაპირველად არც იყო საჭირო, რადგან დოკუმენტებში აისახებოდა მხოლოდ ციფრები და გამოსათვლელი პროდუქტების სიმბოლოები. მხოლოდ ძვ. წ. 2400 წლისთვის მიიღო ლურსმულმა დამწერლობამ ისეთი სახე, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა ინფორმაციის სრულყოფილად გადაცემა.

ლურსმული დამწერლობით ფილა

რაც შეეხება ლურსმულ დამწერლობას, თიხის ფილაზე ძალიან რთულია სიმბოლოების ასახვა, ამიტომაც მიიღო დროთა განმავლობასი სიმბოლოებმა ის ფორმა, რომელსაც ლურსმული დამწერლობის სახით ვიცნობთ.

ლურსმული დამწერლობით შექმნილი წარწერების შესწავლამ ცხადყო, რომ ამ პერიოდში სამხრეთ შუამდინარეთში ცხროვრობდა ორი სხვადასხვა ერი, რომლებიც ორ სრულიად განსხვავებულ ენებზე საუბრობდნენ და წერდნენ, ეს იყო შუმერული ენა და აქადური ენა. შუმერული ენა არ ენათესავება არცერთ

ცნობილ ენას, ხოლო აქადური მიეკუთვნება აღმოსავლეთ სემიტურ ენებს. შესაძლოა ამ პერიოდში ცხოვრობდნენ კიდევ სხვაენოვანი ტომები, მაგრამ მათ შესახებ ცნობებმა ჩვენამდე არ მოაღწია.

მესოპოტამიური უძველესი ტექსტები (ძვ. წ. 2900 - ძვ. წ. 2500) დაწერილია მხოლოდ შუმერულ ენაზე. თუმცა ეს არ ნიშნავს რომ აღმოსავლელი სემიტები ამ პერიოდში არ ცხოვრობდნენ შუამდინარეთში, როდესაც ძვ. წ. 2350 წლამდე სამხრეთ მესოპოტამიაში უფრო გავრცელებული იყო შუმერული ენა, ცენტრალურ და ჩრდილო მესოპოტამიაში ჭარბობდნენ სემიტური ენები.

არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში შუმერებსა და სემიტებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტები არ ყოფილა, სავარაუდოდ მაშინ ხალხი ასეთი ფართო კატეგორიებით არ ხელმძღვანელობდა, ომობდნენ ერთმანეთში უფრო მცირე ერთეულები, ქალაქები და ტომები. ყველა მესოპოტამიელის თვითდასახელება იყო "შავთავიანი", შუმერულად სანგ-ნგიგა აქადურად ცალმატ-კაქადი.

ვინაიდან იმდროინდელი ისტორია ჩვენთვის უცნობია, ისტორიკოსები ხელმძღვანელობენ არქეოლოგიური პერიოდიზაციით. არქეოლოგები ასხვავებენ დამწერლობამდელ პერიოდს (ძვ. წ. 2900 - ძვ. წ. 2750), რომელიც ორ ქვეპერიოდათ იყოფა და ადრეული

დინასტიის პერიოდს (ძვ. წ. 2750 - ძვ. წ. 2310), რომელიც სამ ქვეპერიოდათ იყოფა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უძველესი ლურსმული დამწერლობა მთელ სამხრეთ მესოპოტამიაში სრულიად იდენტური იყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი სადღაც ერთ ადგილას შეიქმნა და ეს ადგილი ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ მესოპოტამიის სხვა მოსახლეებმაც გადაიღეს იქედან დამწერლობა. სავარაუდოდ ეს ქალაქ ნიფურში მოხდა. ამ ქალაქში იყო ქალღმერთ ენლილის ტაძარი, რომელსაც ყველა "შავთავიანი" სცემდა თაყვანს, თუმცა ყველა "ნომს" საკუთარი ღმერთი ყავდა. სავარაუდოდ, ნიფური სახელმწიფომდელი შუმერის რელიგიური ცენტრი იყო, ასეთივე დარჩა მოგვიანებითაც, თუმცა იგი არასდროს არ იყო პოლიტიკური ცენტრი.

ადრეული დინასტიის პერიოდი

ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს შუმერებმა შექმნეს ერთგვარი პრიმიტიული ისტორია, ე. წ. "მეფეთა სიები", ანუ იმ მეფეთა სია, ვინც მესოპოტამიის ქალაქებში მეფობდნენ. ამ სიაში მოხვდნენ არა მხოლოდ ისტორიული, არამედ მითიური პერსონაჟებიც. ამის გარდა სია ვერ დაიკვეხნიდა ვერც სიზუსტით, რადგან ზოგი მეფეები არა ერთი მეორეს მიყოლებით მეფობდნენ, არამედ პარალელურად, ზოგი კი მეფე კი არა, არამედ უმაღლესი ქურუმი იყო.

"წარღუნამდე" მეფეები საერთოდ მითიურად მიიჩნევიან, ისტორიკოსები თვლიან რომ რეალურად მხოლოდ წარღუნის შემდეგ მყოფი მეფეები არსებობდნენ. ამრიგად წარღუნის შემდეგ ქიშის პირველი დინასტიის მმართველობა ემთხვევა არქეოლოგიურ ადრეული დინასტიის პერიოდს.

ქიშის პირველი დინასტიის უკანასკნელი მეფე იყო ენ-მებარაგესი, რომლის შესახებაც ცნობილია არა მხოლოდ "მეფეთა სიიდან", არამედ მისი საკუთარი წარწერებიდანაც, არის პირველი მმართველი რომლის შესახებაც გაგვაჩნია ცნობები. იგი ომობდა ელამთან. მისი ვაჟი აგი კი ცდილობდა ქიშითვის დაემორჩილებინა ურუქი. ურუქის უხუცესთა საბჭო უკვე თანახმა იყო დამორჩილებაზე, მაგრამ სახალხო კრებამ მეფედ აირჩია გილგამეში და გადაწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა. აგამ ურუქი ვერ აიღო და საბოლოოდ იძულებული გახდა დამორჩილებოდა გილგამეშს.

გილგამეშის შესახებ მოგვიანებით შეიქმნა ლეგენდების მთელი სერია და ცნობილი ეპოსი, ამიტომ ძალიან რთულია იმის გარკვევა, თუ რა იყო ნამდვილი ისტორიული ფაქტები, რაც ისტორიულ გილგამეშს უკავშირდება და რა შეითხზა შემდეგ. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ რეალური გილგამეში მართლაც

მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, რადგან მან ასე დაამახსოვრა თავი შთამომავლებს.

გილგამეშით იწყება ადრეული დინასტიის მეორე პერიოდი. ამ პერიოდის შესახებ ცნობები ტაძრების საშემოსავლო არქივებიდან და სასწავლო ტექსტებიდან მოგვეპოვება. ამ პერიოდში შურუფაქის ტომების გაერთიანება შედიოდა სამხედრო კავშირში, რომელშიც მთავარი ურუქი იყო. ურუქში სავარაუდოდ გილგამეშის შთამომავლები მეფობდნენ.

ურუქის შემდეგ ძვ. წ. XXV საუკუნეში წამოიწია შუმერულმა ქალაქმა ურმა. არქეოლოგების მიერ ნაპოვნია არაერთი ძალიან მდიდრული სამარხი. ნაპოვნია ძვირფასი ქვები, რომლებიც ინდოეთიდან, ჩრდილოეთ ავღანეთიდან და სხვა ქვეყნებიდანაა შემოტანილი, ეს მეტყველებს ურის მმართველების სიმდიდრეზე და ვაჭრობის განვითარებაზე. ინდოეთთან ვაჭრობა სავარაუდოდ საზღვაო გზებით ხდებოდა.

ურის პირველი დინასტიით იწყება ადრეული დინასტიის უკანასკნელი პერიოდი. ურის მმართველები ცდილობდნენ დაემორჩილებინათ გარშემო მცხოვრები ნომები. ურის გარდა რეგიონში ჰეგემონიაზე პრეტენზია ჰქონდა ლაგაშს. ძვ. წ. 2400 წელს ლუგალელებმა დაამარცხეს და დაიმორჩილეს მეზობელი ქალაქი უმა, შემდეგ ლაგაშის მმართველმა ეანათუმმა დაიპყრო ქიში,

მაგრამ მისმა შთამომავლებმა ვერ შეინარჩუნეს იგი. ლაგაში ამის გარდა ურთანაც ომობდა.

შემდეგ ლაგაშის მმართველი გახდა ენენთარზი. მან ტაძრებს ჩამოართვა მიწები და სახელმწიფო მიწებს შეუერთა, რითაც დაუმორჩილა რელიგია სახელმწიფოს. ამან და სხვა უცნობმა ფაქტორებმა ლაგაშელთა უკმაყოფილება გამოიწვია და ენენთარზის შემდეგი მეფე ლუგალბანდა ჩამოაგდეს ტახტიდან. მის შემდეგ მეფედ ურუინიმგინა (დაახ. ძვ. წ. 2318 - ძვ. წ. 2310) აირჩიეს. მმართველობის მეორე წელს მან ჩაატარა რეფორმები, რომლის შესახებაც დარჩა წარწერები. მან დაუბრუნა ტაძრებს მიწები, ქურუმებს მეტი უფლებები მისცა და გააუქმა ძველი ვალები. მან დაიწყო უმასთან მორიგი ომი, რომელიც ლაგაშისთვის მძიმე აღმოჩნდა. ამ დროისთვის უმას მმართველმა ლუგალზაგესმა დაიმორჩილა მთელი ქვემო მესოპოტამია ლაგაშის გარდა. ლაგაშის დამარცხების შემდეგ მან ქიშიც დაიპყრო.

დაკრძალვისა და გარდაცვალების ტრადიციები ძველ მესოპოტამიაში

მითოლოგიაში და თეოლოგიაში ქვესკნელის ბატონად ცნობილია ნერგალი. მაგრამ იყო დრო და ეს დრო პერიოდულად მეორდებოდა, – როცა ნერგალი არ იყო ქვესკნელში, არამედ ცაში იყო დამკვიდრებული. მითოსი გვამცნობს, რომ ნერგალი იძულებით ჩავიდა ქვესკნელში, რათა პასუხი ეგო ქვესკნელის ქალბატონის,

ერეშქიგალის წინაშე მის მაცნისადმი უპატიო მოპყრობის გამო. თორემ იგი ანის კარზე, სხვა ღმერთებთან ერთად იჯდა. როცა ნერგალი ქვესკნელში ჩავიდა მან გააუქმა „მატრიარქატი“ და დედოფლის ტახტის ნაცვლად მეფის ტახტი დაამყარა. მაგრამ იგი სამარადისოდ არ რჩება ქვესკნელში, კვლავ ცაში ადის, ერეშქიგალი კვლავ დედოფლობს ერთპიროვნულად, ვიდრე კვლავ არ ესტუმრება ნერგალი და არ დაიპყრობს ტახტს. ასე გრძელდება დაუსრულებლივ.

არ მოიძებნება შუამდინარულ პანთეონში ღვთაება, რომელიც პერიოდულად ქვესკნელში არ იმყოფებოდეს, მხოლოდ ანი, ცის ღმერთი, არასოდეს ჩადის ქვესკნელში და არც ერეშქიგალი ამოდის ცაში. მათი გამმიჯნავი დიდი სვეტი „დიმ-გალ“ ისედაც აკავშირებს მათ (შდრ. ძველი ეგვიპტური გები, შუ და ნუთი). ამ სვეტს, როგორც იაკობის სიზმრისეულ კიბეს, აჰყვებიან და ჩამოჰყვებიან გამუდმებით პანთეონის ღმერთები.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში შუამდინარელები განიხილავენ სიკვდილს, არა როგორც სიცოცხლის სრულ შეწყვეტას, არამედ სრულიად ბუნებრივ გადასვლას სხვა სამყაროში, მარადიულობაში. ძველი შუამდინარელების წარმოდგენით სიკვდილის შემდეგ ადამიანი ცხოვრებას განაგრძობდა ქვესკნელში, სულის ან აჩრდილის სახით. შუამდინარელებს, იმისთვის, რომ იმ სამყაროში, თავიანთ გარდაცვლილ ნათესავებს

მშვიდად ეცხოვრათ, უნდა შეესრულებინათ ე. წ. სამგლოვიარო მსხვერპლშეწირვა (საჭმელის, სასმელის და ზეთის სახით). ქვესკნელში „ცხოვრების“ პირობები, წარმოდგენილი იყო უკიდურესად სავალალო პირობებში (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). გარდაცვლილი შუმერი ჭამდა მტვერს, ნარჩენებს და ცხოვრობდა სიბნელეში. ეს ვრცლად არის დამოწმებული შუმერულ „გილგამეშის ეპოსში“. სადაც გილგამეში ეკითხება ენქიდუს აჩრდილს (გიდიმ) ქვესკნელის შესახებ.

მხოლოდ მკვდრად დაბადებული ბავშვებისთვის და მათთვის, ვინც „თავიანთ დრომდე“ გარდაიცვალნენ გათვალისწინებული იყო მშობლების ნუგეში (ასევე გარკვეული პრივილეგიები ჰქონდათ მამებს, რომლებსაც ბევრი შვილი ჰყავდათ, ან ომში დაღუპულ გმირებს). ის, ვინც გარდაიცვალა და სათანადო სამარხში არ დამარხეს უბედურ მდგომარეობაში ვარდებოდა. ყველაზე ცუდი იყო ცეცხლში დამწვარი კაცის ბედი, რომელსაც არ ჰქონდა სხეული, რათა დაესაფლავებინათ, „მისი სული არ არის ქვესკნელში, მისი კვამლი ცაში ავიდა“. ასევე გილგამეშის ეპოსიდან ირკვევა, რომ ჩვეულებრივ, სიკვდილის შემდეგ განსვენებულს საჩუქრები უნდა გადაეცა ქვესკნელის მცხოვრებლებისათვის. ეს, პროცესი ძალიან ჰგავს ძველ ბერძენთა ტრადიციას, რომლის თანახმადაც გარდაცვლილისთვის პირში უნდა ჩაედოთ მონეტა ობოლოსი, რომელიც აჩრდილს მებორნე

ქარონისთვის უნდა გადაეხადა, რათა მდინარე სტიქსი (სიძულვილი) გადაელახა.

ძველ მესოპოტამიაში სჯეროდათ, რომ უკვდავება მხოლოდ ღმერთებისთვის იყო განკუთვნილი და სიკვდილი ადამიანისთვის გარდაუვალი იყო. არც სიკვდილის შემდეგ იყო სიცოცხლე სასიამოვნო: შუმერულ ქვესკნელში ადამიანი იკვებებოდა მტვრით, მაშინ როცა ასურულ-ბაბილონური ჯოჯოხეთი დასახლებული იყო უამრავი საშინელი დემონებით და მონსტრებით. ეს აშკარა კონტრასტს ქმნის ძველ ეგვიპტურ კონცეფციებთან, რომლის თანამხმად სიკვდილი დიდებულია, სწორედ ამან დაუდო სათავე ბალზამირებას და მუმიფიკაციას. მესოპოტამიელების პესიმიზმი, ამ მხრივ, ალბათ, წარმოიშვა შედარებით მკაცრი პირობებით, რომელიც ვლინდება მათი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში. შუმერთა ალევიური დაბლობები ხელსაყრელი იყო სამეურნეო საქმიანობისთვის, მაგრამ მათ აკლდათ თითქმის ყველანაირი ნედლეული, გარდა ბუნებრივი თიხებისა. შუმერებს ჰქონდათ ღვინის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი. ისინი მიწაში გაყვანილ თიხის მილს ავსებდნენ ღვინით, ალბათ სურდათ, რომ გარდაცვლილისთვის დასალევი მიეცათ. ეს რიტუალი მნიშვნელოვანწილად წააგავს ქართულ ტრადიციას, როცა გარდაცვლილთა საფლავზე ღვინოს ასხავენ. ყველაზე

გავრცელებული დაკრძალვის ტრადიცია შუამდინარეთში მიწაში ან სპეციალურ კანტეინერში დაკრძალვა იყო. დაკრძალვის ორიენტაცია ზოგჯერ, დამოკიდებული იყო სხვადასხვა ფაქტორებზე, მაგალითად, როგორიცაა სქესი ან ასაკი. შემლებული პირები დასაფლავებულნი იყვნენ დიდი რაოდენობოით ძვირფასეულობითა და ძვირფასი ტანსაცმლით. ბუნებრივი პირობების გამო გარდაცვლილთა ტანსაცმელი არ შემორჩენილა, მაგრამ ზოგიერთ სამარხში ნაპოვნია ქსოვილთა ფრაგმენტები, მაგალითად აბრეშუმი და თეთრეული. ნივთების გარეშე ადამიანის დამარხვა უჩვეულო არ იყო, მაგრამ უაღრესად ღარიბი ხალხიც კი ცდილობდა რაიმე ჩაეყოლებინათ გარდაცვლილისთვის, თუნდაც თიხის ქოთნები. კერამიკა ყველაზე გავრცელებული მასალაა, რომლებიც სამარხებშია აღმოჩენილი. ინსტრუმენტების და იარაღების გარდაცვლილისთვის ჩატანება, არც ერთი პერიოდისთვის არ იყო ძალიან დამახასიათებელი.

თემა მეექვსე

ძველი და ახალი ბაბილონი

იქ სადაც მდინარეები ტიგროსი და ევფრატი ყველაზე უფრო უახლოვდებინ ერთმანეთს ,აღმოცენდა პატარა ქალაქი ,რომელიც შემდეგ ისტორიაში ბაბილონის სახელით გახდა ცნობილი .აქადურ ენაზე ბაბილი ნიშნავს ”ღვთის ჭიშკარს ”, მას უწოდებდნენ ქადინგირას, რაც აქადური სახელწოდების პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს .”ბაბილონი ” ამ სახელის ბერძნული ფორმაა .

ბაბილონის ისტორია იყოფა 4 პერიოდად :

1.ძველ ბაბილონური ხანა ძვ.წ .2000 -1600 წ.წ .

2.კასიტური პერიოდი ძვ.წ .1600 -1204 წ.წ.

3.პოლიტიკური დაქვეითების ხანა ძვ .წ .1204- 626 წ.წ.

4.ახალ ბაბილონური სამეფო ძვ.წ.626 -539 წ.წ.

დავიწყოთ პირველი პერიოდის ანუ ძველიბაბილონური ხანის განხილვა . -ურის მესამედინასტიისდაცემის შემდეგ ძველი შუამდინარეთის ისტორიაში იწყება ახალი ეპოქა , რომელიც იწოდება ძველბაბილონურ ხანად. ქრონოლოგიურად იგი მოიცავს პერიოდს ძვ.წ 2000 წლიდან 1600 წლამდე ანუ ბაბილონის პირველი დინასტიის დაცემამდე, ეს არის ხანა როდესაც ერთიანი შუმერულ-აქადური სახელმწიფოს ნანგრევებზე

აღმოცენდა მრავალიპოლიტიკური ერთეული , როგორიცაა : ისინის , ლარსას , ეშნუნას , მარისა და ბაბილონის სამოფეობი. ამ სამეფოებისჩამოყალიბება განვითარებაში დიდი როლი შეასრულა დასავლეთიდან შემოჭრილმა სემიტურმა ტომების ახალმა ტალღამ , რომელიც ცნობილია ამორეველების სახელდწოდებით.

პოლიტიკური ვითარების მიხედვით ეს არის პერიოდი ურთიერთ ბრძოლისა. ცალკეულ სამეფოებს გამუდმებული ბრძოლაჰ ქონდათ პირველობისთვის. მეოცე-მეთვრამეტე საუკუნეების მანძილზე სამხეთ შუამდინარეთის პოლიტიკურ

ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ისინისა და ლარსას სამეფოები. ამის გამო ძველ ბაბილონურ ხანაში ჩვეულებრივ ცალკე გამოყოფენ ისინისა და ლარსას ეპოქას. 18 -17 საუკუნეები შეგვიძლია მივიჩნიოთ ბაბილონურ ხანად, რამდენადაც ამდროს განსაკუთრებით გაძლიერდა ბაბილონის სამეფო , რომლის ძლიერი მეფის ხამურაბის ხელქვეით გაერთიანა და მთელი სამხრეთ შუამდინარეთი. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით ეს ორი ეპოქა არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ამდენად სავსებით გამართულად მიგვაჩნია ძველი შუამდინარეთის ისტორიისა მნიშვნელოვან მონაკვეთს ვუწოდოთ ძველბაბილონური ხანა , რამდენადაც ეპოქისდამახასიათებლებმა სოციალურ-ეკონოკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა მომენტმა დასრულებული სახე მიიღო სწორედ ბაბილონის სამეფოს ზეობის დროს, კერძოდ კი ხამურაბის მეფობისას (1792-1750)

ძველბაბილონური ხანა ხასიათდება ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო მეორნეობის დაშლითა და კერძო მეურნეობის განვითარებით. საზოგადოების საკმაოდ რთული ეკონომიკური სტრუქტურისა და ამის საფუძველზე აღმოცენებული ფენების და კლასების ურთიერთობა მოითხოვდა იურიდიული ნორმების სისტემატიზაციას. ამიტომაც ვითარდება სახელმწიფოს საკანომდებლო საქმიანობა, რის შედეგადაც შეიქმნა არა ერთი მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლი.

ბაბილონისაღზევება . ხამურაბი შუამდინარეთის ცენტრალურ თუ განაპირა ოლქებში მდებარე წვრილ პოლიტიკურ ერთეულთაშორის პირველობისთვის წარმოებულ ბრძოლაში 18 საუკუნეში აქტიურად ებმება შუაევრფრატზე მდებარე ქალაქი ბაბილონიც , რომელმაც დიდ სიძლიერეს მიაღწია ბაბილონის 1პირველი ამორეული დინასტიის მეექვსე წარმომადგენლის ხამურაბის დროს.მე-19 საუკუნის

დასაწყისში შუამდინარეთში შემოიჭრნენ ამორეველთა ტომების ახალი ტალღების სამუაბუმის მეთაურობით. 1895 წელს ამ უკანასკნელმა ხელში ჩაიგდო ისინის სამეფოს ჩრდილოეთი , რომლის ცენტრი გახდა ქალაქი ბაბილონი, ამორეველთა დინასტიის პირველი წარმომადგენლები არც ,თუ ისე ხშირად გამოდიოდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე, ისინი ძირითადად სააღმშენებლო საქმიანობას მისდევდნენ. ამ დროისთვის ბაბილონის გაძლიერებისთვის არ იყო შექმნილი სათანადო პოლიტიკური ვითარება შუამდინარეთში. მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ ელამელები , რომლებმაც მოიპოვეს ბატონობა სამხრეთ შუამდინარეთზე. მათი დასაყრდენი პუნტქი გახდა ლარსა , სადაც მეფობდნენ ელამელი უფლისწულები რიმსუენი და ვარადსუენი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული , ბაბილონის პირველი დინასტიის ერთ-ერთ იმ მეფე სინმუბალიტი .ელამელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდიოდა ისინის სამეფოს მხარეზე , მაგრამ ეს უკანანასკნელი მალე მოექცა რიმსუენის გამგებლობაში. მალე სინმუბალიტიც(1812-1793) იძულებული შეიქნა ეცნო ელამელების უზენაესობა რიმსუენის სახით. ამავე პერიოდს ემთხვევა ჩრდილო შუამდინარეთის ქალაქ აშურში ამორეველთა ერთ-ერთი დინასტიის წარმომადგენლის შამშიადად პირველის გაძლიერებაც, მან თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა მთელი ჩრდილო

შუამდინარეთი და მიაღწია იმასაც , რომ დაიპყრო ქალაქი ეშნუნა , ხოლო დასავლეთით ევფრატის ოლქები. მან ქალაქ მარში მეფედ დასვა თავისი ვაჟი იასმახადადი. ასეთ რთულ ვითარებაში ბაბილონის ტახტი მემკვიდრეობით მიიღო სინმუბალიტის შვილმა ხამურაბიმ (1792-1750) , თავისი მეფობის პირველ ხანებში იგი იძულებული იყო ეცნო რიმსუენის უზენაესობა. შექმნილი რთულ პოლიტიკურ ვითარებაში არ იყო საკმარისი მარტო სამხედრო ძალაზე დაყრდნობა. საჭირო იყო ფრთხილი დიპლომატიური სვლებიც. ხამურაბს ჰქონდა საკმარისი ენერგია და ნიჭი რომ შეექმნა კარგი არმიაც და ასევე არ გაეწყვიტა დიპლომატიური კავშირი ჩრდილოელ მეზობლებთან. კერძოდ კი მარის მმართველთან , რათა შესაძლებლობა ჰქონოდა მის მხარდამხარ გამოსულიყო მომავალში სამხრეთ შუამდინარეთში გაბატონებული საერთო მტრის წინააღმდეგ. ამავე დროს მან მოჩვენებითი მეგობრობაც კი დაამყარა ლარსას მეფე რიმსუენთან , რომლის დახმარებითაც თავის მეფობის მე-7 წელს დაიპყრო ქალაქი ურუქი , ური და ისინი. ადგილობრივი მოსახლეობის გადაბირების მიზნით , მან დაპყრობილ ტერიტორიებზე ჩაატარა გრანდიოზული სამეურნეო სამუშაოები, რაც მთავარია გაიყვანა დიდი სარწყავი არხი , რომელსაც უწოდეს ”ხამურაბის სიმდიდრე.”ამის შემდეგ მან ყურადღება მიაქცია სამხრეთ შუამდინარეთის

ჩრდილოეთით მდებარე ოლქების შემომტკიცების საკითხს, რათა ამით შეექმნა მტკიცე ბარიერი შიმშიად პირველისა და მისი მოკავშირე ტომების შემოტევის წინააღმდეგ .

შიმშიად პირველის გარდაცვალების შემდეგ 1783 წელს, ხამურაბის აქტიურად ჩაება მარის საშინაო საქმეებში. მისი დახმარებით სამეფო ტახტი დაიკავა ადგილობრივი დინასტიის წარმომადგენელმა ზიმრილიმმა. ამით ხამურაბიმ ორი საქმე გააკეთა, თავიდან მოიცილა მისთვის არასასურველი , ძლიერი ზურგის მქონე მმართველი იასმახადადი და მეგობრად გაიხადა ახალი მეფე. ზიმრილიმთან მიმოწერაში ხამურაბი მას ძმადმოიხსენიებს და ჰპირდება ყოველგვარ დახმარებას სამეფოს საშინაო თუ საგარეო საქმეების გადაწყვეტისას , ამდახმარებით , როგორც ავღნიშნეთ , მარის სამეფო დიდად გაძლიერდა , რის შედეგადაც საბოლოოდ აღიკვეთა დასავლეთიდან მომთაბარე ტომების შემოსევები. ამით უშიშარი და დაცული გახდა ბაბილონის სამეფოს დასავლეთ საზღვარი. ხამურაბი ძალზე უფრთხილდებოდა ზიმრილიმთან მეგობრულ ურთიერთობას. მეფობის 30-ე წელს , ზიმრილიმთან შეთანხმებით და მისივე დახმარებით , ხამურაბიმ გაილაშქრა შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე ოლქების წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ სუბართუს საერთო სახელწოდება ჰქონდა. ამ ოპერაციის

მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ეშნუნას დაპყრობა , რომელიც მდებარეობდა ელამის დასავლეთ ოლქების უშუალო სიახლოვეს. ამ დროს მან პირველი დარტყმა აგემა ეშნუნას დასახმარებლად მოსულ ელამის ლაშქარსაც.

ჩრდილოეთ შუამდინარეთში გამაგრებას სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, როგორც ბაბილონის ასევე მარის სახელმწიფოსთვის. ამიერიდან დაცული იყო ჩრდილოეთის საზღვარი ზაგროსის მთიანეთში მცხოვრების ტომებისაგან. ამ მხრიდან სამხრეთ შუამდინარეთში შემოჰქონდათ მეტალი და ხე-ტყე. ამ ოლქზე გადიოდა სავაჭრო-საქარავანო გზები , რომლებიც მიემართებოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთით მცირე აზიისაკენ, აღმოსავლეთიდან კი დასავლეთისკენ ხმელთაშუაზღვის სანაპიროებამდე.

1761 წელს ხამურაბიმ გაილაშქრა რიმსუენის წინააღმდეგ. ლაშქრობა როგორც ჩანს ხამურაბის გამარჯვებით დასრულდა და მან ხელში ჩაიგდო ლარსას სამეფო და მთელი სამხრეთ შუამდინარეთი.

მეზობელი მეფის ასეთი გაძლიერება კარგს არაფერს უქადდა მარის სამეფოს. ადრე თუ გვიან იგი იძულებული გახდებოდა დამორჩილებოდა ბაბილონის მეფეს. 32-ე წელს ხამურაბი შეიჭრა მარის სამეფოში, დაიპყრო მარი და მისი მოკავშირე ოლქები . როგორც ჩანს ბოლომდე არ დაემორჩილა ზიმრილიმი ხამურაბს

და ხამურაბმა მეფობის 35 წელს სადამსჯელო ექსპედიცია გაგზავნა მარის სამეფოში , რომლის შედეგადაც იავარქმნა მთელი მარის სამეფო. ამის შემდგომ შემოიმტკიცა ეშნუნა და აშურიცკი. ბაბილონის ჰეგემონიით კვლავ გაერთიანდა შუამდინარეთის უდიდესი ნაწილი .

ძველბაბილონური სამართლის ძეგლი .

ძველბაბილონური საზოგადოებისთვის დამახსიათებელი სოციალურ- ეკონომიკური ურთიერთობების შესასწავლად ჩვენ განკარგულებაშია წერილობითი წყაროების ორი ჯგუფი :1.იურიდიული დოკუმენტები - კანონები ,,კერძო ხელშეკრულებები 2.ოფიციალური მიმოწერის საბუთები და კერძო პირთა საბუთები .ძველაღმოსავლური იურიდიული აზროვნების მწვევალს წარმოადგენს ხამურაბის კანონები ,რომელიც შედგენილი უნდა იყოს მისი მეფობის მეორე ნახევარში ძვ.წ .18 საუკუნის 60- 50 -იან წლებში .კანონები დაწერილია შავი ბაზალტის ქვის დიდ სვეტზე რომელიც თავის დროზე ინახებოდა ბაბილონში ,საიდანაც იგი გაიტაცეს ელამელებმა სამხრეთ შუამდინარეთზე ლაშქრობის დროს ძვ.წ.12 საუკუნეში .იგი აღმოჩენილ იქნა 1901 წლის ბოლოს სუზაში საფრანგეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებული გათხრების დროს .

ხამურაბის კანონები ბაზალტის ქვაზე .

სვეტის ზემო ნაწილზე გამოსახულია კანონმდებელი მეფე ღვთაება შამაშის წინ მდგომარე .სვეტის მთელი დანარჩენი ნაწილი წინა და უკანა მხარეზე დაფარულია ლურსმული ტექსტით ,რომელიც იყოფა სამ ძირითად ნაწილად :შესავალი ,ძირითადი ტექსტი - კანონთა მუხლები და დასკვნა.

შესავალში ვრცლადაა საუბარი ხამურაბის დამსახურებაზე ბაბილონის მოსახლეობის წინაშე .მეფე სიამაყით აღნიშნავს ,რომ დიდმა ღმერთებმა მოუწოდეს მას იმისთვის , რომ ”ქვეყნად ბრწყინავდეს სამართლიანობა ,რათა ძლიერმა არ შეავიწროოს სუსტი ”.შესავალს უშუალოდ მოსდევს კანონთა მუხლები

,რომლებიც დაუზიანებლადაა მოღწეული .გადაშლილია სვეტის წინა მხარეზე მხოლოდ უკანასკნელი 7 სვეტი ,რომელიც შეიცავდა დაახლოებით 35 მუხლს .ეს ,უნდა ვიფიქროთ რომელიღაც ელამელი მმართველის ნახელავია ,რომელსაც ,ალბათ ,უნდოდა გადაფხეკილ ადგილზე თავისი სახელის წარწერა ,მაგრამ ეს რატომღაც ვეღარ მოუსწრია .სამხრეთ შუამდინარეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა თიხის ფირფიტებზე დაწერილი ხამურაბის კანონების ცალკეული მუხლების, მათ შორის გადაშლილებიც .ამის წყალობით აღადგინეს ზოგიერთ უცნობი მუხლიც და გაირკვა რომ ხამურაბის კანონები შეიცავდა 282 მუხლს .დასკვნით ნაწილში მეფე წყევლით ემუქრება ყვალა იმას ვინც გადაშლის კანონებს ,შეცვლის მათ ან აიძულებს სხვას მსგავსი მოქმედებისათვის .

”ხამურაბის კანონების ” ნაწილი .

- დაუმტკიცებს, ბრალმდებელისიკვდილითდაისჯება.
- თუერთიმეორესბრალსდასდებსდადაამტკიცებსმას, ბრალმდებელიფულითუნდადასაჩუქრდეს.
- თუმოსამართლეგადაწყვეტილებასმიიღებს, მაგრამმოგვიანებითგაირკვევა, რომისმცდარიიყო, მანთორმეტჯერმეტიუნდაგადაიხადოსვიდრებრალდებულმ ადამოსამართლისუფლებასსამუდამოდდაჰკარგავს.

• თუერთიმეორისვაჟსმოიპარავს, მასმოკლავენდადამარხავენრიტუალისგარეშე.

• თუვინმეგაპარულმონასიპოვისდამასპატრონსმოუყვანს, პატრონმამპოვნელსორიშეკელიუნდაგადაუხადოს.

• თუქურდიმოპარვისასდაიჭირეს, ისსიკვდილითუნდადაისაჯოს.

• თუმავანიარხსარმოუვლისდაარხიგაირღვევა, ისფულზეგაიყიდება, რათაამფულითანაზღაურდესწყლითგაფუჭებულიმარცვლეულისსაზღაური.

• თუმავანიმეზობლისსახნავ-სათესსდატბორავს, მაშინმანუნდაიწვნიოსდანაკლისი.

• თუმავანისაკუთარბაღსმებაღესმისცემსმოსავლელადდამებაღეოთხიწლისგანმავლობაშისამსახურსპირნათლადშეასრულებს, მეხუთეწელსმფლობელიმებაღეობაშითავადაცუნდადასაქმედეს.

• თუმებაღესაკუთარსაქმესპირნათლადვერშეასრულებს, მანუნდადაფაროსდანაკლისიზარალიანწელიწადსმეზობლისმოსავლისრაოდენობისმიხედვით.

• თუმავანივალშიჩავარდადამასვერიხდის, მაშინმანსაკუთარითავი, მეუღლე, ვაჟიდაქალიშვილიუნდაგაჰყიდოს; სამწელიწადშიისინიუნდაგათავისუფლდნენ.

• თუმავანივალისსანაცვლოდმონასგაჰყიდის, ესეცმისაღებია, დასაშვებია.

• თუმავანიქალსშეირთავს, მაგრამმასთანკავშირიარააქვს, ამგვარიქორწინებაგაბათილდება.

• თუგათხოვილიქალიმრუშობს, ისიცდამისისაყვარელიცუნდაშეიპყრონდაწყალშიჩაყარონ, მაგრამცოლსშეიძლებასასჯელიმოეხსნას, თუქმარიმასმეფესაჩუქებს, როგორცმონას.

• თუმამაკაციიძალადებსსხვაკაცისქალზე , მოძალადესსიკვდილითდასჯიან, ქალიკიუდანაშაულოიქნება.

• თუმამაკაციომშიტყვედაიყვანეს, ხოლოქალისახლსმიატოვებსსაჭმლისსიუხვისმიუხედავად, ესქალიწყალშიუნდაგადაიგდოს.

• თუმამაკაციომშიტყვედაიყვანესდაშინსაჭმელიარარის, მაშინცოლითავისუფლდებასხვასახლშიწასასვლელად.

• თუმამაკაციშინიდანგაიქცევა, ხოლოცოლისხვასახლშიგადავა, თუქმარიმოგვიანებითდაბრუნდა, ცოლიარარისვალდებულიდაბრუნდეს.

• თუმამაკაციგაყრასმოინდომებსცოლთან, რომელსაცმისგანშვილებიჰყავს, მაშინმამაკაცისმიწისადაფულისნაწილიცოლსუნდაგადაეცეს.

როცაშვილებიგაიზრდებიან,
ცოლიშეიძლებახელმეორედგათხოვდეს.

• თუმამაკაციგაყრასმოინდომებსქალთან,
რომელსაცმისგანშვილებიარჰყავს,
მაშინმამაკაცმაქალსუნდადაუბრუნოსმზითევიდაფული,
რომელიცქალმამამისოჯახიდანმოიტანა.

• თუმამაკაცივაჟსიშვილებსდავაჟიმშვილებლისოჯახში
გაიზრდება,
ვაჟისნამდვილმშობელსარააქვსუფლებამისიდაბრუნებამოი
თხოვოს.

• თუმავანიგაარტყამსმამაკაცს,
რომლისრანგიმისაზემაღალია, მაშინმას 60
როზგიუნდამოხვდესსაჯაროდ.

• თუმავანიგაარტყამსმამაკაცსიმავერანგით,
მანერთიოქროსმინაუნდაგადაუხადოს.

• თუმონაგაარტყამსმისმფლობელს,
მონასყურიმოეჭრება.

• თუმამაკაციორსულქალსგაარტყამსდაამისგამოქალსმ
უცელიმოეშლება, მამაკაცმამას 10
შეკელიუნდაგადაუხადოს.

• თუმავანიმასზედაბალირანგისმამაკაცსგაარტყამს,
მაშინდაზარალებულმაიგივეზიანიუნდამიაყენოსმას.

• თუმშენებელისახლსააგებსსაგულდაგულოდ,
მფლობელმასახლისყოველიზედაპირისთვისმას 2
შეკელიუნდაუზღოს.

• თუმშენებელიკარგადვერააშენებსდაშენობადაინგრევ
ა, იგიმოკლულიქნება.

• თუმფლობელისვაჟიმოკვდება,
მშენებლისვაჟსმოკლავენ.

• თუმავანისახლისკედელსგაანგრევსმისგასაძარცვადდ
ამასდაიჭერენ, სასჯელისსახითმასკედელშიჩააშენებენ.

• თუვაჟიშვილიდედასხელსგაარტყამს,
მასხელებსმოჭკვეთენ.

• თუვაჟიშვილიიტყვისრომმისიდედაანმისიმამამისიმშ
ობელიარაა,მასენასმოჭკვეთენ.

'სოციალური მდგომარეობა ძველ ბაბილონში .''

ხამურაბის დროინდელი საზოგადოება შეიძლება გავყოთ თავისუფალ და არათავისუფალ ნაწილებად .თავისუფალთა კლასი იყოფა ორ მთავარ ჯგუფად :1.სრულუფლებიანი მესაკუთრე რომელსაც ხამურაბის კანონები იცნობს ზოგადი ტერმინიტ -ავილუმით -''კაცი ''და 2 .არამესაკუთრე და არასრულუფლებიანი ,მუშქენუმი -''თაყვანისმცემელი ''. რაც შეეხება საზოგადოები უუფლებო ნაწილს ,მას შეადგენენ მონები - ვარდუმი ,რომელსაც არამცთუ არავითარი საკუთრება არ გააჩნდათ ,არამედ ,პირიქით ,თვიტონვე წარმოადგენდნენ მეფის ,ტაძრის ან ცალკეული პირების საკუთრებას .განვიხილოთ უფრო დაწვრილებით მოსახლეობის ეს ორი კატეგორია .

ძველ ბაბილონურ ხანაში ავილუმთა სოციალური ფენა აერთიანებს არამარტო მსხვილ მიწათმფლობელებს ,მონათმფლობელებსა და მსხვილ ვაჭრებს არამედ წვრილ მწარმოებლებსაც .

საზოგადოების თავისუფალთა კლასს ავილუმებთან ერთად შეადგენდნენ მუშქენუმებიც ანუ როგორც ”თაყვანისმცემელი ,მორჩილი ”.ეს არის ადგილობრივი მცხოვრები ,რომელიც იმყოფება მეფის სამსახურში და სარგებლობს სახელმწიფო მიწის ნაკვეთით რაც გადაეცემა მას სამსახურის პირობით .

ძველბაბილონური ეპოქის დროინდელ ძეგლებში სადც კი იხსენიება მუშქენუმი არსად არაა მითითებული ,რომ მას ჰქონდა საკუთარი მიწის ნაკვეთი .ეს მეტად ნიშანდობლივი გარემოებაა .იგი ,როგორც მეფის სამსახურში მყოფი პირი მხოლოდ სარგებლობს ბოძებული მიწის ნაკვეთით ,რომელიც მიოს მფლობელობაშია სამსახურის პირობით.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინება იძლევა საშუალებას მუშქენუმი მივიჩნიოთ საზოგადოების ნახევრადთავისუფალ და არამესაკუთრეთა ფენის წარმომადგენლად .იგი მონათმფლობელთა კლასს ეკუთვნის ,მაგრამ თავისი სოციალური ა ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით გაცილებით დაბლა დგას ავილუმთან შედარებით .

”მონები და მათი უფლებები ძველ ბაბილონში.”

ძველბაბილონური საზოგადოების უუფლებო და ექსპლუატირებულ ნაწილს წარმოადგენდნენ მონები .ხამურაბის დროინდელი ბაბილონის სამეფო გამუდმებულ ომებს აწარმოებდა ქვეყნის გაფართოებისათვის .ყოველ ლაშქრობას თან ახლდა სამხედრო ტყვეების შემოყვანა რომელთა უმრავლესობას მონებად აქცევდნენ.

მონებს იძენდნენ ყიდვის გზითაც ,როგორც ქვეყნის შიგნით ისე ვაჭრობის მეშვეობით მეზობელ ქვეყნებშიც .მონები ბაბილონში იაფად ფასობდა .ხამურაბის კანონებში მონების ფასად 20 სიკლია მიჩნეული . ცალკე უნდა გამოვყოთ თავისუფალი პირის მონად გადაქცევის შემთხვევები ,როგორც სასჯელი ერთ-ერთი ფორმა .ასევე მონობის ერთ-ერთი წყარო იყო მემკვიდრეობითი მონობა .მხევლისაგან შეძენილი შვილები მონებად ითვლებოდნენ და მხოლოდ მაშინ მიიღებდნენ თავისუფლებას ,თუ მამა -სრულუფლებიანი მოქალაქე- სპეციალურად დააკანონებდა მას .ხამურაბის კანონების მიხედვით ,თავისუფალი ქალისა და მონის ქორწინების შედეგად გაჩენილი შთამომავლობა თავისუფლად ითვლევოდა .მონათა ქორწინება არ რეგისტრირდებოდა და ,იგულისხმება ასეთ შემთხვევაში შობილი შვილები მონებად რჩებოდნენ.

სამხედრო ძალა ძველ ბაბილონში .

რამდენადაც ბაბილონის სამეფოს სიძლიერე დამყარებული იყო სამხედრო ძალაზე ,ამდენად გასაგებია ის დიდი ზრუნვა რასც მეფე იჩენდა მეომრებისათვის. მეომრებს ეძლეოდათ ნაკვეთები ინდივიდუალურად .ნაკვეთის ფართობი შეადგენდა 6 -15 ჰექტარს .ამ პერიოდში კანონმდებლის მიზანი იყო :დაეცვა მეომრის ქონება კერძო პირთა ხელში გადასვლისაგან და ,რაც მთავარია თავიდან აეცილებინა მეფისთვის ამ მიწების დაკარგვის შესაძლებლობა .ძველბაბილონურ ხანაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წყალს რომელსაც იმ პერიოდში მეფე განაგებდა .

''სასამართლო რეფორმა ძველ ბაბილონში ''

ხამურაბის დროს გატარდა სასმართლო რეფორმა .ადრე არსებული სათემო -სატაძრო სასამართლოების ნაცვლად დაარსდა ადგილებზე მეფის მოსამართლეებისაგან შემდგარი კოლეგიური სასამართლოები ,რომლის უფროსებადაც ინიშნებოდნენ - რაბიანუმები ან მეფის მოადგილეები .სასამართლო კოლეგია გამოიყოფოდა თემის უხუცესთა საბჭოსაგან ან მოქმედებდა მისგან დამოუკიდებლად .დიდ ქალაქებში ხამურაბის დროს დაინიშნა უშუალოდ მეფისადმი დაქვემდებარებული მოსამართლეები ,რომლებიც მოქმედებდნენ მეფის დადგენილების მიხედვით .მათი გადაწყვეტილება საბოლოო იყო . ამ დროისათვის ჯერ კიდევ მოქმედებდა სატაძრო სასამართლოები ,მაგრამ

მათი ფუნქციები განისაზღვრებოდა მარტოოდენ ღვთაებათა გამოსახულების წინაშე მოპირდაპირე მხარეების დაფიცებით /

უმაღლესი მოსამართლე კი მეფე იყო .მასთან ასაჩივრებნენ ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებებს ,ჩიოდნენ მოხელეების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე ,მიმართვდნენ უმნიშვნელოვანეს საქმეებზე.

''ძველბაბილონური ხანის უკანასკნელი პერიოდი''

ხამურაბი თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში აწარმოებდა დიდ სამშენებლო სამუშაოებს სამეფოს ჩრდილოეთი დ ჩრდილო აღმოსავლეთი საზღვრის გამაგრებისათვის .იგი გარდაიცვალა მეფობის 42 წელს .ტახტზე ავიდა მისი შვილი სამსუილუნა ,რომელიც ბაბილონის პირველი დინასტიის მეფეთა სიის მონაცემების მიხედვით მეფობდა 28წელს .პირველ ხანებში იგი სამშენებლო საქმიანობით იყო გართული .მის დროს გაყვანილ იქნა ორი დიდი სარწყავი არხი .აშენდა ტაძრები .სამსუილუნას ეს მშვიდობიანი საქმიანობა ხნმოკლე გამოდგა მისი მეფობის 19 -ე წელსბაბილონის სამეფოს შემოუტიეს კასიტებმა .სამსუილუნამ შეძლო მოეგერიებინა კასიტების პირველი დარტყმები და შეენარჩუნებინა სამეფოს მთლიანი ტერიტორია .

ძვ .წ 16 საუკუნის 90-იან წლებში კასიტები საბოლოოდ გაბატონდნენ ,როგორც ბაბილონში ,ისე მთელ სამხრეთ შუამდინარეთზე .ბაბილონის ოდესღაც ძლიერ სამეფოში დამყარდა კასიტების ბატონობა ,რომელიც 5 საუკუნეს გაგრძელდა .ამ პერიოდში ბაბილონი საკმაოდ სუსტ ქვეყანას წარმოადგენდა .

ასიტური ეპოქა

ხამურაბის გარდაცვალების შემდეგ ბაბილონეთი სწრაფად დაქვეითდა. მის მემკვიდრეებს გამუდმებული თავდაცვითი ომები უხდებოდათ **ელამის**, **კასიტებისა** და სხვების წინააღმდეგ, რომელთა შემოსევებიც დამთავრდა სამხრეთ შუამდინარეთში კასიტების სრული გაბატონებით **(ძვ. წ. XVI საუკუნე).** აღსანიშნავია რამდენიმე კასიტი მეფის მოღვაწეობა. **აგუმ II, ბურნაბურიაშ I, ქურიგალზე I და ქადაშმან-ენლილ I** აქტიურად აფართოებდნენ ბაბილონეთის ტერიტორიას, უმთავრესად ჩრდილოეთით. კასიტმა მეფეებმა გააერთიანეს **შუმერი** და **აქადი**. ქვეყანა კვლავ გაძლიერდა. **აქადური ენა** იმდროინდელი აღმოსავლეთის სამყაროს დიპლომატიური ენა გახდა. ბაბილონეთსა და **ეგვიპტეს** შორის ცხოველი სავაჭრო და დიპლატიური ურთიერთობა დამყარდა. ეგვიპტიდან შემოჰქონდათ **ოქრო**. კასიტურ ხანაში დაიწყო მიწათმფლობელობის ახალი ფორმის გავრცელება. სასახლესთან დაახლოებულ პირებს მეფე აძლევდა მიწის ნაკვეთებს და საგანგებო

საბუთით უმტკიცებდა მასზე ხელშეუვალობის უფლებას. ამ საბუთის ტექსტს აწერდნენ ნაკვეთებში დადგმულ სამიჯნე ქვებზე - ქუდურეებზე. ასეთი ნაკვეთები მემკვიდრეობით გადადიოდა. ეს აძლიერებდა მიწათმფლობელებს და ასუსტებდა მეფის ხელისუფლებას. განვითარდა **მეცხოველეობა**, განსაკუთრებით **მეცხენეობა**. განვითარდა აგრეთვე ვაჭრობა. აღებ-მიცემობაში ფულის ფუნქციას ასრულებდა ოქროსა და ვერცხლის ზოდები, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა მაინც ნატურალურ გაცვლა-გამოცვლას ეჭირა. ამავე დროს გაძლიერდა **მითანის**, **ასურეთისა** და **ხეთების** სამეფოები.

პოლიტიკური დაქვეითების ხანა [ბაბილონეთი და ასურეთი **VII - VI** საუკუნეებში

კასიტურ მმართველებს თავდაპირველად კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ასურეთთან, მაგრამ **ძვ. წ. XIV საუკუნიდან** მათი ურთიერთობა დაიძაბა, ხოლო **ძვ. წ. XIII საუკუნეში** ასურეთმა აგრესიული მოქმედება დაიწყო და ბაბილონეთის ტერიტორიის ნაწილი მიიტაცა. **ქადაშმან-ენლილ II** შეუკავშირდა ხეთების მეფე **ხათუსილ III**-ს, მაგრამ ვერც ამან დაიცვა ბაბილონეთი ასურეთის ახალი ექსპანსიისაგან. ასურეთის მეფემ **თურქულთი-ნინირტა I**-მა დალაშქრა ქვეყანა და დაანგრია ბაბილონი. ამავე პერიოდში დაეცა **ხეთების სამეფო** და კვლავ დაიწყო კასიტური ბაბილონეთის აღორძინება (განსაკუთრებით **ძვ.**

წ. XII საუკუნის დასაწყისში). **ძვ. წ. 1155** წელს ელამელებმა დაარბიეს ბაბილონეთი და დაამხვეს კასიტების ძალაუფლება. ქვეყანა სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი წარმოშობის, ე. წ. **ისინის II დინასტიის** პირველი მეფე **ნაბუქოდონოსორ I** (**ძვ. წ. 1146 - ძვ. წ. 1123**), რომელმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ელამელებთან და ასურელებთან ბრძოლაში. იგი შეეცადა აგრეთვე დაეპყრო **სირია**.

ახალ ბაბილონური ხანა

ძვ.წ. 7 საუკუნის დასასრულს შუამდინარეთში კვლავ ბაბილონის ჰეგემონობით იქმნება კვლავ ე.წ.ბაბილონის ახალი სამეფო .ბაბილონის ახალ სამეფოს ქალდეევურ ბაბილონსაც უწოდებენ ,რადგან მის შექმნაში და შემდგომ მთელი არსებობის მანძილზე დიდ როლს ასრულებდნენ სპარსეთის ყურის პირას ,ჯერ კიდევ 2 ათასწლეულში არაბეთიდან მოსული სემიტური ტომები ,ქალდეველები .

გვიან ბაბილონის ნამდვილ მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა 19 საუკუნის 90-იან წლებში ,როცა იქ სისტემატიური არქეოლოგიური გათხრები დაიწყო გერმანიის ექსპედიციამ რ.კოლდეევეის ხელმძღვანელობით .მისი აღმოჩენები შუქს ჰფენს ბაბილონის დიდებულ წარსულს .მან აღმოაჩინა მრავალი ლურსმული წარწერა .

ცალკე დგას კიდევ ერთი საინტერესო წყარო ახალი ბაბილონის ისტორიის შესწავლისათვის –ბიბლია

.განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ წინასწარმეტყველ –იერემიას ,იეზეკიელისა და დანიელის წიგნები .

ანტიკური ავტორებიდან თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა ჰეროდოტეს ცნობები ბაბილონზე .

ასურეთის ძლიერების ხანაში ბაბილონმა რამდენჯერმე წამოიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის .ყველაზე ხანგრძლივი და შეუპოვარი მათ შორის იყო მარდუქაფალიდინის ხელმძღვანელობით წარმოებული ბრძოლები ძვ.წ.8 საუკუნის ბოლო ათეულ წლებში .ამ ბრძოლაში ბაბილონის მთავარი მოკავშირე იყო ელამი .ასურეთის მეფის სარგონ 2 დროს როცა მან დაამარცხა მარდუქაფალიდინი ,ბაბილონს დამოუკიდებლობა მიენიჭა თვითმმართველობით მაგრამ ბაბილონელები ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ ასურელ მეფეთა პოლიტიკას .ბაბილონმა კვლავ წამოიწყო აჯანყება, მაგრამ ძვ.წ.689 წელს დამარცხდა სინაქერიბის წინააღმდეგ ამავე დროს დამარცხდა ბაბილონის მოკავშირე ელამიც .ამის შემდეგაც მიმდინარეობდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლები ,მაგრამ ხელსაყრელი დრო მაშინ დადგა როცა 614 წელს ასური დაეცა ამ დროს ტახტზე იყო მეფე ნაბუფასალარი .ძვ.წ.604 წელს გარდაიცვალა ნაბუფასალარი და ტახტი დაიჭირა მისმა ძემ ნაბუქოდონოსორმა .

ძვ.წ.587 წელს ნაბუქოდონოსორმა აიღო იერუსალიმი .ქალაქი უდაბნოდ გადააქცია ,გაძარცვა დაწვა და და ასე მოუღო ბოლო იუდეველთა სამეფოს .ათასობით იუდეველი გადაასახლა ბაბილონში .სულ იუდეიდან დეპორტირებულ იქნა მოსახლეობის ოცი პროცენტი .

ძვ.წ. 574 წელს ნაბუქოდონოსორმა ტვიროსის დაპყრობაც მოინდომა ,მაგრამ სწორედ ამ წელსვე ზავი დადო ტვიროსის მეფე ითობალთან .

ნაბუქოდონოსორის მეფობა მეტად ნაყოფიერი იყო .მან დიდი სამშენებლო საქმიანობა გააჩაღა .განსაკუთრებით ზრუნავდა იგი მთავარიღმერთის მარდუქის ტაძარზე.ნაბუქოდონოსორი გარდაიცვალა ძვ.წ 562 წელს .ტახტძე ავიდა უკანასკნელი მონარქი ნაბოდინი .

ნაბოდინის დროს დაიწყო სერიოზული უთანხმოება სპარსეთის მეფე კიროსთან და მიდიის მეფე ასტიაგს შორის .ძვ.წ 538 წელს ბაბილონს მიადგა სპარსთა ლაშქარი და ასე დაიწყო ბაბილონის დაცემა .სპარსეთის ჯარი ბაბილონში შედის ძვ.წ 538 წლის 16 თეშრის თვეში (სექტემბერ –ოქტომბერი).კიროსმა ამის შემდეგ უფლება მიცა ებრაელ ტყვეებს დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სამშობლოში .

ახალი ბაბილონის ეკონომიკა .

ბაბილონის სამეფოს ეკონომიკა სოფლის მეურნეობას ეყრდნობოდა .გაძლიერდა სავახშო –სავაჭრო ოპერაციები

.დიდი დიფერენციაცია შეიმჩნეოდა მონათა შორისაც .მონების უმრავლესობა სულ უფრო მეტ ექსპლუატაციას განიცდიდა .უმდიდრესი მონათმფლობელები იყვნენ ქურუმები .თავისი აურაცხელი ქონებით განთქმული იყო მთავარი ღმერთის მარდუქის ტაძარი .ბაბილონის ახალი სამეფოს ეკონომიკა ხასიათდება უფრო მზარდი სავაჭრო –სავახშო კაპიტალით .

ახალ ბაბილონელთა რელიგია

ბაბილონი უდიდესი რელიგიური ცენტრი იყო .აქ 53 დიდი ტაძარი და ასობით სამლოცველო დაითვლებოდა .როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ მთავარი ღმერთი იყო მარდუქი .

ასტრონომია ახალ ბაბილონში

უკვე 8 საუკუნიდან ასტრონომებმა დაიწყეს წლის გამოთვლა ,თუ ადრე ვარსკვლავთა მიხედვით იყო წლის რეგულირება ,4 საუკუნისთვის ამს უკვე საფუძვლად ედება მზის წელი .4 საუკუნიდან ბაბილონელმა ასტრონომებმა ისწავლეს პლანეტათა დგომის გამოთვლა ,დაადგინეს დამატებითი თვეების ჩასმის წესი .ყველაზე ცნობილი ასტრონომიული სკოლა სწორებ ბაბილონში კერძოთ კი ბარსიფაში ჩამოყალიბდა .ბარსიფაში დაადგინეს პლანეტათა სვლის ორი ნაწილი,რომელიც სიჩქარით განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან .ბაბილონელთა მიერ დადგენილი მთვარის თვის ხანგრძლივობა მხოლოდ 0,4 მეათედი წამით

განსხვავდებოდა თანამედროვე გამოთვლისაგან .ბაბილონელმა ასტრონომებმა დაადგინეს მზის დაბნელების ზუსტი პერიოდები .

ახალი ბაბილონის საპროცესიო გზები .

ბაბილონი არქიტექტურულად გასაოცარ მთლიანობას ქმნიდა .რვა საპროცესიო გზა სწორ კვადრატებად ყოფდა ქალაქს ,მდინარის გადამკვეთი ქუჩები სანაპიროზე ჭიშკრებით მთავრდებოდა .ყველასაგან გამორჩეული იყო იშთარის ჭიშკარი ,რომელიც ამ საპროცესიო გზის ყვალაზე ბრწყინვალე ადგილს წარმოადგენდა .ამ კარიბჭის ორმაგ კედლებზე ლურჯ მოჭიქულ ფონზე გამოსახული იყო დრაკონები და ხარები .

მედიცინა ახალ ბაბილონში .

რელიგიური ელფერი დაკრავს სამედიცინო დარგსაც ,თუმცა უნდა ითქვას ,რომ დიდი წარმატებებივ ჰქონდათ ,როგორც ფარმაკოლოგიაში ისე თერაპია –ქირურგიაში .

მათემატიკა ახალ ბაბილონში .

ბაბილონელმა მათემატიკოსებმა იცოდნენ კვადრატული და კუბური ფესვების ამოღება ,შემოიღეს გამოთვლის სამოციანი სისტემები .ზომა-წონის ბაბილონური სისტემა დიდხანს დარჩა მსოფლიოში ბაბილონის განადგურების შემდეგაც .

მუსიკა ახალ ბაბილონში .

ღვთისმსახურების ცერემონიალი ხელს უწყობდა მუსიკის განვითარებას. რელიგიურ დღესასწაულებზე სრულდებოდა სიმღერები და ჰიმნები ფლეიტების,კითარების და არფების თანხლებით .

ახალ ბაბილონური არქიტექტურა .

ბაბილონურ არქიტექტურას საფუძველად დაედო სამშენებლო ტექნიკის მაღალი დონე .ადგილობრივი საშენი მასალა თიხა იყო .თიხისაგან აკეთებდნენ ,როგორც მზეზე გამომშრალ და ნაკლებად გამძლე აგურს ,აგრეთვე გამომწვარს ,რომლითაც ძირითადად წარმოებდა შენობების მოპირკეთება. ალიზის აგურისაგან ნაგებ კედლებში სიმტკიცისასთვის ლელისაგან მოწნულ ჭილოფებს ატანდნენ და ცხელი ბითუმით აკავშირებდნენ ერთმანეთს .კედლებს მეტი სიმაგრისათვის დაქანებულს აშენებდნენ .

ბაბილონი მსოფლიოს 7 საოცრებათა შორის

მსოფლიოს 7 საოცრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია “ბაბილონის კიდული ბაღები “.იგი ააგებინა ნაბუქოდონოსორმა თავისი ცოლისთვის,მიდიელი დედოფლისათვის .მიდიის მეფის ასული თავის ქვეყანაში მიჩვეული იყო აყვავებულ მთებსა და ტყეებს ,მოენატრა ცხელსა და უტყეო ბაბილონში ჩრდილი და მთის სიგრილე .რათა სამშობლომონატრებული დედოფლის დარდი შეემცირებინა ნაბუქოდონოსორმა გადაწყვიტა მისთვის ეჩუქებინა მთელი ოაზისი ,თითქოს მიდიის

მთები წამოეღო ბაბილონში .იგი გაშენებული იყო ოტხიარუსიან კორპუსზე ,ყოველი იარუსი შიგნით გააკეთეს აგურის მაღალი სვეტები, რომელსაც ეყრდნობოდა მაგარი აგურის თაღები .ზემოდან აგურები დაფარეს ტყვიის ფირფიტებით ,რათა წყალს არ ჩაეღწია ქვედა სართულზე .მთლიან ნაგებობას ზემოდან დააყარეს მიწის სქელი ფენა იმისთვის რომ გაეხარა ყველაზე საუკეთესო მცენარეებს .ბაღის იარუსები საფეხურებათ ადიოდა მაღლა და უერთდებოდა ფართო კიბეებით .ამ საარაკო ბაღების მოსარწყავად ასობით მონა მთელი დღე ქაჩავდა წყალს ევფრატიდან .

ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საიდუმლო,რომელზეც თანამედროვე მეცნიერებს პასუხი არ აქვთ.ეს საიდუმლო ეხება ბიბლიურ ბაბილონს და ჩვენთვის კარგად ნაცნობ ბაბილონის გოდოლს . ამ სანახევროდ დამწვარმა,საშინელ მდგომარეობაში მყოფმა

კოშკმა მოაღწია ჩვენ დრომდე,როგორც ნიშანმა ღმერთის რისხვისა.ის ამტკიცებს ბიბლიურ ტექსტებში მოხსენიებულ ციური ცეცხლის არსებობას რომელიც თავს დაატყდა დედამიწას მეორე ათასწლეულის ნახევარში ჩვენს ერამდე.

ბიბლუირი ლეგენდის თანახმად,ბაბილონი დაარსებული იქნა ნებროთის მიერ,რომელიც იწოდება სწორუპოვარ მონადირედ. ნებროთი იყო შვილი ქუმისა და შთამომავალი ქამისა,ერთ-ერთი, ლეგენდარული ნოეს სამი შვილიდან.ის იყო გმირი მონადირე უფლის წინაშე.ამის გამო ამბობენ:ნებროთივით გმირი მონადირე უფლის წინაშე.და იყო მისი მეფობის დასაბამი ბაბილონი და ორექი და არქადი და ხალანი სენარიის ქვეყანაში.

ახლა მე უნდა ვთქვა ის რაც შეიძლება ზოგს არადამაჯერებელი ეგონოს. ბაბილონი,ორექი,არქადი,და ხალანი ითვლებიან მემკვიდრეებად სანარის გამქრალი მიწებისა,მეტროპოლისი,რომელიც ადრე მდებარეობდა კანარის კუნძულებზე.ბიბლიური მითი გვიამბობს,რომ წარღვნის შემდეგ ადამიანები შეეცადნენ აეგოთ ქალაქი ბაბილონი (შუმერ. აბ-ილყ -ღვთის ჭიშკარი) და გოდოლი,''რომელიც ცას მისწვდებოდა''. ადამიანის სითავხედით განრისხებულმა ღმერთმა,''აურია მათ ენები''და გაფანტა მშენებლები მთელ დედამიწაზე,რადგან მათ ერთმანეთის აღარ ესმოდათ. ''და ჩამოვიდა უფალი რათა ენახა ქალაქი და

გოდოლი,რომელსაც აშენებდნენ ადამიანების ძეები.და თქვა უფალმა: ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვთ.და დაიწყეს ამის გაკეთება.და ახლა მათთვის აღარაფერი იქნება მიუღწეველი. ჩავიდეთ,და ავურიოთ მათ ენა,რომ ადამიანებმა ვერ გაუგონ ერთმანეთს" და გაფანტა უფალმა ისინი მიწის ზურგზე და მათ შეწყვიტეს ქალაქის შენება. და ეწოდა მას სახელად ბაბილონი,რადგან იქ აღრია უფალმა ენები და იქიდან გაფანტა ისინი მიწის პირზე."(ქალაქის სახელწოდება მოდის უძველესი სიტყვისგან ბალალ,რომელიც აღრევას ნიშნავს)

მაგრამ მეცნიერებს სულ სხვა აზრი აქვთ,ეს სიტყვა ზუსტად ასახავს იმდროინდელ ისტორიულ რეალობას.არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს იმას,რომ ბაბილონის დაღუპვის დრო ემთხვევა ტომების და ხალხების გადასახლებებს, მათი ენების,კულტურის აღრევას და ახალი ტერიტოიების დაპყრობას და ათვისებას. არც ისე შორს ქალაქ ბაბილონიდან მდებარეობს ქალაქ ბორსიპის ნანგრევები,სადაც შემონახულია ძველი დამწვარი ტაძრის და ძალიან დიდი კოშკის ნანგრევები,რომელიც მიჩნეულია ბაბილონის გოდოლად.

არქეოლოგთა აზრით,ადრე შენობა შედგებოდა შვიდი იარუს-საფეხურისგან,შეღებილი შვიდ ფრად:შავი,თეთრი.ლურჯი,ღია

წითელი,შინდიფერი,ვერცხლის ფერი და ოქროსფერი.ახლაც კი,კოშკის ნანგრევები დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. არსებობს ერთი ამოუხსნელი ფაქტორი,კოშკის ზედა ნაწილი წარმოუდგენელი სიცხის გამო "აორთქლებულია"ხოლო დარჩენილი ნაწილი,ასე ვთქვათ დამდნარია,როგორც გარედან,ისე შიგნიდან.

თემა მერვე

მცირე აზია,ფინიკია და ძველი პალესტინა

მცირე აზია უძველესი დროიდან ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულამდე. ხეთების სამეფო

თანამედროვე თურქეთის აზიური ნაწილი – ანატოლია, რომელსაც ძველთაგანვე უწოდებდნენ „მცირე აზიას" კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერადაა აღიარებული. ეს არის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, სადაც ათასწლეულთა მანძილზე ხდებოდა სხვადასხვა წარმოშობის ტომთა თუ ხალხთა შერევა. ძველაღმოსავლურ ხანაში აქ არაერთი დიდი თუ პატარა სახელმწიფო წარმოიქმნა, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო ისინი თანდათან გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან ისე, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო მოეღწია ჩვენს ერამდე.

ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე პოლიტიკურ-ეკონომიკურად და კულტურულად უძველესი ხანებიდანვე დაწინაურდა აღმოსავლეთ ანატოლია, განსაკუთრებით კი მცირე აზიის ცენტრალური ნაწილი, სადაც ჩამოყალიბდა სახელმწიფო, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ ძალად გადაიქცა არა მარტო მცირე აზიაში, არამედ მაშინდელ ახლო აღმოსავლეთშიც. ეს იყო ხეთების სამეფო, ანუ ხათი, რომელიც ძვ.წ. III

ათასწლეულში არსებობდა და მცირე აზიის ძველ ისტორიაში, სხვა მეზობელ პოლიტიკურ გაერთიანებებთან ერთად, მთელი ეპოქა შექმნა.

წყაროები და ისტორიოგრაფია

ანტიკური ხანის ავტორებს არავითარი ცნობები არ შემოუნახავთ ხეთების ქვეყანაზე. უფრო მეტიც, მათ საერთოდ არ იცოდნენ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში, **ანატოლიაში** არსებობდა ცივილიზაცია, რომელიც დიდად არ ჩამოუვარდებოდა მესოპოტამიურსა და ეგვიპტურს. არც **ბიბლია** იძლევა ცნობებს ძვ. წ. II ათასწლეულის დროინდელ ხეთებზე. მართალია „ძველ აღთქმაში“ რამდენჯერმეა ნახსენები „ხეთები“ (ებრ. „ჰიტტიმ“, ძვ. ქართ. „ქეტელნი“, „ძენი ქეტისნი“), მაგრამ აქ იგულისხმებიან არა II ათასწლეულის ცენტრალურ მცირე აზიაში მოსახლე ტომები, არამედ ის „ხეთები“, რომლებიც ჩრდილოეთ სირიაში ცხოვრობდნენ ძვ. წ. I ათასწლეულში.

II ათასწლეულის **მცირე აზიის**, კერძოდ, მისი ცენტრალური ნაწილის ისტორიის შესწავლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეცნიერთა განკარგულებაში აღმოჩნდა ე. წ. „კაპადოკიური“ ფირფიტები და, რაც მთავარია, ხეთური **ლურსმული** ტექსტები. ხეთების ისტორიაზე მოიპოვება ცნობები ეგვიპტური და ასურულ-ბაბილონური წყაროებიდან, თელ-ამარნას, რას-შამრასა (უგარითის) და სხვა

არქივებიდან, ასევე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალიდან.

არქეოლოგიური გათხრების ისტორია. მატერიალური კულტურის ძეგლები. ანტიკური ხანის ისტორიით გატაცებულმა მკვლევარებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისიდანვე თურქეთში აღმოაჩინეს ძვ.წ. II ათასწლეულის დროინდელი ძეგლები. XIX საუკუნის 30-იან წლებში ფრანგმა არქეოლოგმა და მოგზაურმა შ.ტექსიემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა იმოგზაურა ანატოლიაში, მოინახულა პატარა თურქული სოფელი ბოღაზ-ქოი და მასთან ახლოს მდებარე იაზილიქაიას კლდეში ნაკვეთი ბარელიეფი. 1839 წელს შ. ტექსიემ პარიზში გამოაქვეყნა წიგნი „მცირე აზიის აღწერა", სადაც აღნიშნული იყო, რომ ხალხს, რომლის ძლიერებაზე მიუთითებდა ბოღაზ-ქოის ნანგრევები, უძველეს ხანებში უნდა ეცხოვრა მცირე აზიაში.

შ. ტექსიეს შემდეგ ბოღაზ-ქოიში ჩავიდა ინგლისელი უ. ჰამილტონი, რომელმაც აღმოაჩინა უძველესი დროის ნანგრევები სოფელ ალაჯა-ჰუიუქში. XIX საუკუნის 90-იან წლებში ბოღაზქოიში მოეწყო ბერლინის საიმპერიო მუზეუმის ექსპედიცია.

მიუხედავად დიდი ცდებისა და მონდომებისა, ამ მეცნიერთა და მოგზაურთაგან ვერც ერთმა სწორად ვერ განსაზღვრა ცენტრალურ ანატოლიაში აღმოჩენილი ძეგლების მნიშვნელობა, კერძოდ ის, რომ ყველა ეს

ძეგლი ეკუთვნოდათ ძვ.წ. II ათასწლეულის დროინდელ ხეთებს.

XIX საუკუნეში მართლაც არავის შეეძლო განეხილა ბოღაზქოი როგორც ხეთების სახელმწიფოს დედაქალაქი. ამის მიზეზი იყო ის, რომ XIX საუკუნის ბოლოსათვის ხეთების ქვეყანას სპეციალისტები ათავსებდნენ არა ანატოლიაში, არამედ ჩრდილოეთ სირიაში, სადაც აღმოაჩინეს მანადე უცნობი იეროგლიფური დამწერლობით შესრულებული მრავალი წარწერა.

ხეთების პრობლემა გადაუჭრელი დარჩა XX საუკუნის დამდეგისათვის, როცა ასირიოლოგიამ პირველ დიდ წარმატებებს მიაღწია. ხეთურ საიდუმლოებას ფარდა ახადა მხოლოდ გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის ჰუგო ვინკლერის გათხრებმა, რომლებიც 1906 წელს დაიწყო ბოღაზქოიში „გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების" მხარდაჭერით და 1912 წლამდე გაგრძელდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბოღაზ-ქოიში გამომზეურებულ იქნა 10 000-ზე მეტი ლურსმული ფირფიტა და ფრაგმენტი. ვინკლერისა და სხვა სპეციალისტების ცდები, ამოეკითხათ ეს ფირფიტები უშედეგოდ მთავრდებოდა, რადგან ისინი ვერ ახერხებდნენ დაედგინათ ფირფიტების ენა. ამის გაკეთება შეძლო მხოლოდ ჩეხმა ასირიოლოგმა ბ.ჰროზნიმ, რომელმაც 1915 წელს გაშიფრა ამ წარწერების ენა და დაადგინა, რომ იგი ინდოევროპულ ენათა ოჯახს

განეკუთვნებოდა. ლურსმული ფირფიტების შემდგენლები თავიანთ ენას უწოდებდნენ არა „ხეთურს", არამედ „ნესურს", რომელიც წარმომდგარია მცირეაზიული ქალაქის სახელწოდებისაგან „ნესა". მათ დედაქალაქს, რომელიც ბოღაზქოის ადგილას იყო, ხათუსა ერქვა, ხოლო ქვეყანას ხათი. ეს უკანასკნელი გეოგრაფიულად მცირე აზიით შემოიფარგლებოდა და ძვ.წ. II ათასწლეულში სრულადაც არ მოიცავდა ჩრდილოეთ სირიას.

ბოღაზქოის აღმოჩენებმა კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი მცირე აზიის უძველესი ძეგლებისადმი. XX საუკუნის 20-იან წლებში ქიულ-თეფეს თხრიდა ბ.ჰროზნი, ხეთური ლურსმული წარწერების გამშიფვრელი, რომელმაც იპოვა მრავალი „კაპადოკიური" ფირფიტა.

ანატოლიაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ მეცნიერებას შესძინა უძვირფასესი მასალა, რომელიც შუქს ფენს მცირე აზიის ისტორიულ განვითრების სხვადასხვა ეპოქას პალეოლითიდან დაწყებული ადრეული რკინის ხანამდე. არქეოლოგიური მასალა შესაძლებელს ხდის მეტ-ნაკლები სიზუსტით აღვადგინოთ სხვადასხვა პერიოდის მოსახლეობის ცხოვრებისა და მეურნეობის, საწარმოო ძალთა თანდათანობით განვითარების სურათები.

1958 წელს არქეოლოგმა ჯეიმს მელაარტმა გააკეთა აღმოჩენა, რომელიც თავისი მნიშვნელობით ალბათ

მხოლოდ ტუტანჰამონის აკლდამის აღმოჩენას თუ შეედრება - ეს აღმოჩენა ჩათალ-ჰუიუკი იყო. ანატოლიაში მდინარე უარშამბაჩაის ნაპირას მისი ყურადღება მიიპყრო ბორცვმა, რომელსაც თურქები ჩათალ-ჰუიუკს - ორმაგ ბორცვს უწოდებდნენ. ბავალევის სტატიაში საინტერესო ადგილებს ცალკე გამოვყოფდი.

ჩათალ ჰუიუკი სამჯერ დიდია იერიქონზე, თავიდან მელაარტს არც კი დაუჯერეს, რომ მან ასეთი დიდი ხნის წინანდელი ქალაქი აღმოაჩინა, მაგრამ გათხრების შემდეგ დაადგინეს უძველესი შრეები სადაც ნახეს ფრესკული ნახატები, ქანდაკებები, სპილენძის და ტყვიის ნაკეთობები, მძივები, ხის ჭურჭელი. რადიონახშირბადულმა ანალიზმა აჩვენა 6800-5800 წელი ჩვ წ.ა-ღმდე! ეს სენსაცია იყო!

დათხრილია მე-12 შრე (6800 წელი ჩვ წ-ა-ღმდე) და დღემდე არაა აღმოჩენილი ქალაქის დაცემის და აღმავლობის ნიშნები - თითქოს 1000 წელი აქ ცხოვრება ერთნაირად - მკვეთრი კატაკლიზმების და ომების გარეშე მიმდინარეობდა

ქალაქი დაპროექტებული იყო მართკუთხა სახლებით (8-10 = 4-6 მ), რომელთაც არ ჰქონდათ ფანჯრები - უფრო სწორედ ფანაჯარაც და კარებიც სახურავზე იყო. ქალაქში არ იყო ქუჩები, ვინაიდან სახლები მჭიდროდ იყო მიბჯენილი ერთმანეთს. სახლებს აგებდნენ აგურებისაგან, გარე სამყაროს

უკავშირდებოდნენ კიბეების დახმარებით. საშენი მასალა თიხა იყო. მისგან კეთდებოდა საწოლები და სახლის შიდა ინტერიერი. აუცილებელ ატრიბუტად ითვლებოდა ხარის გამოსახულება, რომელიც თითქმის ყველა სახლში იყო. იატაკზე იგებოდა ტყავის ხალიჩები. მთელი კომპლექსი ფუტკრის სკას წააგავდა. მოსახლეობა შეადგენდა 2-6 000 ადამიანს. ძირითადი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება, ნადირობა და მეცხოველეობა. დაადგინეს კულტივირებული მცენარეების 14 სახეობა, - სხ/სხ სახის ხორბალი, ქერი და ბარდა. ნუში, შესაძლოა ჰქონდათ ზეთიც. Из семян крапивного дерева, вероятно, делалось вино.!!! ჰყავდათ შინაური ცხოველები - საქონელი, მოშინაურებული იყო ძაღლი. საინტერესო ისაა, რომ ნადირობდნენ გარეულ ხარზე! და ირემზე - არის ფრესკები სადაც ეს ნადირობაა გამოსახული - ფიგურირებს ასევე ტახზე ნადირობაც! ნადირობის კულტს უძღვნიდნენ ცალკე შენობებს- ალბათ -ეს ტაძარი იყო, სადაც რიტუალებს ატარებდნენ..

ფრესკებზე არის გამოსახული ადამიანები, რომლების ცეკვავენ დიდი ცხოველების გარშემო - საინტერესოა ხარის და გარშემომყოფი ადამიანების გამოსახულება - არის გამოსახული შვილდ-ისრები. დოლები, ხელში უჭირავთ რქები. არის დათვის, ტახის, გარეული ვირის -

ონაგრას, ლეოპარდის !! გამოსახულებაც კი! საინტერესოა კიდევ ერთი გამოსახულება - აი ციტატა ამ სტატიიდან - ეს სცენა შედარებული კრეტას ტავრომახიას და ბასკური წარმოშობის კორიდას!!

საინტერესოა ლეოპარდის გამოსახულება ჩათალ-ჰუიუკში - ლეოპარდის კულტი განსაკუთრებით გავრცელებული იყო პირველყოფილ კულტურებში. ეს კულტი იყო გავრცელებული აფრიკაში და აზიაში უძველეს დროში ეგვიპტეში ქურუმები ატარებდნენ ლეოპარდის ტყავის მანტიებს. და ისინი იჩვლებოდნენ სამეფო ცხოველად. ტუტანხამონის აკლდამაში ფარაონის მცველი ქანდაკებები სწორედ ლეოპარდზე იდგნენ. ლეოპარდის კულტი აფრიკის ტომებში დღესაც გავრცელებულია.
ჩათალ-ჰუიუკშიც არის ლეოპარდის კულტის გამოსახულებები -
ქალი და კაცი ცდილობენ ლეოპარდის იმიტაციას - არის ორი ლეოპარდის ბარილეფიც. ერთ-ერთ ტაძარში გამოსახულია ლეოპარდი - ზევით ყვითელი ფერის -შავი წინწკლებით, მწვანე პირით და ქვედა მხარეს კი შავი თეთრის ფონზე და წითელი თათებით. მათ წინ იდგა ქალის ქვის ქანდაკება.
მაგრამ საუკეთესო სენსაცია იყო შიშველი ქალის ქანდაკება ლეოპარდისთავებიან ტახტზე. ფეხებთან იყო

თავის ქალები და ასევე ახალშობილის თავი - ეს ალბათ იყო ნაყოფიერების ქალღმერთი, რომელიც ანსახიერებდა წარსულს (თავის ქალები) და მომავალს -(ახალშობილი) ანუ სიცოცხლეს. ასეთ ტაძრებში პოულობდნენ მხოლოდ ქალების ჩონჩხებს - რაც ჩათალ-ჰუიუკში ქალის კულტზე და მატრიარხატზე მიუთითებს - შესაძლოა ქალები ასრულებდნენ ქურუმების როლსაც.

ხშირად ქალის ქანდაკება ხართან ერთად ან ახლოს გამოისახებოდა რაც ხარის და დედა-ღვთაების კულტის ურთიერთკავშირზე მიუთითებს.მამაკაცებს ჩათალ ჰუიუკში მარხავდნენ ცალკე - ძირითადად საცხოვრებელი სახლის ქვეშ - ზოგჯერ თავის ქალა ცალკე იმარხებოდა და ტანი ცალკე. ძნელი სათქმელია - რატომ... აღმოაჩინეს კიდევ ერთი სახის დამარხვის წესი - ნახეს ტაძარი სადაც თავის ქალები დალაგებული იყო ხარის თავების ან ნახატების წინ. დაასკვნეს, რომ მამაკაცის სიკვდილის შემდეგ სხეული გაჰქონდათ ქალაქის გარეთ-სანამ სვავები არ მოაცილებდნენ მთელ ხორცს და მერე ძვლებს აბრუნებდნენ უკან შენობაში და სახლის ქვეშ მარხავდნენ. თუმცა ზოგიერთ კაცებს მაშინვე მარხავდნენ. რატომ - ჯერ უცნობია.

საინტერესო ისაა, რომ ზოგიერთ ხალხში დამარხვის ასეთი წესი მერეც შემორჩა - ამის შესახებ წერდა სტრაბონი - როცა კვდებოდა ბელადი მის ხორცს ხარშავდნენ ხარის ხორცთან ერთად და მთელი ტომი

სჭამდა მას - რათა ყველაზე გადასულიყო ბელადის ძალა. მემკვიდრეს აძლევდნენ გულ-ღვიძლს. ფრიგიაში თურმე ქურუმების ნეშტს ღებავდნენ ოქროსფერი საღებავით და დგამდნენ როგორც ძელს - მიაჩნდათ, რომ ქურუმები სიკვდილის მერეც უნდა ყოფილიყვნენ ხალხის დამცველები ავი სულებისაგან. მამაკაცებს საფლავში ატანდნენ ხანჯლებს, ობსიდიანისგან გაკეთებულ იარაღს - ქამრებს, მშვილდ-ისარს.ჭურჭელი ჰქონდათ თიხისგან და ქვისგან გაკეთებული,სამარხებში არაა ნაპოვნი ცულის და სეკირას მსგავსი იარაღი თუმცა მათი გამოსახულებებ არსებობს - შესაძლაო იარაღი კეთდებოდა მეტალისგან და იმდენად ძვირფასი იყო, რომ გადაეცემოდა შთამომავლობას და ენანებოდათ მისი სამარხში ჩატანება.

ჩათალ-ჰუიუკში 7000 წლის წინ ჩვ. წ.ა-ღმდე უკვე იცოდნენ სპილენძის და ტყვიის დამუშავება. ამას მამაკაცები აკეთებდნენ. მიწათმოქმედებით დაკავებულები იყვნენ ქალები, კაცები კი მეცხოველეობით და ნადირობით.

წერილობითი წყაროები ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისის აღმოსავლეთ მცირე აზიის, განსაკუთრებით კი, ცენტრალური ანატოლიის საზოგადოების ისტორია, რომელიც წინ უსწრებს ხეთურ ხანას, შეისწავლება „კაპადოკიური" ფირფიტების მიხედვით. ესენია ლურსმული დამწერლობით შედგენილი ტექსტები,

რომლებსაც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან პოულობდნენ კაპადოკიაში, რის გამოც მათ „კაპადოკიური" უწოდეს. მათი წარმოშობის ძირითადი ადგილია ქიულ-თეფე, სადაც მცირეაზიული ქალაქი ქანიში, იგივე ნესა მდებარეობდა. 1891 წელს ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ ვ.ს. გოლენიშჩევმა გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული „კაპადოკიური" ფირფიტა და პირველმა ზუსტად განსაზღვრა ამ წარწერების ენა, როგორც აქადური ენის ძველასურული დიალექტი. „კაპადოკიური" ფირფიტების რიცხვი ამჟამად რამდენიმე ათეულ ათასს აღწევს და ეხება ძვ.წ. XIX-XVIII საუკუნეებს.

„კაპადოკიური" ლურსმული ტექსტების დიდი ნაწილი ასახავს აღმოსავლეთ მცირე აზიის სხვადასხვა ადგილას არსებული უცხო ქვეყნების სავაჭრო გაერთიანებათა საქმიანობას, რომელსაც ეწეოდნენ არა მარტო აღმოსავლელი (ასურელი), არამედ დასავლელი სემიტები – ამორეველები (ე.ი. სირიისა და, საერთოდ ევფრატის დასავლეთით მცხოვრები სემიტები). ეს არის ოფიციალური თუ კერძო მიმოწერა, ანდა სამართლებრივი ხასიათის სხვადასხვა დოკუმენტი.

ბოღაზ-ქოის (ხათუსას) არქივი. ბ. ჰროზნის ეპოქალური აღმოჩენის – ბოღაზქოის ლურსმული ფირფიტების გაშიფვრის შემდეგ გაირკვა, რომ ხათუსას არქივის ტექსტები, რომლებიც ძირითადი წყაროა

ხეთების ისტორიისათვის, რამდენიმე ენაზე იყო შედგენილი. უმეტესწილად ფირფიტები დაწერილი იყო „ნესურად", ანუ „ქანესურად", ე.ი. იმ ენაზე, რომელზეც ლაპარაკობდნენ ხეთები ძვ.წ. II ათასწლეულის დროინდელი ცენტრალურ მცირე აზიაში. სპეციალისტები ამ წარწერის ენას უწოდებენ ხეთურ ლურსმულს.

ბოღაზ-ქოის არქივის ერთი ნაწილი შედგენილია „ლუვიურად", ე.ი. ლუვიის – მცირე აზიის სამხრეთით მდებარე ქვეყნის – მცხოვრებთა ენაზე, რომელიც ხეთური ლურსმულის (ნესურის) ახლო მონათესავეა.

აღნიშნულ არქივში შემოინახა რელიგიური შინაარსის წარწერები, რომლებიც „ფალაურად", ანუ ფალას (მცირე აზიის ჩრდილოეთში ან ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ქვეყნის) მკვიდრთა ენაზეა შედგენილი. ეს უკანასკნელი ენათესავება ნესურსა და ლუვიურს. ზემოჩამოთვლილ სამ ენას სპეციალისტები აერთიანებენ ინდოევროპულ ენათა ჯგუფში და უწოდებენ „ანატოლიურს", რომელსაც აკუთვნებენ აგრეთვე ხეთურ იეროგლიფურს და ძვ.წ. I ათასწლეულის ანატოლიაში დადასტურებულ ენებს: ლიკიურს, ლიდიურსა და კარიულს.

ზემოთაღნიშნულ სამ ენაზე შედგენილ წარწერებთან ერთად, ხათუსას არქივში აღმოჩნდა აგრეთვე „ხათურად", ე.ი. ხათის ქვეყნის მკვიდრთა ენაზე დაწერილი ტექსტებიც. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ამ

ენაზე უნდა ელაპარაკა ცენტრალური მცირე აზიის – ხათის – მოსახლეობას ძვ.წ. III ათასწლეულში, ე.ი. წინახეთურ ხანაში, ინდოევროპულ ტომთა გამოჩენამდე. ამის გამო ხეთურ ენას უწოდებენ აგრეთვე პროტოხეთურს, ხოლო ცენტრალური ანატოლიის ადრეულ მოსახლეობას – პროტოხეთებს (ხეთებამდელი ხანის მცხოვრებლებს).

ხეთური ფირფიტები, რომლებიც ნაპოვნია ხათუსას ბიბლიოთეკის ორ დიდ არქივსა და რამდენიმე ტაძარში, სხვადასხვა შინაარსისაა. ამ ტექსტების ნახევარი რელიგიური ხასიათის ძეგლებია. ესენია: რიტუალები, შელოცვანი, წყევლის ტექსტები, მითები, თქმულებები და ა.შ. ტექსტების დანარჩენი ნაწილი საკმაოდ მდიდარია შინაარსობრივად. აქ გვხვდება საბიბლიოთეკო კატალოგები და ეტიკეტები, შუმერულ-აქადურ-ხეთური ლექსიკონები.

მდიდარი მასალაა დაცული ხეთურ წყაროებში, რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულის დროინდელ ცენტრალურ მცირე აზიის, კერძოდ, ხეთების სამეფოს ისტორიასა და, საერთოდ, ხეთურ საზოგადოებას ასახავენ. ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის მრავალი დოკუმენტი შესაძლებლობას იძლევა აღვადგინოთ ხეთების სახელმწიფოს პოლიტიკური განვითარების სურათი მისი არსებობის თითქმის მთელ მანძილზე. ამ მხრივ აღსანიშნავია „ანითას ტექსტი", ხათუსილი I-ის „ანალები"

და „ანდერძი”, ხათუსილი III-ის „ავტობიოგრაფია”, ხეთების მეფეთა სიები, მათ მიერ დადებული ხელშეკრულებები როგორც მცირე აზიის სხვადასხვა ქვეყანასთან, ასევე ჩრდილოეთ სირიის სამეფოებთან, ეგვიპტესთან, მითანთან და ა.შ.

ეგვიპტური და ასურულ-ბაბილონური წყაროები. თელ-ამარნას არქივი. ეგვიპტურ იეროგლიფურ ტექსტებში „ხეთას” მოხსენიება იწყება XVIII დინასტიის დროიდან, როცა თუტმოს III (ძვ.წ. XVს) სირიის ჩრდილოეთ რაიონებში შეიჭრა და ევფრატი გადალახა. ეგვიპტურმა წარწერებმა შემოინახეს ვრცელი მოთხრობა ქ.კადეშთან ხეთებისა და ეგვიპტელების მძაფრი ბრძოლისა, რომელიც აღწერა ეგვიპტელმა პოეტმა პენტაურმა. ჩვენამდე მოაღწია ეგვიპტურად და აქადურად შედგენილმა სამეფო ხელშეკრულებამ, რომელიც დაიდო ფარაონ რამსეს II-ესა და ხეთების მეფე ხათუსილ III-ს შორის. ხელშეკრულების იეროგლიფური ასლი შემოინახა კარნაკის ტაძრის კედელზე და რამესეუმში, თებეში.

ასურულ-ბაბილონურ წყაროებში „ხათის” უძველესი მოხსენიება განეკუთვნება სამსუდითანას მეფობის ხანას, როცა ხეთებმა ბაბილონს ილაშქრეს და ბოლო მოუღეს ბაბილონის პირველ დინასტიას.

ხეთების სამეფოსთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებია დაცული თელ-ამარნას არქივში, რომელიც შეიცავს ამონხეტეპ IV–ის, იგივე ეხნატონის, მეფობის

დროინდელ (ძვ.წ. 1424-1388წწ) დიპლომატიურ კორესპოდენციას აქადურ ენაზე. ხეთების ისტორიასთან დაკავშირებით საინტერესოა სირიელ და პალესტინელ ვასალთა წერილები ფარაონებისადმი. მათში ხშირად იხსენიება ხათის მეფე და საუბარია ხეთების სამხედრო ოპერაციებზე ჩრდილოეთ სირიაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სუფილულიუმა I-ის მიერ ეხნატონისადმი გაგზავნილი ფირფიტა, რომლითაც ხეთების მეფე ტახტზე ასვლას ულოცავს ფარაონს.

ხეთური იეროგლიფური წარწერები. ეს სახელწოდება შემორჩათ იმ იეროგლიფური დამწერლობით შესრულებულ ტექსტებს, რომლებსაც XIX ს. პოულობდნენ ჩრდილოეთ სირიაში და თავიდანვე „ხეთური" უწოდეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სირიიდან მომდინარე თითქმის ყველა ეს იეროგლიფური ძეგლი ძვ.წ. I ათასწლეულს განეკუთვნება. ამ დროისათვის აქ არსებობდა პატარა სამთავროები, რომლებიც ხეთების სამეფოს განადგურების შემდეგ წარმოიშვნენ ჩრდილოეთ სირიაში და ეთნიკურად ენათესავებოდნენ ხეთებს, უფრო სწორად, ლუვიელებს (მცირე აზიის სამხრეთში მცხოვრებ ტომებს). ძვ.წ. I ათასწლეულის დროინდელი ასურული და ურარტული წყაროები კი ჩრდილოეთ სირიას და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს „ხათუს ქვეყანას" უწოდებდნენ,

რამაც აიძულა მკვლევარნი ამ წარწერებისათვის „ხეთური” ეწოდებინათ.

ამ იეროგლიფების ენა კი სრულად არ არის ხეთური (ნესური). თუმცა იგი მისი მონათესავეა. ეს ენა ეკუთვნის ანატოლიურ ენათა ჯგუფს და წარმოადგენს ლუვიური ლურსმულის მოგვიანო დიალექტს. ვარაუდობენ, რომ ეს დამწერლობა ლუვიელების მიერ უნდა იყოს შემოღებული.

ამ ენაზე შედგენილი ადრეული წარწერები, რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულს განეკუთვნება, გვხვდება ანატოლიაშიც, ხეთების სამეფოს ტერიტორიაზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხეთურ (ლუვიურ) იეროგლიფურ დამწერლობას ძვ.წ. II ათასწლეულის დროინდელი ხეთებიც ხმარობდნენ.

ხეთოლოგიის განვითარება. ხეთოლოგია თავის საწყისებს იღებს XIX საუკუნეში, განსაკუთრებით კი 80-იან წლებში. ხეთური პრობლემის გადაჭრაში დიდი ნაბიჯები გადაიდგა XX ს. დასაწყისში, როცა დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. 1915 წ. 15 ნოემბერს ხეთური პრობლემა გადაწყვეტილ იქნა, როცა ბ.ჰროზნიმ ბერლინის „წინააზიურ საზოგადოებას” მოახსენა თავისი შედეგები ხეთური ტექსტების შესახებ. ეს იყო „ხეთოლოგიის დაბადების ნამდვილი დღე”. ორი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ბ.ჰროზნის წიგნი „ხეთების ენა”,

რომელმაც მთელი გადატრიალება შეიტანა ხეთურ საკითხებში, დააყენა რა იგი ახალ, სწორ გზაზე.

ქვეყნის ბუნებრივი პირობები

ანატოლიას ამჟამად ბუნებრივი კონთრასთების ქვეყანას უწოდებენ, რაც სავსებით შეესაბამება სინამდვილეს

მცირე აზიას სპეციალისტები თავისი რელიეფის თავისებურებების გამო ორ დიდ კულტურულ მხარედ – დასავლეთ ანატოლიურ და აღმოსავლეთ ანატოლიურ ოლქებად ყოფენ. ეს უკანასკნელი მოიცავს ჩვენთვის საინტერესო რაიონს – ცენტრალურ მცირე აზიას, სადაც ჩამოყალიბდა და განვითარდა ხეთური საზოგადოება.

ასეთი რელიეფი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მეცხოველეობის განვითარებისათვის. მიწათმოქმედება შეიძლებოდა განვითარებულიყო მხოლოდ დაბლობ ადგილებსა და მდინარეების ხეობებში. არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები ადასტურებენ, რომ ძვ.წ. III და II ათასწლეულების დროინდელ მცირე აზიაში მეცხოველეობა, ისევე როგორც მიწათმოქმედება, საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა.

ანატოლიის კლიმატური პირობები ერთ-ერთი ხელშემწყობი გარემოება უნდა ყოფილიყო ადამიანთა საზოგადოების დაწინაურებისა და გავრცელებისათვის დედამიწის ამ რეგიონში.

ანატოლიის თითქმის ყველა მდინარე, რომლებიც თავიანთი წყლის მარაგით ვერ შეედრებიან წყალუხვ მდინარეებს – ნილოსს ან ევფრატსა და ტიგროს, სათავეს იღებს მთებში და სწრაფად მიედინება ღრმა ქვიან კალაპოტში. ზაფხულობით მდინარეების წყალი მნიშვნელოვნად იკლებს, ხოლო ზოგიერთი პატარა მდინარე საერთოდ ქრება შემოდგომამდე.

ასეთმა ვითარებამ გამოიწვია ის, რომ ძველ მცირე აზიაში მდინარეებს სათანადოდ ვერ იყენებდნენ ვერც მორწყვისათვის და ვერც ნაოსნობისათვის. სწორედ ამ გარემოების გამო ვერ განვითარდა მცირე აზიაში ირიგაცია – ხელოვნური მორწყვის სისტემა, რომელიც მესოპოტამიასა და ეგვიპტეში მაღალ დონეზე იყო.

მცირე აზია ძველთაგანვე მდიდარი იყო წიაღისეული სიმდიდრეებით (სპილენძი, ვერცხლი). მცირე აზიის გადაქცევას ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს ცენტრად ხელი შეუწყო მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. წარმოადგენდა რა უდიდეს ნახევარკუნძულს, ანატოლია უძველესი ეპოქიდან იყო წინა აზიისა და ეგეოსის სამყაროს დამაკავშირებელი. იგი ერთგვარი ხიდი იყო ცივილიზებულ აღმოსავლეთსა და იმდროინდელ დასავლეთს შორის.

მოსახლეობა

მკვლევარები ძირითადად თანხმდებიან იმ საკითხში, რომ ხეთური ტომები ანატოლიაში სხვა რეგიონიდან არიან მოსული ადრეული ბრინჯაოს ხანის შედარებით გვიანდელ პერიოდში და შესაბამისად, ანატოლია არ შეიძლება ყოფილიყო მათი პირველსაცხოვრისი.[3]

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის მცირე აზიაში უკვე ცხოვრობდნენ ინდოევროპული წარმოშობის ტომები, რაც დასტურდება „კაპადოკიურ“ ფირფიტებში შემონახული პირთა სახელებით, ანდა ცალკეული სიტყვებით, რომლებიც ხეთურ ლექსიკაში არსებობს. ამ ტომთა გამოჩენა ანატოლიაში ძვ. წ. XX საუკუნეზე უფრო ადრეულ ხანებშია სავარაუდებელი.

ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგს მცირე აზიაში არსებობდა აგრეთვე სემიტური ეთნიკური ჯგუფი, მაგრამ იგი არ განეკუთვნებოდა ადგილობრივ მოსახლეობას. ამ ჯგუფში შედიოდნენ მცირე აზიაში სავაჭროდ ჩამოსული სემიტები, რომელთა რამდენიმე თაობამ იცხოვრა აღმოსავლეთ ანატოლიაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომლის თანახმადაც ინდოევროპული ტომებისა და ადგილობრივი პროტოხეთური მოსახლეობის შერევა-შეჯვარედინების შედეგად მცირე აზიაში ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი, ხეთების სახელმწიფოს შემქმნელი. ხეთური ხანის მცირე აზიაში

ნესიტების (ხეთების) გარდა, ცხოვრობდნენ მათი მონათესავე **ლუვიელები** (სამხრეთ ანატოლიაში) და **ფალაელები** (ჩრდილოეთ ან ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში). უცნობია, თუ საიდან ან როდის გაჩდნენ ისინი ანატოლიაში, თუმცა ეს უკანასკნელნი ძველთაგანვე უნდა დამკვიდრებულიყვნენ პროტოხეთებით დასახლებულ ტერიტორიაზე, რადგან მათმა ენამ, ხეთურის მსგავსად, პროტოხეთურის (ხათურის) გავლენა განიცადა. ლუვიელები ადრეული ხანებიდანვე უნდა გავრცელებულიყვნენ დიდ ტერიტორიაზე, რომელიც **კილიკიასაც** მოიცავდა. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში (კილიკიაში) ჩნდება **ხურიული** მოსახლეობა. ინდოევროპული წარმოშობის ტომები ცხოვრობდნენ დასავლეთ მცირე აზიაშიც. ერთ-ერთი მოსაზრებით, ხეთების სამეფოს ფორმირებაში მონაწილეობა მიიღეს **მუშქებმაც**.

ცენტრალური მცირე აზია ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში

წერილობითი წყაროებისა („კაპადოკიური" ფირფიტები) და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ცენტრალურ მცირე აზიაში, ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლეთ ანატოლიაში, საგრძნობლად იყო

განვითარებული მიწათმოქმედება. აღმოსავლეთ მცირე აზიის მოსახლეობას მარცვლეული კულტურებიდან ძირითადად მოჰყავდა ხორბალი და ქერი, აშენებდა ვაზს, ამზადებდა სხვადასხვა ხარისხის ზეთს.

სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო განვითარდა მესაქონლეობა. ძვ.წ. II ათასწლეულის დასწყისში მაღალ დონეზეა ასული მეტალურგია. კაპადოკიაში მზადდებოდა სპილენძისა და ბრინჯაოს უამრავი ჭურჭელი და საომარი იარაღი. გაიზარდა ოქროსა და ვერცხლის მოპოვება.

ქვეყნის სიმდიდრემ, განსაკუთრებით კი ლითონებმა, მოიზიდა უცხოელი ვაჭრები. ვაჭრობის უკეთ წარმართვის მიზნით აღმოსავლეთ მცირე აზიაში ისინი აარსებდნენ მრავალ სავაჭრო ორგანიზაციას. აღმოსავლეთ ანატოლია სავაჭრო გზებით დაისერა. საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი სამეურნეო და კულტურული ხასიათის ურთიერთობათა გაფართოებას. ამასვე მოჰყვა ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდანვე მცირე აზიის ცალკეულ ქალაქ-სახელმწიფოთა შორის დიდი ბრძოლა იყო გამართული ჰეგემონობისათვის.

აღმოსავლეთ ანატოლიის პოლიტიკურ ერთეულთაგან აღსანიშნავია ქანიშის, იგივე ნესა (თანამედროვე ქიულ-თეფე), ხათუშის (ხეთური

წყაროებით ხათუსა), ზალფა (ხეთური წყაროებით ცალფა) და სხვა ქალაქ-სახელმწიფოები, რომელთაგან ყურადღებას იპყრობს ქუშარი (ქუსარა).

ხეთების ძველი სამეფო (ძვ.წ. 1650-1500 წწ)

ქუსარას სამეფოს ისტორიის შესწავლა ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სწორედ აქ უნდა დაწყებულიყო ხეთური ეთნოსის ჩამოყალიბება და ჩასახულიყო ხეთური სახელმწიფოებრივი წყობილება.

ხეთური ისტორიული ტარადიცია ხეთების ისტორიის ძველ პერიოდს ქუსარას უკავშირებს. ხეთების სახელმწიფოს ფუძემდებლად მიჩნეულია ქუსარას მეფე ლაბარნა I. მის დროს ქუსარამ მიაღწია არნახულ ძლიერებას, რომელიც საფუძველი გახდა ხეთების რიგი წარმატებებისა ძველ სამეფოს ხანაშივე, როცა ქვეყანას მართავდნენ ხათუსილი I (იგივე ლაბარნა II), მურსილ I, ხანთილი და ძველი სამეფოს ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი თელიფინუ.

დაპყრობითი საგარეო პოლიტიკის წარმოებით ხეთებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავიანთი ტერიტორია ძველი სამეფოს ხანაშივე. თვით ლაბარნამ, რომლის დროსაც ხეთების „ქვეყანა პატარა იყო" ძალითა და იარაღით დაიმორჩილა მეზობლად მდებარე რაიონები, რომელთა უმრავლესობა სამუდამოდ შევიდა ხეთების ქვეყნის შემადგენლობაში. ლაბარნამ დიდი ბრძოლები

ჩაატარა აგრეთვე მცირე აზიის სამხრეთი და ჩრდილოეთი რაიონების დასაპყრობად, განავრცო თავისი სამფლობელო „ზღვიდან ზღვამდე" (ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვამდე).

შემდეგ ქუსარაში გამეფდა ხათუსილი. სტრატეგიული მოსაზრების გამო, მალე მან სამეფოს ცენტრი ქუსარადან გადაიტანა ხათუსას, საიდანაც წარმოდგება ამ მეფის სახელი. სწორედ ამ დროიდან გახდა ხათუსა დედაქალაქი, რომელიც ხეთების სახელმწიფოს დაცემამდე არსებობდა, ხოლო სახელმწიფო „ხათი" ხეთების მთელი სამეფოს აღმნიშვნელად გადაიქცა.

ძველი სამეფოს ხანის დიდ მმართველთა ფართო საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო, პირველ რიგში, მცირე აზიის ცალკეულ პოლიტიკურ გაერთიანებებზე ხათის ქვეყნის ბატონობის დამყარებისაკენ. ამას წარმატებით ახორციელებდნენ ხათუსილი და მურსილი. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა ხეთების პოლიტიკური გავლენის გავრცელებას მცირე აზიის ფარგლებს გარეთაც.

სწორედ ამ ხანებში მოხდა ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ხეთების წარმატებანი საგარეო პოლიტიკაში. ეს იყო ცხენიანი საბრძოლოო ეტლის გამოჩენა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სამხედრო საქმეში არა მარტო ხეთებთან, არამედ ახლო აღმოსავლეთის სხვა

ხალხებშიც. ამ პერიოდისათვის ხეთებს უნდა ჰყოლოდათ კარგად ორგანიზებული ლაშქარიც.

დიდი ინტერესები ჰქონდათ ხეთებს ჩრდილოეთ სირიაში, რაც გამოწვეული იყო ამ ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობით, ქვეყნის მატერიალური სიმდიდრით.

ჩრდილოეთ სირიისათვის ბრძოლა დაიწყო ხათუსილი I-მა. ილაშქრა ერთ-ერთ ძლიერ სამეფოში ალალახში. ხათუსილმა დიდი ხნის ალყის შემდეგ შეძლო ქ.ურსუს დამორჩილებაც. ხათუსილმა შეუტია ხალაფსაც, მისი განადგურება შეძლო მხოლოდ მისმა მემკვიდრემ მურსილ I-მა, რასაც შედეგად მოჰყვა ამ სამეფოს დამოუკიდებლობის დაკარგვა.

ამის შემდეგ მურსილი გაემართა შორეულ ბაბილონს, რომელსაც სამსუდითანა მართავდა. ქალაქი მან მიწასთან გაასწორა და დიდი ნადავლით ხათუსაში გამობრუნდა. სწორედ ამ ლაშქრობის დროს მოეღო ბოლო ბაბილონის I დინასტიას (ძვ.წ. 1595წ). ხალაფსა და ბაბილონში ლაშქრობისას მურსილიმ ხურიტებიც გაანადგურა.

ამ სამხედრო ოპერაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ხეთებისათვის. ამიერიდან ხეთების სამეფო ჩადგა ახლო აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოთა რიგში. უფრო მეტიც, ხათუსილი – მურსილის დროს ხათი გადაიქცა ძლიერ სამხედრო სახელმწიფოდ, რომელსაც წინ ვერ აღუდგნენ მაშინდელი წინა

აღმოსავლეთის ისეთი ქვეყნები, როგორიც იყვნენ ხალაფი და ბაბილონი.

მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონების დაპყრობისა და ჩრდილოეთ სირიაში ლაშქრობების დროს დაიწყო ხეთებისა და ხურიტების საომარი შეტაკებანიც. ამ პერიოდიდან იწყება ხურიტების შემოსევა ხათის ქვეყანაში. ხათუსილის მეფობის მეოთხე წელს ხურიტები შეიჭრნენ ხათის აღმოსავლეთ ნაწილში და ააოხრეს ეს მხარე ხათუსას გამოკლებით. მათ უნდა დაერბიათ ქუსარა. ხეთებმა უკუაგდეს ხურიტები.

ძველი სამეფოს დასასრულს – თელიფინუს დროს გადაწყდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. მანამდე მეფეს უფლება ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ დაესახელებინა ტახტის მემკვიდრის კანდიდატურა, რომელსაც სახალხო კრება დაამტკიცებდა ან უარყოფდა. თელიფინუმ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ამიერიდან ტახტზე ასვლის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ და მხოლოდ მეფისწულებს – მის პირდაპირ შთამომავლებს. თუ მეფეს არ ჰყავდა ვაჟი, ტახტზე ასვლა შეეძლო მხოლოდ მისი ქალიშვილის ქმარს – სიძეს. ეს კანონმდებლობა ძალაში იყო ხეთების ისტორიის მთელ შემდგომ მანძილზე.

ხეთების შუა სამეფო (ძვ.წ. 1500-1450 წწ)

ხეთების ისტორიაში ეს ხანა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შესწავლილი. საიმედოდ არის დადგენილი მეფეთა თანამიმდევრობა. აღნიშნულ პერიოდში ხეთები აგრძელებენ ლაშქრობას ჩრდილოეთ სირიასა და ხურის ქვეყანაში (მეფე თუთხალია II დროს). ეგვიპტის სამეფოს გააქტიურებას სირიაში, ხოლო აღმოსავლეთში – მითანის აღორძინებას მოჰყვა ხეთების სამეფოს დასუსტება. თვითონ ხათი ამბოხებული ქვეყნების რკალში მოექცა. მტრებმა გადაწვეს ხათუსა. ხათის სისუსტის ხანა ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაგრძელებულა. სუფილულიუმას დროიდან იგი კვლავ იბრუნებს თავის ძველ დიდებას.

ხეთების ახალი სამეფო (ძვ.წ. 1450-1200 წწ)

ახალი სამეფოს პერიოდში, განსაკუთრებით ძვ.წ. 1280- წლამდე, ხათი განიხილებოდა როგორც ეგვიპტის, ბაბილონისა და ასურეთის ტოლი სახელმწიფო. იგი მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მაშინდელი წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ძვ.წ. 1280 წლამდე დიდი გამარჯვებები მოიპოვეს ხეთებმა საგარეო პოლიტიკაში. თუთხალია III –ის მიერ (ძვ.წ. 1450 წ) წამოწყებული ლაშქრობები წარმატებით განაგრძო მისმა შვილმა სუფილულიუმა I-მა (ძვ.წ. 1425-1386 წწ), რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ხეთების ახალი სამეფოს დამაარსებლად თვლიან. ამ უკანასკნელის მემკვიდრის არნუვანდა II-ის ხანმოკლე მეფობის შემდეგ

სუფილულიუმას უმცროსმა ვაჟმა მურსილ II (ძვ.წ. 1385-1345 წწ), კიდევ უფრო განამტკიცა ხეთების სამეფოს ძლიერება. მურსილი II-სა (ძვ.წ. 1310-1304 წწ) და ხათუსილი III-ის დროს (ძვ.წ. 1304-1280 წწ). ხათი შორეულ ეგვიპტესთან ამყარებს სხვადასხვა სახის ურთიერთობებს. თუთხალია IV-ის დროიდან კი (ძვ.წ. 1280-1250 წწ) იწყება ხეთების ძლიერების თანდათანობით დაცემა.

ხეთები და არცავა. თუ ძველი სამეფოს დროს ხეთები კმაყოფილდებოდნენ არცავას დალაშქვრით და ნადავლის წამოღებით, ისინი ახლა ცდილობდნენ არცავას ქვეყნები ნახევრად „ვასალურ" მდგომარეობაში ჩააყენონ, რასაც დროდადრო აღწევენ კიდეც.

ხეთების ახალი სამეფოს დამდეგისათვის არცავა დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. მას ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტესთანაც კი.

დიდი ბრძოლები გადახდათ არცავას ქვეყნებში სუფილულიუმას, მურსილი II და მუვათალის, რასაც შედეგად მოჰყვა არცავას დაპყრობა. დაიდო ხელშეკრულება. დამორჩილებული ქვეყნის მმართველი ვალდებულებას იღებდა ხეთების მეფისათვის რეგულარულად მიეწოდებინა დამხმარე რაზმები საომარი ეტლებითურთ, სისტემატიურად ეხადა გარკვეული რაოდენობის ხარკი. თავის მხრივ, ხეთების მეფე ვალდებულებას იღებდა, რომ არცავას ქვეყნებს

დაეხმარებოდა იმ შემთხვევაში, თუ მათ მტერი შემოესეოდა.

არცავას ქვეყნის საშინაო საქმეებში ხეთი მეფეები უმეტესად არ ერეოდნენ. ტახტის მემკვიდრეობის საკითხიც ადგილობრივ წყდებოდა.

ხეთების ბატონობა ჩრდილოეთ სირიაში. სულ სხვა შედეგი გამოიღო ხეთების კვლავ გამოჩენამ ჩრდილოეთ სირიაში. აქ არსებული სამეფოებისადმი ხეთების დამოკიდებულების საკითხი გადაწყდა სუფილულიუმას დროს. ამ ხანებისათვის ეგვიპტის ფარაონი ეხნატონი საშინაო საქმეებით იყო დაკავებული და არ ეცალა ფართო საგარეო პოლიტიკის წარმოებისათვის. ამ გარემოებამ რამდენადმე ხელი შეუწყო სუფილულიუმას წარმატებებს ჩრდილოეთ სირიაში. ამ მომენტიდან იწყება ხეთების ბატონობა ჩრდილოეთ სირიაში.

ეგვიპტესთან შეტაკება. კადეშის ბრძოლა. ჩრდილოეთ სირიაში გატარებულმა პოლიტიკამ ხათი მიიყვანა ეგვიპტესთან შეტაკებამდე. XIX დინასტიის დროიდან ეგვიპტის წინაშე დადგა ამოცანა ძველი გავლენის აღდგენისა პალესტინაში, ფინიკიასა და სირიაში. ეგვიპტის მთავარი მეტოქე აზიაში იყო ხათი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა რამსეს II-მ (ძვ.წ. 1317-1251 წწ) წამოიწყო. რამსესმა შეკრიბა 20 ათასიანი არმია და გაემართა სირიისაკენ, სადაც მის შესახვედრად

ემზადებოდა მეფე მუვათალი 30000-იანი მეომრისაგან შემდგარი ლაშქარით.

რამსესი დაბანაკდა ქ. კადეშში. ხეთების მიერ მიგზავნილმა ჯაშუშებმა ეგვიპტელებს აცნობეს, თითქოს ხეთების ლაშქარი გაეცალა კადეშს და შორს ჩრდილოეთისაკენ გაემართა. რამსესმა გადაწყვიტა მაშინვე აეღო ეს ქალაქი, მაგრამ მახეში გაება. იქვე ჩასაფრებულმა ხეთების ლაშქარმა სასტიკად გაანადგურა ეგვიპტელთა რაზმები, თვით რამსესს კი ალყა შემოარტყა. ფარაონი იხსნა მისმა ვაჟკაცობამ, აგრეთვე იმან, რომ ხეთების ლაშქარმა ეგვიპტელთა ბანაკის ძარცვას მიჰყო ხელი და საშუალება მისცეს ეგვიპტელებს გაერღვიათ ხეთების ალყა. რამსესმა ვერ შეძლო ვერც ხეთების დამარცხება, ვერც კადეშის აღება. ხეთების კოალიციამაც ვერ მოახერხა სამხრეთისკენ წაწევა.

ხეთებისა და ეგვიპტელების ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ხათუსილ III-მ სამეფო ხელშეკრულება შესთავაზა რამსეს II-ს, რაც ორივე მხარისათვის იყო ხელსაყრელი. რამსესის მეფობის 21-ე წელს, ე.ი. ძვ.წ. 1296 წ. დაიდო საზავო ხელშეკრულება. ხელშეკრულება განამტკიცა რამსესისა და ხეთების მეფის ქალიშვილის ქორწინებამ. ამის შემდეგ ხეთები და ეგვიპტელები აღარასოდეს შებრძოლებიან ერთმანეთს.

ხური-მითანისთან ურთიერთობა. ხურის ტომთა აქტიური მოქმედება აღმოსავლეთ მცირე აზიაში

გრძელდებოდა ძველი სამეფოს მომდევნო პერიოდშიც. ამ დროისათვის ხურის ტერიტორიაზე წარმოიშვა საკმაოდ ძლიერი სამეფო – მითანი, რომელიც ეგვიპტესთანაც კი მეტოქეობდა. მითანიმ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ჩრდილოეთ სირიაშიც (ხეთების შუა სამეფოს ხანაში).

სუფილულიუმამ ბოლო მოუღო მითანის ძლიერებასაც. შეიჭრა ხურიტების სამფლობელოში და მიადგა მითანის დედაქალაქ ვაშუქანის, რომელიც ხეთებმა გაძარცვეს და დაანგრიეს. საუკუნეების მანძილზე ხურის ქვეყნებთან პოლიტიკურ ურთიერთობებს თან მოჰყვა ხეთებისა და ხურიტების ურთიერთობანი რელიგიისა და კულტურის სფეროში.

ხეთების სამეფოს დაცემა. უკვე თუთხალია IV-დან დაიწყო ხეთების ძლიერების თანდათანობით დაცემა. ძვ.წ. XIII ს. მეორე ნახევარში ხეთებს არ მოუპოვებიათ საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი წარმატება.

ამ ხანებისათვის ხეთების სამეფო დიდ კრიზისს განიცდიდა ქვეყნის შიგნითაც. გაუთავებელმა დაპყრობითმა ომებმა დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკას.

ყოველივე ამას დაერთო ეგეოსის სამყაროს ხალხთა დიდი გადასახლება, რომლებსაც ეგვიპტური წყაროები „ზღვის ხალხებს" უწოდებენ. ძვ.წ. 1200 წლისათვის ოდესღაც მრისხანე ხათი თავისი დედაქალაქითურთ სამუდამოდ დაეცა.

სამართალი

ხეტების წარმოდგენით სამართალი და კანონი ღვთაებრივი წარმოშობისა იყო. ჩვენამდე მოაღწია ხეთური კანონების საკმაოდ ვრცელმა კრებულმა, რომელიც მუხლების კაუზალური ფორმულირების მიხედვით ორ ნაწილად იყოფა: 1) უკეთუ კაცი და 2) უკეთუ ვაზი. მ კანონის პირველი ფირფიტა შეიცავს ადამიანის პირადი და საკუთარი უფლებების განმარტებას. ქ არწერილია თავისუფალი ადამიანის და მონის მდგომარეობა, მოცემულია სასჯელთა სისტემა ადამიანის მკვლელობის ან დაშავებისთვის, ქურდობისა და მოტაცებისთვის, განხილულია საოჯახო სამართლის ნორმები, სახელმწიფო ვალდებუკებანი.

კანონთა კრებულის მეორე ფირფითა ეხება მიწათმფლობელობისა და ნათესების სამართლებრივი დაცვის საკითხებს, სასჯელთა სისტამას . აქვეა მოცემული დაქირავებული თუ სხვა შრომის ანაზღაურების სახეობანი, ფასების ტარიფი სხვადასხვა ტარიფზე და აშ.

ხეთური კულტურა

მატერიალური საფუძველი, საიდანაც აღმოცენდა და განვითარდა ხეთური კულტურა, საკმაოდ ორიგინალური იყო. ამან განაპირობა ხეთური კულტურის ის თავისებურებანი, რომლებითაც იგი არსებითად განსხვავდებოდა ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხთა

კულტურისაგან. თუ პროტოხეთური და ინდოევროპული ტომების შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი, ასევე ამ ორი ეთნიკური ჯგუფის კულტურულ მიღწევათა შერწყმამ საფუძველი ჩაუყარა ხეთურ კულტურას, რომელსაც თავიდანვე ახასიათებდა ადგილობრივი, ანუ, როგორც ამბობენ პროტოხეთური ელემენტის დიდი სიჭარბე.

ხეთური კულტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს აგრეთვე ხურიტულმა და ლუვიურმა კულტურულმა ელემენტებმა. ამიტომ ხეთური კულტურა მოიცავს არა მარტო თვით ხეთი ტომების მიერ შექმნილ კულტურას, არამედ ხეთების იმპერიაში შემავალი მოსახლეობის კულტურულ ნამოღვაწარს. ამავე დროს, ხეთურ კულტურაზე გავლენა იქონია ჩრდილოეთ სირიულმა და ასურულ-ბაბილონურმა სამყარომ. საბოლოოდ ჩამოყალიბდა არა ასურულ-ბაბილონური ან სხვა რომელიმე სამყაროს კულტურის „ხეთური ვარიანტი", არამედ სრულიად ორიგინალური ხეთური კულტურა მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

ხეთური ლიტერატურა. ბოღაზქოის არქივმა შემოგვინახა საკმაოდ მდიდარი ხეთური ლიტერატურა, რომელიც მოიცავს ოფიციალური ხასიათის ტექსტებს, მითებს, ლეგენდებს თუ პოეტურ ნაწარმოებებს.

ძველი ხეთური ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშია „ხათუსილის ანდერძი", რომელიც მომაკვდავმა

ხათუსილ I-მა შეადგინა – ტახტის მემკვიდრის (მურსილ I) დანიშვნასთან დაკავშირებით.

ხეთური ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია „თელიფინუს ტექსტი", რომლითაც ხეთების ამავე მეფემ მიმართა სახალხო კრებას. ხეთურ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ანალებს, რომლებშიც ძირითადად მოთხრობილია მეფეთა სამხედრო საქმიანობაზე წლების მანძილზე (მაგ. „ანითას ტექსტი", სუფილულიუმა I ისა და მურსილ II-ს „ანალები").

ხათუსას არქივში აღმოჩნდა ერთ-ერთ ადრეულ ავტობიოგრაფიათაგანი მსოფლიო ლიტერატურაში, ესაა „ხათუსილი III ავტობიოგრაფია", საიდანაც ვგებულობთ ხეთების ამ მეფის პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითად მომენტებს, მის ოინებს ტახტის ხელში ჩასაგდებად.

ხეთურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თარგმნილ ნაწარმოებებს. ხეთურ ენაზე იყო თარგმნილი ძველი შუამდინარეთის ხალხური ეპოსი „გილგამეში".

ბოღაზქოის არქივის ძირითადი მასა ხეთური რელიგიური ლიტერატურაა. აქ შემოინახა მრავალი ცერემონიალი, ლოცვა, ჰიმნი, ღვთაებათა სიები და სხვა.

ხათუსას არქივში დაცულ სპეციალური ლიტერატურიდან უნდა აღინიშნოს ტექსტები ხეთურ მეცხენეობაზე. ეს არის პირველი თხზულება მსოფლიო

ლიტერატურაში, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ცხენების გაწვრთნა, რაც 184 დღეს გრძელდებოდა.

ხეთური დამწერლობა. მართალია, მცირე აზიის ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ სავაჭრო კოლონიების ხანაში იცნობდა ძველი აქადური დამწერლობის „კაპადოკურ" ვარიანტს, მაგრამ ხეთებმა ეს დამწერლობა არ გამოიყენეს ხეთურ ენაზე შედგენილი ტექსტების ჩასაწერად. ამისათვის ისინი ხმარობდნენ ძველი აქადური დამწერლობის იმ სახეობას, რომელიც ჩრდილოეთ სირიაში იყო გავრცელებული ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან. ზოგიერთი სპეციალისტის ვარაუდით, დამწერლობის ეს სახეობა, რომელიც ხეთებმა შესანიშნავად მიუყენეს თავიანთ ენას, ძველი სამეფოს ხანაში უნდა გადმოეღოთ ნესიტებს ჩრდილოეთ სირიიდან, თუმცა, რიგ მკვლევართა აზრით, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო უფრო ადრეც (ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში).

ხეთური ხელოვნება. სწორედ ხეთური ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი, რომლებსაც XIX საუკუნეში პოულობდნენ მცირე აზიის ტერიტორიაზე გახდა „მიზეზი" მივიწყებული ხეთური ცივილიზაციის აღმოჩენისა. ეს ძეგლები დღესაც აცვიფრებენ ადამიანს თავისი ორიგინალობით, სისადავითა და დახვეწილობით.

ესენია ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ცხოველთა პატარა ფიგურები, ოქროს დოქები და ჯამები, ოქროს ორნამენტები და ე.წ. „სტანდარტები" ზოგჯერ ირმის გამოსახულებით (ირემი წმინდა ცხოველად ითვლებოდა ხეთურ ხანაში). ამ დროს კერამიკის ნიმუშები გამოირჩევიან თავიანთი ფორმებითა და პროპორციებით.

მრავალფეროვანია ხეთური ხანის ხელოვნების ძეგლები. ახალი სამეფოს დროიდან ცენტრალურ მცირე აზიაში ჩნდება მონუმენტური სტილი. მონუმენტურია ქვისგან დამზადებული ბარელიეფები, რომლებიც ხშირად იეროგლიფური ნიშნებითაა შემკული. უმეტესწილად აქ გამოსახულია მეფეები და ქურუმები.

დიდად განვითარდა ცენტრალურ მცირე აზიაში კლდის დამუშავება. ამის ბრწყინვალე ნიმუშია იაზილიქაიას კლდეში ნაკვეთი სკულპტურული გალერეა.

დახვეწილია ხეთური გლიპტიკა. ახალი სამეფოს ხანაში გამრავლდა ტიპიური ხეთური საბეჭდავები, რომლებსაც ზემოდან კონუსის ფორმა აქვთ, ხოლო ძირი მრგვალია. მეფეთა საბეჭდავებზე მოთავსებულია იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობით შესრულებული წარწერები.

ხეთური რელიგია. საკმაოდ თავისებური იყო ხეთური რელიგიაც. იგი წარმოადგენდა იმ რელიგიათა

ჯამს, რომლებთანაც ურთიერთობა უხდებოდა ხეთებს. როგორც თვითონ ხეთები აღნიშნავდნენ, არსებობდა „ხეთების სამეფოს 1000 ღვთაება". ესენი იყვნენ ხათური (პროტოხეთური), ნესური, ხურიული, ლევიური, ფალაური, ბაბილონური, არიული და სხვა წარმოშობის ღვთაებები.

ყოველ ხეთურ ქალაქს თუ დასახლებას თავისი ადგილობრივი კულტი ჰქონდა. ხეთური ხანის ანატოლიაში ძალზე გავრცელებული იყო ამინდის ღვთაების კულტი სხვადასხვა სახეობით (საომარ ეტლზე ან ხარზე მდგარი). ხეთების სამეფოს ცენტრში კი თაყვანს სცემდნენ პროტოხეთური პანთეონის ღვთაებებს. აქ მდებარეობდა ერთ-ერთი დიდი რელიგიური ცენტრი არინა, რომლის მთავარი ღვთაება მზის ქალღმერთი იყო.

ადგილობრივ ღვთაებათა გარდა, ხეთებს ჰქონდათ აგრეთვე სახელმწიფო რელიგია. უზენაეს ღვთაებად ითვლებოდა მზის ქალღმერთი ქ. არინადან. ეს იყო „დედოფალი ხათის ქვეყნისა, ცისა და დედამიწისა, ქალბატონი ხათის მეფეთა და დედოფალთა". მისი მეუღლე იყო ამინდის ღვთაება ხათისა, რომელსაც ეწოდებოდა „მეფე ცისა, ბატონი ხათის ქვეყნისა".

როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო პანთეონის ღვთაებათა პატივსაცემად იმართებოდა პერიოდული რელიგიური დღესასწაულები. მათგან

აღსანიშნავია „ფურული დღესასწაული”, რომელიც ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ეწყობოდა.

ხეთური რელიგია ითვალისწინებდა სხვადასხვა ხასიათის რიტუალებს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით. ტექსტებში დაწვრილებითაა აღწერილი მიცვალებულის (განსაკუთრებით მეფის) დამარხვის ცერემონიალი, რაც 13 დღეს გრძელდებოდა. დამარხვის ხეთურ წესს, როგორც ვარაუდობენ, ბევრი საერთო აქვს ჰომეროსისეულ დამარხვის რიტუალებთან.

ხეთური კულტურის ტრადიციები არ გამქრალა ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგაც. ბევრი მათგანი გაგრძელდა მოგვიანო ხანებში. ჩრდილოეთ სირიასა და ანატოლიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, სადაც ძვ.წ. I ათასწლეულში ჩამოყალიბდა რამდენიმე ახალხეთური სამთავრო.

მცირე აზია ძვ.წ. XII-VII სს-ში ფრიგია

მცირე აზიის მოსახლეობა ძვ.წ. XII-VII სს-ში. მცირე აზიის ისტორიაში ძვ.წ. XII-VIII საუკუნეებს ჩვეულებრივ „ბნელ ხანას” უწოდებენ. „ზღვის ხალხების” შემოსევამ, ქარიშხალივით გადაუარა მცირე აზიას. ოდესღაც ბრწყინვალე ბოღაზ-ქოი (ხეთების დედაქალაქი – ხათუსა) ფერფლმა და ნანგრევებმა დაფარა. იგივე ბედი ეწია

წინარე ხანის იმ მნიშვნელოვან ცენტრებსაც, რომლებიც თანამედროვე ალიშარის, ალაჯა-ჰუიუქისა და ქიულ-თეფეს ადგილას მდებარეობდნენ.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების სრული უქონლობის გამო თითქმის არაფერი ვიცით ძვ.წ. VIII ს-მდე არსებული პერიოდის მცირე აზიის ცენტრალური, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ოლქების შესახებ. ძვ.წ. XII ს-ის შემდგომ ხანაში დასავლეთი და ცენტრალური მცირე აზია მრავალი ახალი ტომის სამშობლო ხდება. ამ ხანიდან მოყოლებული მცირე აზიაში განუწყვეტელი ნაკადით მიედინებიან ბალკანურ-თრაკიული მოდგმის ინდოევროპული ტომები: ფრიგიელები, თრაკიელები, მიზიელები, ბითვინიელები, ეოლიელი, იონიელი და დორიელი ბერძნები.

ბალკანურ-თრაკიული მოდგმის ინდოევროპული ტომების გარდა ძვ.წ. II ათასწლეულში მცირე აზიაში ცხოვრობდნენ აგრეთვე მცირე აზიის უძველეს მოსახლეობასთან (ხეთებთან, ლუვიელებთან) გენეტიკურად დაკავშირებული ისეთი ტომები, როგორიც იყვნენ ლიდიელები, კარიელები, ლიკიელები, პასიდიელები და სხვა.

საკმაოდ დიდი ძვრები მოხდა აღმოსავლეთ მცირე აზიაშიც, რაც კარგად ჩანს ტიგლათფილესერ I-ის (ძვ.წ. 1115-1077 წწ) დროინდელი ასურული წარწერებიდან. ძვ.წ.

XII ს-ის ასურულ ტექსტებში პირველად ვხვდებით წერილობითი წყაროებისათვის მანამდე უცნობი მუშქებისა და ურუმაელების სახელებს. იმავე ტიგლათფილესერ I-ის წარწერებიდანვე ვგებულობთ წინარე (ხეთური) ხანის ისტორიიდან ცნობილი ტომების მოძრაობის შესახებაც. ამ მხრივ საყურადღებოა ქასქების გადაადგილება მათი ძველი ტერიტორიიდან დღევანდელი მალატიის მიმართულებით.

ძვ.წ. I ათასწლეულის აღმოსავლეთ მცირე აზიის სამხრეთ რაიონებში საკმაოდ ძლიერი იყო ლუვიური ეთნიკური ელემენტი, რაც კარგად დასტურდება აღნიშნულ რაიონში ძვ.წ. IX-VIII სს-ებით დათარიღებულ ლუვიურ-იეროგლიფური წარწერების სიმრავლითა და გავრცელების დიდი არეალით. აღმოსავლეთ მცირე აზიაში იეროგლიფურ-ლუვიურის ძლიერ პოზიციებზე ლაპარაკობს ამ რაიონში ლუვიური რელიგიური პანთეონის დიდი პოპულარობაც.

მეცნიერები ვარაუდობენ აგრეთვე ძვ.წ. I ათასწლეულის აღმოსავლეთ მცირე აზიაში ქართველური და ჩრდილოკავკასიური მოდგმის ტომების არსებობასაც. ასეთ ტომთა რიცხვს ჩვეულებრივ აკუთვნებენ მუშქებს (გვიანდელ მოსხებს–მესხებს), თაბალელებს (გვიანდელ ტიბარენებს), ქასქებს (გვიანდელ ქაშაგებს), ცუფანელებს (გვიანდელ წოვებს) და სხვა.

ზემოჩამოთვლილ ტომებთან ერთად ძვ.წ. XII-VIII სს-ის აღმოსავლეთ მცირე აზიაში უნდა ეცხოვრათ აგრეთვე ხურიული და სემიტური წარმომავლობის ტომებსაც.

ხეთების სამეფოს დაცემის მომდევნო ხანის მცირე აზიაში ყველაზე ადრე ფრიგიელები დაწინაურდნენ. ძვ.წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედში ცენტრალურ და აღმოსავლეთ მცირე აზიაში მათ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება შექმნეს.

ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფრიგიის ისტორია ორ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი მოიცავს ხანას ძვ.წ. VIII საუკუნიდან ძვ.წ. VII ს-ის 80-იან წლებამდე (ამ ხანას პირობითად „წინაკიმერიულ ხანას" უწოდებენ), ხოლო მეორე ძვ.წ. VII ს-ის 80-იანი წლებიდან ძვ.წ. VII საუკუნის დასასრულამდე. ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოს ფრიგია ხდება მცირე აზიის მეორე მსხვილი პოლიტიკური ერთეულის – ლიდიის ქვეშევრდომი.

ძნელია ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ ფრიგიის საზღვრებზე არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების სიმცირის გამო. ადრეანტიკური და ანტიკური ხანის ავტორები (ჰომეროსი, ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტარბონი და სხვა) ფრიგიას, ჩვეულებრივ, ათავსებენ მდ. სანგარიოსის (დღევ. საკარიას) შუა დინების აუზში, მდ. ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის)

დასავლეთითა და მდ. მეანდროსის (დღევ. მენდერესის) სათავეების ჩრდილოეთით.

XX საუკუნის დამდეგს მდ. ჰალისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტიანაში (დღევ. ბორში) ფრიგიელთა მეფე მითას (მიდასის) სახელის შემცველი ძველფრიგიული წარწერის აღმოჩენამ, ისევე როგორც სარგონ II-ის (ძვ.წ. 722-705 წწ) დროინდელ ტექსტში დაცულმა ცნობებმა, აშკარა გახადა, რომ ძვ.წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედის ფრიგია აღმოსავლეთით კილიკიის კარამდე ვრცელდებოდა.

ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფრიგიის ისტორიის უმთავრეს წყაროს ძველბერძნული ისტორიული ლიტერატურა და მითოლოგია წარმოადგენს.

ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჰომეროსის „ილიადას". ჰომეროლოგიაში მოპოვებულმა დიდმა წარმატებებმა, რაც მიკენური დამწერლობის გაშიფვრასა და მიკენის, პილოსისა და კრეტას არქეოლოგიურ შესწავლას მოჰყვა შედეგად, საგრძნობლად გაზარდა „ილიადას", როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობა. გამოირკვა, რომ „ილიადაში" ასახული სამყარო დაკავშირებულია ძველ მიკენთან. ამიტომ აღნიშნულ პოემაში ფრიგიის შესახებ დაცულ ცალკეულ მითითებებს სადღეისოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ პოემის ლიტერატურული გაფორმება ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებამდე გრძელდებოდა,

რის გამოც მასში ძველ ვითარებასთან ერთად შედარებით გვიანდელი ამბებიც აისახა.

„ილიადა" ყველაზე ადრეული წერილობითი ძეგლია, რომელშიც აღწერილია ფრიგიის გეოგრაფიული მდებარეობა, ასახულია ფრიგიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, დაცულია მითითებები ფრიგიის ისტორიის ადრეული ქრონოლოგიისათვის და სხვა.

ფრიგიის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის არაერთ საგულისხმო ცნობას შეიცავს ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, სტაბონისა და სხვათა თხზულებები.

ფრიგიის ისტორიის წყაროების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ძველბერძნული მითოლოგიაც, განსაკუთრებით კი, ფრიგიის მეფე მიდასის სახელთან დაკავშირებული ძველბერძნული მითები და ლეგენდები, რომლებშიც თავისებურად აირეკლა ფრიგიის ისტორიის ცალკეული მხარე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ლეგენდების ის ციკლი, რომელიც მიდასის ზღაპრულ სიმდიდრეზე მოგვითხრობს.

ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფრიგიის ისტორიის წერილობითი წყაროების მეორე დიდ ჯგუფს ძველაღმოსავლური (იეროგლიფური, ლუვიური, ასურული) ტექსტები ქმნიან. 1898 წელს ცნობილმა გერმანელმა მკვლევარმა ჰ.ვინკლერმა მეცნიერულად დაასაბუთა ძველბერძნული წყაროების „ფრიგიისა" და სარგონ II-ის (ძვ.წ. 722-705 წწ) დროინდელი ასურული

ტექსტების „მუშქების ქვეყნის” იგივეობა. ასეთი დასკვნის საფუძველს ამ ორი ქვეყნის („დიდი ფრიგიისა” და „მუშქების ქვეყნის”) გეოგრაფიული მდებარეობის ამსახველი ცნობები იძლეოდა, რადგან ჰ. ვინკლერმა გაარკვია, რომ ძვ.წ. VIII საუკუნის ასურული წყაროების მუშქების ქვეყანა მოთავსებულია შუა ჰალისის მიდამოებში და მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ანტიკური წყაროების მიხედვითაც, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, ფრიგიის აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ჰალისთან გადიოდა. გარდა ამისა, ჰ.ვინკლერი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ორივე ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების ხანა ძვ.წ. VIII საუკუნის 30-იან წლებზე მოდიოდა.

ფრიგიის ისტორიის წერილობითი წყაროების სიმცირეს ავსებს ფრიგიის ტერიტორიაზე XX საუკუნის დასაწყისიდან ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის მასალები. ფრიგიის შესწავლა არქეოლოგიური თვალსაზრისით ა. კიორტეს სახელთანაა დაკავშირებული. მან პირველმა მიაქცია ყურადღება ფრიგიის ძველი დედაქალაქის გორდიონის (დღევ. იასი-ჰუიუქი) ყორღანულ სამარხებს. მანვე 1900-1901 წლებში გათხარა ამ ყორღანების ერთი ნაწილი და გამოსცა გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალები. ფრიგიის დედაქალაქის არქეოლოგიური შესწავლა

ინტენსიურად მიმდინარეობს 1950 წლიდან, როდესაც აქ არქეოლოგიურ სამუშაოებს პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია ჩაუდგა სათავეში. წლების განმავლობაში გათხრილია და გაწმენდილია ყორღანული სამარხების დიდი ნაწილი, დადგენილია გორდიონის სამოსახლო ბორცვის სტრატიგრაფიაც. გამორკვეულია, რომ აღნიშნული ქალაქის უძველესი კულტურული ფენა ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევრითაა დათარიღებული, ხოლო უახლესი გვიანელინისტურით. გორდიონის არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა მდიდარი მასალა, რაც საშუალებას იძლევა ახლებურად წარმოვიდგინოთ ფრიგიის ისტორიის მრავალი საკითხი.

ფრიგიის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ძვ.წ. I ათასწლეულით დათარიღებულ სხვა ცენტრებში გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალას. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ბოღაზ-ქოიში, ქიულ-თეფეში, ტარსუსში, მალატიაში, სარდეში, კონიაში და სხვა აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები.

ძვ.წ. VIII ს ბოლო მეოთხედამდე თითქმის არაფერი ვიცით ფრიგიის პოლიტიკური ისტორიის შესახებ.

აღმოსავლეთ მცირე აზიასა და ჩრდილოეთ სირიაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით ფრიგიის პირველი მოხსენიება ძვ.წ. 717 წლით თარიღდება. სარგონ II-ის „ანალები” გვიამბობენ, რომ ქარხემიშის მთავარმა

„ულალატა ასურეთის ღმერთებს" და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ფრიგიის (მუშქების) ქვეყნის მეფესთან – მითასთან. ფრიგიის მეფის მფარველობას მხოლოდ ქარხემიშის მთავარი როდი ეძებს. მიდასთან მჭიდრო კონტაქტში ჩანან თაბალისა და მისი მეზობელი ათუნას სამთავროებიც. ამგვარად, ირკვევა, რომ დროის ერთ მონაკვეთში (ძვ.წ. VIII ს-ის 20-იან წლებში) ფრიგიის მეფე მითა (მიდასი) ანტიასურული კოალიციის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო. ამავე ხანებში ფრიგიელებმა ხელთ იგდეს ასურეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ოლქის – კილიკიის – სამი ციხე-სიმაგრე. მაგრამ კილიკიაში ფრიგიელების ბატონობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. უკვე ძვ.წ. 715 წ ასურელთა მძლავრი შემოტევის შემდეგ ფრიგიელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ კილიკია.

ძვ.წ. 712 წელს ასურელები ფრიგიის საზღვარზე სამ ციხე-სიმაგრეს აარსებენ, ხოლო ძვ.წ. 709 წელს კილიკიელი მოხელე სამგზის ლაშქრობს ფრიგიის სამეფოს განაპირა ოლქებში. ასურული წერილობითი წყაროების მიხედვით, ძვ.წ. 709 წლის ამბებით შეშინებული მითა-მიდასი იძულებული გამხდარა ძვირფასი ძღვენი და ხარკი გაეგზავნა ელამის საზღვართან მყოფ სარგონ II-ისათვის. ფრიგიასა და ასურეთს შორის ამიერიდან მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რაც კარგად ჩანს 1958 წ. აღმოჩენილი ერთ-

ერთი ასურული დოკუმენტიდანაც. ამავე დროს, ბერძნული საისტორიო ტრადიციით, ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლოს ფრიგიელებს უკვე საკმაოდ მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ არა მხოლოდ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზიასთან, არამედ საბერძნეთთანაც.

წერილობითი წყაროების თანახმად, ფრიგიის მეფე მიდასის ცოლი ჰერმოდიკე წარმოშობით ქვიმელი ბერძენი მთავრის ოჯახიდან იყო. ჰეროდოტეს მიხედვით კი, იმავე მიდასს (ბერძნებთან მეგობრული ურთიერთობის ნიშნად) დელფოსის ცნობილი ტაძრისათვის თავისი სამეფო ტახტი შეუწირავს.

ძვ.წ. 676 წელს ფრიგიას კიმერიელთა და ურარტელთა გაერთიანებული ლაშქარი შეესია. ანტიკური წყაროების მოწმობით, როცა მიდასს ამ შემოსევის შედეგების შესახებ აცნობეს, მას თავი მოუკლავს.

ფრიგიის ისტორიის ე.წ. „წინაკიმერიულ" პერიოდს, ჩვეულებრივ, ძვ.წ. 676 წლით ამთავრებენ. ძვ.წ. VII ს დამლევს კი ფრიგია ლიდიის მეფეების ქვეშევრდომი გახდა.

მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა. ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფრიგია ძირითადად განვითარებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ქვეყანა იყო. მდინარეების (სანგარიოსისა და მეანდროსის) ნაყოფიერი ველები ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო ხელს უწყობდნენ ამ რაიონში მევენახეობის განვითარებას.

შემთხვევითი როდია, რომ ..ილიადას'' ავტორი ფრიგიის ხსენებისას საგანგებოდ აღნიშნავს, „ფრიგია ვენახით მდიდარი ქვეყანაა'', ხოლო ჰეროდოტე ხაზს უსვამს იმას, რომ ფრიგიელები საქონლითა და „მიწის ნაყოფით'' იყვნენ მდიდარი.

მიუხედავად იმისა, რომ ფრიგიის ძირითადი ტერიტორია საკმაოდ ღარიბი იყო ტყით, ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფრიგიაში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა ხის დამუშავების ტექნიკა. ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებულ არქეოლოგიურ მასალებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ფორმისა და ზომის, სხვადასხვა დანიშნულების ხის ავეჯი. ხის ნივთების დამზადებისათვის ფრიგიელები ხმარობდნენ შავი ფიჭვის, ნეკერჩხლის, კედარის, ბზის, მსხლის, ურთხელისა და ალვის ხის მერქანს.

მაღალგანვითარებული ჩანს ფრიგიაში ადგილობრივი კერამიკული წარმოებაც. არქეოლოგიურ მონაპოვრებში წარმოდგენილია მოხატული ჭურჭლები, რომლებიც გეომეტრიული ორნამენტითა და ხანდახან ზოომორფული პანელებითაა შემკული. ძვ.წ. VIII-VII სს ჭურჭელს განეკუთვნება აგრეთვე ბატის ფორმის ჭურჭლები და ბერძნული გრძელყელიანი დოქების მსგავსი კერამიკული ნაწარმი, რომელსაც ფრინველის ფორმა აქვს. მოხატულ კერამიკასთან ერთად ფრიგიელები

მაღალკვალიფიციურად ამზადებდნენ შავპრიალა ჭურჭლებსაც.

ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფრიგია განვითარებული ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ქვეყანაა. ფრიგიის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ბრინჯაოს ნივთები. არქეოლოგების მიერ ნაპოვნია აგრეთვე რკინისაგან დამზადებული მასალაც, რაც ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფრიგიაში რკინის ფართო ათვისებაზე ლაპარაკობს.

ფრიგიის ეკონომიკის განვითარების მაღალი დონე, თავის მხრივ, საშუალებას აძლევდა მას აქტიურად ჩაბმულიყო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში. ამაზე აშკარად მიუთითებს არქეოლოგიურ მასალებში ადგილობრივის გვერდით იმპორტული (ასურული, ურარტული, კვიპროსული და ჩრდილი სირიული) წარმომავლობის ნივთების არსებობა.

ფრიგიული საზოგადოება, კულტურა, რელიგია. წერილობითი წყაროების სიმდიდრისა და ფრიგიულ ენაზე სამეურნეო ან სამართლებრივი დოკუმენტების სრული უქონლობის გამო თითქმის შეუძლებელია აღვადგინოთ ძვ.წ. VIII-VII სს-ის ფრიგიის სოციალური ისტორია. საფიქრებელია, რომ ბალკანეთიდან მოსული ეს ტომები სოციალური განვითარების საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგნენ. მცირე აზიაში გადმოსახლების შემდეგ მათი საზოგადოებრივი განვითარების პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა.

ანტიკური ტრადიციით „გორდიოსი" და „მიდასი" ფრიგიელი მეფეების დინასტიური სახელები იყო. ფრიგიის საზოგადოების შიგნით ქონებრივი უთანასწორობის პროცესი საკმაოდ შორს იყო წასული. ამას ადასტურებს გორდიონის განაპირას აღმართული, მდიდრული ინვენტარის შემცველი დიდებული ყორღანული სამარხები (ერთ-ერთი ასეთი ყორღანი 52 მ სიმაღლისაა), რომლებიც მეფეთა და მმართველი წრეების წარმომადგენელთა განსასვენებელი ადგილები იყო.

ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრის ფრიგიის საზოგადოებრივი განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ფრიგიელებმა მცირე აზიაში მცხოვრებ ტომთაგან ყველაზე უფრო ადრე (ძვ.წ. VIII ს-ის 30-იან წლებში) შეითვისეს ფინიკიურიდან მომდინარე დამწერლობა (საკუთარ ენაზე წარწერების შესადგენად).

ძვ.წ. VIII-VII სს-ებში ფრიგიელებმა ორიგინალური, თვითმყოფი კულტურა შექმნეს. ზემოთ უკვე ავღნიშნეთ თუ რა სიმაღლეს მიაღწია იმდროინდელ ფრიგიაში ხის დამუშავებამ, კერამიკულმა წარმოებამ, მეტალურგიამ. მაღალ დონეზე იდგა აქ აგრეთვე ქსოვილებისა და საიუველირო ნივთების დამზადების საქმეც.

აღნიშნული ხანის ფრიგიაში დიდად იყო განვითარებული მონუმენტური არქიტექტურა. მიდასის ქალაქის კლდეში ნაკვეთი სამარხებისა და საკულტო

ნაგებობების მაღალ მხატვრულ ღირსებებს დღესაც აღფრთოვანებაში მოჰყავთ მნახველები, ხოლო გორდიონის ცადაზიდული ყორღანები დაუვიწყარს ხდიან ამ ძველი ქალაქის ხედს.

ფრიგიული რელიგიური პანთეონის ხასიათის დადგენა საკმაოდ რთული საქმეა. ანტიკური წერილობითი ტრადიციის, მითოლოგიისა და ფრიგიული სახვითი ხელოვნების მონაცემების საშუალებით დიდი ხანია, რაც ცნობილია, რომ ფრიგიული რელიგიური პანთეონის სათავეში „ღმერთების დიდი დედა" – კიბელა იდგა. მკვლევარები დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ, რომ კიბელა მცირე აზიის ადგილობრივი ტომების ძველი ღვთაება იყო. მაგრამ, არც ხეთურ საკულტო ტექსტებში და არც ხეთურ მატერიალურ კულტურაში არ დასტურდება „ღმერთების დიდი დედის" – კიბელას არსებობა. ამიტომ საფიქრებელია, რომ კიბელა საკუთრივ ფრიგიული ღვთაება იყო.

თემა მეცხრე

ასურეთის სამეფო და ურარტუ

ა ს უ რ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო

ბუნებრივი პირობები და მოსახლეობა:

ასურეთი ეწოდება თანამედროვე ერაყის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, მდინარე ტიგროსის შუა წელზე, ბაბილონის ჩრდილოეთით მდებარე ოლქს.

თავისი ბუნებრივი პირობებით შუამდინარეთის ეს ოლქი მკვეთრად განსხვავდება ბაბილონისაგან. მდინარეები ტიგროსი და ევფრატი აქ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებით მოედინებიან. ამიტომ მათ პერიოდულ ადიდებას არ ჰქონდა ქვეყნისთვის ის მნიშვნელობა, რაც სამხრეთში. მთები ახლოსაა მდინარესთან, რის გამოც საირიგაციო მიწათმოქმედებისთვის ვარგისი რჩება მხოლოდ მდინარის სანაპირო ვიწრო ზოლი.

ჰავა აქ უფრო მკაცრია და კონტინენტური; ზამთარი საკმაოდ ცივია და ხშირად თოვლიანიც, ზაფხული კი-ცხელი და მშრალი.

განსხვავებით ბაბილონისა და შუმერებისაგან ასურეთში ადრიდანვე დიდ მნიშვნელობას იძენს მესაქონლეობა, რომლის ბაზას წარმოადგენს მთიანი საძოვრები, სადაც ზაფხულობით მიერეკებიან მსხვილფეხა საქონლის ჯოგებსა და ცხვრის ფარებს. მთების ქვედა კალთებზე ადრიდანვე აშენებდნენ ვენახს, რომლის კულტურა ბაბილონში იყო გავრცელებული.

მდინარე ტიგროსის აღმოსავლეთი და დასავლეთით აღმართულ მთებში მოსახლეობა, გარდა მეცხოველეობისა, მისდევდა მონადირეობას, რომელიც აქ მუდამ რჩებოდა მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად.

განსხვავებით შუამდინარეთის უფრო სამხრეთის დაბლობი რაიონებისაგან, ასურეთის ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრი იყო ტყე, აგრეთვე საშენი ქვა და ლითონი. ამან ხელი შეუწყო აქ ხელოსნობის რიგი დარგის უფრო ადრეულ და სწრაფ განვითარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ასურეთის მთებში სპილენძთან ერთად იყო რკინის საბადოებიც, რომელთა დამუშავება აქაურმა მოსახლეობამ საკმაოდ ადრე დაიწყო. მერმინდელი ასურეთის მოსახლეობის თავდაპირველ ბირთვს შეადგენდნენ, როგორც ჩანს ხურიტული და მათი მონათესავე ტომები. მეცნიერთა უმეტესობა ამ ქვეყნის მცხოვრებლებს სუბარელებს ხურიტებად მიიჩნევს.

ძველი წლით III ათასწლეულის მეორე ნახევარში ბაბილონის ჩრდილოეთით მდებარე ოლქში ჩნდება აქადურ-სემიტური მოსახლეობა. აქადის და შუმერის ტერიტორიაზე ისეთი ნედლეულის ნაკლებობ, როგორიცაა ქვა, ხე-ტყე და ლითონი, აიძულებდა შუმერისა და აქადის ქალაქებს გამოეგზავნათ აქეთ თავისი სავაჭრო აგენტები ამ ნედლეულის შესაძენად და სწორედ ისინი ქმნიდნენ აქ თავის დასახლებებს, როგორც თავისებურ საყრდენ პუნქტებს. ამის გამო ასურეთის ტერიტორიაზე იქმნება სემიტური დასახლებანი, ხდება სემიტური ტომების იმიგრირება და ადგილობრივ სუბარულ ტომებთან შერევა.

სემიტურ დასახლებათა შორის უმნიშვნელოვანესი იყო ასური, რომელიც ახლანდელი ქალაქ შერკატის ადგილზე მდებარეობდა. შემდგომში ეს ქალაქი გახდა აქ შექმნილი სახელმწიფოს ცენტრი და ქვეყანასაც მის მიხედვით ასური ან ბერძნული ფორმით „ასირია" ეწოდა.

ასურეთის განვითარების თავისებურებებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მდებარეობას. ასურეთი თავისებურ გზაჯვარედინზე მდებარეობდა, რამაც ხელი შეუწყო აქ ვაჭრობის ადრეულ განვითარებას და ასურეთის გადაქცევას ერთგვარ შუამავლად წინა აზიის სხვადასხვა ოლქებს შორის აღებმიცემობაში.

ასურეთის უძველესი ისტორია

ასურეთის უძველესი ისტორია, იქ კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პირობები ჩვენთვის თითქმის უცნობია. წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ, რომ უკვე აქადური დინასტიის ხანაში ეს ტერიტორია აქადის პოლიტიკური გავლენისა და შესაძლოა, ძალაუფლების ქვეშაც იმყოფებოდა. როგორც აქადური ტექსტები გვამცნობენ, სარგონ I მა დაიპყრო სუბართუს ქვეყანა და ზაგროსამდე ილაშქრა.

მისმა მემკვიდრემ რიმუშმა კი მერმინდელი ასურული ქალაქის ნინევიის- ჩრდილოეთით ააშენა ქალაქი რომელსაც თავისი სახელი მიაკუთნა.

ურის III დინასტიის მმართველობის დროს ასურეთის აღმოსავლეთი, ტიგროსისპირა მხარე ამ დინასტიის ხელქვეით ქვეყანას წარმოადგენდა; ურის III დინასტიის დაცემისა და სამხრეთ შუამდინარეთში ელამის მოძალების ხანაში ასურეთი განთავისუფლდა და აქ დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანება შეიქმნა. ასურის მმართველები ე.წ. იშაკუმები დამოუკიდებელ მმართველებად იქცნენ.

ილუშუმა იყო შვილიშვილი ასურის მმართველის ფუზურასურისა, რომელიც აქ დამოუკიდებელი აქადური ჩამომავლობის დინასტიის ფუძემდებლად ითვლება. ამ დინასტიის საშინაო თუ საგარეო მოღვაწეობის შესახებ ცნობები თითქმის არ მოღწეულა, თუ არ ჩავთვლით

ილუშუმას ზემონახსენებ ლაშქრობას სამხრეთში და უკანასკნელის წინამორბედ და მომდევნო მეფეთა რამდენიმე წარწერას, რომლებიც მათ სააღმშენებლო მოღვაწეობაზე მოგვითხრობს.

ფუზურასურის დინასტიის მმართველობის ხანაზე მოდის ასურელთა მიერ სავაჭრო კოლონიების დაარსება მცირე აზიაში- კაპადოკიაში. ჯერ კიდევ შუმერული და აქადური ქალაქები გზავნიდნენ თავის სავაჭრო აგენტებს „თამბაქრებს" საკმაოდ შორეულ ექსპედიციებში. ეს უკანასკნელნი კაპადოკიაში აარსებენ საკმაოდ დიდ და ძლიერ ახალშენებს, რომელთა მიზანი იყო ადგილობრივი ნედლეულის რესურსების სისტემატური შეძენა და მყარი აღებმიცემობის დამყარება.

ყველაზე მნიშვნელოვანი ასურული ასურული ახალშენი იყო ქალაქ ქანეშის გვერდით მდებარე სავაჭრო დასახლება. ქალაქი ქანეში მდებარეობდა თანამედროვე ქალაქ კაისერის მახლობლად.

მცირე აზიაში ასურელ ვაჭრებს გაჰქონდათ ხელოსნური ნაწარმი, უმთავრესად ქსოვილები, ხოლო აქედან მოჰქონდათ ვერცხლი, ტყვია, სპილენძი, მატყლი და ტყავი.

ფუზურასურის დინასტიას ბოლო მოუღო ამორეველმა შამშიადად I-მა. ისევე, როგორც ცენტრალურ და სამხრეთ შუამდინარეთში, ძალაუფლება აქ შემოჭრილ ამორეველ ბელადთა ხელში გადავიდა. შამშიადმა მიზნად

დაისახა შეექმნა ისეთივე დესპოტური ხელისუფლება, როგორიც იყო დამყარებული ბაბილონში. იგი თავის თავს უბრალოდ იშაკუმას კია არ უწოდებს, არამედ შარ-ქიშათის „მმართველ მეფეს" ეს დაახლოებით იგივეა რაც „სამყაროს მეფე". მას თავისი ვაჟი ქალაქ მარის მმართველად დაუყენებია. ასურის მეფეს ერთ დროს ემორჩილებოდა ჩრდილოეთ აქადიც, როგორც მისი წარწერებიდან ჩანს, მას ხარკს აძლევდნენ ასურეთის აღმოსავლეთით დაჩრდილო-აღმოსავლეთის მოსახლე ტომები, ხოლო დასავლეთით შამშიადს ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე მიუღწევია, სადაც ლიბანის ქვეყანაში თავისი ძეგლი დაუდგამს.

მითანის მეფე შაუშატარის დროს ასურეთი მისი ბატონობის ქვეშ მოექცა. შაუშატარს დაულაშქრავს ასურეთი, ხელთ უგდია ქალაქი ასური და გაუძარცვავს იგი. ასურში მეფის ელჩი სუქალუ იმყოფება, რომელიც ფაქტიურად, მეფის მოადგილეს, მეფის ნაცვალს წარმოადგენს. მართალია, ასურეთის ზოგიერთ ქალაქში ადგილობრივი მმართველებიც იყვნენ, მაგრამ მათი როლი მცირე იყო და ისინი ფაქტიურად მითანის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ.

ასურეთის როლი ამ პერიოდში საერთოდაც დაეცა. მართალია, ასურეთის მეშვეობით ვაჭრობა ინარჩუნებს მნიშვნელობას ბაბილონისათვის, მაგრამ

ასურეთი ვეღარ არის ისეთი აქტიური, როგორიც არდრე იყო. მას უკვე აღარ შეუძლია თავისი სავაჭრო კოლონიების გაყვანა მცირე აზიაში და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ხეთებისა და მითანის მძლავრი სახელმწიფოების გამო.

მითანის დასუსტება და ასურეთის პოლიტიკური გაძლიერება

XV საუკუნის დასაწყისიდან მითანის სახელმწიფო საგრძნობლად დასუსტდა, ამით ისარგებლეს ასურეთის მმართველებმა და დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ. მითანისგან განთავისუფლებისთვის ხელსაყრელი პირობები ასურეთს შეექმნა მას შემდეგ, რაც ხეთების მეფემ სუფილულიუმა I-მა გაანადგურა მითანის მეფის ჯარები და დაიკავა მთელი ჩრდილოეთი სირია. ასურეთის მმართველმა ასურუბალიტმა მითანის დამარცხებით ისარგებლა და თავი დამოუკიდბლად გამოაცხადა.

ასურუბალიტ I-ის დროიდან იწყება ასურეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა და მისი ახალი აღმავლობის ხანა, ეგრედწოდებული „შუაასურული პერიოდი".

თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში ასურუბალითი, სარგებლობს რა ბაბილონში ტახტის

პრეტენდენტთა ურთიერთბრძოლით, იჭრება მის საზღვრებში და ტახტზე თავის შვილიშვილს ქურიგალუზს სვამს.

ასურუბალიტის მემკვიდრეები განაგრძობენ მის აქტიურ საგარეო პოლიტიკას. მეფე ადადნირარ I ლაშქრავს ასურეთის დასავლეთით მითანის სამეფოს ტერიტორიას და აღწევს ხარანსა და ქარხემიშამდე. სწორედ ადადნირარის დროიდან შეიმჩნევა ცდა დაპყრობითი პოლიტიკის კანონიერად და ღმერთებისათვის სასურველად გამოცხადებისა. ადადნირარი თავის თავს „ყოველთა მეფეს" უწოდებს.

ადადნირარის მემკვიდრის სალმანასარ I-ის დროს ასურეთი იწყებს აგრესიულ მოქმედებას ჩრდილოეთით ურუატრის წინააღმდეგ (შემდგომი ურარტუს სამხრეთი ნაწილი), სადაც იპყრობს და ანადგურებს სოფლებსა და გამაგრებულ დასახლებებს. სალმანასარ I-ის დროს გარკვეულად ყალიბდება ასურეთის მეფეთა დიდმპყრობლური პოლიტიკა.

განსაკუთრებით აგრესიულ პოლიტიკას ატარებს მეფე თუქულთინინურტა I. თუქულთინინურტა ანადგურებს ჩრდილო სირიის ხეთურ ოლქებს, საიდანაც მისი წარწერის მიხედვით, 28000 ტყვე მოჰყავს. აგრეთვე დალაშქრავს ასურეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ელამის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებსაც და დასავლეთით და

სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ოლქებს. ჩრდილოეთით იგი იჭრება ნაირის მხარეში და ამარცხებს 43 მეფეს.

თავისი მეფობის მეთერთმეტე წელს თუქულთინინურტა შეიჭრა ბაბილონში, აიღო ქალაქი ბაბილონი, გაძარცვა იგი, დაანგრია მისი სიმაგრეები, გაძარცვა ღმერთ მარდუკის ტაძარი, ხოლო თვით ღმერთის ქანდაკება „ტყვექმნილი" წამოიღო ასურში.

დაპყრობილი ქვეყნების უფრო მყარად შემომტკიცების მიზნით თუქულთინინურტა ფართოდ მიმართავს დამორჩილებულ ოლქთა მცხოვრებლების ასურეთში გადმოსახლებას, სიმაგრეების აგებასა და იქ ასურული ჯარების დატოვებას.

ფართო დაპყრობით პოლიტიკას მარტო საზღვრების გაფართოებისა და პოლიტიკური პრესტიჟის ამაღლების მიზანი არ ჰქონია. ასეთი დაპყრობები წმინდა ეკონომიკური ამოცანებითაც იყო ნაკარნახევი. დალაშქრული ქვეყნებიდან ასურელებს უამრავი ნადავლი მიჰქონდათ, განსაკუთრებით ისეთი ნედლეული, რაც ასურეთში ცოტა იყო, მაგალითად: ლითონი, ხე-ტყე, სოფლის მეურნეობის პროდუქტები. დაპყრობილ ოლქებს ხარკს ადებდნენ. ეს ყველაფერი ამდიდრებდა ქვეყანას, განსაკუთრებით მის გაბატონებულ ზედა ფენას.

თუქულთინინურტა, თავისი წინამორბედების მსგავსად, საკმაოდ ფართო სამშენებლო მოღვაწეობასაც ეწევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასურულ მეფეთა

ზრუნვა საკუთარი სასახლეების გადიდება-გამშვენებაზე. თუქულთინინურტას დროისთვის მეფე უკვე ხდება სავსებით შეუზღუდავი მეფე და ერთპიროვნული მმართველი. მის ხელში იყრის თავს სახელმწიფო მმართველობის ყველა ძაფი და ის ნამდვილ დესპოტად გვევლინება. მისი მეფობის უკანასკნელი წლები ჩვენთვის ბურუსითაა მოცული, მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი სასახლის გადატრიალების მსხვერპლი გახდა.

ტიგლაფილესერ I-ის დროს მოხდა ასურეთის დროებითი აღზევება და მისი საგარეო ძლიერების აღდგენა. ტიგლაფილესერ I-ი წარმატებებს აღწევს სირიაში, მიდიის ლიბანის მთებამდე და გადალახავს რა მათ, ფინიკიის ქალაქებს ბიბლოსს, სიდონს და არვადს – დახარკავს, აქედან გამოზიდავს კედარის ხეებს, რომლითაც ასურში ტაძრებს აგებს.

ტიგლაფილესერ I-ის რელიეფური გამოსახულება ქვაზე

ტიგლაფილესერ I-მა თავისი მეფობის ოცდამეათე წელს დალაშქრა ბაბილონიც, შემდეგ წელს ხელმეორედ შეესია მას, აიღო და მიწასთან გაასწორა ბაბილონი და სიფარი. ასურეთი გარეგნულად უდიდეს ძლიერებას აღწევს, მაგრამ ეს ძლიერება მეტად არამყარი აღმოჩნდა. ტიგლაფილესერ I-ის მემკვიდრეთა დროს დაიწყო ასურეთის ხელახალი დაცემა, მრავალი ომითა და

გამუდმებული ლაშქრობებით დასუსტებული ასურეთი ვეღარ აღუდგება წინ არამეელთა შემოსევებს, თანდათანობით კარგავს ყველა დაპყრობილ ოლქს და საბოლოოდ ქვეითდება.

ასურეთის საშინაო ვითარება შუაასურულ ხანაში

ასურეთის გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ და მისი წარმატებები საგარეო სარბიელზე ხელს უწყობდა ვაჭრობის ხელახალ აღორძინებას, მაგრამ შუაასურულ ხანაში ვაჭრობამ მაინც ვერ მოიპოვა ისეთი წამყვანი როლი, როგორიც მას ადრეულ პერიოდში ჰქონდა. ერთიანი სახელმწიფოს შექმნამ, ევფრატისპირა დაბლობი ოლქების დაპყრობამ ხელი შეუწყო მიწათმოქმედების ხვედრითი წილის გაზრდას ქვეყნის ეკონომიკაში. ასურეთის სახელმწიფოში მიწის უმთავრეს მფლობელს წარმოადგენდა სასოფლო თემი. ეს ნაკვეთები ცალკეულ ოჯახებს ურიგდებოდათ და პერიოდულად გადანაწილებას განიცდიდა. უკვე შუაასურულ ხანაში გვხვდება მიწების გასხვისება მაგრამ მიწის გასხვისების პროცესი გართულებული იყო სხვადასხვა ფორმალობით. მიწის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულება საჭიროებდა მეფის ან მისი სათანადო მოხელის დასტურს. საერთოდ

მეფის ხელისუფლება ყოველმხრივ კონტროლს უწევდა სასოფლო თემს და აწესრიგებდა მის ურთიერთობას მსხვილ მიწისმფლობელებთან.

ასურეთის ხელახალი გაძლიერება.

მიუხედავად იმისა, რომ II ათასწლეულის ბოლოს ასურეთი არამეელთა შემოსევების შედეგად დასუსტდა და საკუთრივ ასურული ოლქებით შემოიფარგლა, მან შეინარჩუნა გარკვეული შინაგანი პოტენციალი, რათა თანდათან ისევ გაძლიერებულიყო.

განსაკუთრებით ფართოვდება ასურეთის სახელმწიფო მეფე ასურნასიფალ II-ის დროს.

მან გაილაშქრა არამეული ტომების წინააღმდეგ, რომლებიც ევფრატის ნაპირზე სახლობდნენ და დაიმორჩილა ისინი. ასეთივე ძლევამოსილი ლაშქრობა ჩაატარა მან აღმოსავლეთით მთიან ოლქებში და ასურეთის სახელმწიფო აღადგინა თითქმის იმ ფარგლებში, რომელიც მას ჰქონდა XIII-XI საუკუნეებში. იგი სისასტიკით იქცეოდა დალაშქრულ ქვეყნებში, თავის გზაზე ყოველივეს ანადგურებდა, ანგრევდა და წვავდა, მოსახლეობას მასიურად სპობდა და ატყვევებდა, მის

შემდეგ ეს ქვეყნები გაუკაცრიელებულ და უდაბურ მხარეებად იქცეოდა.

ასეთივე პოლიტიკას აგრძელებდა მისი ვაჟი სალმანასარ III. თავისი მეფობის მანძილზე იგი ყოველწლიურად აწყობდა ლაშქრობებს ყველა მიმართულებით. მან გამანადგურებელი ლაშქრობა მოაწყო ბაბილონის წინააღმდეგ და სპარსეთის ყურის ნაპირებსაც მიაღწია. ბაბილონის ტახტზე მან თავისი ერთგული პირი დასვა.

ურარტუ წარმატებით იგერიებს ასურელთა თავდასხმებს და შეტევაზეც კი გადადის და ახლა ასურეთს უხდება თავისი საზღვრების დაცვაზე ზრუნვა. 745 წელს ასურეთის ტახტზე ადის მეფე ტიგლაფილესერ III. 743 წელს ტიგლაფილესერ III გადალახავს ევფრატს და ლაშქრობას იწყებს სირიაში. აქ მის ჯარს თავს დაესხა ურარტუს მეფესარდურ III. ტიგლაფილესერმა დაამარცხა იგი და ჩრდილოეთისაკენ უკუაგდო. შევიდა სირიაში, ორწლიანი ალყის შემდეგ, 740 წელს აიღო ქალაქი არფადი, რასაც მოჰყვა სირიისა და კილიკის ქალაქების, მათ შორის დამასკოს დამორჩილება და მათგან ხარკის აღება. სირიაში მეტ-ნაკლებად ფეხის მოკიდება საშუალებას აძლევს ტიგლაფილესერს თავისი ყურადღება ჩრდილოეთით ურარტუსკენ მიმართოს. 736 წელს უკვე თვით ტიგლაფილესერ III შედის თავისი არმიით ურარტუს ტერიტორიაზე და ლაშქრავს ვანის ტბასა და

ევფრატს შორის მდებარე ოლქებს. ხოლო ჩრდილოეთი და ცენტრალური სირია ტიგლაფილესერმა უშუალოდ თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა და მათგან შექნა ადმინისტრაციული ოლქები. აქაური მოსახლეობა დიდი რაოდენობით იქნა გადასახლებული ასურეთის სახელმწიფოს სხვა მხარეში.

ამის შემდეგ ასურეთის მეფის წინაშე დგება ბაბილონის საკითხი, სადაც ამ დროს ტახტის გარშემო მიმდინარეობს შინაბრძოლები. ტიგლაფილესერი ერევა ამ ბრძოლაში, „აგრამ ბაბილონს უშუალოდ არ უერთებს ასურეთს, ის თავის თავს ბაბილონის მეფედ აცხადებს.

ადმინისტრაციულ სფეროში ტიგლაფილესერმა შეამცირა ის ოლქები, რომელთაც სათავეში მეფის ნაცვლები ედგნენ. ამ დიდი სამეფისნაცვლოების მაგიერ შეიქმნა უფრო პატარა ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთაც ახლა „ოლქის უფროსნი" მართავდნენ.

მნიშვნელოვანი იყო ტიგლათფილესერ III-ის სამხედრო რეფორმაც მან შექმნა მუდმივი სამეფო ჯარი, რომელიც ასურეთის ლაშქრის ძირითადი ბირთვი ხდებოდა. ეს ჯარი მთლიანად მეფის კმაყოფაზე იყო და ამდენად მის დასაყრდენს წამოადგენა.

სწორედ ასეთი ორგანიზებული ჯარის შექმნამ მისცა საშუალება ტიგლათფილესერ III მიეღწია წარმატებისთვის ბრძოლებში. ტიგლათფილესერ III 727 წელს გარდაიცვალა.

მისი ვაჟისა და მემკვიდრის სალმანასარ V შესახებ მეტად მწირი ცნობებია მოღწეული. ცნობილია, რომ ასურეთის წინააღმდეგ ამხედრდა ფინიკიური ქალაქი კიროსი, რომელსაც მხარს უჭერდა ისრაელის მეფე ოსია. სალმანასარ V-ემ დაამარცხა ტვიროსელთა და ისრაელთა გაერთიანებული ლაშქარი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სალმანასარ V-ის რეფორმას. თავისი რეფორმით მან წაართვა საგადასახადო შეუვალობა და თვითმმართველობის უფლება იმ ქალაქებს რომელთაც ადრე ეს პრივილეგიები ჰქონდათ. სალმანასარ V მოკლული იქნა და ასურეთის ტახტზე ავიდა სარგონ II. გამეფებისთანავე სარგონ II-ემ დაუბრუნა პრივილეგიები ქალაქებს და უხვი შესაწირავით დააშოშმინა ქურუმობა. ტახტზე ასვლის წელსვე მან დალაშქრა ისრაელის სამეფო, აიღო მისი დედაქალაქი სამარია.

საკმაოდ გააქტიურდა ამ დროისათვის ურარტუც, რომლის მეფე რუსა I-მა კავშირი შეკრა მუშქების მეფე მითასთან. ამ კავშირს მიემხრო აგრეთვე ქალაქ კარხემიშის მმართველიც. 717 წელს სარგონ II-მ აიღო კარხემიში და ამრიგად, მთელი სირია დაიპყრო.

715- 714 წლებში სარგონ II-ის ლაშქარი ურარტუს წინააღმდეგ მოქმედებს. ურარტუს სამეფოს ტერიტორია დალაშქრული და სასტიკად გაძარცულ იქნა. 714 წელს სარგონმა აიღო უარატუს რელიგიური ცენტრი ქალაქ

მუსასირი; სარგონ II-ემ შეძლო თავისი ყურადღება კვლავ სამხრეთით, ბაბილონისაკენ მიემართა. მით უფრო რომ აქ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. შინაგანმა არეულობამ მნიშვნელოვნად დაასუსტა ელამის სამეფო. სარგონ II-ემ 719 წელს დაძრა თავისი ჯარები. მარუდქათალიდინა ბაბილონთან დაამარცხა, ამავე დროს სარგონ II ატარებს საკმაოდ ინტენსიურ სამშენებლო პოლიტიკასაც, კერძოდ, ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალი დედაქალაქის დურუ-შარუქინის მშენებლობას. სარგონ II 705 წელს დაიღუპა ერთ-ერთ ბრძოლაში. მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი ვაჟი სინაქერიბი, რომელიც მთლიანად დაუბრუნდა ტიგლათფილესერ III-ისა და სალმანასარ V-ის პოლიტიკას როგორც ჩანს, სწორედ ამან აამხედრა მის წინააღმდეგ ბაბილონის დიდკაცობა. ასურეთში მობრუნებულ სინაქერიბს კვლავ ბაბილონში მოუხდა ლაშქრობა. მხოლოდ 698 წელს შეძლო სინაქერიბმა ბაბილონის აღება. ამჯერად იგი ქალაქს სასტიკად გაუსწორდა, მთლიანად დაანგრია, მისი მცხოვრებნი ან სიკვდილით დასაჯა, ან სხვა ოლქებში გაასახლა. თავისი მეფობის უკანასკნელი წლები სინაქერიბმა გაატარა ქალაქ ნინევიაში, რომელიც მან თავის დედაქალაქად აირჩია და რომლის აშენება-გამშვენიერებას დიდი სახსრები შეალია. 680 წელს სინაქერიბი მოკლულ იქნა მისი პოლიტიკით უკმაყოფილო დიდგვაროვანთა მიერ, მაგრამ ტახტის

დაკავება მაინც შეძლო მისმა ვაჟმა ასარქადონმა. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში იქნა გამოცხადებული მემკვიდრედ. ასარქადონი აღარ ცდილობდა ფართო დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას, მისი მთავარი მიზანი ასურეთის სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნება და აჯანყებათა ჩახშობა იყო.

ასურეთის სახელმწიფოს დასუსტება და დაღუპვა

ასარქადონი ეგვიპტეში ლაშქრობის დროს დაიღუპა 669 წელს და მის სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ასურბანიფალი

რომელმაც თავისი უმცროსი ძმა შამაშ-შუმიქინი ბაბილონის მეფედ აკურთხა. ასურბანიფალმა შეძლო დაეძლია ეგვიპტეში დაწყებული ანტიასურული მოძრაობა და განამტკიცა აქ თავისი ძალაუფლება; თვით ასურეთის ვრცელი სახელმწიფოს შიგნით მრავლად იყო ისეთი ძალები, რომელთაც მისი დაღუპვა სურდათ. სუსტი იყო ასურეთის პოზიციები ბაბილონში სადაც ანტიასირულ მოძრაობას აცხოველებდნენ არამეული და ქალდეური ტომების ბელადები. ასურეთის სამეფოს მდგომარეობას ართულებდა, ისიც რომ თვით მისი გაბატონებული კლასის შიგნით არსებობდა ორი მტრული დაჯგუფება, რომლებიც გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ასეთ პირობებში ასურეთი ინარჩუნებდა თავის არსებობას და

მოჩვენებით ძლიერებას მხოლოდ იმის გამო, რომ მისი მოწინააღმდეგე ძალები დაქსაქსული იყვნენ და ვერ ხერხდებოდა მათი გაერთიანება. ასურეთის მეფემ, რომლის საბრძანებელს ელამის ჯარების შემოსევა ემუქრებოდა, ვერაფერი იღონა ფსამეტიქეს წინააღმდეგ. ეგვიპტე ასურეთისათვის დაკარგული აღმოჩნდა.

655 წელს დაიწყო ომი ელამთან. ეს ომი ასურბანიფალმა წარმატებით დააგვირგვინა, აიღო ელამის დედაქალაქი სუზა და მისი მეფე სიკვდილით დასაჯა. 653 წელს აჯანყდა ბაბილონის მეფე ასურბანიფალის ძმა შამაშ-შუმუქინი, რომელმაც მიიმხრო ბაბილონის წარჩინებული ზედა ფენა, ქალდეური არისტოკრატია, კავშირი შეკრა არაბულ ტომებთან, ელამთან და როგორც ჩანს მიდიელებთანაც. ბრძოლა აჯანყებულთა წინააღმდეგ საკმაოდ ხანგრძლივი და მძიმე აღმოჩნდა მაგრამ, ასურბანიფალმა ბოლოს შეძლო მისი ძმის დამარცხება და ბაბილონისნ აღება. შამაშ-შუმუქინის მოკვლის შემდებ ასურბანიფალმა ორგზის გაილაშქრა ელამის წინაასღმდეგ და საბოლოოდ და საბოლოოდ გაანადგურა ეს სახელმწიფო.

ასურბანიფალის სიკვდილის ზუსტი თარიღი ჩვენთვის ცნობილი არაა, ის დაახლოებით 631-627 წლებს შორისა უნდა გარდაცვლილიყო.

626 წელს ნაბუფალასარი ბაბილონში მეფედ ეკურთხა. აბუფალასარი სულ უფრო აქტიურად უტევს

ასურეთს და თუ უკანასკნელს ჯერ კიდევ აქვს თავდაცვის უნარი, შეტევაზე გადასვლისთვის უკვე ძალა აღარ შესწევს. შწორედ ამ დროს ასურეთის სამეფოს ახალი მტერი მიდიის სამეფო გამოუჩნდა. ასურეთის დღეები დათვლილი იყო. 605 წელს ბაბილონის ჯარი ნაბუქოდონოსორის მეთაურობით ქალაქ ხარხემიშთან საბოლოოდ ამარცხებს ასურელებისა და მისი მოკავშირე ეგვიპტის ჯარს, უკანასკნელი მეფე ასურეთისა ასურუბალიტი იღუპება და ასურეთის სამეფო წყვეტს თავის არსებობას.

ასურული ტრადიციები და კანონები

შუასირული ხანის საკანონმდებლო ძეგლებში გარკვეული ადგილი აქვს დეათმობილი ქალის უფლებრივ მდგომარეობას. ქალი საკმაოდ უუფლებო ჩანს. გათხოვებისას ქმარი მას ფაქტიურად ყიდულობდა და შემდეგ ცოლი ქმრის სრულ მორჩილებაში ექცეოდა. ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ცოლი გადადიოდა ოჯახის სხვა მამაკაცის ხელში (მაზლი, მამამთილი და გერი) და მხოლოდა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში არ რჩებოდა 10 წელზე უფროსი ასაკის ვაჟი, ქალს ჰქონდა გარკვეული უფლებამოსილება ოჯახის მართვის საქმეში.

შუაასურულ კანონებში კარგად ჩანს მათი ძირითადი ტენდენცია –დაიცვან კერძო საკუთრება. ტიგლათფილესერ I-ის დროინდელი კანონების სპეციალური მუხლები სასტიკად სჯიან სამიჯნო ქვების ხელმყოფს: მას თითს სჭრიან, 100 როზგს არტყამენ და გარკვეულ დროს იძულებით ამუშავებენ.

ასურული კულტურა

ასურეთის კულტურის, მისი მოსახდლეობის რელიგიური რწმენების, ლიტერატურისა და მეცნიერების, ხელოვნებისა და არქიტექტურის შეწავლა შესაძლებელი გახდა უმთავრესად არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ასურელთა სულიერი კუტურის ძეგლთა დიდი უმეტესობა თავმოყრილია მეფე ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში,რომელიც ნინევიის ნანგრევებში აღმოჩნდა. ასურბანიფალის ბრძანებით სპეციალურად იქნა შეგროვებული და გადაწერილი შუამდინარეთის ტაძრებსა და სახლებში შენახული სამეცნიერო ტექსტები და ლიტერატურული ნაწარმოებები; მრავალასეული თიხის ფირფიტაზე შემოინახა მათემატიკური და ასტრონომიური ტრაქტატები, ძველი ჰიმნები და ლოცვები, ეპიკური თხზულებანი და ფილოლოგიური ძიებანი. მათი უმეტესობა შუმერულ აქადურიდან ბაბილონური

სამყაროდან მომდინარეობს და მხოლოდ მცირე ნაწილია თვით ასურელთა შემოქმედების ნაყოფი.

ასურელთა რელიგიაც ფაქტიურად არაფრით განსხვავდებოდა ბაბილონური რელიგიისაგან, ღმერთების პანთეონი იგივე იყო რაც ბაბილონური, იმ განსხვავებით რომ მის სათავეში იდგა ადგილობრივი უზენაესი ღმერთი ასური. შემდეგ კი მოდიოდა ბაბილონური ღმერთების უმაღლესი ტრიადა-ანუ ენლილი და იშთარი. მ ღმერთების კულტთან დაკავშირებული მთელი რიტუალი, მითოლოგია უცვლელად იყო გადმოტანილი ასურულ ღვთისმსახურებაში, აღსანიშნავია რომ არ შემონახულა ასურელთა უზენაესი ღმერთის ასურის კულტთან დაკავშირებული არავითარი მიტოლოგია. ღმერთები როგორც წესი, წარმოდგენილი ჰყავთ როგორც მძლავრი და უძლეველი, მეტად ეჭვიანი და მრისხანე, შეუბრალებელი თავის მსხვერპლთა მიმართ.

ასურეთის არქიტექტურა

ასურელთა მატერიალურ კულტურას ჩვენ ვეცნობით მათი ქალაქების ნანგრევების, აქ შემონახული სასახლეების, ტაძრების, სიმაგრეების, ნაშთების წყალობით.

ასურული ქალაქები, სასახლეები და ტაძრები შენდებოდა ხელოვნურად შექმნილ დიდ მიწაყრილზე, ანუ ბორცვებზე. შენობებს აგებდნენ გამოუწვავი თიხის ანუ ალიზისაგან. მათ ჯერ კიდევ გამოუმშრალს ადებდნენ ერთმანეთზე. ასეთი მასალისაგან აგებული კედლები გაშრობის შემდეგ წარმოადგენდნენ ერთიან, მკვრივ მასას. მაგრამ მისგან შენობის აგება მოითხოვდა ძალიან სქელი კედლების გაკეთებას და ზღუდავდა არქიტექტურული ფორმების ნაირფერობას. ქვას ჩვეულებრივ იყენებდნენ მხოლოდ მოსაპირკეთებლად. მაგრამ შემობათა შესამკობად უფრო ხშირად მიმართავდნენ კერამიკულ სხვადასხვა ფერის ფილებს, რომლითაც აპირკეთებდნენ კარიბჭეებს, სასახლეთა კედლებს შიგნიდან. ასეთი ფერადი ფილებოი ზოგჯერ საკმაოდ რთულ ორნამენტსაც ქმნიდა.

განსაკუთრებით ცნობილია ასურული ბარელიეფები, რომელიც ბევრ საერთოს ამჟღავნებენ ხურიტულ და ხეთურ ხელოვნებასთან, მაგრამ გამოირჩევიან დამოუკიდებელი ნიშნებითაც. უფრო ადრეული ბარელიეფები უხეშია არადინამიური, ხაზს უსვამს ფიზიკურ ძალას და ელფერს ატარებს. ასურული ბარელიეფებისათვის დამახასიათებელია ის რომ მათი ცენტრალური ფიგურა ყოველთვის მეფეა. სწორედ მისი განდიდებისა და ხოტბის შესხმისათვის არის გამიზნული ეს ძეგლები. ასურეთის მეფეები ამ ბარელიეფზე

გაიდეალებულნი არიან, ხაზგასმულია მათი უზლეველობა, ფიზიკური ძალა. ისინი გამოსახულნი არიან ცხენზე ან ეტლებზე, რომელთა გარშემო მათგან დამარცხებულ დახოცილი ტყის ნადირი ან მტრებია გაფანტული. ისინი პირისოირ ებრძვიან ლომებს და მრავალრიცხოვან მტრებს. მაგრამ ასურული ბარელიეფის ხელოვნება მაინც ერთგვარად შეზღუდული რჩება, ფიგურების გამოსახულება ტრაფარეტულია. არ არის მისწრაფება ცალკეული პირების კონკრეტული პირადული ნიშნების გადმოცემისა, მოძრაობების ერთნაირი პირობითია. ასურული ბარელიეფი შეღებილია სხვადასხვა ფერად. ფერები საკმაოდ მკვეთრია, ქმნის გარკვეულ სიჭრელეს, საზეიმო იერს. ასურული სახვითი ხელოვნება მოწოდებულია ასურეთის მეფეთა, ასურეთის არმიის უძლეველობის განდიდებისა და მტერთა დამცირებისაკენ. იგი ასახავდა ასურეთის სახელმწიფო დიდმპყრობელურ იდეას, ქადაგებდა ასურელთა განსაკუთრებულობას სხვა ხალხებთან შედარებით.

ु र ा र ् ट ु

ქართველ ხალხს დიდი ისტორიული წარსული გააჩნია,რაც უფრო შორს მივდივართ ამ ათწლეულთა სიღრმაში,მით უფრო მცირდება ცნობები ქართველი ხალხის წარსულის შესახებ.სულ ეფრო და უფრო ძნელი ხდება ქართველი ხალხის ამ შორეულ წარსულზე

მსჯელობა.ამიტომაა,რომ ამ უძველესი დროის შესახებ ხშირად მეცნიერებაში ვრცელდეცბა არასწორი შეხედულებები.

ურარტუ – ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო - ძვ.წ. IX-VI საუკუნეებში სამხრეთ ამიერკავკასიისა და ირან-თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიახე არსებობდა. ”ურარტუს„ ასურელები ეძახდნენ, თვით ურარტელები თავიანთ ქვეყანას ”ბიაინილს„ უწოდებდნენ. მათი ცენტრალური ნაწილი იმყოფებოდა ვანის ტბის მიდამოებში (დღ. თურქეთი), ამ ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. დღევანდელი ქალაქ ვანის ადგილას იყო ამ სახელმწიფოს დედაქალაქი – ტუშფა.

ურარტული ლურსმული ნიშნების ცხრილი და ურარტული ენის გრამატიკის ნარკვევი. ურარტული წარწერები ძირითადად გამოკვეთილი იყო თვალსაჩინო ადგილებზე მეტ წილად კლდეებზე, ამიტომ თავიდანვე მიიპყრო მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღება. 1828-1829 წ. ფრიდრიხ შულცმა ვანის რაიონში აღმოაჩინა და გადმოხატა ოცზე მეტი ურარტული ლურსმული წარწერა. იგი შეეწირა კიდეც ამ საქმიანობას – ადგილობრივი ფანატიკოსების მსხვერპლი გახდა, რომელთაც საეჭვოდ მიიჩნიეს მისი საქმიანობა. დაღუპვამდე მას ევროპაში უკვე გაგზავნილი ჰქონდა ურარტული ლურსმული წაწერების მის მიერ გაკეთებული ასლები და ისინი

შემდეგ გამოქვეყნდა 1840 წელს ”აზიურ ჟურნალში,, მაგრამ ამ დროს ჯერ ვერავინ კითხულობდა ლურსმულ დამწერლობას. ურარტული ლურსმული წარწერების ამოკითხვაზე მუშაობის დაწყება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საერთოდ ლურსმული დამწერლობის ამოკითხვის შემდეგ. ფრანგმა მეცნიერმა გიუარმა ყურადღება მიაქცია ურარტული წარწერების ზოგი ადგილის მსგავსებას ასურული წარწერების წყევლის ფორმულასთან, რისი დადგენის საშუალებასაც იძლეოდა ორივე მათგანში ერთნაირი მნიშვნელობით ნახმარი ნიშნები – იდეოგრამები. მისმა ნაშრომებმა, რომლებიც ქვეყნდებოდა 1880 წლიდან ”აზიურ ჟურნალსა,, და სხვა ორგანოში, დიდად წასწია წინ ურარტული წაწერების ამოკითხვის საქმე. საერთოდ კი ურარტული წარწერების წარმატებით ამოკითხვა უკავშირდება ინგლისელი ორიენტალისტის არჩიბალდ სეისის სახელს. მისი ვრცელი ნაშრომი ”ვანის ლურსმული წარწერები,,, რომლებიც გამოქვეყნდა 1882წ. „სამეფო აზიური საზოგადოების ჟურნალში,, ფაქტიურად, წარმოადგენს იმ დროისათვის ცნობილი მთელი ურარტული ეპიგრაფიკული მასალის სრულ კრებულს – კორპუსს. აქაა მოტანილი ყველა წარწერა თავისი თარგმანითურთ, აქვეა ბოდა რა ამ წარწერებში ნახმარ იდეოგრამებს, რომელთაც ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ აქ, როგორც ასურულ ლურსმულ წაწრერებში, სეისმა შესძლო აზრობრივად

ძირითადად სწორი თარგმანების მოცემა.

ამის შემდეგ ურარტული სიძველეებისადმი ინტერესი გაღვივდა აგრეთვე რუსეთშიც, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ურარტუს მიწა-წყლის ერთი ნაწილი. 1893წ. გამოჩენილმა რუსმა ასირიოლოგმა მ. ვ. ნიკოლსკიმ არქეოლოგ ა. ა. ივანოვსკისთან ერთად მოიარა ეს ტერიტორია და აქ აღმოჩენილი ურარტული წარწერების სრული კრებული გამოაქვეყნა 1896 წელს ვრცელი საისტორიო და ფილოლოგიური გამოკვლევითურთ.

1898-1899 წლებში ასეთივე სამუსაო, მხოლოდ უკვე ძველი ურარტუს მტელი ტერიტორიის მასშტაბით, ცატარეს გერმანელმა მეცნიერებმა კ.ფ. ლემან-ჰაუპტმა და ვ. ბელმა. მათ მიერ ადგილზე შესწავლილი ურარტულ წაწერატა გამოქვეყნებას შეუდგა კ.ფ. ლემან ჰაუპტი ურარტულ წაწრერათა კორპუსუისი სახით, მაგრამ მისი ბოლომდე მიყვანა არ დასცალკდა. ამოივიდა ამ კორპუსიის ორი ნაკვეთი (1928 და 1935 წლებში), სადაც გამოქვეყნებულია სულ 110 წარწერა, ისიც მხოლოდ ტრანსკრიფცვიაში, როგორც წესი, ტარგ,მანების გარეშე.

1916 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ქალქ ვანში მიავლინა ექსსპედიცია აკადემიკოსების – იოსებ ორბელისა და ნიკო მარის - მეთაურობით. ექსპედიციას დიდი წარმატება ხვდა წილად იმის გამო, რომ მან აღმოაჩინა ურარტუს მეფის სარდური II-ის ვრცელი

მატიანე რომელიც ამოკვეთილი იყო ვანის კლდეში ამოჭრილ ერთ-ერთ ნიშაში მდგომ დიდი სტელის ოთხსავე მხარეზე და მის პოსტამენტზე. შემდეგში, 1922 წელს ეს ტექსტი გამოსცა ნ. მარმა. ნ. მარის მოწაფის აკადემიკოს ი. მეშჩანინოვის მთელ რიგ ნაშრომში ურარტული ენის სტრუქტურის ბევრი საკითხი სწორად და გონებამახვილურად იქნა გაშუქებული.ურარტელები იყენებდნენ ასურელებისაგან IX ს. შეთვისებულ ლურსმულ დამწერლობას, თუმცა იგი ერთგვარად გაამარტივეს, სარგებლობდნენ რა ნიშნების შედარებით შეზღუდული რაოდენობით და ისიც მათი ზოგიერთი მნიშვნელობით (ასურულ ლურსმულში ნიშნებს ძალზე ბევრი, ხშირად ორ ათეულამდე სსხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ). თავდაპირველადურარტელები წერდნენ ასურულად, ხოლო მალე შეუდგნენ წერას თავის საკუთარ ენაზე. ჩვენამდე მოაღწია 700-მდე ურარტულმა წარწერამ. მათი უდიდესი ნაწილი ამა თუ იმ მეფის სახელითაა შედგენილი.

ურარტუს სამეფო თავისი ძლიერების ხანაში მეტად ვრცელ ტერირორიას მოიცავდა.სამხრეთით მასში შედიოდა ჩრდილოეთ მესოპოტამიის ნაწილი.აღმოსავლეთ ურმიის ტბისა და დღევანდელი თავრიზის რაიონი,დასავლეთით ჩრდილოეთ სირიისა და აღმოსავლეთ მცირე აზიის მთელი რიგი ოლქები,ხოლო ჩრდილოეთ სევანის ტბის,დღევანდელი ლენინაკანისა და

აყარსი-არზრუმის რაიონები.დღეს ეს ტერიტორია სამი სახელმწიოს საბჭოთა კავშირის,ირანისა და თურქეთისფარგლებშია მოქცეული.ეს იყო უძველესი სახელმწიფო საბჭოთა კავშიის ტერიტორიაზე.ურარტელებს აქ გაჩაღებული ჰქონდათ ფართო სამშენებლო,საირიგაციო,სამეურნეო საქმიანობა:აშენებდნენ ციხე ქალაქებს,სასხლეებს და ტაძრებს,გაჰყავდათა არხები,აწყობდნენ ბაღ-ვენახებს.როგორც ირკვევა ურარტული კულტურის ბევრი ელემენტი შევიდა ამიერკავკასიის თანამედროვე ხალხების კულტურაში.როგორც ცნობილია,ქართველიერი შედგება სამი მონათესავე ტომისაგან:ქართებისა,მეგრელ-ჭანებისა და სვანებისაგან,მაგრამ უეჭველია,რომ დროთა განმავლობაში ხდებოდა არა ერთი ტომის ასიმილაცია ქართველ ტომთან.ირკვევა, რომ ქართველი ხალხის შემადგენობაში უნდა შესულიყო ურარტუს დიდი სახელმწიფოს შემქმნელი ხალხის-ურარტელების ნაკადიც.

ურარტუს ისტორიის შესახებ მნიშვნელოვან მასალას შეიცავს ასურული წარწერები. წყაროებში უმთავრესად აისახა პირველი საომარი შეტაკებები ასურეთსა და ურარტუს შორის. ურარტუს მნიშვნელოვან წყაროს წარმოდგენს თავად ურარტული წყაროები, მათი უდიდესი ნაწილი სამეფო წარწერებია, რომლებიც მოგვითხრობენ ურარტუს მეფეთა საომარ, სამშენებლო ან საკულტო საქმიანობის შესახებ. ურარტელებმა

ლურსმული დამწერლობა მეზობელი ასურელებისაგან შეითვისეს და თავდაპირველად, IXს. შუახანებში ასურულადვე წერდნენ. ურარტუს ერთ-ერთი პირველი მეფის – სარდურ I-ის დროიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ასურულმა წარწერებმა. მხოლოდ მისი ვაჟის იშფუინის დროს იწყებენ წარწერების შედგენას ურარტულ ენაზე, თუმცა ამის შემდეგ ორივე ენაზედაც ადგენდნენ წარწერებს. ჩვენამდე მოაღწია 700-მდე ურარტულმა წარწერამ. ურარტული წარწერები მკვლევართათვის დიდი ხნის წინ გახდა ცნობილი. მათი დიდი ნაწილი კლდეებზე და თვალსაჩინო ადგილებზეა გაკეთებული

ურარტუს შესასწავლად წერილობითი ძეგლების გარდა, მატერიალური კულტურის ძეგლებიც მრავლად მოგვეპოვება. ურარტუსა და ურარტუს კულტურის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები.ამ გათხრებმა,რომელიც პროფესორ პიოროვსკის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა,ძალიან დიდი მასალა მოგვცა ურარტუს ისტორიიდსა და კულტურის შესწავლისათვის. ურარტუს მოსახლეობა ენით ახლოს იდგა ხურიტებთან, რომლებმაც ძვ.წ. II ათასწლეულში შექმნეს ძლიერი სახელმწიფო – მითანი. ურარტელთა რელიგიური ცენტრი იყო ქალაქი, რომელსაც ურარტელები არდინს, ხოლო ასურელები მუსასირს

ეძხდნენ.

მას შემდეგ რაც ხურიტების ძლიერი სახელმწიფო – მითანი დასუსტდა, ხოლო შემდეგ საბოლოოდ დაემხო (ძვ.წ. XIIIს.), ასურელებმა დაიწყეს ბრძოლა ადრე ამ სამეფოს შემადგენლობაში შემავალი, ახლა კი დამოუკიდებლად ქცეული ურარტელ და მათ მეზობელ ტომთა გაერთიანების დასაპყრობად. პირველად ურარტუს (ურუატრის) წინააღმდეგ ლაშქრობაზე მოგვითხრობს ასურეთის მეფის სალმანასარ I-ის წარწერები, სწორედ იმ მეფისა, რომელსაც მიეწერება მითანის განადგურება.

ძვ.წ. XII-XIს. საერთოდ ძალზე ინტენსიური გახდა ასურელთა ლაშქრობები ჩრდილოეთში. თუქულთინინურტა I (1245-1209) დაიპყრო ნაირისა და ზემო ზღვის პირას მდებარე ქვეყნები და მათი 40 მეფე დაიმორჩილა. ნაირისა და ზემო ზღვისპირა ქვეყნების მეფეთა წინააღმდეგ ბრძოლაზე უფრო ვრცლად მოგვითხრობს მეფე ტიგლათფილესერ I (1115-1077), იგი ჩამოთვლის ნაირის 23 ქვეყნის მეფეს, რომელთაც კავშირი შეკრეს და მის წინააღმდეგ ამხედრდნენ, როცა იგი ჩრდილოეთში გაემართა. ამ კოალიციას სათავეში ედგა დაიაენის მეფე სიენი. დაიაენი შემდეგში იხსენიება ურარტულ წყაროებში ”დიაოხის„ ფორმით. ამრიგად, ნაირის ქვეყნების კოალიციის სათავეში მდგომი სიენი ტაოს მეფე უნდა ყოფილიყო.

ტიგლათფილესერ I-ის შემდეგ ასურეთი ერთხანს

დასუსტდა, მაგრამ ძვ.წ. IX საუკუნიდან ხელახლა ძველებურად და კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა. მას თან სდევდა მეზობლებზე, მათ შორის ნაირი ურარტუს მოსახლეობაზე შეტევის გაძლიერება. ასურელების მიზანი ამჯერადაც იგივე იყო: ნადავლი, ტყვეები, ხარკი. ისინი სასტიკად უსწრდებოდნენ და მხეცურად უსწორდებოდნენ დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობას. ასეთი რამ განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ასურნასირფალ II-ის (884-860) ლაშქრობებისათვის. მისი დროის წერილობითი თუ სახვითი ხელოვნების ძეგლები მას გამოხატავენ, როგორც მრისხანე და სისხლისმღვრელ მბრძანებელს. მისი ლაშქარი მარტო დამარცხებულთა გაჯლეტით არ კამყოფილდებოდა. დამარცხებული ქვეყნის მოსახლეობას ასურნასირფალი მასიურად ცოცხლად სარზე აცვამდა, კედელში ატანდა, თვალებს თხრიდა, ხელებს, თითებს, ცხვირსა და ყურებს აჭრიდა, წვავდა ცეცხლში (განსაკუთრებით ახალგაზრდა ვაჯებსა და ქალებს), და ბელადებს ცოცხლად ტყავს აძრობდა და ხალხის დასაშინებლად მათი ან ასურეთის ქალაქების კედლებზე გადაფენდა ხოლმე.

საყურადღებოა რომ, მიუხედავად ასურნასირფალის ასეთი ინტენსიური ლაშქრობებისა ჩრდილოეთით, აქ მას ურატელთა რაიმე დიდი პილიტიკური ერთეული არ ხვდება. სამაგიეროდ მის მემკვიდრეს სალმანასარ III-ს (860-825) უკვე თავისი მეფობის დასაწყისში შეტაკება

უხდება ურარტუს ძლიერ და დიდ სამეფოსთან. ასურელების აღვირახსნილმა თარეშმა გარკვეულად ბიძგი მისცა ურარტელთა პოლიტიკური გაერთიანებების კონსოლიდაციას და ურარტუს დიდი სამეფოს წარმოქმნა შეუწყო ხელი.

ურარტუს პირველ მეფედ ასურულ წყაროებში დასახელებულია არამე. მასთან ომს რამდენჯერმე იხსენებს სალმანასარ III. უკვე თავისი მეფობის დასაწყისში ეს უკანასკნელი იღებს არამეს ერთ-ერთ ციხე-სიმაგრე სუგუნიას და მის გარშემო მდებარე 14 სხვა ქლაქს, რომლებსაც იგი სასტიკად არბევს. მეფობის მესამე წელს სალმანასარი ამბობს, თავისი ჯარების მრავალრიცხოვნობის იმედით გამოემართა მასთან შესაბრძოლებლად. სალმანასარი ამბობს, რომ მან დაამარცხა არამეს ეს მრავალრიცხოვანი ლაშქარი და 3 400 მეომარი მოუკლა მას. ამ ლაშქრობის დროს სალმანასარმა აიღო არამეს, სამეფო ქალაქი ”არზაშუ„. კიდევ ერთხელ, მეფობის მე-15 წელს იხსენებს სალმანასარი არამეს: იგი ამბობს, რომ დაარბია, დანგრია და ცეცხლს მისცა ურარტუს მეფის არამეს ქალაქები.

სალმანასარ III-ის (860-825) მეფობის 27 წელს ურარტუს სამეფო ტახტზე უკვე სხვა პირი ჩანს – სედური. დანამდვილებით ვიცით, რომ ამ უკანასკნელის რეზიდენცია იყო ტუშფა (დღ. ვანი, სამხ.-აღმ. სანაპირო). აქ ურარტული დროის ციხე-სიმაგრის გალავნის

კედლებში ჩატანებიულია მრავალი წარწერუიანი ქვა, სადაც მეფე თავის თავს სარდური უთიფრის ძეს ეძახის, ბრწყინვალე ტიტულატურით იმკობს თავს (”მეფე დიდი, მეფე ძლიერი, მეფე სამყაროსი, მეფე ნაირის ქვეყნისა, მეფე, რომელსაც ტოლი არ ჰყავს,, და ა.შ.). ტუშფაში მას დიდი აღმშენებლობითი სქმიანობები უწარმოებია. სალმანასარ III ამბობს, რომ ეს სარდური (I) (სედური) თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრის იმედით გამოემართაო ჩემთან საბრძოლველად . . .

ძვ.წ. IX ს. დასასრული და VIII საუკუნე ურარტუს სახელმწიფოს ძლევამოსილების ხნას წარმოადგენს. ამ დროს მეფობდნენ ურარტუში ზემოდასახელებული სარდური ლუითიფრის ძის ძე, იშფუინი (IX ს. უკანასკნელი მეოთხედი). ამ პერიოდში უყრარტუს მეფეები აწარმოებდნენ ფართო დამპყრობლურ ომებს და ყველა მიმართულებით დიდად გაფართოვეს თავისი სამეფოს ტერიტორია.ასურეთის ლაშქრის დამარცხებას და მის დამორჩილებას იკვეხნის თავის მატიანეში მეფე არგიშთი I, მისი მემკვიდრე სარდურ II კი აღნიშნავს, რომ მან სძლია ”ასურნირარის, ადადნირარის ძეს, ასურის ქვეყნის მეფეს„,. ურარტუმ ხელთ იგდო რა ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და ჩრდილოეთ სირიის რიგი რაიონი, ლითონით ღარიბ ასურეთს გზა გადაუკეტა მისი მომარაგების წყაროსაკენ – მცირე აზიისაკენ და ამითაც ხელი შეუწყო მის დასუსტებას.დიდ წარმატებებს აღწევს

ურარტუ სახრეთ აღმოსავლეთითაც, ურმიის ტბის მიმართულებით. აქ მდებარეობდა ურარტელი ტომების უძველესი ცენტრები, კერძოდ, მათი უმთავრესი ღვთაების ხალდის კულტის ცენტრი ქალაქი მუსასირი.

ურარტუს სამეფოს წარმოქნის ჟამს, IX ს. შუახანებში მუსასირი, ეტყობა, არ შევიდა ურარტუს შემადგენობაში, მის ფარგლებს გარეთ დარჩა. მაგრამ, მალე, უკვე იშფუინის დროს, მას ურარტუს გავლენის სფეროში ვხედავთ. აქ მოდიან იშფუინი და მენუა, ხალდის ტაძარს ძღვენს სწირავენ, მშენებლობას აწარმოებენ და სხვ. მუსასირის შესვლა ურარტუს შემადგენლობაში მშვიდობიანი გზით უნდა მომხდარიყო. აქ ურარტუს არსებობის მთელს მანძილზე დატოვებულ იქნა ადგილობრივი დინასტია, რომელიც აღიარებდა ურარტუს მეფეთა უმაღლეს ხელისუფლებას. მუსასირთან ერთად ურარტუმ შეიერთა ურმიის ტბის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე სხვა ქვეყნებიც. ამავე რაიონში ურმიის ტბის სამხრეთითა და აღმოსავლეთით ურარტუს მეფეებმა დიდი ბრძოლები გააჩაღეს აქ არსებულ დიდ გაერთიანებასთან – მანას სამეფოსთან. ურარტული წარწერები სავსეა მანას ტერიტორიაზე დაპყრობილი და დარბეული პუნქტებისა და ოლქების ჩამოთვლით, აქ ხელთქგდებული უზარმაზარი ნადავლის (ძირითადად პირუტყვის) და ტყვეთა დიდი რაოდენობის

დასახელებით . . . ურარტელები ცდილობენ მანას ცალკეული რაიონები უშუალოდ შეუერთონ თავის სამეფოს და პროვინციად გაიხადონ. ისინი აქ აგებენ ციხესიმაგრეებს, ტოვებენ თავის გარნიზონებს და სხვ. არანაკლებ ინტენსიური იყო ამ ხანებში ურარტელთა შეტევა სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ურარტუს ლაშქარმა მიაღწია დასავლეთით ისე შორს მდებარე პუნქტებს, როგორიცაა კუმუხი, მალატია, ალეპო. ურარტელთა ჯარები ევფრატის დასავლეთით, ჩრდილოეთ სირიაშიც არაერთხელ გამოჩნდნენ და ცდილობენ ეს ადგილებიც დაემორჩილებინათ.

ამ და სხვა მეზობელი ქვეყნების დალაშქვრა ხდებოდა არგიშთი I-ის დროსაც, ხოლო მისი მემკვიდრის სარდურ II-ის მეფობაში ურარტელთა აქტივობა განსაკუთრებით იზრდება ამ მხარეში. მის დროს ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და ჩრდილოეთ სირიის უმნიშვნელოვანესი ერთეულები ურარტუს გავლენის სფეროში მოქცეული ჩანს. კუმუხის მეფე ქეშთაშფილი, მაგალითად სარდურ მეფეს ხარკის სახით მიართმევს 40 მინა (დაახლ. 20კგ.) სუფთა ოქ1როს, 800 მინა ვერცხლს, დიდძალ სპილენძს და სხვ. ადრიდანვე ურარტელთა ექსპანსიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი გახდა ამიერკავკასიის სამხრეთი რაიონებიც. უკვე იშფუინის მეფობის ხანაში ურარტელებს თავს დასხმნიან ლუშას,

ქათარზას და ვიტერუხის ტომები. ამ ტომების ადგილსამყოფელი შორეულ ჩრდილოეთში უნდა ყოფილიყო. შავი ზღვის სანაპიროთა მახლობლად. ქათარზას სახელი, შემოინახა შემდეგ დროინდელი ”კლარჯეთის,, სახელში, ხოლო ვიტერუხი (ვიძერუხი) იგივე სახელია, რაც ქართული წყაროების ოძრახე (ამ სახელით ძველად უნდა აღენიშნათ შემდეგ დროინდელი სამცხე). იშფუინსა და მის ვაჟს მენუას უკუუგდიათ ეს ტომები, დასდევნებიან მათ შეჭრილან მათ ქვეყანაში და დიდძალი ნადავლი, მაგალითად 13 540 სული მსხვილფეხა და 20 785 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, აგრეთვე ტყვეები უგდიათ ხელთ. ლუსას, კათარზასა და ვიტერუხის მიშველებიან ”ეთიუნის მეფე,,. ”ეთიუნის,, ურარტელები უწოდებდნენ ზოგადად სამხრეთ ამიერკავკასიის ვრცელ ტერიტორიას ყარსი არზრუმის რაიონიდან დაწყებული სევანის ტბის რაიონამდე.

მეფე მენუას დროს ურარტელებს ჩრდილოეთში უმრავლესი ბრძოლების წარმოება უხდებათ დიაოხის (ტაოხი, ტაო), ძლიერი სახელმწიფოს წინააღმ,დეგ. მენუამ დაამარცხა დიაოხის მეფე უტუფურსი, მიიღო მისგან დიდძალი ხარკი, მათ შორის ოქრო-ვერცხლი. მენუას დროს ურარტელებმა ფეხი მოიკიდეს არარტის მთის სამხრეთ კალთებზეც, აქ მათ დაიმორჩილეს ერქუას ქვეყანა და თავისი დასაყრდენი პუნქთი ქალაქი

მენუახილინიც ააგეს.

განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ბრძოლა სამხრეთ ამიერკავკასიის დასამორჩილებლად, მენუას მემკვიდრის არგიშთი I (786-760) მეფობაში. დიდი ბრძოლები გრძელდებოდა დიაოხისთან, რომლის მეფედ არგიშთის მმართველობის დასაწყისში კვლავ უტუფურსი იყო. ამიერკავკასიის თითქმის ყველა მეზობელი ტომი (ლუშა, ქათარზა, ერიახი, გულიტახი, ვიტერუხი, აფუნი, იგანიეხი) ეხმარებოდნენ დიაოხის და მასთან ერთად იქნენ დარბეულნი ურარტელთა მიერ. არგიშთიმ დიაოხის ტერიტორიას ნაწილი ჩამოაჭრა და იქ თავისი დასაყრდენი პუნქტები – ციხე-სიმაგრეები – ააგო. 15 181 ყმა, 2 734 მამაკაცი, 10 604 ქალი ტყვედ წაიყვანა. ნადავლის სახით ხელთ იგდო 4 426 ცხენი, 10 478 მსხვილფეხა და 73 770 წვრილფეხა საქონელი. დიაოხის მეფემ ხარკის სახით არგიშთის მისცა 41 მინა (დაახლ. ნახევარი კგ.) სუფთა ოქრო, 37 მინა ვერცხლი, მრავალი ათეული ათასი მინა სპილენძი, 1000 ცხენი, ათეულ ათასობით წვრილფეხა პირუტყვი და სხვ. არგიშთიმ დიაოხის დააკისრა ყოველწლიური ხარკიც (მათ შორის მარტო სპილენძისა – წლიურად 5 ტონის რაოდენობით).

არგიშთი I-ის დროს ურარტელები გადმოვიდნენ არაქსის ჩრდილო ნაპირზე და არარატის ველის ინტენსიურ დაპყრობას შეუდგნენ. არგიშთიმ აქ ააშენა ორი დიდი ციხე-სიმაგრე: ირფუნი (ერებუნი, დღ.

ერევნის ტერიტორიაზე) და არგიშთიხინაილი (არაქსის დინების მახლობლად). ურარტუს ჯარებმა ამ დროს სევანის ტბის რაიონებსაც მიაღწიეს და იქ მრავალი ქვეყანა დაიპყრეს. არგიშთი I-ის მატიანე იხსენიებს აგრეთვე ზაბახა.დალაშქვრას. ურარტელები განსაკუთრებით შეუდგნენ არარარტის ნაყოფიერი ველილს ათვისებას. არგიშთიმ არარარტის ველის მოსარწყავად მდინარე არაქსიდან 4 არხი გაიყვანა,

სარდურ II-ის დროს გრძელდებოდა არარატის ველის ათვისება. უფრო ინტენსიური გახდა ბრძოლები სევანის ტბის მიდამოების, და სხვათა დასაპყრობად. დიაოხი ამ დროს უკვე სავსებით განადგურებული იყო და მისი მიწები შეიერთეს ნაწილობრივ ურარტუმ, ხოლო ნაწილობრივ კოლხამ, საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე დიდმა კოლხურმა სამეფომ. ახლა ეს დიდი ერთეულები გახდნენ უშუალო მეზობლები და მათ შორის შეტაკებებმაც იჩინა თავი. სარდურ II ორჯერ იხსენიებს თავის მატიანეში გალაშქრებას კოლხას (კოლხეთის) წინააღმდეგ, ლაპარაკობს კოლხას მეფის ”სამეფო ქალაქ ილდამუსას,, დაპყრობაზე, სადაც მას გაუჟლეტია კოლხას მეფის ნაცვლები, სასტიკად დაურბევია აქაურობა და სხვ. სარდური II-ეს ილდამუსაში რკინის ბეჭედი გაუკეტებია თავისი გამარჯვების აღსანიშნავად. ეტყობა ადგილობრივი კოლხი მელითონები ამ საქმეში დახელოვნებულნი იყვნენ და

სარდურმაც იმიტომ გააკეთებინა მათ ასეთი ”რკინის ბეჭედი”. ეს არის ”რკინის„ მოხსენიების ერთადერთი შემთხვევა ურარტულ წყაროებში და ეხმაურება სხვა მასალებით ცნობილ ფაქტს რკინის დამუშავებაში ისტორიული კოლხეთის მოსახლეობის დაწინაურების შესახებ.

ბრძოლები სამხრეთ ამიერკავკასიის დასაპყრობად გრძელდებოდა აგრეთვე სარდურ II-ის მემკვიდრის რუსა I-ის (735-714) მეფობაში. ის დროს, ადგილი ჰქონდა თვით შორეული სევანის პირა მიწების ურარტულ პროვინციად გადაქცევას. ურარტელები აქ ინტნსიურად აგებენ ციხე-სიმაგრეებს ქმნიან თავიანთ დასაყრდენ პუნქტებს.

VIII ს. I ნახევარი ურარტუს ძლევამოსილების ხანაა. ამ დროს იგი მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწოფოს წარმოადგენდა. ურარტუ ძლიერ სახელმწიფოდ რჩებოდა ამ საუკუნის II ნახევარშიც. მიუხედავად იმისა რომ მან ამ პერიოდში არაერთი სერიოზული მარცხი განიცადა. რამდენიმე ასეთი მარცხი განიცადა მეზობელი ასურეთისაგან, რომელიც ტიგლათფილესერ III-ს (745-727) დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ამ უკანასკნელის სახელს უკავშირდება რიგი სამხედრო და სხვა რეფორმების გატარება. ტიგლათფილესერ III-ის სამხედრო წარმატებებით ურარტუს ძლიერებამ საგძნობი დარტყმა

განიცადა. ურარტუმ დაკარგა ზოგიერთი პერიფერიული რაიონი, გამოიდევნა ჩრდილო მესოპოტამიისა და ჩრდილო სირიიდან, მერყევი გახდა მისი პოზიციები ურმიისპირა რაიონშიც, სახელმწიფო ცენტრალიზაციის საქმესაც ამით დიდად ევნო. ურარტუს ცალკეული ოლქების მმართველებმა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გააჩაღეს ბრდძოლა, ურარტუში ეწყობა ოლქის მმართველებისა და მხედართმთავრების აჯანყებები მეფის წინააღმდეგ. რუსა I-მა (735-714), რომელმაც ურარტუს სამეფო ტახტზე სარდურ II შეცვალა. მან ძვლივს შეძლო ამ აჯანყებების ჩახშობა. ამსობაში დიდი საფრთხე გაჩნდა ჩრდილოეთიდან. სამხრეთ რუსეთის ველებიდან, შავი ზღვის აღნოსავლეთ სანაპიროს გზით VIII საუკუნის 20-იან წლებში ურარტუს საზღვრებს შემოესივნენ კიმერიელთა მეომართა ტომები. კიმერილებმა სასტიკად დაამარცხეს ურარტუს ლაშქარი და მისი დიდი ნაწილი ამოჯლიტეს.

ამ გართულებებით კარგად ისარგებლა ასურეთის მეფე სარგონ II-მ (722-705) და 714 წელს გრანდიოზული ლაშქრობა მოაწყო ურარტუს წინააღმდეგ. სარგონი ურარტუში შეიჭრა ურმიის ტბის რაიონიდან, სადაც ურარტუს მხრივ შევიწროებული მანას სამეფო ასურელთა საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა. მთავარი შეტაკება ურარტუსა და ასურელ ლაშქარს შორის მოხდა ურმიის ტბის აღმოსავლეთით, უაუშის დიდი მთის რაიონში,

რომელიც ახლანდელი მთა სოხენდი უნდა იყოს. რუსა I-ის ჯარები აქ სასტიკად დამარცხდნენ და თვით მეფემ სარგონის ცნობით თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, თუმცა იგი, შეიძლება თავისი დიდებულების მსხვერპლიც გახდარიყო. ასურელთა ჯარებმა ამის შემდეგ ცეცხლითა და მახვილით გაიარეს ურარტუს ვრცელი მიწაწყალი; როგორც სარგინი ამბობს, ურარტუს 7 ოლქი და 430 ქალაქი დაიპყრო. დაბრუნებისას ასურელთა ლაშქარი შეიჭრა ქალაქ მუსასირში, ურარტუს რელიგიურ ცენტრში, დაარბია ადგილობრივი მთავრის ურარტუს მეფის ვასალის ურზანას სასახლე, და ურარტუს უზენაესი ღვთაების ხალდის ტაძარი, სადაც უზარმაზარი სიმდიდრე ჩაიგდო ხელთ.

ასურელებთან 714 წლის ომში დამარცხებას ურარტუსათვის სერიოზული შედეგები მოჰყვა. ურარტუმ საბოლოოდ დაკარგა თავისი ძლიერების პერიოდში დაპყრობილი მრავალი ოლქი. მათ დაკარგეს ძალაუფლება თვით ქვეყნის რელიგიურ ცენტრზე - ქალაქ მუსასირზე. მხოლოდ ერთი მიმართულებით - ჩრდილოეთით და სამხრეთ ამიერკავკასაში დარჩა ურარტუს მეფეთა პოზიციები ხელშეუხებელი. არარატის ველზე ურარტუს მეფე რუსა II-მ (684-645) დიდ სამუშაოებს აწარმოებდა: მან ააგო დღ. ერევნის განაპირას ციხე-ქალაქი თეიშებაინი, გაიყვანა არხები, გააშენა ბაღ-ვენახები, დამუშავა აქამდე დაუმუშავებელი მიწები და სხვ.

რუსა II-ის ხანა ურარტუს ხელახალი გაძლიერების ხანადაა მიჩნეული. იგი აქტიურურ საგარეო პოლიტიკას აწარმნოებდა ისეთ შორეულ რაიონებში როგორიცაა ჩრდ. სირია და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილი, განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სწორედ ამ პერიოდში 776 წ. მომხდარად მიიჩნევს ძველი ბერძნული ტრადიცია მუშქების ანუ ფრიგიის სამეფოს გადნადგურებას და მას კიმერიელებს მიაწერს. ურარტული წარწერები კი ფრიგიის მიმართ ამ პერიოდში ურარტელთა აქტივობას გვიდასტურებენ, შეიძლება საქმე ეხება რუსა II-ის გალაშქრებას ფრიგიის (მუშქების) სამეფოს წინაღმდეგ ურარტუს მეფის სამსახურში თუ მასთან კავშირში მყოფი კიმერიელთა რაზმებთან ერთად. ამას ადასტურებს ასურული წყაროებიც, რუსა II-ის თანამდეროვე ასურელი მეფის ასარქადონის წარწერები. სწორედ სკვითებთან და კიმერილებთან კავშირის მეოხებით ურარტუ (VII საუკუნეში) საგრძნობ წარმატებებს აღწევს – ანადგურებს ფრიგიის დიდ სამეფოს მცირე აზიაში და კვლავ შიშის ზარს სცემს ამ დროს თავისი ძლიერების ზენიტში მყოფ ასურეთს.

რუსა II-ის დროს მიღწეული წარმატება მაინც ეპიზოდური იყო. დასუსტებულ ურარტუს ფართო პოლიტიკის საწარმოებლად ძალა არ შესწევდა. VII ს. II ნახევარში იგი მტრებისაგან შევიწროებული, თავის

საუკუნეობრივ მტერთან – ასურეთთან – ეძებდა ხსნას. მალე ბაბილონმა და მიდიამ VII ს ბოლოს გაანადგურეს ასურეთი და მისი მიწები გაიყვეს, ჯერი ურარტუსა და სხვა სამეფოებზეც მიდგა. 583 წელს მიდიელთა ლაშქარი იბრძვის მცირე აზიის შუაგულში ლიდიის ლაშქართან მდ, ჰალისზე. აქამდე რომ მიეღწია მიდიელებს ურარტუ უნდა გაევლოთ. როგორც ჩანს, მიდიელებმა დალაშქრეს და ააოხრეს ურარტუს ცენტრალური რაიონები. ცოტა ხნით ურარტელთა ხელისუფლება არსებობდა ჩრდილოეთში და სამხრეთ ამიერკავკასიაში, მაგრამ მალე აქაც დაემხო. ამიერკავკასიის ურარტული ცენტრები (თეიშებაინი, არგიშთიხინილი და სხვ.) განადგურებული და გადამწვარი ჩანს სკვითური ტიპის ისრებით შეიარაღებული მტრების მიერ. ამიერკავკასიაში ბოლო უნდა მოეღო ურარტელთა ძალაუფლებისათვის ამიერკავკასიისავე ტომებს, ამ მიდამოებში მცხოვრები სკვითებთან ერთად.

ურარტუს სახელმწიფოს დაცემას ძვ.წ. VI ს. დასაწყისში მნიშვნელოვანი ძვრები მოჰყვა. მტავრესი ამაში იყო ძველი ურარტუს მიწა-წყალზე ან მის მეზობლად მცხოვრები არაურარტული ტომების, პირევლყოვლისა, ქრთველებისა და სომეხი ტომების გააქტიურება. განსაკუთრებით აქტიურდებიან დასავლეთ პერიფერიაზე სომეხი ტომები. მათ თანდათანობით იწყეს აღმოსავლეთით წინსვლა და ძველი ურარტუს მთელ რიგ

რაიონს დაეუფნენ. ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს სპარსულ წარწერებში ძველი ურარტუ უკვე ”არმინად,, იწოდება, ხოლო ეს სახელი თანდათან უცხოელთა წრეში სწორედ სომხებს უკავშირდება. ამაში გამოხატულება ჰპოვა ურარტუს ძირითად რაიონებში სომხების ჰეგემონობის დამყარების ფაქტმა. ურარტუს მოსახლეობის ერთი ნაწილი ამასობაში სომეხთა წრეში გაითქვიფა. ამ გზით სომხურ ენაშიც (რომელიც წარმომავლობით სულ სხვა – ინდოევროპული ჯგუფის ენაა) დამკვიდრდა ზოგი ურარტული სიტყვა და მათმა კულტურამაც ბევრი რამ შეითვისა მარალგანვითარებული ურარტული კულტურიდან. ეს ხანგრძლივი პროცესი იყო და ნელ-ნელა ხდებოდა. ურარტელებს უცბად არ დაუკარგავთ თვიანთი ენა, კულტურა, ეთნიკურობა. საინტერესოა, რომ სწორედ ძველი ურარტუს ტერიტორია იგულისხმება სპარსეთის XVIII სატრაპიაში (ოლქში), რომელშიც ძვ.წ. Vს. ბერძენი ავტორის ჰეროდოტეს ცნობით შედიოდნენ ალაროდიები, მატიენები, და სასპერები. ამათგან ალაროდიები, უეჭველია, ძველ ურარტელებს გულისხმობს - სახელი ”ალაროდი,, (არაროდი) ოდნავ სახეცვლილი იგივე ”ურარტუა,,. ეს სახელი შემორჩა დღეს არარატის მთას, რომელსაც ადგილობრივი სომხური მოსახლეობა ”მასისს,, უწოდებ

ურარტელთა უზენაესი ღვთაება იყო ხალდი.ხალდის კულტის უმთავრეს ცენტრად ითვლებოდა ქალაქი მუასასირი,სადაც თაყვანისსაცემად ურარტუს ყოველი მხრიდან მოედინებოდა ხალხი.აქ ხშირად მოდიოდნენ ურარტუს მეფეებიც.ისინი სწირავდნენ ათასგვარ განძეულობას,ასენებდნენ საკულტო ნაგებობებს,ხალდის ტაძარში დგამდნენ ხოლმე თავის ქანდაკებებს დასხვა.

ღვთაება ხალდი ცის რმერთი იყო.ურარტუს ღვთაებათა პანტეონში მეორე ადგილი ეკავა ღვთაება თეიშებას.იგი ამინდის,ჭექა ქუხილის,ქარიშხლს ღვთაება იყო.ურარტუს ღვთაებათა შორის მესამე ადგილზე იდგა მზის ღვთაება შივინი.ეს სამი ღვთაება შეადგენდაურარტელთა ღმერტთების უზენაეს ტიადას(სამებას)თავისი წარწერების შეურაცმყოფელთა დასასჯელად ურარტუს მეფეები მოუწოდებდნენ ხოლმე მხოლოდ ამ ღვთაებებს,ომში წასვლის წინაც შველისათვისისინი კონკრეტუალდ მხოლოდ ამ სამებას ასახელებენ.

უარარტუში ფართოდ გავრცელებული იყო ღვთაებებისათვის მსხვერპლის შეწირვა.შესაწირავს უმტავრესად პირუტყვი(ახარი ან ბატკანი) წაროადგენდა.თუმცა როგორც წერილობითი წყაროები,ისე არქეოლოგიური გათხრების მასალები,შესაძლებელს ხდის

ვიფიქროთ,რომ ურარტუში უნდა ყოფილიყო აგრეთვე ადამიანის მსხვერპალდ შეწირვის ჩვეულებაც.

თემა მეათე

ძველი ირანი

ირანი გეოგრაფიულად წარმოადგენს ე.წ. ირანის ზეგანს,რომელსაც დასავლეთ აზიის ფართო რაიონი, 2.5 კვ. კმ უჭირავს. ამ გეოგრაფიული რაიონის საზღვრებს წარმოადგენს დასავლეთით ზაგროსის მთები, ჩრდილოეთით-მდინარე არაქსი, კასპიის ზღვა, კოპეტ–დაღისა და პარპამასის მთები, სამხრეთით ინდოეთის ოკეანე სპარსეთი ყურით, აღმოსავლეთით-ჰინდიკუშის მთები,რომელიც ირანს ინდოეთისგან გამოყოფს.ირანს არ გააჩნია ზღვისკენ გასასვლელი. ირანის ტერიტორია ბუნებრივი საზღვრებით 5 დიდ რაიონად იყოფა: პირველი-ზაგროსის მთები ანუ ელამი, ეს რაიონი მდიდარია ტყიანი და მაღალი მთებით,გარშემორტყმულია ნაყოფიერი დაბლობით ტყით მოიპოვება სხვადასხვა მადნეული რრაც ქმნის საფუძველს რომ სამიწათმოქმედო კულტურა და ხელოსნობა განვითარებულიყო.

ირანის მეორე რაიონს წარმოადგენს მიდია. მიდიას დასავლეთით ზაგროსი ესაზღვრება, ჩრდილოეთით–ელბრუსის მთაგრეხილი,აღმოსავლეთით-დეშთი-ქევირის მარილიანი უდაბნო.

მიდია.

მესამე რაიონი მიითვლის ტყიან და ტენიან სამიწათმოქმედო ზოლს, რომელიც კასპიის ზღვასა და ელბრუსის მთაგრეხილს შორის არის მოქცეული. ამ რაიონს აკრავს სეფიდრუდის ველი,რომელიც მას ურმიის ტბის რაიონთან და ცენტრ.მიდიასთან აკავშირებს.

მეოთზე რაიონი იწყება ირანის ზეგანის ცენტრში და მიემართება კასპიის ზღვამდე. ესაა უდაბნოსა და მშრალი ჰავების ზოლი,რომელსაც თანამედროვე ხორასნის მთები გადაკვეთს.პართია და ჰირკანია ერთმანეთთან აკავშირებს დასავლეთ ირანს. მეხუთე რაიონს სეადგენს ირანის აღმ.ოლქი,რომელიც აღმოსავლეთით მდინარე ინდის დაბლობებს ემიჯნება,დასავლეთით ცენტრ. ირანის დაბლობს ხოლო ჩრდ. ამუ დარიას დაბლობს. რაიონი წარმოდგენილია მთაგრეხილებით,რომლებიც პამირ-ჰინდიკუშის მთების კვანძებიდან გამოდის.

წყაროები

ირანის ძველაღმოსავლური ხანის ისტორია განვითარების სამ საფეხურს მიითვლის:ელამური, მიდიური და სპარსულ-აქემენიდური. მიდიის როგორც პოლიტიკური ერთეულის ისტორია ძველი წ.აღ. IX-VII საუკუნეებს მოიცავს და მისი გაშუქება ძირითადად წერილობითი წყაროების მიხედვითაა შესაძლებელი.

წერილობითი წყაროების პირველი ცნობები ამ ტომების შეახებ რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ძვ.წ. III ათასწლეულს მიეკუთვნება. ამ ტომების შესახებ მოგვითხრობენ ლურსმული ნაწერები,ბაბილონური ქრონიკები,ურარტული ნაწერები,ბიბლიის შესაბამისი თავები და სხვა. ასევე ძველბერძენი ავტორები რომელთა შორის განსაკუთრებით ამოირჩევა ჰეროდოტე ჰალიკარნასელი,მისი ნამუშევარი არის ერთადერთი რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. მიდიის ისტორიია შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ზოროასტრული დოგმატური რელიგიის საღვთო წიგნს ავესტას,რომელიც არ იცნობს აქემენიდურ სახელწიფოს. მკვლევართა ერთ ჯგუფს ეს მოძვრება შუა აზიაში შექმნილად მიაჩნია, ხოლო მეორეს ირანში.

ავესტა.

ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდა რომ მიდიელები ეკუთვნოდნენ ინდოევროპული მოდგმის ირანულ შტოს და ენათესავებოდნენ სპარსელებს. წინაკლასობრივი ირანის საზოგადოების ისტორიის წყაროები უპირატესად არქეოლოგიური მსალითაა წარმოდგენილი,ხოლო კლასობრივი პერიოდისთვის ძირითადია წერილობითი წყაროები,კერძოდ აქამენიდი მეფეების წარწერები,რომელთაგან ზველესია კიროს დიდი მოკლე წარწერა ფასარდაგიდან.ისინი წარმოდგენილია

ოქროსა და ვერცხლის ფილებზე,მეფეების სასახლეებზემ და სხვა.

აქამენიდი მეფეების წარწერები სამენოვანია,ტექსტები შესრულებულია ძველსპარსულ.ელამურ და ბაბილონურ ენებზე.ნილოსის ნაპირებზე აღმოჩენილ წარწერას ემატება მეოთხე ეგვიპტური ენაც.

ირანული საოზგადოების შესწავლისათის საყურადღებო მონაცემებს იძლევა ივესტან აგრეთვე ელეფანტინის პაპირუსები.ბერძენი ავორები (ჰეროდოტე,თუკიდიდე, პლატონი და სხვა)

ირანის ზეგანზე კლასობრივი საზოგადოების ისტორია ძვ. წ მესამე ათასწლეულის დამდეგიდან შეიძლება დავიწყოთ. ირანის ტერიტორიაზე ძველაღმოსავლური ხანის კლასობრივი საზოგადოების ისტორია შეიძლება 3 ძირითად საფეხურად დავყოთ: ელამური,მიდიური და აქამენიდური.

მიდიის სამეფო

მიდიისს ტერიტორია მოიცავდა სამ დიდ რაიონს: ე.წ. ატროპატენეს მიდიას,ქვემო მიდიას და პარეტაკენეს. ატროპატენეს მიდიას ეკუთვოდა მიწები არაქსის სამხრ-ით,ავრინ დაღისა და ყარა-დაღის მთებამდე,ყარა-სუს დაბლობი,ურმიის ტბის აზური, მდ. ყიზილ-უზენის დინება,მდ. დოალის ზემო და შუა წელი. ამ

ტერიტორიაზე იყო გაშლილი ისტორიული ოლქები : სანგიბუთუ,ზანუა, მანა, ზიქირთუ,ფარსუა და მადაი, აგრეთვე ზოგიერთი სხვა.

ქვემო მიდიის ტერიტორია მოიცავდა ჰამადანის რაიონს, მდინარეების აბსარ-ჩაის, ყარა-სუს და კუმ-რუდის აუზებს,აგრეთვე ქებირის უდაბნოს ჩრდილოეთით განლაგებულ რაიონს. პარატეკანე, რომელიც მშრალ ველს წარმოადგენდა,ელამისგან მთებით იყო გამოყოფილი,ხოლო პერსიდიდან-უდაბნოთი.ძველი პარატეკანეს ტერიტორიაზე მდებარეობს თანამედროვე ისპაჰანი.წერილობითი წყაროების მიხედვით, ძვ.წ. II ათასწლეულში მიდიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემონახული იყო მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე, რაც თავს იჩენდა ნივთიერი კულტურის მრავალსახეობაშიც. თანამედროვე ლურისტანი-ეს მთიანი ქვეყანა დასახლებული იყო კასიტებით,რომლებიც, როგორც ფიქრობენ, რლამურის მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნენ და მთის ტიპის მესაქონლეობას მისდევდნენ.

ბრძოლები

ძვ.წ IX-VIII საუკუნეებიდან მანას სამეფო აქტიურად ჩაება ასურეთისა და ურარტუს წინააღმდეგ ბრძოლაში.მანას სამეფო მიდიის ტომთა კავშირისაგან დამოუკიდებლა არსებობდა როგორც ცალკე პოლიტიკური კავშირი. ძვ.წ IX-VII საუკუნეები მიდიის სახელწიფოებრიობისათვის მზადების პერიოდია.

იმ დროს როცა მიდიის ტომთა კავშირი აყვავებას განიცდიდა მანას ძალიან მძიმე პირობებში იო,მას არ ჰქონდა იმდენი ძალა რომ გამკლავებოდა ურარტუსა და ასურეთშ. 788 წლიდან 745 წლამდე იგი აწარმოებდა განმათავისუფლებებ ბრძოლებს ურარტუს წინააღმდეგ. გააფთრებული ბრძოლა ასურეთსა და მიდიის ტომთა კავშირს სჰორის 744-678 წლამდე გრძელდებოდა.ამ დროის განმავლობაში აურეთის მეფე ტიგლაფთესელერ III ორჯერ შეიჭრა მიდიის ტერიტორიაზე (744-737) წლებში,ასევე მიდიის დალაშქვრას განაგრძობს სარგონ II-ც რომელიც ასევე ორჯერ შეიჭრა (713-706 წწ),მესამედ კი 702 წელს სარგონის ძე სინაქერიბი. ძვ. წ. VIII-VII სს. მიჯნაზე წინა აზიას კიმერიელები და სკვინთები შეესივნენ. ამ შემოსევებმა საგრძნობლად შეცვალა წინა აზიაში ძალთა თანაფარდობა.სკვითებმა დაამარცხეს მიდიელები და მანას სამეფოს დაუმეზობლდნენ.

VII ს. 70-იანი წლების მიწურულს ცენტრალურ მიდიაში გამოჩენილი სკვითები წარმოადგენდნენ მიდიურ ტომთა კავშიეის ბუნებრივ მოკავშირეებს.ამიტომ სკვითებთან კავშირში მანას სამეფო და მიდიურ ტომთა კავშირი ემზადებოდა ასურეთის წინააღმდეგ გამოსვლებს და მართლაც, 673 წელს დაიწყო ცნობილი ქაშტარიტის აჯანყება. აჯანყება სწრაფად გავრცელდა და მალე ასურული პროვინციების უდიდეს ნაწილს მოედო. 672

წელს ასურელებმა დაიწყეს მოლაპარაკებები ქაშტარიტთან და მართლაც, ასარქადონი აახერხებს სკვითების მეფის პარტატუას ადაბირებას და ცოლად აძლევს მას თავის ქალიშვილს რითაც საგრძნობლად ასუსტებს მიდიის ტომთა აჯანყების ძალას.ბევრი მარცხისა და წარუმატებლობის მიუხედავად 672-669 წლებს შორის უკვე იხსენიება „მიდიის სამეფო“ როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული.

საზოგადოება

მიდიის საზოგადოება სახემწიფოებრიობის ხანაში ადრეკლასობრივი ტიპის საკმაოდ ჭრელ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენდა. ამ საზოგადოების ძირითად ნაწილს შეადგენდა კარა-„მეომარი ერი“. აქამენიდური ხანის წარწერები იხსენიებენ აგრეთვე მწარმოებელთა ერთ კატეგორიას-ქურშატს. იგი ზოგჯერ გაიგივებულია მანიი-ასთან რაც სპარსულში მონას ნიშნავს.

ქურტაში ელამური სიტყვაა და შეესაბამება ირანულ გრდა-ს, ის შეადგენდა ძირითად სამუშაო ძალას დიდკაცების მეურნეობაში.იგი ეთნიკური შემადგენლობით ჭრელი იყო და ამ კატეგორიის წარმომადგენლებს ჩვეულებრივ დაღი დაესმოდათ. მიდიის სამეფო თავისი ძლიერებიისა და ერთიანობის ხანაში მოიცავდა როგორც საკუთრივ მიდიას, ისე მანას

სამეფოს,პერსიდას, სკვითების სამეფოს, ურარტუს,ასურეთის ნაწილს და ა.შ. მიდიის დამეფო დაყოფილი იყო ოლქებად ომელსაც სატრაპები („ხშათრაპან“) განაგებდა.

რაც შეეხება მიდიის მწერლობას,ხელოვნებას და კულტურის სხვა დარგებს,თითქმის არაფერი ვიცით, ასე რომ მიდიის ისტორიის ის პერიოდი რომელიც კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის ხანას უკავშირდება წყაროებით მეტად სუსტადაა გაშუქებული.

აქამენიდების იმპერია

აქამენიანების იმპერია წარმოიჩვა ირანის ტერიტორიაზე ძვ.წ 558 წელს,ხოლო გაანადგურა ალექსანდრ მაკედონელმა ძვ.წ 330 წელს.

სპარსული სამეფოების სათავეში აქამენიანთა დინასტია იყო. პირველად აქამენელთა სამფოს სათავეში ჩაუდგა აქემენის შთამომავალია კიროს მეორე დიდი, რომელმაც ძვ.წ. 550 წელს დაამარცხა მიდიელები და შემოიერთა მიდიის ტერიტორიები. ძვ.წ 539 წელს კიროსმა დაიპყრო ბაბილონი. კიროს II-ის მემკვიდრის კამბის II-ის დროს სპარსელებმა დაიპყრეს ეგვიპტე. მათი სახელმწიფო მალე უზარმაზარ ტერიტორიად იქცა რომელიც გადაჭიმული უყი ცენტრალური აზიიდან მაკედონიამდე.კამბიზის გარდაცვალების შემდეგ აქამენიდეების იმპერიაში გამეფდა დაიროს I (ძვ.წ. 522-

486)

დარიოსის მმართველობის დაწყებამდე ქვეყნის დედაქალაქი იყო სუზა.დარიოსმა იმპერიის დედაქალაქი პერსეპოლისში გადაიტანა

ქალაქში შედიოდა ფართო სადღესასწაულო კიბე,რომელიც მორთული იყო 33 ხალხის რელიეფით და რომელთად ხარკი მიჰქონდათ მეფესთან.

უზარმაზარი კარიბჭე ხსნიდა გზას აპადანისკენ, იმ დროისთვის ყველაზე დიდი სასახლისაკენ. აპადანი.

აქამენიდების იმპერია იყოფოდა სატრაპებად. ეს იმპერია უდიდეს სამხედრო ჯარზე იყო დაყრდნობილი.,მიუხედევად ამისა, ამ პერიოდშიც თანდათანობით ძლიერდება საბერძნეთი, რომელიც აქამენიდების იმპერიას სერიოზულ ზიანს აყენებს. აქამენიანთა მეფემ ქსერქსემ წამოიწყო ლაშქრობა ბერძენთა წინააღმდეგ,მაგრამ დამარცხდა.

აქამენიანთა სამეფო კარის ინტრიგებმა,სახელმწიფო გადატრიალებბამ, აჯანყებებმა დაასუსტა იმპერია და მას აღარ ეყო ძალა გამკლავებოდა ახალ მეტოქეს-მაკედონიას. ძვ.წ. 334 წელს მაკედონური არმია შეიჭრა აქამენიანთა იმპერიაში და იგი სასტიკად გაანადგურა. აქამენიანთა და მაკედონელთა ბრძოლა.

ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში აქაც რელიგია უდიდეს როლს თამაშობდა. მაგრამ აქამენიდური იმპერია ჭრელი იყო რელიგიურადაც. იგი მეტად სუსტა იყო შეკავშირებული და არასოდე სჰქონია მთლიანი სახე. პირველი აქამენიდები თაყვანს სცემდნენ წმინდა ირანულ კულტს-აჰურა მაზდას, სცნობდნენ აგრეთვე ბაბილონის, პალესტინის ეგვიპტის ,მცირე აზიის ტრადიციულ ადგილობრივ კულტებსა. მაგრამ ქსერქსე ცდილობს ყველასთვის სავალდებულო გახადოს აჰურამაზდას კულტი. არტაქსერქსე მეორე კი აჰურამაზდას კულტის გვერდით სავალდებულოდ აცხადებს ანაჰიტისა და მითრას კულტებს. ამავე დროს არსებობდნენ სხვა ადგილობრივი რწმენები და კულტები. გაცილებით გვიან აქამენიდური ირანის ოფიციალური კულტი ფორმდება რელიგიურ მოძღვრებად, რომელიც ზოროასტრიზმის სახელითაა ცნობილი.

ზოროასტრიზმი ფაქტიურად მხოლოდ საკუთრივ სპარსული საზოგადოების ზედა ფენაში იყო გავრცელებული, ნაწილობრივ ირანის მოსახლეობაშც. სპარსელების ბატონიბის ხანაში საბოლოოდ ფორმდება იუდაიზმის დოგმატური რელიგიაა,რომელიც წარმოადგენდა სატაძრო-სამოქალაქო თემის შექმნის იდეოლოგიურ დასაბუთებას. ამ რელიიის პროპაგანდისთვის ზდება ძველი იუდეურ-ისრაელიტური

ლიტერატურის გადამუშავება ,ფორმდება ბიბლიის დოგმები. ამ დროს ეკუთვნის ეზრასა და ნეემიას წიგნები,ამავე ხანას მიეუტვნება გვიან „წინასწარმეტყველთა“ სიტყვები (აგეია,ზაქარია, მალაქია) რომლებიც დაწერილია ძველ ებრაულ ენაზე.

სოციალური მდგომარეობა აქემენიდების მიერ დამორჩილებული ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრები დონე არ იყო ერთგვაროვანი. მათთვის საერთო იყო ის რომ უკვე რკინის ხანა იდგა. რკინა ფართოდ გამოიყენებოდა ჩამორჩენილ რაიონებშიც კი.

სოფლის მეურნეობა აქამენიდური ირანისთვის დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო დარგი იყო. თითქმის მთელი მიწათმოქმედება ხელოვნურ მორწყვაზე იყო დამყარებული. მეთემეთა შრომის გვერდით ფართოდ გამოიყენებოდა მონის შრომაც. ამასთან,მონას უფლება ჰქონდა,ჰქონოდა დამოუკიდებელი მეურნეობა,ოღონდაც მიღებული ზედმეტი მოსავალი ბატონისთვის უნდა ჩაებარებინა.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ირანის ველების რაიონებში სადაც მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომები ცხოვრობდნენ განვითარებული იყო მესაქონლეობა.საყოველთოდ იყო ცნობილი „ნესეური ცხენები“ რომლებსაც მიდიაში აშენებდნენ.

აქამენიდურ ირანში ფართოდ იყო განვითარებული ხელოსნობა.სუზასა და პერსეპოლში აღმოჩენილი სამურნეო დოკუმენტები ადასტურებს რომ ხელოსანთა უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ „სამეფო კაცები“ და მონები. მთელი უზარმაზარუ უნოერია ამარაგებდა სპარსეთს ხელოსნებითა და სამშენებლო მასალებით. დიდი იყო ვაჭრობის მნიშვნელობა დარიოს პირველმა გაჭრა არხი, რომელმაც ნილოსი მეწამულ ზღვას შეუერთა ,და ამან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობას შეუწყო ხელი.

სპარსეთის სახელწიფოში საზოგადოებრივი სტრუქტურა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:მეფეს,მის ოჯახს და უმსხვილეს მეთემეებს მთელი ირანის ტერიტორიაზე ჰქონდათ მსხვილი მურნეობები რომელთაც ემსახურებოდა მშრომელების გარკვეული რაოდენობა.

სპარსელები ხელს არ უწყობდნენ ქალაქების ეკონომიკურ განვითარებას,, პირიქით ისინი პარაზიტებივით ფიტავდნენ და აჩანაგებდნენ მათ. შემდგომ ამას დაემატა ისიც,რომ თავისუფალი მეთემეების ძირითადი ნაწილის გაღარიბების გამო დასუსტდა არმია,და ამან სპარსეთი ორ დაპირიქპირებულ მხარედ გაყო. აქ უკვე ხსენებაც აღარ იყო ინტერესთა იმ ერთობისა რომელიც სპარსელებს აქამენიდური სახელმწიფოს შექმნისას მისი არსებობის პირველ პერიოდში ჰქონდათ.

ხელოვნება

აქამენიდთა ხელოვნება ზუსტად იმ პრინციპით იქმნებოდა,როგორც მიდიური.ოღონდ სიუჟეტებისა და კომპოზიციების შექმნა სხვა ხასიათს ატარებს.ამ შემთხვევაში იმქნება აქემენიდთა ძლევამოსილების განმადიდებელი ძეგლები. მართალია, აქამენიდური ხელოვნება გამოსახულების ამა თუ იმ დეტალს იღებს წინარე რომელიმე ეპოქის ხელოვნებიდან მაგრამ თვით გამოსახულება მხოლოდ ამ ეპოქის მონაპოვარია და ამაში მდგომარეობს მისი განსაკუთრებულობაც.ძეგლების უმეტესობა მეფის ხელისუფლების, იმპერიის სიძლიერის განდიდების ცდას არმოადგენს. მათი ხელოვნება მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკასთან. აქამენიდური ხუროთმოძღვრული ძეგლები იქმნებოდა დაკანონებული ნორმების მიხედვით.

მიდიელ მბრძანებელთა სასახლეები აგებული იყო ხისა და ალიზის აგურისაგან,მაგრამ მთავარი დარბაზი სვეტებიანი იყო,ზუსტად ისეთი როგორიც აქამენიდურ ძეგლებში გვხვდება.მიდიელთა სასახლეებს რელიეფებით არ ამშვენებდნენ,სამაგიეროდ მრავლად იყო ტორევტიკული ნამუშევრები,რომლებზედაც მიდიელ ღვთაებათა სიმბოლოებად ასრულ,ურარტულ და ელამურ გამოსახულებებს იყენებდნენ.

აქემენიდების ეპოქის თვალსაჩინო ძეგლის - პერსოპოლისის მშენებლობა დაიწყო დაახლოებით ძვ.წ 520 წელს,ყოველწლიურად მის მშენებლობაში სამი ათასი კაცი მონაწილეობდა. ეს კომპლექსი თითქმის 12 მ სიმაღლის ხელოვნურ ბაქანზე დგას. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ღია ფერის მასალის ქვიშაქვა.ეს ქალაქ-ტაძარი განკუთვნილი იყო საზეიმო რიტუალების ჩასატარებლად.

პერსოპოლისის ბაქანზე განლაგებული სხვა სასახლეებიც რელიეფებით არის დამშვენებული.

აქამენიდების ეპოქის გამოყენებითი ხელოვნების ძეგლებმა ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწია.ამ ეპოქის მონუმენტური ხელოვნების ძეგლებს განეკუთვნება აქემენიდი მეფეების კლდის აკლდამები.ყველაზე მნიშვნელოვანი კომპლექსი განლაგებულია პერსეპოლისიდან რამოდენიმე კმ-ზე, ნაქშ-ი რუსტამის კლდეებში.

პერსეპოლისში შემუშავებული „აქემენიდთა საიმპერიო სტილი“ ძალიან ფართოდ გავრცელდა, რის შედეგადაც ფაქტობრივად ერთიანი კულტურა შეიქმნა ინდიდან მცირე აზიის სანაპიროებამდე.

თემა მეთერთმეტე

ძველი ინდოეთი

მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერას ინდოეთი წარმოადგენს. გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეთნიკურ ასპექტში ინდოეთი იმდენად მრავალფეროვანი და კონტარასტებით აღსავსე ქვეყანაა, რომ მას ხშირად „პატარა მსოფლიოს“ უწოდებენ. ქვეყნის საერთო ფართობი 4მლნ.კმ2-ს აღემატება. დამახასიათებელია კლიმათური მრავალფეროვნება, ეთნიკური სიჭრელე და პოლიტიკური დაქსაქსულობა. ინდოეთი უძველესი დროიდან წარმოადგენდა ერთიან და განუყოფელ სამყაროს. ამ ერთიანობის საფუძველს წარმოადგენდა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მრავალი პროცესი, რომლის ჩარჩოებში მოქცეული აღმოჩნდა სხვადასხვა ეთნიკური ნაკადი, რამაც წარმოქმნა ერთიანი სამყარო გადაჭიმული ჰიმალაის მთებიდან (ჩრდ) კუმარის კონცხამდე (სამ).

ბუნებრივი პირობები

გეოგრაფიულად ინდოეთი სამ ნაწილად იყოფა:1)ინდისა და განგის დაბლობები,

ინდის დაბლობი

2)დეკანის მაღლობი, რომელიც გადაჭიმულია ვინდჰიას მთებიდან კრიშნასა და ტუნგაჰადრას ხეობამდე,

3)შორეული სამხრეთი.

ინდისა და განგის დაბლობს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ინდოეთის მთელი ისტორიის მანძილზე.სწორედ აქ გაჩნდა პირველად ინდოეთის ისტორიაში ადამიანთა დასახლებანი და ცივილიზაციის მნიშვნელოვანი კერები.მდინარეებს ძველი ინდოეთისთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ნილოსს ეგვიპტისათვის, ხოლო ტიგროსსა და ევფრატს მესოპოტამიისათვის. განგის დაბლობში მოჰყავთ ბრინჯ და შაქრის ლერწამი.

აღსანიშნავია, რომ ინდოეთის ტერიტორიის მთელი მანძილზე მდინარეები ხშირად იცვლიდნენ კალაპოტს, განსაკუთრებით საგაზაფხულო წყალდიდობის პერიოდში, რაც იწვევდა ცივილიზაციის ცენტრების შესაბამის გადანაცვლებას.

უძველესი მოსახლეობა და კულტურის კერები

ინდოეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ დღეისათვის გარკვეულად არაფერია ცნობილი, ამ უზარმაზარ ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალხები ენობრივად და ანთროპოლო- გიურად დღესაც ორ დიდ ჯგუფად იყოფა:

ინდოევროპული და დრავიდული. მეცნიერთა ჯგუფი დრავიდებში შუმერების მონათესავე ეთნიკურ ელემენტს ხედავს. დრავიდები ცნობილი იყვნენ, როგორც კარგი მეზღვაურები და ვაჭრები.

დრავიდების სოციალური ორგანიზაციის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ მათ კასტები არ გააჩნდათ და პირველყოფილ-თემური საზოგადოების პირობებში ცხოვრობდნენ.

ჰარაპა და მოხენჯო-**დარო**

1922 წელს ინდოელმა არქეოლოგმა რ.ბანერჯიმ დაიწყო გათხრები მოხენჯო-დაროში. მოხენჯო-დარო მიცვალებულთა ყორღანს ნიშნავს. ამავე წელს რაი ბაჰადურ და იარამ საჰენიმ აღმოაჩინეს ჰარაპა.

ჰარაპასა და მოხენჯო-დაროში აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მასალამ შუქი მოჰფინა ინდოეთის ისტორიის უძველეს, არიელებამდე არსებულ ხანას. ჰარაპასა და მოხენჯო-დაროს კულტურა განეკუთვნება სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღების ინტენსიური გამოყენების ეპოქას.

საქალაქო ცენტრებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხელოსნობას, კარგად იცნობდნენ რთვას, ფეიქრობს და სამეურნეო საქმეს, საქონელი გაჰქონდათ და შემოჰქონდათ არა მარტო ხმელეთის გზით, არამედ ზღვითაც.

ჰარაპასა და მოხენჯო-დაროს კულტურა , ყველა მონაცემის მიხედვით ადრეკლასობრივი საზოგადოების ნიმუშს წარმოადგენს.

ძველი ინდოეთის ისტორიის წყაროები

არიული ინდოეთის ისტორიული განვითარების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვედურ ლიტერატურას, რომელიც შედგენილია ე.წ ვედურ სანსკრიტზე.

სიტყვა „ვედა“ ნიშნავს (რელიგიურ) ცოდნას. მეცნიერთა აზრით, ვედები შეიქმნა დაახლოებით ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში, ისინი შედგება ოთხი კრებულისაგან, რომელთაც სამჰიტები ეწოდება.

ვედურ ლიტერატურას განეკუთვნება, აგრეთვე მოგვიანო ხანის რელიგიურ ფილოსოფიური კომენტარები-ბრაჰმანები, არანიაკები და უპანიშადებეი, რომლებიც თან ერთვიან ცალკეულ სიმჰიტებს. აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელიბა აქვთ VI-V საუკუნეების დიდ ეპიკურ პოემას „მაჰაბჰარატა“ და შედარებით მოგვიანო ხანაში შექმნილ ეპოსს „რამაიანას“.

პირველ ნაწარმოებში მოთხრობილია ორი სამეფო გვარის ხანგრძლივ ბრძოლაზე ძალაუფლებისათვის, რაც შესაძლოა, რეალური ისტორიული სინამდვილის გარკვეულ ასახვას წარმოადგენდეს. ინდოელებმა უძველესი დროიდან დატოვეს წარწერები ლითონისა და

თიხის ფირფიტებზე , წარწერების უმეტესობა მოიცავს ინფორმაციას მსხვერპლშეწირვის შესახებ. ეპიგრაფიკული ძეგლები შეიცავს ამა თუ იმ ისტორიული ამბის მოკლე მკაფიო აღწერას . ამ წარწერებიდან შეიძლება ამოიკრიფოს არა მარტო ისტორიული მნისვნელობის ფაქტები, არამედ ცნობებიც ძველი ინდოეთის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ვითარების შესახებ.

ინდოეთის ისტორიის შესწავლისათვის უდიდესი მნისვნელობა აქვს იმ ტექსტებს, რომლებიც მცირე აზიასა და ირანში აღმოჩნდა.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე არასოდეს ყოფილა ინდოეთში, მაგრამ იგი საკმაოდ დამაჯერებლად მოგვითხრობს სპარსელების მიერ ჩრდილო-დასავლეთი ინდოეტის დაპყრობის შესახებ. ინდოეთში ალექსანდრე მაკედდონელის შეჭრისა და ქვეყანაში იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ საიმედო ცნობებს გვაწვდიან ბეძენი და რომაელი მწერლები-დიოდორე, არიანე, პლუტარქე და სხვანი.მათი ნაშრომები ერთადერთი წყაროა ინდოეთის აღნიშნული პერიოდის ისტორიისათვის.

ყველა ამ წერილობით წყაროსთან ერთად, ინდოეთის უძველესი ხანის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ გათხრებს, რომლებიც ინდოეთის

თითქმის მთელ ტერიტორიაზე , განსაკუთრებით კი ინდისა და განგის აუზებში წარმოებს.

არქეოლოგიურ ძიებას არანაკლები მნისვნელობა აქვს აგრეთვე არიელთა გამოჩენის დროის საკითხისა და მომდევნო პერიოდების ისტორიის სახვადასხვა პრობლემის შესასწავლად.

არიელები ინდოეთში

მეცნიერებაში გაბატონებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ არიელთა ტომები გამოიჩნდნენ ინდოეთში ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულსა და II ათასწლეულის დასაწყისში. ამ ხანიდან მოყოლებული ისნი საუკუნეების მანძილზე ვრცელდებოდნენ და სახლდებოდნენ ინდოეთის მთელ ტერიტორიაზე.

თვით სიტყვა არია სანსკრიტზე ნიშნავს „ ერთგულს“ , ერთი და იმავე ეთნიკური ერთეუულის წარმომადგენელს, ხოლო არიული ენა ინდოევროპულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება და მეტად ახლოს დგას ძველსპარსულ ენასთან. ფიქრობენ, რომ ინდო-არიული და სპარსული დიალექტების დიფერენცირება ერთიანი ენის შიგნით მოხდა მხოლოდ ძვ.წ.ა. II ათასწლეულის მეორე ნახევარში. ინდოეთში არიელების გამოჩენის ხანას ძვ.წ.ა. 2500-2000 წწ უკავშირებენ. ისინი იპყრობენ ევრაზიისს დასავლეთ ნაწილს და აღწევენ ჰიმალაის მთებამდე. მომდევნო პერიოდში არიელები განაგრძობენ მძაფრ ბრძოლებს ადგილობრივ არაარიულ

მოსახლეობასთან და თანდათანობით მიიწევენ არამარტო აღმოსავლეთისაკენ, არამედ სამხრეთისკენაც. ამ დროისათვის ადგილობრივი მოსახლეობა ბევრად მაღალ საფეხურზე იდგა რასაც ჰარაპასა და მოხენჯო-დაროს ძეგლები ადასტურებენ. არიულმა ცივილიზაციამ გაანადგურა და ბოლო მოუღო ადგილობრივ ცივილიზაციას.

არიელთა

სამეურნეო ცხოვრება

არიელ ტომთა უმრავლესობა მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა და ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა. ჰყავდათ : ძროხები, ცხენები, ცხვრები, თხები, ძაღლები და სხვა.თუმცა მალევე არიელები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ და თანდათან დაიწყეს სამიწადმოქმედო სამუშაოები, მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ბამბა, შაქრის ლერწამი, ხილი და ბოსტნეული.

მესაქონლეობასა და მიწადმოქმედებასთან ერთად საკმაოდ განვითარებული იყო მეთევზეობა და ნადირობა. დიდად აფასებდნენ სპირტიან სასმელებს სომას-რომელსაც მხოლოდ რელიგიური რიტუალის დროს სვამდნენ.

საკმაოდ განვითარებული იყო ხელოსნობაც, განსაკუთრებით ისეთი დარგები, როგორიცაა მესპილენძეობა, მჭედლობა, ნავმშენებლობა, მეტყავეობა და სხვა. შეინიშნებოდა ვაჭრობის განვითარების პირველი

ნაბიჯები, ხოლო ფულის როლს ხარები და ოქროს სამკაულები ასრულებდნენ.

გვაროვნული წყობილების პირველ საფეხურზე კასტური სისტემა ჯერ არ არსებობდა. მართალია უკვე რიგვედას /ვედების უძველესი ნაწილი/ დროს იხსნება საზოგადოების დაყოფა ქშატრიებად (სამეურნეო და სამხედრო მმართველებად), ბრაჰმანება (ქურუმებად), შუდრებად (უთვისტომონი) და ვაიშები(მესაქონლე მიწადმოქმედები). ყველა ვარნარს ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკუთარი კანონი (დჰარმა) ჰქონდათ. პოლიტიკური ძალაუფლება და მმართველობის სისტემა პირველი ორი კასტის ხელში იყო. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ კასტური სისტემა ინდოეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდა საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად, სახელმწიფოებრიობის ფორმირების პირობებში.

ვაიშები და შუდრები, როგორც წესი, მოსახლეობის ჩგრულ ნაწილს წარმოადგენდნენ, მაგრამ ისინი მონები არ იყვნენ, მონა ჩევეულებისამებრ ისეთივე საკუთრება იყო როგორც პირუტყვი. „მაჰაბჰარატაში“ ვკითხულობთ „ ძროხა, თხა, ადამიანი, ცხენი და სხვა“ , ამიტომ მონათმფლობელის ძალაუფლება მონაზე ფაქტიურად შეუზღუდავი იყო. აღნიშნულის მიუხედავად, მონების გარკვეულ კატეგორიებს არ ჰქონდთ სრულიად დაკარგული ადამიანური ღირსება, უფრო მეტიც,

არსებობენ მონები რომელთაც თვითონ ჰყავდათ მონები, ჰქონდათ საკუთარი ოჯახი, შეეძლოთ ჩვენება მიეცათ სასამართლოში და ა.შ. მონათა რიცხვი ძველ ინდოეთში შედარებით მცირე იყო წარმოებაში ძირითადად თავისუფალი მოსახლეობა მონაწილეობდა, თუმცა არსებობდა გამონაკლისი და მონა მსხვილ მეურნეობაში იყო ჩაბმული.

ინდური ისტორიული ტრადიცია უძველესი სახელმწიფოების შექმნას მთვარისა და მზის დინასტიებს უკავშირებს, რომ სღევანდელი ინდოეთის რესპუბლიკის ოფიციალურ სახელწოდებასაც ბჰარატა წარმოადგენს.

მაგადჰას სახელმწიფო

ძვ.წ. VI ს. შუა ხანებიდან თანდათანოობით ძლიერდება განგის შუა წელის სამხრეთით მდებარე სამეფო მაგადჰა, რომლის სათავეში ამ დროისათვის დგას მეფე ბიმბისარა ჰარიანტას დინასტიიდან რომელმაც საგრძნობლად გააფართოვა სამეფოს ტერიტორია. ყოველი მეფის მმართველობა ხანმოკლეა და მეფეთა უმრავლესობა არაბუნებრივი სიკვდილით კვდება. ნანდას დინასტია არსებობდა ალექსანდრე მაკედონელის სჰემოსევამდე. ამ სამეფო გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი - აგრამესი-დაამხო ჩანდრაგუპტა მაურიამ. ალექსანდრე მაკედონელმა დალაშქრა ინდოეთი, ტუმცა საინტერესოა ის ფაქტი რომ ალექსანდრე მაკედონელის ელვისებურმა შემოჭრამ ინდოეთში

თითქმის არავიტარი კვალი არ დატოვა, არავითარი გავლენა არ იქონია არც ინდოელთა კულტურაზე და არც სოციალურ ინსტიტუტებზე. ადგილობრივ წყაროებში ალექსანდრე მაკედონელი არც კი იხსენიება.

მაურიას სამეფო

მაურიას დინასტიის დამაარსებელი ჩანდრაგუპტა ეკუთვნოდა ქშატრიების კასტას. არსებობს მოსაზრება, რომ ჩანდრაგუპტა შეეცადა ალექსანდრე მაკედონელის დახმარებით დაემხო ნანდას დინასტია. ჩანდრაგუპტამ თავისი განზრახული შეასრულა და კაუტილიას დახმარებით 324წ დაამხეს ნანდას დინასტია და ტახტი დაიკავა. გადმოცემის თანახმად ძვ.წ 300წ. ჩანდრაგუპტა ჯანიზმის სარწმუნოებას ეზიარა, უარი თქვა ტახტზე და ჯაინების წესის თანახმად, ტავი შიმშილით მოიკლა.

როგორც წარწერებიდან და ჩანაწერებიდან ირკვევა სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, რომლის რეზიდენციაც დედაქალაქ პატალიუპუტრაში იყო. სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდა მეფესთან არსებული სპეციალური საბჭო-მანტრპარიშადი, რომელიც სედგებოდა უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებისაგან.

ჯაინიზმი და ბუდიზმი

ძვ.წ.VI ს.ვედურ რელიგიას თანდათანობით ცვლის ახალი სარწმუნო- ებანი- ჯაინიზმი და ბუდიზმი.

ჯაინიზმის დამაარსებლად ითვლება ვარდაჰამანა მაჰავირა, თუმცა ჯაინები მას როდი თვლიდნენ პირველ მასწავლებლად. იგი იყო რიგით ოცდამესამე და უკანასკნელი დამრიგებელი. მაჰავირას წინამორბედი პა-რსვანათჰი ქადაგებდა შემდეგ ოთხ მცნებას: ნუ მიაყენებ ზიანს, ნუ იცრუებ, ნუ მოიპარავ და ნუ მოიხვეჭ, რომელსაც ვარდაჰამანა იზია- რებდა თუმცა ამ ოთხ მცნებას დაამატა მეხუთე - უმწიკვლობა.

ჯაინები უარყოფდნენ ვედების ავტორიტეტს და ებრძოდნენ ცოცხალ არსებათა მსხვერპლად შეწირვას. მათ მიაჩნდათ, რომ ყოველ საგანს თავისი სული აქვს, ხოლო ამ სულს საკუთარი შეგნება. ჩანდრაგუპტას სამეფოში ჯაინიზმი სახელმწიფო რელიგიად იქცა და სწრაფად გავრცელდა ინდოეთის მრავალ რაიონში. მართალია, იგი ინდოეთის ფარგლებს არასდროს გასცდენია, მაგრამ ამ ქვეყნის შიგნით ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. ამ რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა დაგვიტოვეს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამის შემდგომ ინდოეთში ახალი რელიგია ბუდიზმი მკვიდრდება რომლის დამაარსებელიც სიდჰართახ გაუტამა იყო. გაუტამა მაჰავირას თანამედ-როვე იყო, შემდგომ ამისა ის ასკეტი გახდა. ხანგრძლივი დაჟინებული ჩაფიქრებისა და ღრმა ჭვრეტის შედეგად მან ჭეშმარიტებას მიაღწია და გახდა ბუდა, რაც „ ზიარებულს“ ნიშნავს. ჩამოაყალიბა „ 4 კეთილ-შობილი

ჭეშმარიტება“ : 1) არსებობს ტანჯვა, 2) ამ ტანჯვას თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს, 3) ტანჯვისაგან საჭიროა გათავისუფლება , 4) ამისათვის საჭიროა იცოდე თანჯვისაგან განთავისუფლების სწორი გზა, ეს გზა კი ნირვანას მიღწევაა.

ბუდიზმი უარყოფს ვედურ რელიგიას, მაგრამ იგი ცნობს კარმას - სულთა გადასახლებას.

ბუდისტური რელიგია, ჯანიზმისაგან განსხვავებით, გავრცელდა არამარტო ინდოეთში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. ბუდისტებმაც საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა შექმნეს, მაგალითად, ბუდას მოძღვრება შეტანილია „ტრაპიტიკაში“ , რაც სიტყვა სიტყვით „სამ კალათს „ ნიშნავს.

მომდევნო ხანაში როგორც ჯაინების, ასევე ბუდისტების მიმდინარეო-ბანი მრავლ სექტად დაიყო.

ძველი ინდოეთის მეცნიერება, კულტურა და იდეოლოგია

მაჰაბჰარატა და რამაიანა ზემოთ უკვე განვიხილეთ ძველინდოური წყაროები, მათ შორის კანსაკუთრებული ადგილი უკვია ორ დიდ ეპიკურ ქმნილებას - „ მაჰაბჰარატასა და რამაიანას“.

„მაჰაბჰარატა“ შექმნა ძვ.წ. VI-V სს, ხოლო ჩაწერილია ახ.წ. I-II სს. მას-ში ძირითად ასახულია ორი გვარის ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ორივე პოემა,

რომლებიც ესოდენ პოპულარულია ინდოეთში, გამსჭვალულია სამართლიანობის აუცილებელი გამარჯვების რწმენით, თავისუფლების იდეით, უსაზღვრო ჰუმანიზმითა და რაინდული სულისკვეთებით.

ფილოსოფია ძველ ინდოეთში სამყაროს სეცნობდნენ გაბატონებული რელიგიური წარმოდგენების მიხედვით. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ფილოსოფიაში წამყვან მიმართულებას იდეალიზმი წარმოადგენდა.

დასაწყისში არსებობდა წამყვანი რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა. უძველესი მათგანი - დრაჰმანიზმი - ვედებზე იყო დაფუძნებული და ამტკიცებდა, რომ მთელი სამყარო, ღმერთებიცა და ადამიანები წარმოიშვნენ მსოფლიო სულის - ბრაჰმას - შემოქმედების შედეგად.

ბუდიზმისა და ჯაინიზმის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, ინდოეთის ძველი ისტორიის დასასრულისათვის ამ მოძღვრებათა საფუძველზე ყალიბდება რამდენიმე იდეალისტურ-ფილოსოფიური და რელიგიური მიმართულება.

ძველ ინდოეთში არსებობდა მატერიალისტური მსოფლმხედველობაც. მაგალითად, ძვ.წ. VI-V სს. წარმოიქმნა ჩარვაკას მოძღვრება, რომლის მიმდევრები უარყოფდნენ ვედების ავტორიტეტს და ამტკიცებდნენ,

სამყარო მატერიალურია და შეგრძნება შემეცნების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

მეცნიერება . მეცნიერული ცოდნა ძველ ინდოეთში ცხოვრების პრაქტი-კულ მოთხოვნილებათა პარალელურად ვითარდებოდა. მაგალითად, საირიგაციო მიწადმოქმედების განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ასტრონომიულ ცოდნას.

ძველ ინდოეთში საკმაოდ იყო განვითარებული მათემატიკაც. ათწილადის სისტემა აქ შეიქმნა ჯერ კიდევ ჰანაპას ხანაში. ინდოელებმა შემოიღეს პირველი ციფრები, რომლებიც შემდეგ დასავლეთ აზიის ხალხებმა გადაიღეს, ხოლო აქედან გავრცელდა ევროპაში სადაც ციფრების დამწერლობის ამ სისტემას ,, არაბული“ უწოდეს. ინდოეთში პირველად გაეცნენ ალგებრასა და ტრიგონომეტრიის საწყისებს.

მათემატიკურ ციდნასთან ერთად ინდოეთში საკმაოდ განვითარებუ-ლი იყო მედიცინა , ქიმია და ზოგიერთი სხვა დარგი.

უკვე აშოკის წარწერები ადასტურებენ, რომ ძვ.წ.IIIს. ინდოეთში საკმაოდ დახვეწილი დამწერლობა არსებობდა. ამ წარწერათა -ბრაჰმი - საფუძვლად დაედო დევანაგარის შრიფტს, რომელიც დღესაც გამოიყენე-ბა.

თემა მეთორმეტე
ძველი ჩინეთი

განსაკუთრებულად ხელსაყრელი, ბუნებრივი და კლიმატური პირობების გამო, ადამიანი დღევანდელი ჩინეთის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან სახლობს, შეიძლება ითქვას, თითქმის იმ დროიდან, როდესაც იგი გამოეყო ცხოველთა სამყაროს, როგორც ცალკე ბიოლოგიური და სოციალური ერთეული.

ძვ.წთ.აღ. II ათასწლეულში შუამდინარეთის,ეგვიპტისა და ინდოეთის მსგავსად, შეიქმნა ცივილიზაციის უძველესი და უმძლავრესი კერები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში.

ამ ქვეყნის ქართული სახელწოდების (,,ჩინეთი“) ძირი--,,ჩინ“,რომელიც აგრეთვე მის დასავლეთევროპული და აღმოსავლური სახელწოდებების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მოდის ძვ. ჩინეთის ერთ-ერთ სამეფოს- ცინ-ის სახელიდან. რაც შეეხება რუსულ ტერმინს --- ,,კიტაია“,იგი ნასესხებია შუა აზიის ხალხებისაგან, რომელთაც უძველეს დროში უშუალო ურთიერთობა ჰქონიათ ჩინეთის მიწა-წყალზე მოსახლე მონღოლური წარმოშობის ტომებთან - კიტაიებთან. თვით ჩინელები საკუთარ ქვეყანას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ, ძირითადად გაბატონებული სამეფო დინასტიების მიხედვით: შანი, ჯოუ, ცინი, ხანი და ა.შ. ასევე ჩინელები უმაღლეს ღვთაებად ცას მიიჩნევდნენ, ამიტომ თავიანთ ქვეყანას ცისქვეშეთს უწოდებდნენ.

ბუნებრივი პირობები და უძველესი მოსახლეობა

ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია გეოგრაფიულად იყოფა ორ დიდ ნაწილად: დასავლეთში-ჰიმალაების, კუნ-ლუნისა და ტიანშანის ქედებით დასერილი

მაღალმთიანეთი, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს, ინდოეთთან, ხოლო აღმოსავლეთში- დაბლობები მძლავრი მდინარეების გასწვრივ და ზღვისპირეთში. ცენტრალურ ჩინეთში მოედინება ამ ქვეყნის უდიდესი მდინარე-5000 კმ-ზე მეტი სიგრძის იანძი, ჩრდილოეთ ჩინეთში მიედინება მდინარე ხუანხე, რომლის სიგრძე 4000 კმ-ს აღემატება, ხოლო სამხრეთ ჩინეთის მთავარი მდინარის- სიძინის სიდიდე 2000 კმ-მდე აღწევს.

ბუნებრივი და კლიმსტური პირობების გამო წარმოიქმნა უძველესი ცივილიზაციის ცენტრები (პირველ რიგში ხუანხეს აუზში). ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე ადრინდელი კულტურის ძეგლები ძვ.წ V-III ათასწლეულებს განეკუთვნება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩინური ცივილიზაცია უფრო გვიან ჩაისახა ვიდრე ეგვიპტეში, შუმერსა და ინდოეთში, კერძოდ ძვ.წ XVII ათასწლეულში, ჩინელებმა საირიგაციო სისტემის შექმნა მხოლოდ I ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყეს. ამ პერიოდამდე კი ჩინური ცივილიზაცია იზოლირებულად არსებობდა, სხვა ძველი ცივილიზაციებისაგან. დასავლეთ ჩინეთისაგან განსხვავებით, სადაც იცის ხანგრძლივი და ცივი ზამთარი, ცხელი და მოკლე ზაფხული, აღმოსავლეთში ჰავა უფრო ხელსაყრელია სოფლის მეურნეობისათვის. ამასთან ერთად აღმოსავლეთ ჩინეთისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგები, თევზეულობით მდიდარი მდინარეები, ტბები და ზღვები.

ჩინეთის ტერიტორია ისტორიული ტრადიციის მიხედვით უძველესი დროიდან დასახლებული იყო სხვადასხვა ტომებით: სამხრეთში ცხოვრობდნენ ტომები გაერთიანებულნი ერთი სახელწოდებით- მანი; აღმოსავლეთში-ი; ჩრდილოეთში-დი; დასვლეთში-ჟუნი ეს ტომები ქვეყნის დაბლობ რაიონებში მისდევდნენ

მიწათმოქმედებას, ზოგან კი განვითარებული იყო მესაქონლეობა, ნადირობა და მეთევზეობა

წყაროები და ჩინეთის ისტორიული განვითარების მეცნიერული . შესწავლა

დიდი ხნის განმავლობაში ჩინეთის ისტორიის შესწავლა ტრადიციულად აგებული იყო ძირითადად იმ მონაცემებზე, რომლებსაც შეიცავდნენ ხალხური გადმოცემები, ლეგენდები და მითები. ასევე ლიტერატურული და სხვა სახის წერილობითი წყაროები. განსაკუთრებული ადგილი უკავია ძველ მითებს (მმართველების-ხუანდი-ს, იაო-ს, შუნი-ს, იუი-სა და ტანი-ს შსახებ). ეს ლეგენდები ძირითადად თავმოყრილია კონფუცის კანონების ერთ-ერთ წიგნში-(,,ისტორიული გადმოცემების წიგნში“).

ინტერესი ამ ქვეყნისადმი გაიზარდა და მისი ისტორიული წარსული შეისწავლება თითქმის ყველა მნიშვნელოვან მეცნიერულ ცენტრში, სადაც კი ხდება ისტორიული პროცესების კვლევა-ძიება. ჩინეთის ისტორიის უძველესი ხანა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არი შესწავლილი და შეიცავს საკმაოდ ბევრ ხარვეზებსა და ბუნდოვან ადგილებს, რომელთა გარკვევა მხოლოდ ისტორიულ-ტრადიციული გადმოცემებით არ ხერხდება.

უძველესი ხანა

ლეგენდარული ცნობები ჩინეთის ისტორიული განვითარების შესახებ უძველეს ხანაში. ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის იმ ტერიტორიაზე, სადაც გავრცელებული იყო იანშაოს კულტურა, ცხოვრობდა დი-ს ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი ხუანდის ტომი, რომელსაც ადრიდანვე მოუხდა ბრძოლების წარმოება

ცენტრალურ ჩინეთში შეჭრილი ტომების (ლი და მიაო მანის ტომთა ჯგუფიდან და იანდი ძიანის ტომთა ჯგუფიდან) წინაღმდეგ. ხუანდი-ს ტომი იანდი-ს დახმარებით იწყებს შეტევას მიაო-ს წინააღმდეგ, იპყრობს მდინარე ხუანხეს ორივე ნაპირს შუა დინების რაიონში და დევნის მოწინააღმდეგეს. ამ გამარჯვების შემდეგ ხუანდის ტომთა გაერთიანება იპყრობს ცენტრალურ დაბლობს ხუანხეს შუა წელში , სადაც წარმოიქმნა ხუასია-ს კულტურა - მომავალში საერთო ჩინური კულტურის საძირკველი.

პირველყოფილ - თემური საზოგადოების ნიშნები ჩინური საისტორიო ტრადიციის მიხედვით . კონფუცის ერთ-ერთ კანონიკურ წიგნში ,,ლიძი“ (,, დადგენილებათა წიგნი ‘’). ასეა აღწერილი ძველი პრინციპები და ზეცის ქვეშ ყველაფერი საერთო იყო, ირჩევდნენ ბრძენთა და ნიჭიერთ, იქცეოდნენ კეთისინდისიერად და მხარს უჭერდნენ მშვიდობას , ისინი შრომისათვის თავის არიდებას სამარცხვინოდ არ თვლიდნენ , აქ არ ხორციელდებოდა ცუდი ზრახვები , აქ არ იყო მოტყუება , ქურდობა და ყაჩაღობა , ყოველივე ამას ,,დიადი ერთობა“ ეწოდებოდა.

,,დიადი ერთობის“ აღწერაში ვხვდებით პირველყოფილ-თემური საზოგადოების დახასიათებას, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობს კერძო საკუთრება და ქონებრივი დიფერენციაცია და თემი სარგებლობს კოლექტიური შრომის ნაყოფით. აქ ყველა ადამიანს თანაბარი უფლებები აქვს თუმცა მალევე ჩნდება მონოკამიური ოჯახი და იწყება სიმდიდრის დაგროვება და ადამიანის მონებად გაყიდვა. ჩინეთში მონა ნიშნავდა ,, მინ ‘’, რომელიც შიშველ ფეხებშემოჭრილ ადამიანს გამოხატავდა . ეს ტერმინი ასევე მოიცავდა მდაბიო ანუ მშრომელ ხალხს. იმის მიხედვით თუ რომელ ტომიდან იყო მონა მას ლიმნ-სა და მიაოუნ-ს უწოდებდნენ.

კონფუცი თავის ,,ლიძი-ში'' აღგვიწერს რომ ამ პერიოდში დაიწყო ადამიანმა ქონების დაგროვება, მშობლები ცდილობენ მხოლოდ თავიანთი შვილები შეიყვარონ, რომლებსაც გადასცემენ ქონებას, ადათებს და წეს-ჩვეულებებს, დამყარდა მეგობრობა ძმებს შორის, მშვიდობა მეუღლეთა შორის და სხვა. დაირღვა პირველყოფილ-თემური საზოგადოების საყრდენი, ჩამოყალიბდა სახელმწიფოები. ეს იყო ხანგრძლივი ისტორიული მოვლენა რომელიც დიდხანს გრძელდებოდა .

შანი-ის (ინ -ის) სახელმწიფო

სია-ტომის ბატონობის ეპოქა (ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული და II ათასწლეულების დასაწყისი) . ცი ითვლება სია-ტომის ბატონობის პერიოდის პირველ მმართველად (მეფედ). მის მიერ შემოღებული ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესი, როგორც მოსალოდნელი იყო, წააწყდა სხვა გვარების წარმომადგენლებთან მძაფრ წინაარმდეგობას. ცოტა მოგვიანებით მმართველ სია-ს დინასტიამ საბოლოოდ დაიმორჩილა ი-ს სახელწოდებით ცნობილი ტომები, მაგრამ უკვე ინ ძიას-ს დროიდან იწყება სია-ს დასუსტების ხანა.

შან-ის (ინ-ის) სახელმწიფო ძლიერების ხანა (ძვ.წ. II ათასწლეულის სუა ხანიდან მის მიწურულამდე). შან-ის დინასტიის მმართველნი ძი-ს საგვარეულოს ეკუთვნოდნენ და ძველი გადმოცემების მიხედვით მათი მამამთავრები ვანხაი და სიან ტუ იყვნენ. შანის გაძლიერებისა და შემდგომი განვითარების გზაზე იდგა სია-ს სახელმწიფო. მგადამწყვეტი ბრძოლა შან-ს და სია-ს შორის დაიწყო ჩენ ტან ი-ის მმართველობის წლებში . ამ სამეფოს მმართველობიდან განსაკუთრებით ცნობილია პან გენი (დაახლოებით XIII-XII სს) , რომელმაც მთელი რიგი რეფორმა გაატარა. მან შეამცირა უსარგებლო

ხარჯები,ძალით გადაასახლა არისტოკრატებიცა და უბრალო ხალხიც მდინარე ინ-ის მეორე ნაპირზე, აუშენა მათ ლერწმით გადახურული ქოხები და შეამსუბუქა ხალხის მდგომარეობა.

მოსახლეობის საქმიანობა, სოციალური სტრუქტურა და სოციალური ურთიერთობანი შან-ის (ინ-ის) სახელმწიფოში. წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალები ინ-ის პერიოდის ნამოსახლარებიდან გვაძლევენ საშუალებას გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ შან-ის ეპოქის საზოგადოებრივ განვითარების შესახებ. ამ პერიოდში წარმოადგენდა (მოშინაურებული ჰყავდათ: ღორი, ცხვარი, ძაღლი, ცხენი, სპილო) შემდგომში მას გამოეყო მიწათმოქმედება რომელმაც მთავარი ადგილი დაიკავა. ამ დროისათვის უკვე არსებობდა იეროგლიფები, რომლებიც აღნიშნავენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მიწის ნაკვეთებს და მათთან დაკავშირებულ ტერმინებს. შან-ის ეპოქაში გაჩნდა ბრინჯაოს ქოთანი, მაგრამ მთავარ საწარმოო იარაღს მაინც ხის კავი წარმოადგენდა .

შან-ის ეპოქაში უმთავრესად ლითონის (ბრინჯაოს) იარღი იყო გავრცელებული (ისრის თავები, ხმლები, დანები, საფხეკები, ნაჯახები, თასები, ფიალები და სხვა). ქვა ამ დროისათვის გამოიყენებოდა მხოლოდ რელიგიასა და რელიგიურ კულტთან დაკავშირებული საგნების დასამზადებლად. შან-ის მთელი მოსახლეობა, როგორც ჩანს, დაყოფილი იყო ორ დიდ სოციალურ კლასად: თავისუფალთა კლასი- ,,ბაიასინი'' და მდაბიონი- ,,მინი'', რომელთა შორის გარკვეულ ნაწილს მონები წარმოადგენენ. ამ უკანასკნელთ ზოგჯერ ,,ჩუმინ''-საც (ხალხი, საქონელი, ცხოველი) უწოდებდნენ.

ამ პერიოდში ტყვედ ჩავარდნილ მონას ჯერ იმონებდნენ შემდეგ კი კლავდნენ. მონას, როგორც წესი საშუალება ჰქონდა შეექმნა საკუთარი ოჯახი და

გარკვეული საკუთრება ჰქონოდა. საზოგადოების სათავეში ერთი მმართველი- დი, გუნი ან ვანი (მეფე), რომლის ძალაუფლებაც მემკვიდრეობით გადადიოდა უფროს ვაჟიშვილზე. მეფე იყო უზენაესი მბრძანებელი, მთავარსარდალი და ქურუმი, ღმერთის მოციქული მიწაზე.

შან-ის ეპოქის კულტურა და მეცნიერება. ძველი წყაროებიდან ჩანს, რომ მეფეს მრავალი მრჩეველი ჰყავდა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ,,უ'' (მკითხავები) და ,,ში'' (მეცნიერები). პირველნი უკრავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და მკურნალობდნენ ავადმყოფებს. მეორენი ქმნიდნენ მატიანეებს სწავლოვდნენ ასტრონომიულ მოვლენებს, კარგად იცოდნენ ისტორია და ა.შ. შან-ის ეპოქაში ჩინელებმა შექმნეს პირველი კალენდარი რომლის მიხედვითაც წელიწადი იყოფა 12 თვედ (ნაკიანი წელიწადი შედგებოდა 13 თვისაგან) თვეში 30 დღე (დიდი თვე) ან 29 (პატარა თვე). ამ დროს გავრცელებულია პოლითეიზმი და მოსახლეობა თაყვანს სცემს მრავალ სახის კეთილ და ბოროტ სულებს.

ჯოუ - ს ეპოქა

დასავლეთი ჯოუ. XIII-XIIს-ში ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში გამოჩნდა თანდათანობით გაძლიერდა ჯოუ-ს ტომი. თავიდან ისინი მომთაბარეები იყვნენ, ხოლო შემდეგ ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, დაიპყრეს მთელი რიგი მეზობელი ტომი და შან-ისათ-ვის საშიშ მეტოქედ იქცნენ. ხანგრძლივი ბრძოლა შანსა და ჯოუ-ს შორის 1066წ (სხვა მონაცემებით 1122 წ) დასრულდა უკანასკნელთა გამარჯვებით. ჯოუ-ს მმართველმა დაამარცხა შან-ის უკანასკნელი მბრძანებელი და აიღო მისი დედაქალაქი ჩაოგე. ჯოუ-ს სახელმწიფოს ტერიტორიამ ხუანხეს ქვედა წელამდე მიაღწია. ჯოუ-ს თითქმის ყველა წარმომადგენელი ჯუხოუ-დ (მფლობელ

თავად) იქცა ხოლო ჯოუ-ს ცენტრალურ გვარს ძუნჯუ-ს (სიუზრეს, გვარის უფროსს უწოდებდნენ).

ეკონომიკური და სოციალური განვითარება ჯოუ-ს ეპოქაში . ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჯოუ-ს ტომთა შორის მთავარ ადგილს მიწათმოქმედება იკავებს. ძველი ლეგენდის თანახმად ჯოუ-ს მამამთავარმა ცი-მ პირველად დათესა ფეტვი და ხორბალი. მას ხოუ ძი-ს (მეფე-ფეტვს) უწოდებდნენ. მიწას ამუშავებდნენ თავადების ხელში) გადადიოდა. მემამულენი კი მათ საკვებს, ჩასაცმელს და შეშას ურიგებდნენ, გლეხს უფლება ჰქონდათ მხოლოდ ნანადირევი ფრინველის მცირე ნაწილი დაეტოვებინა თავისთვის. მიწას ამუშავებდენ ბრინჯაოს იარაღებით: გუთანი, ბარი, ნამგალი და ა.შ. რკინის იარაღი ჩნდება მხოლოდ ჯანგო-ს პერიოდში, თუმცა მაშინაც ბრინჯაოს იარაღი საკმაოდ ფართოდ იხმარებოდა .

ძველი წყაროების ცნობით ჯანგო-ს ეპოქაში, სწრაფად იზრდებოდა მოსახლეობა, რასაც მოჰყვა მიწების მასობრივი ათვისება გაჩნდა რკინის იარაღი განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. მიწათმოქმედების, ხელოსნობისა და ვაჭრობის ამგვარი განვითარება ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ქვეყნის ერთიან სახელმწიფოში განვითარებისათვის .

ცინ-ის იმპერია

ცინ-ში ხუანდი (246-210 წწ.). ცინ-ში ხუანდის სარდალმა 300 000-იანი ჯარით დაამარცხა ჰუნები (სიუნუ), დაიპყრო ხენანის ტერიტორია (მდ. ხუანხეს დიდ საქცევში) და დაყო იგი 44 მაზრად, სადაც იმპერიის შიდა რაიონებიდან გადმოასახლეს დამნაშავენი ამისშემდეგ (ცინ-ში ხუანდის სარდალი). მენ ტიან-ის მთელი არმია აქ გადმოსახლებული დამნაშავენი (სულ 2

მლნ-მდე ადამიანი) ათი წლის მანძილზე დღე და ღამ მუშაობდა ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობაზე,იგი არის 5000 ლი -ს სიგრძის (ჩინური ლი უდრის 576 მეტრს)იგი გადაჭიმული იყო ლინტიაოდან ლიაუდუნ-ამდე და ძველ ნაგებობებთან ერთად 4000 კმ-მდე აღწევდა.კედლის სიმაღლე უდრიდა 10-ს ხოლო სიგანე 8-მ -ს. ყოველ 60-100-მ-ში აშენებული იყო ციხე -კოშკები.ამ კედელს არამარტო სამხედრო,არამედ სავაჭრო მნიშვნელობაც ქონდა,რადგან იგი ქვეყნის რაოდენობას ჩრ-ის ტომებთან აკავშირებდა . იმპერიის გაძლიერების და სამმართველო სისტემის ცენტრალიზაციის მიზნით ცინ-ში ხუანდი-მ გაატარა მნიშვნელოვანი აგრარული, ადმინისტრაციული , საფინანსო და სამხედრო რეფორმები . მთავრობის სათავეში იდგა იმპერატორი .

ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარი გამოსვლების აღკვეთისა და სახელმწიფოს ერთიანი კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრის შექმნის მიზნით დედაქალაქ სიანია-ნში დაპყრობილი სამეფოებიდან გადმოასახლეს დიდგვაროვანთა 120 000-იანი ოჯახი . მოსახლეობას ჩამოართვეს იარაღი, აუკრძალეს ზველი ტრადიციებისა და წესჩვეულებებზე . ცინ-ში ხუანდი-მ შემოიღო სასჯელთა სატიკი სისტემა: დამნაშავეს სჭიდრნენ ცხვირს , უჩეხდნენ მუხლებს , გლეჯდნენ ნეკნებს , ხლეცდნენ შუაზე საომარი ეტლით , ნაკუწ-ნაკუწ ჭრიდნენ , ცოცხლად მარხავდნენ და ა.შ. თავის მოკვეთა ხომ ყველაზე მსუბუქი სასჯელი იყო . განსაკუთრებით სერიოზულ დანაშაულის შემთხვევაში ისჯებოდა არამარტო დამნაშავე , არამედ მთელი მისი ნათესაობა სამ თაობაში .

ცინ-ში ხუანდი დიდ ყურადღებას აქცევდა ვაჭრობას, შემოიღო წონის და ზომის ერთიანი სისტემა, მოახდინა ფულის რეფორმა და შემოიღო ერთიანი სპილენძის მონეტა (ამიერიდან ფულად მხოლოდ ოქრო

და სპილენძი დაწესდა). მანვე შემოიღო „ მცირე გამარტივებული დამწერლობა“ - სია ოჯუანი და მოახდინა მისი უნიფიცირება მთელი სახელმწიფოს მაშტაბით . ძვ.წ 207-206 წლების მიჯნაზე ცინ-ის დინასტია დაემხო.

ხან-ის იმპერია

ხან-ის იმპერიის დაარსება - ლიუ ბანი უფროსი ანუ დასავლეთი ხანის დინასტიის (ძვ.წ 206-ახ.წ 25 წწ) დამაარსებელია დინასტიის სახელწოდება მოდის მდინარე ხანის სახელიდან . ხან-ის დინასტიის დათარიღება იწყება 206 წლით , როდესაც ლიუ ბან-ს დანებდა ცინ-ის უკანასკნელი იმპერატორი გამარჯვებისთანავე ლიუ ბან-მა თავი იმპერატორად (ძვ.წ 202-195 წწ) გამოაცხადა და დედაქალაქ ჩანან-ში გადაიტანა. ამ დროისათვისს სახელმწიფო დასუსტწბული იყო , მეურნეობა მიგდებული და განადგურებული, მოსახლეობა განახევრებული . ისტორიკოსი სი მაცია-ნი შექმნილ ვითარებაზე წერს: ,,როდესაც ხელისუფლება ხან-ის ხელში გადავიდა მას ცინ-ისაგან მხოლოდ ნანგრევები დარჩა . ლიუ ბანი ენერგიულად შეუდგა მდგომარეობის გამოსწორებას მან მოახდინა ჯარების დემობილიზაცია და მუშა ხელი დაუბრუნა წარმოებას რამაც ბიძგი მისცა მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის გამოცოცხლებას .

ხან-ის იმპერია განსაკუთრებით გაძლიერდა იმპერატორ უ-დი-ს დროს განვითარდა მიწათმოქმედება, ხელოსნობა, ვაჭრობა, გაფართოვდა სათესი მიწები გაჩნდა რკინის დამუშავება ჩინური რკინა ამ დროს მსოფლიოში საუკეთესო იყო , განვითარდა ხუს დამუშავება , კერამიკული წარმოება, საიუველირო საქმე, სართავი და აბრეშუმსაქსოვი ხელოვნება და ა.შ. ძვ.წ II ს-ის ბოლოს ჩინეთი დაუკავშირდა დასავლეთის ცნობილი შორეულ

ქვეყნებს სადაც გაჰქონდათ ჩინეთის ცნობილი აბრეშუმი (აბრეშუმის დიდი გზით). რომში ჩინელებს უწოდებდნენ სერ-ებს ე.ი. აბრეშუმის მწარმოებლებს გაიზარდა ფულის მიმოქცევა ძვ.წ 115 წელს მონეტების მოჭრაზე დაწესდა სახელმწიფო მონოპოლია . ამიერიდან ჩინთი ყველაზე დიდ სახელმწიფოდ იქცა მაშინდელ მსოფლიოში .

ძველი ჩინეთის კულტურა

ჩინეთის კულტურა ჯოუ-ს ეპოქაში . ამ ეპოქაში ჩინეთის კულტურა და მეცნიერება ახალ საფეხურზე ავიდა გაფართოვდა ჩინელთა ცოდნა ასტრონომიაში, სწავლობდნენ მნათობთა მოძრაობას. ხან-ის ეპოქაში შექმნილი კალენდარი უფრო დაიხვეწა: თვეები დაიყო ოთხ-ოთხ კვირად. ჯოუ-ს დინასტიის დასაწყისში ჩნდება პრიმიტიული მატერიალისტური წარმოდგენები რომელთა მიხედვით სამყარო შედგება პირველადი ელემენტებისაგან: მიწა, ცეცხლი,წყალი , ტბა. ქარი და ჭექა ქუხილი. ჩინური დამწერლობა უხსოვარი დროიდან მოდის უკვე ძვ.წ XV ს-ში არსებობდა საკმაოდ განვითარებული იეროგლიფური დამწერლობა, ლოუ-ს პერიოდში წერდნენ ბრინჯაოს ნაწარმზე და ბამბუკის ფირფიტებზე პარალელურად ვითარდებოდა ლიტერატურაც ჯერ ზეპირსიტყვიერი (ლეგენდები) შემდეგ წერილობითი ნაწარმოებები .

ჯოუ-ს პერიოდში იხვეწებოდა ხელოვნების ნაწარმოებები (ჩნდება სასიუჟეტო კომპოზიციის ჩანასახი), ვითარდება მუსიკალური კულტურა: უკვე არსებობდა დოლი, სტვირი. ზარები და შესაძლოა სიმებიანი ინსტრუმენტიც. ჯოუ-ს ეპოქაში სპეციალური ტრაქტატიც კი დაიწერა - იუ ძეი (მუსიკალური აღწერილობა) ჩინელთა შორის გავრცელებული იყო ტოტემისტური წარმოდგენები. არსებობდა ბუნების მოვლენათა კულტი.

მიწა, მთა, მდინარე, მთვარე და ა.შ. მათ სულიერათ თვლიდნენ და თაყვანს სცემდნენ.

ძველ ჩინელებს მიაჩნდათ რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს და ადამიანთა საქმიანობაში მონაწილეობს, მიცვალებულს საფლავში მონებსა და მსახურთ ატანდნენ .

რელიგიურ- ფილოსოფიური სკოლები

დაოსიზმი, კონფუციანელობა და ფაძია . ეს ფილოსოფიურ-ეთიკური მიმდინარეობანი ჯანგო-ს პერიოდში გაჩნდა .

დაოსიზმი - დაოსიზმის დამაარსებლად ნახევრად ლეგენდარული ლაო - ძი ითვლება. ლაო-ძი გმობს სიმდიდრეს, ფუფუნებასა და დიდგვარიანობას იგი ილაშქრებს მმართველთა სისასტიკის, ძალადობისა და ომების წინააღმდეგ მის სოციალურ იდეალს პირველყოფილი თემი წარმოადგენდა მიუხედავად არსებული უსამართლობისა, ადამიანი ბედს უნდა ემორჩილებოდეს, უმოქმედოდ უნდა რჩებოდეს და მორჩილად მიჰყვებოდეს ლაო-ს ცხოვრების ბუნებრივ დინებას .

დაოსიზმს საფუძვლდ უდევს გზის- დაოს იდეა, ანუ მოძღვრება ,,ბუნების გზაზე'' და სამყაროს ცვალებადობაზე.

,,სიკეთე მიაგე მოძულესა შენსას''- ქადაგებდა ლაო ძი. აღსანიშნავია,რომ დაოსიზმის ბევრი მცნება ქრისტიანობის 10 მცნებას ემთხვევა. ლაო ძის ფილოსოფიური თხზულება ,, დაო დე ძინი '' ანუ ,, წიგნი გზისა და სათნოების“ პირველ ჩინურ პოეტურ ქმნილებადაა მიჩნეული. ჩინელებმა ამ ნაშრომს გადმოპირქვავებული პირამიდის წვერი უწოდეს.

კონფუციანელობა - კონფუციანური თეორიის ავტორი კუნ-ძი იყო . კონფუცის მოძღვრების მიხედვით

ყოველ ადამიანს საზოგადოებაში გარკვეული ადგილი უკავია: ..ხელმწიფე- ხელმწიფედ უნდა იყოს , ქვეშევრდომი - ქვეშევრდომად , მამა - მამად, შვილი - შვილად ''. მისი ეთიკის ძირითადი პრინციპია ჰუმანურობა-ხელმწიფეს ხალხზე უნდა ემოქმედა არა ძალისმიერი დასჯით არამედ მაღალზნეობრივი სათნოებით. კონფუციონიზმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ძველი ჩინური განათლების სისტემის შექმნაში, სადაც უპირატესობა ჰუმანიტარულ მეცნიერებებეს ენიჭებოდა. წარმატებით ვითარდებოდა ჰუმანიტარული მეცნიერება: ფილოლოგია, პოეტიკა, შედგა პირველი ლექსიკონები. ჩინური ისტორიის ,, მამად'' წოდებულმა სიმა ციანმა შექმნა ფუნდამეტური ნაშრომი ,,საისტორიო ჩანაწერები'' 130 ტომად, რომელიც ძველი ჩინეთის ისტორიასთან ერთად, საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეზობელი ქვეყნების და ხალხის შესახებ.

ლეგიზმი- ჩინური კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ფილოსოფიურმა მოძღვრებამ- ლეგიზმმა,რომელიც თავდაპირველად კონფუციონიზმის ოპონენეტად გამოდიოდა, მაგრამ მოგვიანებიტ თითქმის მთლიანად შეერწყა მას. კონფუციონიზმისაგან განსხვავებით, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის კონცეფციაში ლეგიზმი ეყრდნობოდა არა მორალს არამედ მკაცრ და შეუბრალებელ კანონებს; მისთვის პოლიტიკა სეუთავსებელი იყო მორალთან. ლეგისტებისთვის ადამიანის და სახელმწიფოს მართვის მთავარი მეთოდები იყო ძალადობა, უმკაცრესი დისციპლინა, მკაცრი სასჯელები, პირადი პასუხისმგებლობა და ა.შ. მათ შეიმუშავეს დესპოტური სახელმწიფოს კონცეფცია, რაც კონფუციონელთა შესწორებებით რეალიზებულ იქნა ძველ ჩინეთში და მცირე სახეცვლილებებით მეოცე საუკუნის დამდეგამდე იარსება.

ძველ ჩინურ ფილოსოფიურ სკოლათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე, მოიზმი, რომლის ფუძემდებლად მიჩნეულია მო ძი. თავისი მოძღვრების მთავარ თემად მან ,, ზოგადსაკაცობრიო სიყვარულის'' პრინციპი აქცია, რაც კონფუციონიზმის ჰუმანურობის იდეას ეწინააღმდეგებოდა. მოიზმის მიმდევართათვის უმთავრესი ,,ცის ნება'' იყო. ისინი კიცხავდნენ ფუფუნებას, აკრიტიკებდნენ თანამდებობებისა და წოდებების მემკვიდრეობითობას. მოიზმმა მხოლოდ 2 საუკუნე იარსება, ამის მიზეზები ისტორიოგრაფიაში დაზუსტებული არაა.

ჩინეთის მეცნიერება და კულტურა V-III სს

ჯანგოს პერიოდში კიდევ ერთხელ დაზუსტდა კალენდარი: წელიწადი უდრიდა 365,25 დღეს, თვე_29,53 დღეს.

განვითარდა მათემატიკა (განსაკუთრებით გეომეტრია), ანატომია, მედიცინა და ფილოსოფია. მოაზროვნე იან ჯუ, რომელიც უარყოფდა ზებუნებრივი ძალის არსებობას და ამტკიცებდა, რომ სამყაროში ყველაფერი ემორჩილება ბუნებრივი აუცილებლობის კანონს. იგი უარყოფდა უკვდავების არსებობას და ამბობდა: ,,სიცოცხლეში ყველა საგანი განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიცოცხლეში არიან ბრძენნი და სულელნი, დიდებულნი და მდაბიონი---და ეს არის ისრაც განასხვავებს ადამიანებს. მაგრამ სიკვდილში არის გახრწნა და განადგურება-ის , რაც ათანასწორებს მათ (ადამიანებს).

იდეოლოგია და კულტურა ხანის ეპოქაში

ამ პერიოდში განსაკუთრებით განვითრდა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი ჩვ.წ I საუკუნეში დაიწერა ,,მათემატიკა 9 თავად '' რომელიც მოიცავდა არითმეტიკულ, ალგებრულ და გეომეტრიულ ამოცანებს,

აქ პირველად იყო მოხსენიებული უარყოფითი რიცხვები. ასტრონომმა ჯანხემ გამოიგონა სეისმოგრაფი, რომელიც აღრიცხავდა ბიძგებს მიწაში და მიწისძვრის მიმართულებას. ამ პერიოდში ჩინელებმა გამოიგონეს ტუში, ქაღალდი და წერისათვის აუცილებელი თმის ფუნჯი, შეიქმა პირველი ლექსიკონები.

დამწერლობა

მესამე ათასწლეულის დასაწყისში ჩინელებს უკვე ჰქონდათ პიქტოგრაფიული დამწერლობა , რომლებიც დამოუკიდებლობით და ორიგინალურობით ხასიათდებოდა . ისე როგორც ეგვიპტეში, ჩინეთშიც თავდაპირველად პიქტოგრაფიიდან ლოგოგრაფიაზე გადასვლა მოხდა , მაგრამ ცალკეული სიტყვები პიქტოგრამებით გამოისახებოდა. შემდეგ ისინი გამარტივდა და გამოისახებოდა უკვე არა მთლიანად საგანი, არამედ რომელიმე მისი დამახასიათებელი სიმბოლი- ნიშანი. ამის საფუძველზე იეროგლიფთა რაოდენობა გაიზარდა , კერძოდ , შანის (იგივე ინის) ეპოქაში მათმა რიცხვმა 50 ათას მიაღწია . წერის მიმართულება სვეტისებური იყო- ზევიდან ქვევით. თავდაპირველად საწერად ქვა, ლითონი, ძვალი და ბამბუკი გამოიყენებოდა , წერის ნიშნები კი მეტალის ჩხირებით იკვეთებოდა .

ჩინეთის ისტორიული ტრადიციის მიხედვით ბუდიზმის მქადაგებელნი ჩინეთში ჯერ კიდევ ძვ. წ მეორე საუკუნეში გამოჩდნენ, მაგრამ ამ რელიგიამ ჩინეთში გავრცელება განსაკუთრებით სწრაფად ჩვ.წ პირველ მეორე საუკუნეში დაიწყო. ბუდიზმმა დიდი გავლენა იქონია ჩინეთის იდეოლოგიასა და კულტურაზე.

ბუდიზმი

ბუდიზმი ჯერ ფილოსოფიური მოძღვრება ვიდრე რელიგიად გადაიქცეოდა. ძვ.წ მეექვსე სიდაჰართი გაუტამა ერთ-ერთი მემკვიდრე იყო.

ცოლ-შვილიანმა გაუტამამ მიატოვა სამეფო კარი და განდეგილობაში ეძებდა ადამიანთა ტანჯვის (ავადმყოფი, მოხუცი და მიცვალებული) , ამ სამი ფენომენის მიზეზთა დადგენას. მან დიდხანს იარა და პასუხს ვერ მიაგნო პასუხს კითხვაზე რატომ არის ცხოვრება ტანჯვა? დაღლილსა და გულგახეთქილს ერთი ხის ქვეშ დაეძინა. ეს იყო ხანგრძლივი ძილი და მეოთხე დღეს მოხდა მისი გონების სასწაულებრივი ,,განათბა'' (იგი გახდა ცნობიერებით ,,განათებული'' ანუ ,,ბუდდა''. ამიერიდა მას შეეძლო ამოეხსნა ცხოვრების დიდი საიდუმლო, რატომ არის ადამიანის ცხოვრება ტანჯვა? რა არის ამის მიზეზი და როგორ შეიძლება ამ ტანჯვისაგან ადამიანის ხსნა?

ახალი წელთაღრიხვის დასაწყისში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება- ჰინაიანა და მაჰაიანა.

ბუდიზმის წარმოშობას წინ უძღოდა ბრაჰმანიზმი, რომელიც ქურუმთა ვიწრო წრეში იყო დამკვიდრებული. ბუდიზმში მთავარი ცნება იყო კარმა იგი ნიშნავს მისწრაფებას რაც ადამიანს მუდმივი ტაჯვის მდგომარეობაში აყენებს. ამ შემთხვევაში კარმას უარყოფითი დატვირთვა აქვს, იგი აღნიშნავს ბედს, საზღაურს სულისათვის განვლილი ცხოვრების გამო. (მსგავსი დატვირთვა აქვს კარვას ასტროლოგიაში).

ადამიანის ცხოვრებაში წარმოიშობა და შემდეგ კვდება, არაფერი რჩება მუდმივად, ბუდას სიტყვებით რასაც აქვს საწყისი მას ასევე აქვს ბოლო, თავად ადამიანი ერთი მთლიანი მეა, რომელიც არის სწორედ სული და აძლევს ერთიანობას, გონებას, ცნობიერებას და სხეულს. სული ამ ერთიანობის გაცნობიერებაა.

ბუდიზმისათვის წარმოუდგენილია , სულის სხეულისაგან სრულ დამოუკიდებლად განხილვა.

ბუდას მიერ ჩამოყალიბებულია რამდენიმე მეტაფიზიკური კითხვა, რომელზეც პასუხი უსარგებლოდ და შეუძლებლად არის მიჩნეული: მაგალითად 1) მარადიულია სამყარო?

2) სამყაროს აქვს დასასრული?

3) სული და სხეული იგივეობრივია და ა.შ.

ჩინეთში ბუდიზმი სახემწიფო რელიგიად ახ.წ. მეოთხე საუკუნეში გამოცხადდა.

მედიცინა ძველ ჩინეთში

ჩინური დამწერლობის უძველესი წერილობითი ძეგლები განეკუთვნებიან ჩვ.წ.აღ-მდე მეორე ათასწლეულის შუა პერიოდს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამედიცინო ხასიათის ტექსტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრაქტატი ,, ხუანდი ნეი ცზინ'' (,,ყვითელი შინაარსის მედიცინის კანონები''), რომელსაც ,,ნეი ცზის ,, (მედიცინის კანონებს) უწოდებენ. იგი შედგება 18 წიგნისაგან პირველი ცხრა ორგანიზმის აღნაგობასა და ფუნქციებს, დიაგნოსტიკასა და დაავადებთა მკურნალობას ეხება. ბოლო ცხრა კი ,,ჩჟენ ცზიუ'' თერაპიას (,,ჩჟენ''- ნემსით ჩხვლეტა - აკუფუნქტურა, ,,ცზიუ''- მოწვა). კონფუციანელობა კრძალავდა გვამების გაკვეთას. ჯანმრთელობის საფუძვლად ითვლებოდა ,,პირველადი ელემენტების''- წონასწორობა, ხოლო დაავადების მიზეზად კი ამ წონასწორობის დარღვევა. ეს დარღვევები გამოიხატება 16 სინდრომად, რომლებიც იყოფა ორ ჯგუფად: მეტობის სინდრომი-,,იანი'' და ნაკლებობის სინდრომი-,,ინი'' დიაგნოსტიკა ეფუძვნება ავადმყოფის კანის, თვალის და ენის გამოკვლევას. დიაგნოსტიკის საფუძველს ძვ. ჩინეთში წარმოადგენდა მოძღვრება პულსის შესახებ. ,,ჩჟენ-ცზიუს''

თერაპია, რომლის მიხედვითაც ჩხვლეტა სხეულის განსაზღვრულ ადგილებში იწვევს ზოგიერთი დაავადების განკურნებას. ამ მეთოდის წარმატებით გამოყენების შესახებ აღნიშნულია ისტორიულ ქრონიკებში. ნემსის თერაპიის მეთოდი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. ტუი შენისა და მისი მეუღლის სამარხებში (მეორე საუკუნე ჩვ. წ აღ-მდე) პირველად აღმოაჩინეს ძველი ჩინური სამკურნალო ნემსები, რომლებიც დამზადებული იყო ოქროსა და ვერცხლისაგან. მათ შორის იყო ყუნწიანი ნემსი ჭრილობის გასაკერად და სამკუთხა- ვენების გასახსნელად.

წამლით მკურნალობამ ძველ ჩინეთში დიდ სრულყოფას მიაღწია. სამკურნალო საშუალების სამ მეოთხედს მცენარეული, ხოლო დანარჩენს კი ცხოველური და მინერალური წარმოშობის წამლები შეადგენდა. ჩინური ხალხური სამკურნალო საშუალებებია: ჟენშენი, ქაფური, ჩაი , ფისი, რკინა, ვერცხლი და გოგირდი. ცნობილ ჩინელ ექიმსა და დიეტოლოგს სუნ სიმიაოს ,, წამლების მეფეს ‘’ უწოდებდნენ. მის მიერაა შემოთავაზებული ცხოველის ღვიძლის გამოყენების მეთოდი ,,ქათმის სიბრმავის’’ სამკურნალოდ. ძველი ჩინეთის ცნობილ ქირურგად ითვლებოდა ხუა ტო, რომელმაც სახელი გაითქვა მოტეხილობის მკურნალობით, გუმკერდისა და მუცლის ღრუზე, თავის ქალაზე წარმოებული ოპერაციები. ძვ. ჩინური მედიცის მეცნიერულ შესწავლას დღესაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია თანამედროვე მედიცინისათვის.

ნემსის თერაპია - ,,ჩჟენ - ცზიუ ‘’

,, ჩჟენ-ცზიუ’’ თერაპია ტრადიციული ჩინური თერაპიის განსაკუთრებული მიმართულებაა, რომლის მიხედვითაც სხეულის განსაზღვრულ ადგილებში იწვევს

ზოგიერთი დაავადების განკურნებას. ისტორიულ ქრონიკებში აღნიშნულია ამ მეთოდის წარმატებით გამოყენების შემთხვევაში ჯერ კიდევ ჩვ.წ. აღრიცხვამდე 11 ს-ში. ნემსის თერაპიის მეთოდი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მასაჟთან და მოწვასთან ერთად. პირველი ეს ნემსები ქვისგან იყო დამზადებული .

ლუი შენისა და მისი მეუღლის სამარხში პირველად აღმოაჩინეს ძველი ჩინური სამკურნალო ნემსები . ოთხი მათგანი დამზადებულია ოქროსაგან, ხოლო ხუთი კი ვერცხლისაგან. მათ შორის ყუნწიანი-ჭრილობის გასაკურნავად და სამკუთხა-ვენების გასახსნელად. ამ აღმოჩენით განისაზღვრა ნემსური თერაპიის ჩინური სისტემის ასაკი ორი თასი წლით .

მოწვის დროს სამკურნალო ეფექტი მიიღწეოდა ,, სასიცოცხლო წერტილებზე''. სითბური მოქმედებით, კერძოდ, ამ წერტილებზე სამკურნალო ბალახებისაგან დამზადებული ანთებული ღერების შეხებით .

ქაღალდის შექმნა

ჩინელთა უდიდესი მიღწევაა ქაღალდის გამოგონება(ძვ. წ. მეორე - პირველ სს) , რამაც გადატრიალება გამოწვია მთელი ჩინეთის კულტურულ ცხოვრებაში. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იეროგლიფური დამწერლობის სრულყოფა , რომელიც შემდეგ იაპონიში , კორეასა და ვიეტნამში გავრცელდა . ძვ.წ. მეხუთე - მეექვსე საუკუნეებში ჩინელებმა აბრეშუმზე დაიწყეს წერა , მაგრამ ეს მასალა ძალიან ძვირი იყო , ქაღალდის გამოგონება მიეწერება ცაი ლუნს , რომელიც ძონძებისაგან, ბამბისაგან, ხის ქერქისა და კანაფისაგან ამზაადებდა მას . იმთავითვე ქაღალდის გამოყენება დაიწყეს ფრანების, ფარნების, ნიღბების, მარაოების, ქოლგების შირმების დასამზადებლად,

რომლებიც საოცარი სინატიფით და სილამაზით გამოირჩეოდნენ.

ცივილიზაციის განვითრებისათვის მთლიანობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩინელთა მიერ წიგნის ბეჭდვის გამოგონებას. ჯერ კიდევ ძვ.წ მეხუთე- მეოთხე საუკუნეებში მათ ხის გრავიურებიდან სხვადასხვა ხატების, ამულეტების ბეჭდვა დაიწყეს. საბეჭდი ფორმების მასალებად ხე და ქვა გამოიყენებოდა. ამ პროცესს მოჰყვა ბიბლიოთეკების ფორმირება ჩინეთში.

მხატვრული კულტურა

რაც შეეხება მხატვრულ კულტურას- ,,მეომარ სამეფოთა ეპოქა'' ხასიათდება მნიშვნელოვანი სიახლეებით. შეიქმნა პირველი ტრაქტატი არქიტექტურაში - ,,ჯოული'', რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ქალაქების დაგეგმარების მკაცრი პრინციპები: ზომები, ქუჩების, გზების და ნაგებობების მდებარეობის ზუსტი მითითებებით. ამავე პერიოდში დასრულდა ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოები ,,სიმღერათა წიგნი''- შიძინი (იგი იწერებოდა XI-VI სს.განმავლობაში), რომელიც 300 სიმღერასა და ლექსს შეიცავდა, მათი შერჩევა და რედაქტირება კონფუცის მიეწერება.. იქმნებოდა ასევე შესანიშნავი პოეტური ქმნილებები, რომელთა ავტორებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვ.წ 3 საუკუნეში მოღვაწე ცუი იუანი და სუნ იუი.

არნახულ აღმავლობას მიაღწია ქვეყანაში მხატვრულმა კულტურამ. საბოლოოდ ყალიბდება ტრადიციული ჩინური არქიტექტურის კლასიკური ფორმები, რომლებიც დღემდე შემოინახა ეროვნულმა კულტურამ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქმშენებლობა, კერძოდ, ძველი ჩინეთის სატახტო ქალაქები ლოიანი და ჩანანი, რომლებიც ზუსტი

დაგეგმარებით გამოირჩეოდნენ. სასახლეები წითელი აგურით იგებოდა, ადმინისტრაციული ნაგებობები-ყვითელი აურით. ჩინელ ხუროთმოძღვართა მიერ აგებული ორ-სამ-სართულიანი სახლები რამდენიმე იარუსიანი ფერადი სახურავებით იყო გადახურული.

ძველი ჩინეთის ყველაზე დიდებულ არქიტექტურულ ზეგლად ჩინეთის დიდი კედელი ითვლება. არანაკლებ საოცარი ძეგლია იმპერატორ ცინ შიხუანდის სამარხის კომპლექსი არა მხოლოდ მისი გრანდიოზული მასშტაბების გამო, არამედ უზარმაზარი მიწისქვეშა სასახლის შიგთავსით, რომელიც კერამიკისაგან დამზადებული ნატურალური ზომების ჯარისკაცები, ცხენებით და ეტლებით არის სავსე. მთლიანად ეს არმია 3000 მხედრისა და ქვეითისაგან შედგება.

სკულპტურული რელიეფის ყველაზე საინტერესო ნიმუშები აღმოჩენილია შანდუნსა და შიჩუანში, რომელთა სიუჟეტები მითოლოგიური და რელიგიური თემებიდანაა აღებული.

არქიტექტურა

მსოფლიოს მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან კულტურაში ჩინეთს გამორჩეული ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით გამოირჩევა ძველი ჩინური არქიტექტურა რომლის არაერთი ნიმუში მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობათა კატალოგშია შესული. ჩინეთში გავრცელებული ანდაზაა: ,, სახლის კედლები შეიძლება ჩამოიშალოს, მაგრამ სახლი არ დაინგრეს''. ამ გამოთქმის მიღმა წმინდა არქიტექტურული საიდუმლო იმალება . ჩინურ არქიტექტურაში სახლის სახურავის სიმძიმე აწვება ბოძებს და არა კედლებს. ასე რომ კედლების ჩამოშლის შემთხვევაში სახურავი ბოძების წყალობით არ იშლება მსგავსი მეთოდით აგებული ნაგებობები უძლებდა

მიწისძვრას და ასე ხდებოდა სახლის ნგრევის თავიდან აშორება .

აბრეშუმის დიდი გზა

ცინისა და ხანის ეპოქებში იმპერიას მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა სხვა სახელმწიფოებთან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ როლს აბრეშუმის დიდი გზა ასრულებდა, რომელიც 7000 კმ-ზე იყო გადაჭიმული (მოგვიანებით მისმა სიგრძემ 12000 კმ-ს მიაღწია) , იგი ძვ.წ 2 საუკუნეში იქნა გაყვანილი და იმდროიდან მოყოლებული ამ გზაზე დატვირთული სავაჭრო ქარავნები მიემართებოდა შუა აზიაში, ინდოეთში, ირანში, ხმელთა შუა ზღვის ქვეყნებში და სხვა.

ხანის ექოქაში განსაკუთრებით აღსანიშნავია აბრეშუმის წარმოება, რაშიც ჩინეთი აფსოლუტურ მონოპოლიას ფლობდა. მეზობელი ქვეყნები ამაოდ ცდილობდნენ აბრეშუმის ტექნოლოგიის საიდუმლოს გახსნას. ძველი საუკუნის 1 საუკუნისათვის აბრეშუმის წარმოების მოცულობა იმდენად გაიზარდა, რომ ჩინური ექსპორტის უმთავრეს საქონლად იქცა.

ახალი საზღვაო ,,აბრეშუმის გზა'' აღმოჩენილ იქნა ძვ.წ. 100 წელს ბერძნული ხომალდის კაპიტანის ჰიპალოსის მიერ.

ჩინეთის დიდი კედელი

მშენებლობა მიმდინარეობდა ძვ.წ მე-3-დან ახ.წ მე-17-ს-მდე. მშენებლობა დაიწყო იმპერატორ ცინ შიხუანდის მიერ.

მსოფლიოში ყველაზე გრძელი და განსაცვიფრებელი ნაგებობა, ჩინეთის დიდი კედლის გარეგნული სილამაზისა და გრანდიოზულობის მიღმა ბევრი ამოუცნობი საიდუმლოება იმალება. ცოცხლად

ჩატანებული მეომრები, დაკარგული საგანძური , მიწისქვეშა სამალავები, უცხოპლანეტელებთან კავშირი და ა. შ. - ეს ყველაფერი ჩინეთის დიდი კედლის დღემდე იდუმალებით მოცული მხარეა. 7000 ათას კილომეტრემდე სიგრძის კედელი შანხაის გასასვლელიდან ბოჰაის ზღვამდეა გადაჭიმული.

ჩინელები უმიზეზოდ და მარტო სილამაზის გულისთვის არაფერს აშენებნენ, არც იმისთვის რომ ვინმე გაეკვირვებინათ და აღეფრთოვანებინათ . ყველაზე გავრცელებული ლეგენდის თანახმად, როდესაც ჩინელების დიდი იმპერია ერთი იმპერეტორის მმართველობის ქვეშ გაერთიანდა და შიდა ქიშპობას ბოლო მოეღო, სერიოზული ზომების მიღება გახდა საჭირო მტრებისაგან თავის დასაცავად . ჩინელები მაშინაც საკმაოდ ბევრინი იყვნენ და მიზნის სისრულეში მოყვანა არ გასჭირვებიათ 1000 ადამიანი სრულიად უანგაროდ შრომობდა მშენებლობაზე და ეს მათთვის დიდი პატივიც კი იყო.

ჩინეთს ძალიან ბევრი ემტერებოდა ამიტომ სანამ ჩრდილო ნაწილი ჯერ კიდევ ღია იყო თავდაცვის მიზნით ყოველ საღამოს კოშკის თავზე დიდ კოცონს ანთებდნენ. თუ მოახლოებულ მტერს დაინახავდნენ კოცონს აქრობდნენ იმის ნიშნად რომ საბრძოლო მზადყოფნა დაწყებულიყო ალბათ ყურადსაღებია ის ფაქტიც , რომ სხვა ქვეყნებში პირიქით ხდებოდა როცა მტერს დაინახავდნენ სწორედ მაშინ ანთებდნენ კოცონს.

საერთოდ ჩინელებს ბევრი რამის გამოგონებასა და შექმნას მიაწერდნენ რომელსაც შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ასაიდუმლოებდნენ თან იმდონეზე რომ ამ საიდუმლოების არ გათქმას სიცოცხლეს სწირავდნენ , როგორც ნებისმიერი უძველესი ქვეყნებისათვის არც ჩინეთისათვის არ იყო უცხო მსხვერპლ შეწირვის ტრადიცია , არსებობს ცნობა რომ ტირანმა იმპერატორმა

ნათელმხილველების რჩედვით გადაწყვიტა მშენებლობის დროს კედელში ცოცხლად ჩაეტანებინა მეომრები . ცნობილია რომ მსხვერპლად შეწირული მეომრების ოჯახებმა კედელიც სამუდამოდ დაწყევლეს და იმპერატორიც . მას ამის გამო ხშირად სიკვდილის კედელს უწოდებდნენ.

თანამედროვე მეცნიერებმა ბევრისათვის არც ისე დამაჯერებელი ჰიპოთეზა წარმოადგინეს რომ ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობაში შესაძლოა ადგილობრივების გარდა სხვა ცივილიზაციებიც მათ შორის უცხოპლანეტელებიც მონაწილეობდნენ . ამ დასკვნის ერთ-ერთი საფუძველი ისიცაა რომ ჩინეთის დიდი კედელის საკვირველი ფაქტია ის , რომ იგი დედამიწის ატლასზე 30-ე პარალელს ემთხვევა .

არსებობს თეორია რომ ელექტრო მაგნიტური სიგნალი დედამიწიდან კოსმოსში სწორედ ჩინეთის დიდი კედლიდან ადის . და თუ ასეა იქნებ სულაც არაა უტოპიური იმ მეცნიერის თეორია , რომლებიც ვარაუდობდნენ რომ ძველი ჩინელები კოსმოსთან კავშირის დამყარებას ცდილობდნენ და ამიტომაცაა კედლის ხაზი ასეთი ზუსტი.

ჩინელი მკვლევარები სხვა ვერსიებსაც ავითარებდნენ მათი მთკიცებით კედლის ქვეშ მრავალი გვირაბია გათხრილი , იქვე მდებარე დალუქული სარდაფები კი არავისთვის იხსნება . ეს ვერსიაა მას შემდეგ რაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩინელმა მკვლევარმა სარდაფში შეღწევა სცადა , დაცვამ იგი დააკავა და მან განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა , მაგრამ მკვლევარმა დარწმუნებით განაცხადა რომ იქ ძვირფასეულობა ინახება. დალუქული სარდფები დღემდე ბევრი მკვლევარისა თუ მეცნიერის საოცნებო ადგილად რჩება.

კუნგ ფუ ანუ გონგ ფუ
ჩინური საბრძოლო ხელოვნება

კუნგ ფუ ან გონგ ფუ (ჩინურად გონგ ფუ - მუშაობა, ანუ მძიმე შრომის სედეგად შეძენილი ოსტატობა). ცნობილია საბრძოლო ხელოვნების დაახლოებით 2000 სტილი. კორეის, იაპონიისა და ინდოჩინეთის ქვეყნების თითქმის ყველა საბრძოლო ხელოვნება, როგორიცაა ჯიუ-ჯიცუ, კარატე, ტაე-კიონი და სხვა. ჩინური კუნგ ფუს საფუძველზე აღმოცენდა მან გავლენა მოახდინა, აგრეთვე მალაიზიის, ინდონეზიისა და ფილიპინების საბრძოლო ხელოვნებათა ჩამოყალიბებაზე.

კუნგ ფუს თითქმის ყველა ტრადიციული სტილი შეიცავს ბრძოლის ოთხ დონეს: ტი-ფეხის მოძრაობის ტექნიკა , და- დარტყმები, შუეი- სხვადასხვა გდება, ჭიდაობის ტექნიკა, ნა- ბლოკირებისა და შებოჭვის ტექნიკა. არსებობს კუნგ ფუს ორი ძირითადი მიმართულება ბუდისტური და ტაოისტური. არის სხვაგვარი კლასიფიკაციაც, რომელიც განასხვავებს ნეიჯიას ,, შინაგან'' სტილს და ველიჯია ,,გარეგან'' სტილს ნეიჯია გულისხმობს ბიო მექანიკის , სუნთქვის კონტროლსა და შინაგანი ენერგიის ,,კი'' -ის ცირკულაციის პრინციპს, რომელსაც მებრძოლი ბევრი გარჯის შემდეგ აღწევს. გარეგანი სტილი გულისხმობს სხეულის ვარჯიშს, ძალის, სისწრაფისა და მოქმედების განვითარება-დახვეწას.

ჩინური საბრძოლო ხელოვნების ისტორია იწყება ძვ.წ. 2600 წლიდან, როცა იმპერატორმა ჰუანგ დიმ სამხედრო წვრთნის ეფექტური მეთოდების შემუშავება ბრძანა.....

7 საუკუნეში იმპერატორმა შიმინმა მონასტერს ოფიციალურად მიანიჭა უფლება ჰქონოდა საბრძოლო ხელოვნების სკოლა და ჰყოლოდა საკუთრი არმია.

შაოლინის მონასტერი იქცა ცენტრად სადაც საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა საბრძოლო ხელოვნება .

ძველი ჩინეთის მუსიკალური კულტურა

პირველი ცნობები ჩინური მუსიკის შესახებ გვხვდება მითებსა და ლეგენდებში, ხოლო მათ შესახებ დოკუმენტურ მასალას ვხვდებით ჩვ.წ.აღ. 16-11 საუკუნეში. მათი მუსიკა გამოხატავდა წელიწადის თვეებსა და დღე-ღამეში საათების ცვალებადობას.

7 ს-ში ბგერათა რიგიდან გამოყოფილი იყო ხუთი მნიშვნელოვანი ბგერა; რომლებმაც შემდეგი სახელწოდებები მიიღეს; 1 ,, სასახელე'', 2. ,,საუბარი'', ,,ჩვევა'', 3. ,, ძუკი'', 4. ,, შეკრება'' , 5. ,,ფრთები''. ეს ხუთი ბგერა დედამიწის ხუთ 1 ელემენტს ელემენტს გამოსახავდა (ცეცხლი, წყალი, დედამიწა, ჰაერი,ხე) ასევე ხუთ ძირითად ფერს (თეთრი, შავი, წითელი, ცისფერი, ყვითელი). მათ სწამდათ რომ მუსიკას შეეძლო წვიმის მოყვანა, მცენარეების გაზრდა და სხვა.

სიტყვა ,,უე'' მუსიკას მოიცავდა ხელოვნების ფართო გაგებას (პოეზიას, ცეკვას, ფერწერას, არქიტექტურას). ძველ ჩინეთში მუსიკა ფართოდ იყო დაკავშირებული ფილოსოფიასთან და საზოგადოების წესთან. ძვ.წ. 6 საუკუნეში მოღვაწე ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცი (551-479) წერდა, ,,რომ მუსიკა წარმოადგენს მიკროკოსმოსს, სადაც ასახულია სამყაროს აგებულება. მუსიკა ფლობს მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურას, რომლის დარღვევა არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება კანონის დარღვევა.

ძველ ჩინეთის მუსიკალურ საკრავებს წარმოადგენდნენ სიმებიანი, ჩასაბერი, დასარტყამი საკრავები. სიმებიანია - ბანჰუ და ჩჟენი ასევე ცისანცინი. ცისანცინი ითვლებოდა დახვეწილ ინსტრუმენტად ის

იყო სილამაზისა და ჰარმონიის სიმბოლო პოეზიაში. სიმებიანი საკრავებია ასევე: იანცინი, ერცუ, სიხუ - პოპულარულია ხალხურ მუსიკაში და პიპა ჩასაბერები- ფლეიტა, საყვირი, ჰორნი .

თანამედროვე ჩინეთის მიღწევები ტექნიკაში

ჩინურმა გამანადგურებელმა (j – 11 b) თანამედროვე რუსული გამანადგურებელი სუ -35 ბმ-ი დაჯაბნა. როგორც დასავლური მასმედიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, ჩინეთის მცდელობა დამოუკიდებლად შეექმნა მეოთხე თაობის მრავალფუნქციური სამხედრო თვითმფრინავი წარმატებით დასრულდა .

j-11 b ჩინეთის სამხედრო ავიამშენებლობის მნიშვნელოვანი მიღწევაა. ანდერსონის სახელობის შვედეთის სამხედრო კვლევების ცენტრის შეფასებით, მოდულირებულ საავიაციო ბრძოლებში ჩინურმა გამანადგურებელმა (j – 11 b) დაჯაბნა ყველაზე თანამედროვე რუსული გამანადგურებელი სუ-35 ბმ-ი.

ყველაზე ადამიანური რობოტი

Germinoid f-ს მეორენაირად ,, ცოცხალ თოჯინასაც'' უწოდებდნენ. აქამდე შექმნილ რობოტებიდან ის ყველაზე მეტად ჰგავს ადამიანს- შუძლია 65 სხვადასხვა გამომეტყველების მიღება, ლაპარაკობს და მღერის კიდეც. ამ ქმნილებას შუძლია გაღიმება ასევე უცნაური და დამცინავი მიმიკების გამოხატვაც კი. მისი შემქმნელი ჰიროში იშიგურო ამბობს, რომ ,,მისი მიზანია ისეთი

რობოტის შექმნა, რომელიც ადამიანის მაქსიმალურად ზუსტი ასლი იქნება'' ქალის ფორმის germinoid f-ს შუძლია ასევე წარბები ასწიოს, პირი აამოძრაოს- უკრავს წინასწარ ჩაწერილ სიმღერებს ან იმეორებს სხვა ადამიანთა ხმებს .

ჩინელებმა რობოტ-რესტორანი გახსნეს

ჩინეთის დედაქალაქ პეკინში პირველი რობოტ-რესტორანი გაიხსნა, რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, იქ ადამიანების ნაცვლად რობოტები მოგემსახურებიან, რომლებიც მუდმივ ღიმილსა და თავაზიან მომსახურებაზე არიან დაპროგრამებული. რობოტებს ჩამონტაჟებული აქვთ სენსორები და მათი დახმარებით მოძრაობაზე რეაგირებენ. ეს მათ ლანგრების ტარების საშუალებას აძლევს, ამასთან სენსორების მეშვეობით რობოტები რესტორნის სტუმრებს არ ეჯახებიან .

უცნაური ჩინური ტრადიცია

ამბობენ, რომ მელიამ იმპერატორის იერი მიითვისა და თათები რომ დაემალა, ჩაიცვა ეს ფეხსაცმელი სხვა გადმოცემების მიხედვით, იმპერატორს შეერთებული ფეხის ტერფები ჰქონდა და ბრძანება გასცზ ახალგაზრდა გოგონებოსთვის ტერფის ამგვარი ფორმა გამხდარიყო მშვენიერების მაგალითი.

არსებობს კიდევ სხვა ლეგენდაც, რომლის მიხედვით პრინცმა შუნგის დინასტიიდან თავისი მიჯნურისთვის მოიგონა ბალეტის მსგავსი ცეკვა სახელად ,,თითების ცეკვა '', ამ ცეკვის შესასრულებლად საჭირო იყო ტერფის შეკვრა. მიუხედავად შედარებით ჭკუათმყოფელი

მმართველების მიერ ამ ჩვეულების მრავალგზის აკრძალვის მცდელობისა, ათასწლოვან ჩინურ ტრადიციას მეოცე საუკუნემდე კვლავ სცემდნენ პატივს. ბოლო უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში 4,5 მლნ. ქალია დაფიქსირებული ,, შეხორცებული ტერფით''.

ჩინეთში თვლიდნენ, რომ გოგონა ,,შეკრული ტერფით'' უფრო მომხიბვლელი იყო და ადვილად ,, გათხოვებადი''. იდეალური ზომა ტერფის იყო 7,5 სმ. მხოლოდ ამ ზომის ტერფი იძენდა ,,ოქროს შროშანის'' ტიტულს. უფრო მოზრდილ ტერფებს ერქვათ ,, ვერცხლის და რკინის შროშნები'', რომელიც თავისთავად მოქმედებდა გოგონას ,, ვარგისინობის'' ხარისხზე .

p.S. 1) XIს-ში ჩინეთში ჩნდება კომპასი, როგორც ხელსაწყო.

2) ტუალეტის ქაღალდი ჩინეთში გამოიგონეს 7 ს-ის წინ, რომლის სარგებლობის უფლება მხოლოდ იმპერატორებს ჰქონდათ.

3) ნაყინი ჩინური საჭმელია.

4) პირველი ქაღალდი ჩინეთში ახ.წ 105წ დაამზადეს.

5) ქოლგა ჩინეთში 4000 წ წინ გამოიგონეს, წითელ და ყვითელ ქოლგას დიდგვაროვნები ატარებდნენ, ხოლო ლურჯს უბრალო ადამიანები.

6) სეისმოგრაფი ჩინეთში გამოიგონეს, პირველი მიწისძვრის დეტექტორი ჯერ კიდევ II ს-ში შექმნეს.

7) XVს-ის დასასრულს ჩინეთში კბილის ჯაგრისი გამოიგონეს.

8) აბრეშუმი პირველად ჩინეთში დაამზადეს.

9) გასართობი ფრანი 30ს-ის წინ ჩინელებმა გამოიგონეს.

10) IXს-ში ჩინეთში დენთი გამოიგონეს.

11) ჩინეთში გამოიგონეს მარაოს წინამორბედი, რომელსაც უტივას ეძახდნენ.

• ჩინეთში არის მართვის კომუნისტური ფორმა. მთავრობა მხარს *უჭერს ათეიზმს თუმცა კონსტიტუციით გარანტირებულია რელიგიური თავისუფლება,ჩინეთი გამოირჩევა რელიგიის მრავალფეროვნებით.*

• ჩინეთის მოსახლეობა 1992 წლის მონაცემებით არის დაახლოებით 1,17 მილიარდი ადამიანი, ის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა მსოფლიოში.

• ჩინეთში წარმოებული ძირითადი პროდუქტებია:ბრინჯი, ხორბალი, კარტოფილი, მიწის თხილი, ჩაი, ფეტვი, ქერი, ვაშლი, ბამბა, ღორის ხორცი, თევზი და სხვა.

• ჩინეთში კარგ და ღირსეულ საჩუქრად ითვლება ხარისხიანი კალამი.

• შემდეგი ნივთები ან|და ფერები ასოციორდებოდა სიკვდილთან,საათები, სანდლები, ყარყატი ან წერო, ცხვირსახოცი, რაიმე თეთრი ლურჯი ან შავი ნივთი.

• ჭამის დროს ჩხირების ძირს დავარდნა მიანიშნებს ცუდ იღბალზე.

• ჩინელები სტუმრად ყოველთვის თავის დროზე ან უფრო ადრე მიდიან, რადგან ჩინეთში პუნქტუალურობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

• ძველ ჩინეთში, მშობლებისთვის დაბადების დღის საუკეთესო საჩუქრად კუბო ითვლებოდა.

• ჩინეთში სასიძო საპატარძლოს 99 ვარდს სჩუქნის.

• საპატარძლოს თაიგული ყოველთვის ხელოვნურია, ეს სილამაზის დაუჭკნობლობის სიმბოლოდაა აღიარებული

ჩინელები ყველა შენობის შესასვლელში კიდებენ თვალის, ხვავისა და ბარაქის სიმბოლოებს.

• დადგენილია, რომ ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინ ძველ ჩინეთში ქალბატონებმა უკვე იცოდნენ ფრჩხილების მოვლის საიდუმლო

• გასათხოვარი ქალწულები გრძელ თმას იწნავდნენ, ხოლო უფროსი ქალები შუბლიდან უკან გადავარცხნილ თმას კისერთან კვანძად იმაგრებდნენ.